ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გერმანული ფილოლოგია

მანანა ღამბაშიძე

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში

ფილოლოგიის დოქტორის (PH.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ანასტასია ლაშქარაძე
ფილოლოგიის დოქტორი
მარინა ანდრაზაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2010

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 3

I თავი. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სტრუქტურული და ფუნქციონალური თავისებურებები ნომინალურ სინტაგმაში ---------- 10

II თავი. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში ---------- 101

III თავი. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის მნიშვნელობა, ვალენტობა, კომუნიკაციური ღირებულება ნომინალურ სინტაგმაში ---------- 128

დასკვნები ---------- 175

სამეცნიერო ლიტერატურა ---------- 195

მხატვრული ლიტერატურა ---------- 205

შესავალი

მოცემული სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურის კვლევას.

მეცნიერებას ლექსიკური სემანტიკის შესახებ ეწოდება სემასიოლოგია. სემასიოლოგია როგორც მეცნიერების დარგი იკვლევს სიტყვების, სიტყვის ექვივალენტების მნიშვნელობას და ლექსიკაში სემანტიკურ ცვლილებებს. ლინგვისტიკაში, ისევე როგორც ფილოსოფიურ ლიტერატურაში, ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების შესახებ მეცნიერებას ეწოდება "სემანტიკა", მაგრამ ეს ტერმინი მრავალმნიშვნელიანია. ერთის მხრივ იგი აღნიშნავს ზოგადად ენის მნიშვნელობის მხარეს (ლექსიკური და გრამატიკული სემანტიკა), მეორეს მხრივ მეცნიერებას მნიშვნელობის შესახებ. ტერმინით "სემანტიკა" ჩვენ აღვნიშნავთ ენობრივი ერთეულების შინაგან მხარეს – შინაარსის მხარეს (Inhaltsseite).

პლატონის, არისტოტელეს ნააზრევიდან და სტოიცისტების (სექსტ ემპირიკოსების) ძირითადი ნაშრომებიდან გამომდინარე, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ცნების (რაც აღინიშნება) და სიტყვის (რასაც აღნიშნავენ) კავშირს ობიექტთან, (ცნობილი "სემანტიკური სამკუთხედის" წინამორბედი), სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის პრობლემა განუხრელად მუშავდებოდა მნიშვნელობის და აზრის ზოგადფილოსოფიურ თეორიასთან უშუალო კავშირში.

შუა საუკუნეებში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის პრობლემა მუშავდებოდა რეალისტების და ნომინალისტების დისკუსიის ფონზე. ნომინალიზმის იდეები ვითარდებოდა თ. ჰობსის მიერ და საფუძვლად დაედო სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის გაგებას უნივერსალური ლექსიკონებით, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ სახელი აღნიშნავს "იდეას", რომელიც ახდენს ერთი ან რამდენიმე საგნის პრეზენტაციას.

მე-17-18 საუკუნის ფილოსოფოსები გ. ვ. ლაიბნიცი, ბ. სპინოზა, ჯ. ლოკი და სხვები განიხილავდნენ საკითხს იმის შესახებ, არის სიტყვა საგანზე წარმოდგენის ნიშანი, თუ ის არის თვითონ საგნის ნიშანი. მე-19 საუკუნეში ლექსიკურმა სემანტიკამ ყურადღება გაამახვილა სიტყვის მნიშვნელობის ისტორიულ ცვლილებებზე. ვ. ფონ ჰუმბოლდტის, გ. პაულის, ა. ა. პოტებნიას, მ. ბრეალის, მ. მ. პაკროვსკის, ჰ. შპერბერის, გ. სტერნის, ს. ულმანის და სხვათა მიერ განსაზღვრული იქნა სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ძირითადი

თვისებები და გამოვლენილი იქნა სიტყვათა მნიშვნელობების ცვლილებების ზოგადი სემანტიკური კანონები. მე-19 საუკუნის ბოლოს ლოგიკის განვითარებამ კვლავ გამოიწვია დისკუსია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის დენოტატურ და კონოტაციურ მხარეებს შორის განსხვავებულობის შესახებ. გ. ფრეგე განასხვავებდა აზრს (მითითება დასახელებულ საგანზე) და მნიშვნელობას (საგნის აღნიშვნის ხერხი). უკანასკნელი მეტყველების დონეზე ემთხვევა შინაგანი ფორმის აღნიშვნას. რ. კარნაპი განასხვავებს ექსტენსიონალს (მნიშვნელობის მოცულობა) და ინტენსიონალს (მნიშვნელობის შინაარსი). კ. ი. ლუისმა გამოჰყო მნიშვნელობის ენობრივი გამოხატულების შემდეგი სახეები: დენოტატი (ექსტენსიონალი), კონოტაცია (ინტენსიონალი), ცნებითი შინაარსი (სიგნიფიკაცია) (ლინგვ. ენციკ. ლექ. 1990:263).

ლინგვისტური სტრუქტურალიზმის რიგ მიმართულებებში ჩნდება ანტიმენ-ტალისტური მიდგომა სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისადმი: ხდება გადა-ფასება ან ენობრივ ნიშნებს შორის მიმართებების - პარადიგმატურის ფ. დე სო-სიურის თეორიაში "მნიშვნელოვნობათა" შესახებ, და სინტაგმატიკურის დესკრი-ფტივისტების თეორიაში, ან ლექსიკური მნიშვნელობის რეალიზაციაში მონა-წილე პრაგმატული ფაქტორების.

ინსტრუმენტალისტები მიიჩნევენ, რომ სიტყვა ნიშნავს იმას, რასაც ის აღნიშნავს. ინფორმაციული თეორიის მიმდევრები თვლიან: „რომ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არის ინფორმაციათა ერთობლიობა, რომელსაც ის ატარებს. თუკი სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას შეუძლია გამოიწვიოს რომელიმე რეაქცია, გადმოსცეს ინფორმაცია, აღნიშნოს რაიმე, მხოლოდ იმიტომ, რომ მთქმელის ცნობიერებაში ის დაკავშირებულია განსაზღვრულ ცნებასთან, რომლითაც გამოიხატება არაენობრივი სინამდვილის მოცემული მოვლენა" (ლინგ. ენციკ. ლექ. 1990:263).

ენათმეცნიერებაში მნიშვნელობას იკვლევენ, რათა აიხსნას ენობრივი და არაენობრივი ფაქტები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სიტყვების კომუნიკაციურ ეფექტზე.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის არსის შესახებ განსხვავებული შეხედულებები ემყარება სხვადასხვა შემეცნებით საფუძვლებს და სხვადასხვა საკომუნიკაციო მოდელებს. მნიშვნელობის ლინგვისტური კონცეფციების სამი ჯგუფი დომინირებს განმარტებათა ნუსხაში.

1) ენობრივი ერთეულების (სიტყვების, წინადადებების) მნიშვნელობა ძევს ენის გარეთ. ის არის კომუნიკაციური ჩარჩო, კომუნიკაციის პროცესში საკომუნიკაციო პარტნიორებს შორის გაღიზიანება-რეაქციის მიმართება. (Reiz – Reaktion (Stimulus-Reaktion) –Beziehung), (ბლუმფილდი).

მნიშვნელობა არის ნიშნის მიღების დროს კომუნიკაციური მოქმედებების შედეგი. ბლუმფილდის მიხედვით ენობრივი გამოსახულების მნიშვნელობისთვის რელევანტურია პირობების ერთობლიობა, რომელშიც მეტყველება მიმდინარეობს. ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა აიხსნება ამ ენობრივი ნიშნით მართული მოქმედებით. ამით კვლევის საგანი სცილდება საკუთრივ ლინგვისტიკის კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, ამ მექანისტური, ბიჰევიორისტული მოძღვრების წარმომადგენლები მოითხოვდნენ ამგვარად გაგებული მნიშვნელობა გატანილი ყოფილიყო ენათმეცნიერების კვლევის სფეროდან. ისინი მიიჩნევდნენ: მნიშვნელობები ენის გარეთ მდებარეობენ. ისინი არიან შედეგი გაღიზიანების და რეაქციის. მნიშვნელობის აღწერა არ შეიძლება ლინგვისტური მეთოდებით და მნიშვნელობათა აღწერილობანიც არ წარმოადგენენ ენობრივი აღწერილობების მეთოდებს. მიუხედავად ამ მოძღვრების კრიტიკისა, ეს არ ნიშნავს ბლუმფილდის როლის დაკნინებას ენათმეცნიერების განვითარებაში.

2) მნიშვნელობა არის მიმართება (რელაცია) და აქედან გამომდინარე თავისი არსის მიხედვით არის დინამიური.

მნიშვნელობის შესახებ მიმართება ახსნილია ოგდენისა და რიჩარდსის გრაფიკულ მოდელებზე – ცნობილი სემანტიკური სამკუთხედის მოდელი. ოგდენი და რიჩარდსი სიმბოლოს განიხილავენ როგორც ბგერათა კონტინუუმით დადგენილ ენობრივ ნიშანს. რეფერენტი არის ის, რის მიმართაც სიმბოლო წარმოსდგება როგორც ემპირიული ნიშანი. სიმბოლოსა და რეფერენტს შორის არსებობს უშუალო ურთიერთმიმართება. წარმოიშობა მიმართება რეფერენტის მოქმედებაზე.

მნიშვნელობის ცნების ინტერპრეტაციის დროს შტერნი აღნიშნავს სამ ფაქტორს: საგნით გამოწვეული შთაბეჭდილება, მისი მიღების სახე სუბიექტში და სიტყვის როგორც ფონემის მოქმედება.

შტ. ულმანი გამოხატავს იმ თვალსაზრისს, რომ მნიშვნელობა არის რეციპროკული მიმართება სახელისა აზრთან (des Namens zum Sinn). შტ. ულმანმა საფუძველი ჩაუყარა კონცეფციას, რომელსაც ეწოდება “მნიშვნელობის შესახებ რელაციონალური თვალსაზრისი”. ამ კონცეფციის მიხედვით მნიშვნელობა არის

“მიმართება”, “რელაცია”. სახელი წარმოშობს აზრს ცნობიერებაში. ცნობიერების სურათი ჩვენ გვაიძულებს შევარჩიოთ სახელი. “მნიშვნელობა არის სახელსა და აზრს შორის ურთიერთმიმართება, რელაცია, რომელიც შესაძლებელს ხდის მათ ორმხრივ წარმოდგენას.” ლექსიკური მნიშვნელობის ულმანისეული განმარტება შედის მნიშვნელობის შესახებ ფუნქციონალურ განსაზღვრებაში.

მნიშვნელობის ორნაწილიან (მნიშვნელობა და აზრი) გაგებას მოითხოვს ლ. ვაისგერბერიც. მნიშვნელობა მოცემულია სიტყვაში, კერძოდ როგორც ბგერითი ნაწილის ფუნქცია. მნიშვნელობა ყოველთვის წარმოსდგება “ბგერითიდან”, “აღნიშნულიდან” და ნიშნავს “შინაარსობრივ” ნაწილს. მნიშვნელობა დაკავშირებულია “ბგერითზე” როგორც თავის ნიშანზე. აქედან გამომდინარე ლ. ვაისგერბერისთვის ენის კვლევის მიზანი მდგომარეობს ენობრივი შინაარსების გახსნაში. იმ მკვლევარების მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომლებიც მნიშვნელობაში რელაციას (მიმართებებს ფორმატივსა და გამოხატულებებს – ცნებებს, წარმოდგენებს და ა. შ. შორის) ხედავენ, ემყარება განზრახვას ლინგვისტური და არალინგვისტური მტკიცედ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. ისინი ცნობიერების სურათებს განიხილავენ როგორც არაენობრივს და მიაჩნიათ, რომ ენობრივი გამოკვლევების ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ბგერათშემადგენლობასა და გამოხატულებებს შორის, რომლებსაც ისინი ცნობიერებაში წარმოქმნიან, რელაციათა დადგენა. ხოლო თვითონ გამოხატულებები ერთის მხრივ და ბგერათშემადგენლობა მეორეს მხრივ არიან არაენობრივი. ენა განიხილება როგორც რელაციათა ბადე, რომელთა განხილვა საშუალებას იძლევა სისტემის ისეთი ტიპის ფუნქციონირებაში გარკვევისა, როგორიც არის “ენა”. შემეცნების თეორიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის ამოცანაა გამოიკვლიოს კოგნიტიური გამოხატულებები, რომლებიც ფორმატივთან ერთად ნიშნის მთლიანობას ქმნიან. მნიშვნელობის შესახებ რელაციონალური თვალსაზრისი რჩება თეორიულ საფუძვლად, რადგან ის ენის ანალიზის პრაქტიკაში არ არის მოქმედი. მან მოიტანა თეორიული შედეგები. გამოსახულებები განიხილებიან როგორც “ექსტრალინგვისტური კორელატი”, “ლინგვისტური კორელატი”, “ფორმატივი”. აქედან გამომდინარე ენა აღარ არის ბილატერალური ნიშნების სისტემა, არამედ იგი წარმოადგენს რელაციათა სტრუქტურას.

3) მნიშვნელობა არის ასახვა. ამ კონცეფციის მიხედვით მნიშვნელობა ამავე დროს ნიშნავს "აღნიშნულს". "აღნიშნული" საგანი, მოვლენა უნდა გავიგოთ როგორც ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა. ამდენად მნიშვნელობა არის ასახვა. მნიშვნელობა არის ბგერით ნიშანს დაქვემდებარებული ცნობიერების შინაარსი, როგორც ობიექტური რეალობის სურათი (გამოსახულება) ადამიანის ცნობიერებაში.

ამ კონცეფციის წარმომადგენლები ვ. შმიტი, ა. ი. სმირნიცკი მიიჩნევენ, რომ "აღნიშნული" და მნიშვნელობა ერთი და იგივეა, თუმცა აქაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რა არის "აღნიშნული". მაგრამ ამ ჯგუფის ყველა წარმომადგენელი ერთსულოვანია იმაში, რომ მნიშვნელობა არ არის ნაგულისხმევი და არც მიმართება ნაგულისხმევზე.

ტრადიციულ სემასიოლოგიაში ბატონობენ დეფინიციები, რომლებიც მნიშვნელობას განიხილავენ როგორც "ფსიქიკურ ფენომენს", "ინდივიდუალურ წარმოდგენას", "ენობრივ ცნებას".

ჰეხტი: მნიშვნელობები არიან წარმოდგენები.

ველანდერი: სიტყვის მნიშვნელობა არის წარმოდგენა, რომელსაც ინდივიდი ამ სიტყვასთან აკავშირებს.

ჰაასე: მნიშვნელობა არის ცნება, რამდენადაც ის სიტყვასთან ერთად ერთ ნიშანს ქმნის.

ამრიგად, ტრადიციულ სემასიოლოგიაში ცნებებს და წარმოდგენებს უმეტესად განსაზღვრავენ როგორც სიტყვის მნიშვნელობებს. ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ცნება განიხილება როგორც ერთ განსაზღვრულ ნიშნის ფორმასთან – ზოგად სახელთან დაკავშირებული კატეგორია. ტრადიციულ ენათმეცნიერებაში განიხილება პრობლემა – დაკავშირებულია ცნება სიტყვის ძირთან (ფუძესთან), თუ სიტყვის როგორც მეტყველების ნაწილის სრულ ფორმასთან. (მაგ: "თეთ"- თან, თუ "სი-თეთ-რე", „გა-თეთ-რება-სთან").

მოცემულ ნაშრომში ჩვენს მიზანს წარმოადგენს ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურის გამოკვლევა სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის და ცნების ლოგიკური კატეგორიის ურთიერთმიმართების საფუძველზე.

განკერძოება ენათმეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ და რთულ მოვლენას წარმოადგენს. ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება ნაკლებად არის შესწავლილი. უმეტესად მას იკვლევენ სხვა

ტიპის განსაზღვრებებთან მიმართებაში, ან შემოიფარგლებიან მისი მხოლოდ ფორმალური აღწერით. ამავე დროს ზედსართავი სახელი მიეკუთვნება გერმანული ენის ლექსიკის ძირითად ბირთვს, რომლის შესწავლის მნიშვნელობაც სხვადასხვა დონეზე ეჭვს არ იწვევს. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების კვლევა მნიშვნელოვანია თეორიულ და პრაქტიკულ პლანში. ის მნიშვნელოვანია როგორც სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის, ასევე წინადადების და ენის მთლიანი სემანტიკური წყობის სწორი გაგებისა და ანალიზისათვის. ამავე დროს მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისი კვლევა სხვადასხვა დონეზე: სემანტიკურ, სინტაქსურ, კომუნიკაციურ დონეზე.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტები დაკავშირებულია მისი შინაგანი ფორმის, სიტყვის მორფემის შემადგენელი სემანტიკური და სტრუქტურული ნიშნის, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს, თემა-რემატული მიმართებების, ვალენტური და დისტრიბუციული შესაძლებლობების, ინფორმაციული და კომუნიკაციური ღირებულების განსაზღვრასა და დადგენასთან. აქედან გამომდინარე მოცემულ ნაშრომში დაისვა შემდეგი ამოცანები, გამოგვეკვლია:

1) პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ფუნქციონალური და სტრუქტურული თავისებურებები ნომინალურ სინტაგმაში.

2) სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის და ცნების ლოგიკური კატეგორიის ნიშან-თვისებები და სტრუქტურული თავისებურებები.

3) ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობასა და მისი შესაბამისი ცნების ლოგიკურ კატეგორიას შორის ურთიერთმიმართებები.

4) პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში.

5) ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის მნიშვნელობას, ვალენტობას და კომუნიკაციურ ღირებულებას შორის ურთიერთმიმართებები.

თემის მიზანმა და ამოცანებმა განსაზღვრა კვლევის მეთოდების არჩევანი.

ნაშრომში გამოყენებულია:

1) კონცეფტუალური მეთოდი – კონცეფტუალური ველის, მოცემული ცნებითი სფეროს, ურთიერთდაკავშირებულ ცნებათა მოცემული ერთობლიობის ანალიზისთვის. ენის კონცეფტუალური ანალიზი.

2) ვალენტური, ლოგიკურ-სემანტიკური მეთოდი – სიტყვათა უნარის განსაზღვრისათვის იქონიოს კავშირები სხვა ელემენტებთან. ენის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი.

3) სინტაგმატიკურად ორიენტირებული დისტრიბუციული მეთოდი – სიტყვათა შეთავსების განსაზღვრისათვის. ენის კონტექსტუალური ანალიზი.

პარადიგმატურად ორიენტირებული სუბსტიტუციის და ელიმინაციის მეთოდი – სიტყვათა ჩანაცვლების განსაზღვრისათვის. ენის კომპონენტური ანალიზი.

ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავის, დასკვნის და ბიბლიოგრა-ფიისაგან.

I თავი. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სტრუქტუ-რული და ფუნქციონალური თავისებურებები ნომინალურ სინტაგმაში.

II თავი. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემან-ტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში.

III თავი. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის მნიშვ-ნელობა, ვალენტობა, კომუნიკაციური ღირებულება ნომინალურ სინტაგმაში.

დასკვნებში განზოგადოებულია კვლევის შედეგები. ბიბლიოგრაფია მოიცავს სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ჩამონათვალს.

I თავი

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სტრუქტურული და ფუნქციონალური თავისებურებები ნომინალურ სინტაგმაში

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განვიხილავთ ნომინალურ ფრაზაში ზოგადად ზედსართავი სახელის სტრუქტურირების და ფუნქციონირების სპეციფიკურ ასპექტებს, ნომინალური ფრაზის სტრუქტურას და სემანტიკურ ფუნქციებს, ზედსართავი სახელის შესახებ სხვადასხვა თეორიულ დებულებებსა და კონცეფციებს და პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ თავისებურებებს ნომინალურ სინტაგმაში.

ლათინური სიტყვა „nomen“ და გერმანული სიტყვა „Name“ არამარტო ისტორიულად არიან მონათესავე, მათ დღეს ერთი და იგივე მნიშვნელობები გააჩნიათ. ისინი ამ სამყაროს საგნებს, „სიდიდეებს“ თავიანთ სახელებს აძლევენ. ამით ისინი სამსახურს უწევენ წინადადების მაწარმოებელ ზმნებს.

ნომინალური (სახელს მიკუთვნებული (პაული 2002:709) ელემენტები ასახელებენ ყველა საგანს, რომლებიც ზმნით არიან შეკავშირებულნი, ამით ისინი სინამდვილიდან გამოიყოფიან და ამგვარად ფაქტის, ვითარების აღწერილობებს ადგენენ. მაგრამ ნომინალური ელემენტები არიან არამხოლოდ სახელები, არამედ აგრეთვე სიტყვებიც, რომლებსაც სახელები წარმოადგენენ, ეგრეთ წოდებული პრონომინა. შემდგომში ნომინალურ ელემენტებს მიეკუთვნება არსებითი სახელების და ნაცვალსახელების ყველა სატელიტი, უპირველეს ყოვლისა დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები.

თითოეულ ნომინალურ ელემენტს შეუძლია იყოს ფრაზის ბირთვი, აქედან გამომდინარე თითოეული სიტყვათა კლასისთვის მნიშვნელოვანი იქნება ფრაზის მაწარმოებელი შესაძლებლობების და ფორმების დადგენა.

უდიდესია ნაბიჯი სახელიდან, ანუ სიტყვიდან, რომელიც სიდიდეს აღნიშნავს, ფრაზამდე, რომელმაც სიტყვიდან სახელწოდება მიიღო. განსხვავება

სახელსა და ნომინალურ ფრაზას შორის ფუნდამენტურია. სახელს მხოლოდ დასახელების ფუნქცია გააჩნია (Benennungsfunktion): „მაგ, ჭურჭელი წარწერით „Knoblauch“ აღნიშნავს ჭურჭლის ფუნქციას და არ აქვს მნიშვნელობა, მასში რაიმე არის თუ არა. მაგრამ, როცა ვინმე კითხულობს: „Hast du den Knoblauch vergessen?“, მაშინ ეს სანელებელი აღინიშნება ნომინალური ფრაზით, „den Knoblauch“ და ამით სიტყვა „Knoblaoch“ მიიჩნევა სინამდვილის ნაწილად – ვირტუალური სინამდვილის ნაწილად.

„ნომინალურ ფრაზას აქვს პრეტენზია სინამდვილის ნაწილის ასახვისა. თვითონ სინამდვილის დოკუმენტალურად ასახვა კი მხოლოდ ზმნას შეუძლია“ (ენგელი 2004:287).

არსებობს ერთადერთი გარეგნულად უმნიშვნელო ელემენტი, რომელიც სახელიდან ნომინალურ ფრაზაში გადასვლის მარკირებას ახდენს. ნომინალური ფრაზის ეს „მარკანტი“ დეტერმინანტია (ლათ. determinans), „განმსაზღვრელი ფაქტორი (bestimmender Faktor)“ (დუდენი 2007:394), „განმსაზღვრელი სიტყვა (Bestimmungswort)“ (მეტცლერი 2000:147).

ამრიგად, დეტერმინანტი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელე-მენტს ნომინალურ ფრაზაში, თუმცა ბუნებრივია სახელი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან იგი მთლიან ფრაზას განსაზღვრავს.

„ნომინალური ფრაზა განისაზღვრება როგორც სახელისა და მასზე დამოკიდებული წევრებისაგან შემდგარი წინადადების ნაწილი“ (ვარიგი 2002:926).

არსებითი სახელის შესაძლო სატელიტების გათვალისწინებით თვალსაჩინო ხდება ნომინალური ფრაზის მდიდარი სტრუქტურა. დეტერმინანტის გვერდით მათ წარმოადგენენ: ზედსართავი სახელები, ნათესაობითი ბრუნვის ნომინალური ფრაზები, წინდებულიანი ფრაზები, მიმღეობები, დამოკიდებული წინადადებები, ინფინიტიური ჯგუფები. დეტერმინანტი დგას ყველა ამ სატელიტიდან უკიდურესად მარცხნივ, ის ხსნის ნომინალურ ფრაზას. ყველა დანარჩენი სატელიტი თავსდება მარჯვნივ. მათ, თავის მხრივ, შეუძლიათ უსასრულოდ განივრცონ, მაშინ როდესაც დეტერმინანტის გავრცობის შესაძლებლობები შეზღუდულია.

არსებით სახელს, ზმნის მსგავსად, აქვს ვალენტობა, რომელიც მოცემული არსებითი სახელის აქტანტებს ადგენს. არსებითი სახელის აქტანტები გამო-ნაკლისის გარდა ფაკულტატურია.

მოვიყვანთ ნომინალური ფრაზის ზოგიერთ სტრუქტურულ მაგალითს:

eine alte Frau mit einem großen braunen Paket (ბიოლი 2003:5)



Nom – არსებითი სახელი

Det n– დეტერმინანტი სახელობით ბრუნვაში

Adj n – ზედსართავი სახელი სახელობით ბრუნვაში

Prp <d> – წინდებული მიცემით ბრუნვაში

Nom d – არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში

Det d – დეტერმინანტი მიცემით ბრუნვაში

Adj d – ზედსართავი სახელი მიცემით ბრუნვაში.

die Spitze ihrer Zunge zwischen den zusammengepreßten Lippen (ბიოლი 2003:41)



Nom n – არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში

Det n – დეტერმინანტი სახელობით ბრუნვაში

Nom g – არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში

Det g – დეტერმინანტი ნათესაობით ბრუნვაში

Prp<d> – წინდებული მიცემით ბრუნვაში

Nom d – არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში

Det d – დეტერმინანტი მიცემით ბრუნვაში

Adj d – ზედსართავი სახელი მიცემით ბრუნვაში.

განსაკუთრებით მდიდარი გავრცობის საშუალებები აქვს განსაზღვრების ფუნქციაში წარმოდგენილ მიმღეობებს (Erweitertes Attribut).

...eine muskulöse, im Dämmer des kleinen Flures

verschwimmende Männergestalt (ბიოლი 2003:8).

არსებობენ შესიტყვებები, რომლებიც ჰგვანან ნომინალურ ფრაზებს, მაგრამ თვითონ სახელად ბირთვს არ შეიცავენ: Aufs Äußerste.

Aufs Ganze gesehen jedenfalls fehlte es weder an Geld

noch an Nahrungsmitteln (ბიოლი 2003:152).

ამ შემთხვევაში წარმოიშობა ნომინალური ფრაზა გამქრალი სახელით, რომელიც ხშირად მოიპოვება ტექსტთან დამოკიდებულებებში და ფრაზეოლოგიზმებში.

ნომინალური ფრაზის წრფივი სტრუქტურა ორდინალური და მყარია. უ. ენგელი შემდეგგვარად განიხილავს ნომინალური ფრაზის სტრუქტურას: არსებით სახელს ნომინალურ ფრაზაში აქვს შუა პოზიცია (Mittelstellung), მისგან წარმოიშობა მარცხენა და მარჯვენა ველი (linkes Feld, rechtes Feld). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ გრამატიკოსთან ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება ტერმინები: წინა ველი, შუა ველი, ბოლო ველი (Vorfeld, Nachfeld, Mittelfeld) (დუდენი, ზომერფელდტი, შრაიბერი, შტარკე). „მარცხენა ველში განთავსდება დეტერმინანტი და ზედსართავი სახელები, ასევე მცირე რაოდენობით ზოგიერთი სხვა სატელიტი, მარჯვენა ველში, როგორც ირკვევა, ყველა სხვა დანარჩენი (ენგელი 2004:289). ყველა სატელიტი ნომინალურ ფრაზაში განლაგდება ობლიგატორულად რეგულირებადი თანმიმდევრობით. ეს მარტივი სქემა შეიძლება იმით გართულდეს, რომ ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებების ნაწილი, რომლებიც ძირითადად მარჯვენა ველის დასაწყისში განლაგდება, განსაკუთრებულ შემთხვევაში მარცხენა ველშიც ჩნდება და რამდენადაც მთლიანი მარცხენა ველი ახლიდან ფორმირდება, იქ დეტერმინანტი აღარ დაიშვება.

Über *die Grenze Copotas* herüber erklang Geknalle, wildes Geschrei (ბიოლი 2003:190).

die Grenze Copotas. Copotas Grenze.

ამ შემთხვევაში რეალიზდება ე.წ. „პრეპოზიციური ნათესაობითი“ (sächsischer Genitiv), რომელიც ზოგადად მხოლოდ საკუთარ სახელებთან არის შესაძლებელი. გარდა ამისა, არსებობს მცირე რაოდენობით განსაზღვრებები, რომლებიც სცილდება ნომინალურ ბირთვს (მაგ. დისიუნქტები).

როგორც აღვნიშნეთ, მარცხენა ველში ობლიგატორულად თავსდება დეტერმინანტი და ზედსართავი სახელი. აქვე ფაკულტატურად განლაგდება ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები (კუთვნილებითი, სუბიექტური, ობიექტური დამოკიდებულებით), არსებითი სახელი ინვარიანსი, არსებითი სახელი ვარიანსი და ოკაზიონალურად დისიუნქტებიც, რომლებიც შესაძლოა მოსცილდნენ სახელად ბირთვს.

დეტერმინანტი და ზედსართავი სახელი, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა არსებითი სახელის თანხმლები ელემენტებია, თავისუფალ წევრებს წარმოადგენენ (Nomenangaben; Nom A); არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი

სახელი ვარიანსი სუბსპეციფიკური ელემენტებია, ამდენად არსებითი სახელის აქტანტებს წარმოადგენენ (Nomenärgenzungen; Nom E). ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები (Genitivattribute) არიან ნაწილობრივ აქტანტები, ნაწილობრივ თავისუფალი წევრები. დისიუნქტები გამონაკლისის გარეშე თავისუფალი წევრებია.

„დეტერმინანტები არიან სიტყვები, რომლებიც არსებითი სახელის სატელიტებს წარმოადგენენ და შეუთავსებადი არიან „პრეპოზიციურ ნათესაობით ბრუნვასთან“ (sächsischer Genitiv)“ (ენგელი 2004: 312).

Ich erkannte .., dass er im Sinne *mancher Aussprüche Nietzsches,*

in sich eine geniale .. Leidensfähigkeit herangebildet habe (ჰესე 2005:10).

manche Aussprüche Nietzsches.

Nietzsches Aussprüche.

შეიძლება ითქვას, რომ დეტერმინანტი „პრეპოზიციურმა ნათესაობითმა“ გამოდევნა ნომინალური ფრაზიდან. თუ ამ ერთეულ შემთხვევებს გამოვრიცხავთ, დეტერმინანტი არსებითი სახელის მუდმივად თანმხლები ელემენტია. იგი ობლიგატორულია აღწერილობით, ამხსნელ (ილუსტრირებულ) ტექსტებში, მაგრამ ფაკულტატურია ეტიკეტური სახის მოკლე ტექსტებში.

ასეთ ტექსტებში დეტერმინანტს აქვს ფუნქცია, არსებითი სახელი, შესაბამისად არსებითი სახელის ჯგუფი ნომინალურ ფრაზად გარდაქმნას და ამით სიდიდეს სინამდვილეზე პრეტენზიულობის მოთხოვნა აღუმაღლოს. ცალკეულ დეტერმინანტებს ნომინალურ ფრაზაში შემოაქვთ სპეციფიკური მნიშვნელობის ნიშნები. ეს არ ხდება იმის გამო, რომ ისინი (ზედსართავი სახელების მსგავსად) არსებით სახელს თვისობრივად ან რაოდენობრივად განსაზღვრავენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი სხვა სიდიდეებთან მიმართებებს ქმნიან.

მაგ. დეტერმინანტი mein ნომინალურ ფრაზაში: *Mein Onkel* Fred (ბიოლი 2003:120).

არაფერს ამბობს ამ ბიძის თვისებებების შესახებ, არამედ იგი მიუთითებს მთქმელის მიმართ მე-2 თაობის სისხლით ნათესავის წარმომადგენელზე დედის ან მამის მხრიდან. თუკი შეიცვლება mein დეტერმინანტით dieser, წარმოიშობა მიმართება ტექსტის სხვა მონაკვეთთან, თუ მათ მაგივრად რეალიზდება ein, მაშინ გაურკვეველი რჩება საერთოდ არსებულ ბიძათაგან ტექსტში რომელი პირი იგულისხმება. იგივე შეიძლება ითქვას მიმართების აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებზე: hiesig, obengenannt, kommunal.

ხშირად დეტერმინანტებს ნაცვალსახელებს მიაკუთვნებენ. უ. ენგელის განმარტებით ეს შეუძლებელია, რადგან: „დეტერმინანტები არსებითი სახელის მიმართ გამოიყენება ყოველთვის როგორც განსაზღვრებები (მაშინაც კი, როდესაც მათ ავტონომიურად შეუძლიათ ფუნქციონირება). ნაცვალსახელები გამონაკლისის გარეშე, შეიძლება გამოყენებულ იქნან ნომინალური ფრაზების ნაცვლად“ (ენგელი 2004:312).

აქედან გამომდინარე, ნაცვალსახელები mein, jemand, nichts ვერ იქნებიან დეტერმინანტები, და რადგან ისინი ნაცვალსახელებს წარმოადგენენ, არაფერი აქვთ საერთო „დეტერმინანტად“ წოდებულ სიტყვებთან. ზედაპირულმა უნისონმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, რადგან kein (სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის მამრობითი და საშუალო სქესისათვის) დეტერმინანტია:

Kurz gesagt, .. außerdem bin ich *kein Redner* (ბიოლი 2003:134)

.. war ich entsetzt .. und tat etwas, was bisher noch

kein schwarzes Schaf getan hat (ბიოლი 2003:135).

მაგრამ keiner (სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის მამრობითი სქესისთვის) ნაცვალსახელია:

Es war auch ganz still, *keiner*, der hinauf - oder hinunterging (კაშნიცი 2004:47).

- ich selber bin aber *keiner* - , und eigentlich hätte ich

gar nicht hingehen sollen (ჰესე 2005:57).

უ. ენგელის კლასიფიკაციით, „დეტერმინანტები იყოფა 6 ქვეკლასად:

არტიკლი

კუთვნილებითი

ჩვენებითი

განუსაზღვრელი

უარყოფითი

კითხვითი“ (ენგელი 2004: 313).

აქვე შემოდის ზედსართავი სახელი beide, რომელსაც, როგორც ზოგიერთ დეტერმინანტს დეფინიტურ-იდენტიფიკატური ფუნქცია გააჩნია:

Beide Möglichkeiten veranlaßten ihn, sich wütend über das Geschlecht

unserer Großeltern auszulassen (ბიოლი 2003:121).

„dieser“ კი წინადადებაში:

Dieser konnte aus dem Dunkeln auf ihn Schießen (კაშნიცი 2004:64).

შეიძლება აღწერილ იქნას როგორც ნომინალური ფრაზა:

Dieser Mann konnte aus dem Dunkeln auf ihn schießen,

რომელშიც ბირთვი გამოტოვებულია.

დეტერმინანტები (ნულოვანი არტიკლის ჩათვლით), გამონაკლისის გარეშე, არსებით სახელთან კომბინირებადია:

von einer Treppe

die Abfahrt des Zuges

blondes Mädchen.

დეტერმინანტი ნომინალურ ბირთვთან ერთად იცვლება სქესის, ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. დეტერმინანტი ემსახურება ნომინალური ფრაზით აღ-ნიშნულ სიდედეთა იდენტიფიკაციას.

დეტერმინანტის სუბკლასები მართავენ ზედსართავი სახელის ფლექსიას:

das schöne Mädchen: ein schönes Mädchen

die schönen Mädchen: schöne Mädchen

აქედან გამომდინარე: „ზედსართავი სახელი დეტერმინანტის დეპენდენსია“ (ენგელი 2004:290). სქემატურად ეს შემდეგნაირად გამოისახება:

Nom

Mädchen

|

Det

das

|

Adj

schön

დეტერმინანტები მარცხენა ველის ყველა სატელიტთან კომბინირებადია. გამონაკლისს წარმოადგენს „პრეპოზიციური ნათესაობითი“.

Das Gesicht der Mutter Gottes war grob (ბიოლი 2003:109).

* das Mutter Gesicht

* ნომინალური ფრაზა არაგრამატიკულია.

მარცხენა ველის ფართოდ გავრცელებულ სატელიტს წარმოადგენენ ზედსართავი სახელები.

თანამედროვე გრამატიკებსა და ლექსიკონებში არსებობს ზედსართავ სახელთა სხვადასხვა განმარტებები.

„ზედსართავი სახელი“ (ძვ. ლათ. adiectivum – განსაზღვრებად, თანმხლებად ფუნქციონირებადი სახელი) არის სიტყვა, რომელიც ცოცხალ არსებას ან საგანს, მოვლენას, თვისებას ან სიტუაციას რომელიმე განსაზღვრული ნიშნით, განსაზღვრული თვისებით გამოარჩევს. სიტყვის სინონიმია: Eigenschaftswort“ (დუდენი 2007:109).

„ზედსართავი სახელი“ (ლათ. adiectio „დანამატი“) არის სიტყვა, რომელიც არსებით სახელს ან ზმნას განსაზღვრავს და ბრუნება შეუძლია. სიტყვის სინონიმებია: Beiwort, Eigenschaftswort” (ვარიგი 2002:145).

„ზედსართავი სახელები არიან სიტყვები კონსტანტური სქესის გარეშე, რომლებიც ყოველთვის დეტერმინანტსა და არსებით სახელს შორის დგანან“ (ენგელი 2004:335).

ზედსართავი სახელის მოცემული დეფინიცია (ენგელი) ეწინააღმდეგება გრამატიკებსა და სახელმძღვანელოებში ფართოდ გავრცელებულ დეფინიციას. ეს არის უპირველეს ყოვლისა ზედსართავი სახელის ორი დეფინიცია: სემანტიკური და ფლექსიური დეფინიციები.

სემანტიკური დეფინიცია განსაზღვრავს ზედსართავ სახელებს, როგორც სიტყვებს, რომლებიც თვისებებს აღნიშნავენ და ამით სიდიდეებს ახასიათებენ. მაგრამ, როგორც უ. ენგელი აღნიშნავს, ერთის მხრივ არსებობენ სიტყვები და შესიტყვებები, რომლებიც ასევე თვისებებს აღნიშნავენ: so Schönheit, Alter, erster Klasse. მეორეს მხრივ, ზედსართავ სახელად მიჩნეული სიტყვების დიდი უმრავლესობა არ აღნიშნავს თვისებებს: hiesig, ehemalig და რიცხვითი სახელები.

Zurück ließ er nichts als sein Manuskript,

das er während seines *hiesigen Aufenthaltes* geschrieben hatte (ჰესე 2005:18).

..während das schöne kalte Gesicht meines ehemaligen Liebhabers

in der Menge verschwunden ist (კაშნიცი 2004:71).

ზედსართავ სახელთა მეორე გავრცელებული დეფინიცია – ფლექსიური დეფინიცია ახდენს ზედსართავ სახელთა კლასიფიკაციას მათი ხარისხის წარმოების უნარის მიხედვით, რაც უ. ენგელისთვის ასევე მიუღებელია, რადგან ზედსართავ სახელად მიჩნეული სიტყვების მხოლოდ წამიერი გადახედვაც კი საკმარისი იქნებოდა დაგვედგინა, რომ ზედსართავი სახელები: trächtig, kommunal, cholesterinfrei და უსაზღვრო რაოდენობა რიცხვითი სახელების მოკლებულნი

არიან ხარისხის წარმოების უნარს. უ. ენგელი მიიჩნევს, „რომ არ არის საკმარისი ავიღოთ ზედსართავი სახელების ერთი რიგი და მათი ნიშნებით მთლიანი კლასი დავახასიათოთ. „დეფინიცია“ ნიშნავს შემოსაზღვრას, რომლის დროსაც საქმე ჯგუფს ეხება, ნიშნების დადგენას, რომლებიც ამ ჯგუფის ყველა ელემენტს და მხოლოდ მათ ახასიათებს“ (ენგელი 2004:335).

თუმცა მეცნიერს მიაჩნია, რომ შესაძლებელია ზედსართავი სახელების სუბკლასიფიკაცია მათი ცვლილებების შესაბამისად, რადგან თითქმის ყველა ზედსართავი სახელი ცვალებადია და ატრიბუტული გამოყენებისას იბრუნვის.

seltsame Spannungen.

mangelhafter Arbeitseinsatz.

gutes Kind.

leise Schritte.

letzter Sonnenstrahlen.

faule Resignation.

ბრუნება არ გააჩნია ზედსართავი სახელების ძალიან მცირე ჯგუფს: lila, prima, rosa, klasse. მათი ბრუნება მხოლოდ სალაპარაკო ენაშია შესაძლებელი.

Schrankpapier muß ich auch kaufen, das

hübsche, rosa (კაშნიცი 2004:114).

არ იბრუნვის წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელები, როგორიცაა: Stuttgarter და უმეტესობა რაოდენობითი რიცხვითი სახელებისა. „ganz და halb არ იბრუნვის გეოგრაფიულ სახელებთან, თუ მათ წინ ნულოვანი არტიკლია: ganz Würtemberg, halb Deutschland, მაგრამ das ganze Würtemberg, das halbe Deutschland“ (ენგელი 2004:335).

ტექსტში გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით ყველა ზედსართავი სახელი გამოყენებადია განსაზღვრების ფუნქციაში (ამას მოითხოვს მათი დეფინიცია). აქედან გამომდინარე, უ. ენგელი აღნიშნავს, რომ არ არსებობს მხოლოდ „პრედიკატივის ფუნქციაში“ გამოყენებული ზედსართავი სახელები. ხოლო სიტყვები, როგორიცაა quitt, leid, schade, არ წარმოადგენენ ზედსართავ სახელებს და მათ „კოპულატურ ნაწილაკებს“ მიაკუთვნებს.

ამავე დროს მრავალი ზედსართავი სახელი მონაწილეობს პრედიკატულ დამატებებში, რომლებშიც ზედსართავი სახელი პრინციპულად უცვლელი რჩება:

Ich bin ermächtigt (კაშნიცი 2004:30).

Und nun werden die Frauen lebendig (კაშნიცი 2004:30).

Es war so still hier (ბიოლი 2003:97).

ზედსართავი სახელები გამოიყენება ხშირად როგორც დისიუნქტები:

Zörnig ging ich nach Hause (ჰესე 2005:49).

Wütend lief ich durch die graue Stadt (ჰესე 2005:48).

... wie er *regungslos* dalag, die Hände zum Greifen

gespreizt (ბიოლი 2003:80).

ზედსართავი სახელები შესაძლოა ფუნქციონირებდნენ წინადადების როგორც ობლიგატორული გამავრცობლები (აქტანტები) ან წინადადების თავისუფალი წევრები:

Auch für die Deutschen ist die Sache *klar* (ტომა 2003:9).

Um halb sechs sind alle da und jeder scheint ganz *zufrieden* (ტომა 2003:11).

Obwohl ich mich bei meiner Ceschichte bemühen will, nur das zu beschreiben,

was ich *wirklich* sah, so sei doch die bescheidene Andeutung gestattet (ბიოლი 2003:40).

Sie sind auch nicht der einzige, der *wahrscheinlich* lange leben wird (ბიოლი 2003:34).

Diese Kombination wurde *allmählich* zur fixen Idee (ბიოლი 2003:40).

წინადადებებში ზედსართავი სახელები „klar“ და „zufrieden“ წინადადების ობლიგატორულ აქტანტებს წარმოადგენენ. ზედსართავი სახელები: wirklich, wahrscheinlich, allmählich წინადადების თავისუფალი წევრებია.

მხოლოდ განსაზღვრების ფუნქციაში გამოიყენება ზედსართავი სახელების მცირე ჯგუფი, რომლებიც ადგილის ან დროის მონაცემს გამოხატავენ: bischöflich, dortig, heutig, andere:

Manchmal grübelte ich den ganzen Weg.. darüber nach, an welchen Nachmittagen

und Vormittagen wohl *die anderen Fenster* geputzt würden (ბიოლი 2003:41).

Ein Mensch des Mittelalters würde den ganzen Stil unseres *heutigen Lebens*

noch ganz anders als grausam, entsetzlich und barbarisch verabscheuen! (ჰესე 2005:19).

Eine Natur wie Nietzsche hat das *heutige Elend* um mehr

als eine Generation voraus erleiden müssen (ჰესე 2005:19).

ზედსართავი სახელის დეფინიციისა და გამოყენების შესახებ ნაწილობრივ მსგავს მოსაზრებებია გამოთქმული ი.ბ. მეტცლერის ლექსიკონში: „ზედსართავი

სახელი (ლათ. adiectivum, თარგმანი ბერძნულიდან *επιθετου* (epitheton) – „დანამატი“, სინონიმური სიტყვებია: Antwort, Beiwort, Eigenschaftswort, Wiewort) არის მეტყველების ნაწილი, რომლის წარმომადგენლები მთლიანი ლექსიკის ერთ მეოთხედს ქმნის და მორფოლოგიურად ბრუნებით და ხარისხის წარმოებით ხასიათდება, სინტაქსურად ფუნქციონირებს როგორც განსაზღვრებები, პრედიკატივი ან გარემოებები და ემსახურება ადამიანები, საგნები, მოვლენები, თვისებები ან მიმართებები სპეციფიკურად აღნიშნოს და შესაბამისად დაახასიათოს“ (მეტცლერი 2000:11).

გერმანულ ენაში ზედსართავი სახელი პრენომინალურ პოზიციაში შეთანხმებადია მმართველ არსებით სახელთან სქესში, რიცხვში, ბრუნვაში, რის შედეგადაც განარჩევენ ძლიერ (პრონომინალურ ან დეტერმინირებულ), სუსტ (ნომინალურ) და შერეულ ბრუნებას (ein, kein, mein შემდეგ). იშვიათ შემთხვევებში ზედსართავი სახელი პოსტნომინალურია და ფუნქციონირებს დაბოლოების გარეშე: Whysky pur, Sport total.

ზედსართავი სახელები, რომლებიც თავისი მნიშვნელობის საფუძველზე არ უშვებენ შედარებას და გრადაციას, ითვლება არაკომპარატულად: rießengroß, unverkäuflich, kinderlos, taubstumm.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზედსართავ სახელს არ შეუძლია ყველა სინტაქ-სური ფუნქციის რეალიზება:

1. არიან ზედსართავი სახელები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამივე – განსაზღვრების, პრედიკატივის, გარემოების ფუნქციაში.

განსაზღვრება: Die Wände mit *grüner Ölfarbe* gestrichen (ბიოლი 2003:50).

Die *grün* gestrichene Wände.

პრედიკატივი: Die Wände *sind grün*.

გარემოება: Die Wände sind *grün* gestrichen.

გარემოების ფუნქციაში ზედსართავმა სახელმა შეიძლება დაახასიათოს სუბიექტი, დამატება ან შემასმენელი.

2. მხოლოდ ატრიბუტულად გამოიყენება: ober, heutig, mittler, ander.

Er hatte sich auf die oberste Treppenstufe gesetzt und rückte beiseite (ჰესე 2005:13).

Dann kam ein *anderes Stück*, eine kleine Symphonie von Friedemann Bach (ჰესე 2005:16).

“Sagte ich und deutete auf das Wort “Natale”, das auf dem *obersten Zettel*

stand (კაშნიცი 2004:100).

3. მხოლოდ პრედიკატულად გამოიყენება: mir ist angst, er ist schuld, wir sind quitt.

Mir war bang (ჰესე 2004:102).

4. მხოლოდ ატრიბუტულად და გარემოების ფუნქციაში გამოიყენება ზედსართავი სახელები: wöchentlich, täglich.

Er war von seiner Vereinsamung, seiner Entwurzelung so bewußt

überzeugt, dass tatsächlich und ohne jeden Hohn zuweilen der Anblick

einer *alltäglichen* bürgerlichen *Handlung*, ihn begeistern konnte (ჰესე 2005:15).

პ. აიზენბერგი გამოჰყოფს ზედსართავი სახელის გამოყენების ორ შემთხ-ვევას: ფუნქციონირებს რა ზედსართავი სახელი ბრუნებადი ფორმით არტიკლთან და არსებით სახელთან ერთად, ის წარმოადგენს განსაზღვრებას, ხოლო პრედიკატივის ფუნქციაში ზედსართავი სახელი როგორც გარემოება უფლექსიო, მოკლე ფორმით გამოიხატება. მოკლე ფორმა დგას ყოველთვის ფლექსიური პარადიგმის გარეთ და არის უცვლელი:

Sie war *kalt*, sie war aber auch still (ჰესე 2005:27).

Ihr Blick war gespannt und wach und unheimlich lebendig (ბიოლი 2003:10).

პ. აიზენბერგი ზედსართავ სახელთა ფლექსიურობის მიხედვით, ორ ძირითად თავისებურებაზე მიუთითებს: „ზედსართავი სახელები არა მხოლოდ იბრუნვის, არამედ მათ ხარისხიც გააჩნია, რომელიც ფლექსიის სახეს წარმოადგენს და მხოლოდ ზედსართავ სახელებს ახასიათებს. მეორე თავისებურება კი ისაა, რომ ზედსართავი სახელები არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე ფლექსიურ ნიმუშს ექვემდებარება, რომელთა დროსაც ნიმუშის არჩევანს სინტაქსური გარემოცვა განსაზღვრავს. შესაბამისად ზედსართავ სახელთან, სულ მცირე წერილობით სტანდარტულ ენაში, სისტემატურად განასხვავებენ ძლიერ, სუსტ და შერეულ ბრუნებას (განუსაზღვრელი არტიკლის შემდეგ)“ (აიზენბერგი 2006ა:177).

გრამატიკოსების უმეტესობა განასხვავებს სამ ფლექსიურ ტიპს (ერბენი, ჰელბიგი/ბუშა, ენგელი, დუდენი).

სხვა კონცეფციები განასხვავებენ მხოლოდ ძლიერ და სუსტ ფლექსიას და გამოტოვებულ ფორმათა განსხვავებულობას ინდივიდუალურად ხსნიან (ვურცელი, იუნგი, ვაინრიხი).

მრავალი ენათმეცნიერის – ენგელის (ენგელი 2004), მეტცლერის ლექსიკონის (მეტცლერი 2000), აიზენბერგის (აიზენბერგი 2006ა) განმარტებები ზედსართავი სახელის დეფინიციის და გამოყენების შესახებ ემთხვევა იმ პუნქტში, რომ ყველა მათგანი

მიზანშეწონილად მიიჩნევს ზედსართავ სახელთა კლასიფიკაციის შესაძლებლობას მათი ფლექსიის შესაბამისად, რადგან თითქმის ყველა ზედსართავი სახელი ცვალებადია და ატრიბუტის ფუნქციაში გამოყენებისას იბრუნვის.

გ. ჰელბიგი და ი. ბუშა ზედსართავი სახელების დისტრიბუციის საშუალებით, სინტაქსური აღწერილობის ჩარჩოებში გვაძლევენ მათ სემანტიკურ და მორფოსინტაქსურ დიფერენციაციას.

„სემანტიკური სახის არის განსხვავებულობა, ზედსართავი სახელები პრედიკატივის ფუნქციაში რომელ ზმნასთან არიან დაკავშირებული sein-თან თუ werden-თან. Sein-თან ერთად ზედსართავი სახელები ქმნიან სტატიურ პრედიკატებს, ხოლო werden-თან პროცესუალურ პრედიკატებს“ (ჰელბიგი... 2005:280).

სტატიური პრედიკატების წარმოება ნებისმიერი ზედსართავი სახელის მიერ არის შესაძლებელი, ხოლო პროცესუალური პრედიკატების წარმოებისას ზედსართავი სახელები ამჟღავნებენ გარკვეულ შეზღუდვებს. ამ თვალსაზრისით განარჩევენ ზედსართავ სახელთა ორ ჯგუფს:

1. ზედსართავი სახელები, რომლებიც ორივე კოპულატურ ზმნასთან გამოიყენება:

Er war/wurde, wie ich nicht anders sagen kann, höflich, ja freundlich (ჰესე 2005:6).

Das Kind war/wurde sofort ruhig (ბიოლი 2003:128).

Das kleine grüne Zimmer war/wurde jetzt hell und freundlich (ბიოლი 2003:105).

2. ზედსართავი სახელები, რომლებიც მხოლოდ sein-თან არიან დაკავშირებული:

Die kleine Schranz war/*wird tot (ბიოლი 2003:79).

* წინადადება werden-ით არაგრამატიკულია.

ზოგიერთი ზედსართავი სახელი, რომელიც მხოლოდ პრედიკატივის ფუნქციაში გამოიყენება, ფუნქციონირებს მხოლოდ ზმნასთან werden. ეს კავშირი იდიომატური სახიათისაა.

სემანტიკური განსხვავებულობა იგულისხმება სემანტიკურ მოდელებში ცალკეულ ზედსართავ სახელთა კლასიფიკაციაში, შესაძლო სემანტიკური ბრუნვის საფუძველზე (Semantischer Kasus). უმეტესობა ზედსართავ სახელს მხოლოდ ერთი სემანტიკური ბრუნვა გააჩნია (ძირითადად მდგომარეობის გამომხატველი – Zustandsträger, ZT). მხოლოდ მცირე რაოდენობის ზედსართავ სახელს გააჩნია ორი ან მეტი ბრუნვა:

..eine Wohnung *voll* von strahlendem *Mahagoni* und

ein Leben *voll Anstand* und *Gesundheit* (ჰესე 2005:22).

.. dann sieht er immer ein wenig *einem Tier ähnlich* (ჰესე 2005:22)

... da dieser *des Glücks teilhaftig* werden wird (ბიოლი 2003:88).

... war ich fast froh, offenbar *keines Lohnes* würdig zu sein (ბიოლი 2003:98).

Ich fand keine Sünde, *die des Beachtens wert* gewesen wäre (ბიოლი 2003:107).

Der Mensch ist des Denkens nicht in hohem Maße fähig (ჰესე 2005:19).

გ. ჰელბიგი და ი. ბუშა, ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ახდენენ ზედსართავ სახელთა დიფერენციაციას, კვალიტატურ (თვისობრივ) და რელაციურ (მიმართებით) ზედსართავ სახელებად.

„კვალიტატური ზედსართავი სახელები გამოხატავენ ობიექტების ნიშან-თვისებებს უშუალოდ საკუთარი მნიშვნელობებით“ (ჰელბიგი... 2001:281).

Das *alte* Stadtviertel nahm mich auf, erloschen und unwirklich

stand im Grauen die *kleine* Kirche (ჰესე 2005:28).

Zwei *schöne* Mädchen zogen meine Blicke an, beide

gute Tänzerinnen (ჰესე 2005:70).

Der *junge* Arzt zückte automatisch sein Hörrohr (ბიოლი 2003:65).

„მიმართებითი ზედსართავი სახელები აღნიშნავენ სინამდვილის ობიექტების ნიშნებს სხვა ობიექტებთან, შესაბამისად სინამდვილის ფაქტორებთან მიმართებაში, როგორიცაა სივრცე, დრო და ა.შ.“ (ჰელბიგი... 2001:281).

..der Anblick einer alltäglichen *bürgerlichen Handlung* → (ჰესე 2005:15).

→ Handlungen, die den Burgern gehören.

Es handete von einem englischen Dichter → (ბიოლი 2003:236).

→ (der Dichter aus England).

“Adieu”. sagte der belgische Posten → (ბიოლი 2003: 268).

→ (der Posten aus Belgien).

ზედსართავ სახელს, სემანტიკური ნიშნების გარდა, გააჩნია მორფო-სინტაქსური ნიშნების მთელი რიგი. გ. ჰელბიგი და ი. ბუშა გამოჰყოფენ ზედ-სართავ სახელთა შემდეგ მორფო-სინტაქსურ ნიშნებს:

„1. ზედსართავი სახელები გამოიყენება განსაზღვრების და/ან პრედიკატივის ფუნქციაში.

2. ზედსართავი სახელი ატრიბუტული გამოყენებისას უმეტესად იბრუნვის.

3. მრავალ ზედსართავ სახელს აქვს ხარისხი.

4. ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს ვალენტობის მეორადი მტარებელი“ (ჰელბიგი... 2001:281).

ზედსართავი სახელი, როგორც არსებითი სახელის თავისუფალი წევრი, მარცხენა ველში თავსდება რეალიზებულ დეტერმინანტსა და არსებით სახელს შორის, ან პრეპოზიციურ ნათესაობითსა და არსებით სახელს შორის:

Mein teures Bein (ბიოლი 2003:33).

Eugens teures Bein.

თუკი არ არის რეალიზებული პრეპოზიციური ნათესაობითი და დეტერმინანტი ზედსართავი სახელი დგას პირველ ადგილზე: teures Bein.

პრეპოზიციურ ზედსართავ სახელებს, ძველი გამოყენების შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში არ გააჩნია ფლექსია:

„1. ასოების და რიცხვის განმსაზღვრელ აღნიშვნებში groß A, arabisch 3.

2. ზედსართავ სახელებს დაბოლოებით -isch განსაზღვრულ აღნიშვნებში: Kölnisch Wasser, Russisch Leder.

3. ზედსართავ სახელებს ganz და halb განსაზღვრულ გეოგრაფიულ აღნიშვნებთან, რეალიზებული დეტერმინანტის გარეშე:

ganz Dresden, halb Wüttemberg.

4. მრავალ გამონათქვამში:

auf gut Glück, ein gut Teil, ruhig Blut, gut Freund, fließend Wasser და სხვა.

5. ხშირად საკუთარ სახელებთან, რეალიზებული დეტერმინანტის გარეშე, როდესაც არსებითი სახელები ინტიმიზირებულად (პირადულად) გამოიყენება:

Jung Siegfried (ასევე Jung-Siegfried), Klein Erna, schön Rotraut, arm Frieder.

6. პოეტურ ენაში, უპირველეს ყოვლისა, საშუალო სქესის სახელობით და ბრალდებით ბრუნვაში.

Wie ein blutig Essen (ბუხნერი)

ein gar gefährlich Mann (კლაუდიუსი).

ein griechisch Trauenspiel (გოეთე).

meiner Mutter einzig Kind (მორიკე).

ატრიბუტულ ზედსართავ სახელებს, არიან ისინი ერთმანეთის მიმართ კოორდინირებული თუ სუბორდინირებული, აქვთ იდენტური ბრუნება:

Es handelte *von einem jungen englischen Dichter* (ბიოლი 2003:236) (სუბორდინაცია).

Es war ein leiser, stetiger und kühler Regen draußen (ბიოლი 2003:21) (კოორდინაცია).

როდესაც ატრიბუტული ზედსართავი სახელები თავის მხრივ ფრაზებს ქმნის, ანუ საკუთარი სატელიტები გააჩნია, ისინი ჩვეულებრივ მათგან მარცხნივ თავსდება: ცნობილია რომ მიმდეობები განსაკუთრებით დიდი მოცულობის ფრაზებს ქმნის:

Ein sattes, fast blau bleiernes Sediment aus diesen unsagbar
feinen Schmutzkörnchen (ბიოლი 2003:108).

Du bist für diese einfache, bequeme, mit so wenigem zufriedene Welt
von heute viel zu anspruchsvoll und hungrig (ჰესე 2005:81).

Er war kerngesund und sein Schlaf gliech dem eines
gesunden Säuglings (ბიოლი 2003:131).

Ich sah den mir bekannten Harry, nur mit einem ungewöhnlich
gut gelaunten, hellen, lachenden Gesicht (ჰესე 2005:96).

ნომინალური ფრაზის მარცხენა ველის სატელიტია პრეპოზიციური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები, რომელთა სახეებია: კუთვნილებითი, სუბიექტური და ობიექტური ნათესაობითი (Genitivus possessivus, subiectivus, obiectivus): „პირველი წარმოდგენს თავისუფალ წევრს, ბოლო ორი აქტანტს“ (ენგელი 2004:292).

Volkersens Werk (ბიოლი 2003:196).
Bruslers Theorie (ბიოლი 2003:196).
Papas Witze (ჰესე 2004:136).
Onkel Ottos Zimmer (ბიოლი 2003:133).
} კუთვნილებითი / ნათესაობითი

Sophiens Reise (ჰესე 2005:49).
Onkel Freds Ankunft (ბიოლი 2003:132).
} სუბიექტური / ნათესაობითი

Onkel Ottos Liebenswürdigkeit (ბიოლი 2003:134). { ობიექტური ნათესაობითი

„განსაზღვრება წარმოადგენს ნათესაობითი ბრუნვის სფეროს. ყველა არსებით სახელს აქვს უნარი, იქონიოს თავისთან განსაზღვრება ნათესაობით ბრუნვაში. „არსებითი სახელების სინტაქსურ თვისებას წარმოადგენს ნათესაობითი ბრუნვის მართვის უნარი (კატეგორიალური მართვა, kategoriale

Rektion). აქედან გამომდინარე, განსაზღვრება კონსტიტუენტურ („ენობრივი ერთეული, რომელიც უფრო დიდი კომპლექსური ერთეულის ნაწილია“ (დუდენი 2007:993)) სტრუქტურაში მმართველ არსებით სახელთან, ატრიბუტული კონსტ-რუქციის ბირთვთან თანწყობილია“ (აიზენბერგი 2006ბ:246).

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება მიმართულია მის ბოლოს მდგარ თანწყობილ არსებით სახელზე: „ის ბირთვ-არსებითი სახელის მოსაზღვრე, მომიჯნავე წევრია. ამიტომ არასდროს არის გაუგებარი, რომელი არსებითი სახელი წარმოადგენს ბირთვს ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებისათვის. ეს ფაქტი და ისიც, რომ ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება ბირთვ-არსებით სახელს სტანდარტულ ბრუნვაში მოჰყვება და ნომინალურ ფრაზაში გამოჩენისთანავე ბირთვზეა ორიენტირებული, არის საფუძველი იმისა, რომ გერმანულ ენაში ატრიბუტული კონსტრუქცია მაღალი კომპლექსურობით გვხვდება, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გაგების თვალსაზრისით ისინი სირთულეებს არ ქმნიან.

პოზიციურად წინ მდგომ ნათესაობითს გააჩნია, განსაზღვრული არტიკლის მსგავსად „ცნობადობის“ სემანტიკური ნიშანი, ამიტომ მის გვერდით შეუძლებელია დეტერმინანტის, როგორც ფრაზის ნომინალური ბირთვის სატელიტის არსებობა.

Kurz gesagt, ich hatte weder *Onkel Ottos Liebenswürdigkeit* noch

seine relativ große Ausdauer (ბიოლი 2003:134).

* Die Onkel Ottos Liebenswürdigkeit.

* წინადადება არაგრამატიკულია.

პრეპოზიციური კუთვნილებითი ნათესაობითის ფუნქციას წარმოადგენს ცნობილი პირის ან ინსტიტუციის მხოლოდ აღნიშვნა.

Als er hinausgehen wollte, rief ihn abermals *Murkes Stimme* zurück (ბიოლი 2003:219).

.. weil *Onkel Freds Name* mit schwarzer Tusche geschrieben war (ბიოლი 2003:124).

ნომინალურ ფრაზაში მარცხენა ველის სატელიტია არსებითი სახელი ინვარიანსი. არსებითი სახელი ინვარიანსი აქტანტს წარმოადგენს და ფუნქციონირებს ნომინალურ ბირთვთან, რომელიც ადამიანებს მათი გვარებით აღნიშნავს.

არსებითი სახელი ინვარიანსი არ იცვლება, ხოლო ბირთვი იბრუნვის. არსებითი სახელი ინვარიანსი ფუნქციონირებს როგორც სახელი, ტიტული, პროფესიის აღმნიშვნელი, ან უბრალოდ როგორც სახელი მიმართვა, ზოგჯერ

როგორც ნათესაობის აღმნიშვნელი, ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ბრუნებადი სახელი არის ფრაზის ბირთვი, მის წინ თავსდება სახელი ინვარიანსი.

Walter Benjamin (s) (ბიოლი 2003:246).

Professor Benjamin (s)

Philosoph Benjamin (s)

Herr Benjamin (s)

Vetter Benjamin (s)

Lukas Heller (s) (ჰესე 2004:42).

Herr Ohngelt (s) (ჰესე 2000:102).

Harry Haller (s) (ჰესე 2005:48).

Frau Großmann (s) (ბიოლი 2003:75).

ფრაზის როგორც მარცხენა ველის სატელიტი არსებითი სახელი ინვარიანსი მხოლოდ მხოლობით რიცხვში გვხვდება. „მრავალი გრამატიკოსის მიერ ის „მჭიდრო დანართად იწოდება“ („engere Apposition”) (ენგელი 2004:292).

ნომინალური ფრაზის მარცხენა ველის სატელიტს წარმოადგენს არსებითი სახელი ვარიანსი, რომელიც ნომინალურ ფრაზაში ფუნქციონირებს როგორც აქტანტი და არსებითი სახელის ინვარიანსის სავსებით მსგავს მოვლენას წარმოადგენს მხოლოდ ერთი გამონაკლისით: არსებითი სახელი ვარიანსი ფლექსიის დროს თავის ბირთვთან ერთად იცვლება. ამ ფუნქციაში გვხვდება მხოლოდ მიმართვა არსებითი სახელები: Herr, Genosse, Kollege.

..sie stimmt weder dem Herrn von Kleist noch

dem Herrn Beethoven zu (ჰესე 2005:60).

როგორც მარცხენა ველის სატელიტი, სახელი ვარიანსიც მხოლოდ მხოლობით რიცხვში გვხვდება: „და არსებითი სახელი ინვარიანსის მსგავსად „ვიწრო დანართად“ იწოდება“ (ენგელი 2004:292).

ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის სატელიტები გაცილებით მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე მარცხენა ველის სატელიტები.

მარჯვენა ველში ობლიგატორულად თავსდება:

წინდებულიანი განსაზღვრებები

დირექტიული განსაზღვრებები

ექსპანსიური განსაზღვრებები

ნომინალური განსაზღვრებები

ვერბატული განსაზღვრებები

კვალიტატური წევრები

სიტუაციური წევრები

კომიტატური წევრები

მიმართებითი განსაზღვრებებითი დამოკიდებული წინადადებები

დანართი.

აქვე ფაკულტატურად თავსდება:

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები

არსებითი სახელი ვარიანსი

არსებითი სახელი ინვარიანსი.

ჩამონათვალში პირველი ხუთი განსაზღვრება აქტანტია. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები და ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები ფუნქციონირებენ როგორც აქტანტები და თავისუფალი წევრები. დანარჩენი განსაზღვრებები თავისუფალ წევრებს წარმოადგენენ.

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებების გარდა არსებობენ ელემენტები, რომლებიც მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება მარჯვენა ველში. უპირველეს ყოვლისა, ესენი არიან ტიპურად პრეპოზიციური დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები.

დღეს უკვე თითქმის გამონაკლისის გარეშე პრეპოზიციური დეტერმინანტები ენის განვითარების ადრეულ საფეხურებზე, არსებითი სახელის შემდეგაც თავსდებოდა. „დღეს ისინი კიდევ მხოლოდ პოეტურ და ძლიერ ტრადიციულ ტექსტებში მოიპოვება.

Kindlein mein (ხალხური სიმღერა)

Vater unser (ახალი აღქმა)

პოსტპოზიციური დეტერმინანტი ყოველთვის მხოლობით რიცხვში დგას, მაშინაც კი, როცა ბირთვი მრავლობით რიცხვშია“ (ენგელი 2004:293).

იგივე ითქმის მარჯვენა ველის სატელიტ-ზედსართავ სახელზე, რაც ითქვა დეტერმინანტზე. ძველ გერმანულ ენაში ზედსართავი სახელები შეუზღუდავად თავსდება მმართველი წევრის შემდეგ: „ასეთ გამოყენებას უმეტესად ვხვდებით ხალხურ სიმღერებში, პოეტურ ტექსტებში. იგი მე-19 საუკუნის ხალხური პოეზიის წყალობით კვლავ აღსდგა.

ein Magdelein fein.

Kaiserkron und Päonien rot (Eichendorf)“ (ენგელი 1996:612).

„Bruderlein fein (სუფრული სიმღერა).

Kinderlein zart (ხალხური სიმღერა)“ (ენგელი 2004: 293).

მაგრამ თანამედროვე გერმანულ ენაშიც არსებობს მიღებული წესები ზედსართავი სახელების პოსტპოზიციური გამოყენებისათვის. გამოვყოფთ შემდეგ შესაძლებლობებს:

1) ზედსართავი სახელის (უფლექსიო) პოსტპოზიცია შედარების გამომხატველ ელემენტებში.

...diese so liebenswürdige, so maßlos intelligente

Stimme peinigte ihn (ბიოლი 2003:19).

ამ კონსტრუქციის გვერდით დასაშვებია:

..diese Stimme, so liebenswürdig, so maßlos intelligent, peinigte ihn.

მეორე ფორმულირება ემსახურება ზედსართავი სახელების გამოყოფას.

2) ზედსართავი სახელის (უფლექსიო) პოსტპოზიცია განკერძოებულ განსაზღვრებაში:

Das Bild von Togo, bunt und groß,

flach, wie ein alter Stich, ein prachtvoller Druck (ბიოლი 2003:52).

3. ზედსართავი სახელის (უფლექსიო) პოსტპოზიცია კომპლექსურ მიმართებებში, რომლებიც ნაწილობრივ უცხო ენებიდან არის ნასესხები:

Campari bitter,

Henkel trocken.

Rache rauchzart (ენგელი 1996:612).

4. ზედსართავი სახელის (უფლექსიო) პოსტპოზიცია საბაზრო სამომხმარებლო საგნების აღნიშვნებში:

Cola light

Damone mild

Dornfelder trocken (ენგელი 2004:294).

5. ზედსართავი სახელის პოსტპოზიცია ტიპურია რეკლამასა და განცხადებებში.

Damen - Hosenanzung, hochmodisch, sportlich, pflegeleicht (შენდელსი 1982:332).

6. ზედსართავი სახელი არტიკლთან ერთად განკერძოვდება პოეზიაში, სალაპარაკო ენაში, გასაკიცხ სიტყვებში.

Der Kerl, der verrückte! (შენდელსი 1982:332).

როგორც გრამატიკოსები აღნიშნავენ, დასახელების ეს მეთოდი, რომელიც არ არის ახალი, დღესდღეობით ძალიან პოპულარულია. შვაბი დიასახლისები

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ყიდულობდნენ: „Siedfleisch überzwerch“, ან „österreichischer Kaffee verkehrt“ (ამ დროს უკვე მე-19 საუკუნეში შექმნილი იყო და არსებობდა სარეცეპტო წიგნები), რაც მოძველებულად გვეჩვენება, იმდენად, რომ დღეს თუ „Hackfleisch gemischt“ მოვითხოვთ ან „Spargel überbacken“ ვუკვეთავთ, იმ საპატივისცემო ტრადიციებში ვტრიალებთ. როგორც უ. ენგელი მიიჩნევს, „ეჭვგარეშეა, მეთოდი შემდგომ სივრცეს მოიპოვებს და რადგან ის არამარტო ახალგაზრდებში, არამედ ინტელექტუალებშიც ძალიან პოპულარულია, შესაძლოა ის ნომინალური სფეროს სტრუქტურირების წინა საფეხურს წარმოადგენდეს, რომლის ბოლოს ზედსართავი სახელი პოსტნომინალურ ადგილს იკავებს“ (ენგელი 2004:294).

ბუნებრივია, აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ინტერესს ამ ენობრივი ერთეულის სტრუქტურისა და სემანტიკის მიმართ.

ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის გავრცელებულ სატელიტს წარმოადგენენ ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები. ისინი პროტოტიპურად (თუკი არ ფუნქციონირებენ როგორც პრეპოზიციური ნათესაობითი), ნომინალური ბირთვისაგან მარჯვნივ თავსდება. ექსპლიკატორული ნათესაობითი კი გამონაკლისის გარეშე პოსტპოზიციურია, ანუ არასდროს ფუნქციონირებს როგორც პრეპოზიციური განსაზღვრება. სემანტიკურად ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები იყოფა:

1) კუთვნილებითი ნათესაობითი (Genitivus Possessivus) (იგი თავისუფალ წევრს წარმოადგენს) პარტიტური ნათესაობითის ჩათვლით.

2) სუბიექტური ნათესაობითი (Genitivus subiectivus);

3) ობიექტური ნათესაობითი (Genitivus obiectivus).

4) ექსპლიკატორული ნათესაობითი (Genitivus explicativus).

კუთვნილებითი ნათესაობითი გადმოსცემს კუთვნილებით მიმართებებს.

Iohannes trat schnell in *die Firma meines Onkels* ein (ბიოლი 2003:151).

..aber immer sah ich vor mir das hoffnungslose *Porzelangesicht des Zwerges* (ბიოლი 2003:113).

..denn sie hatten *die andere Hälfte des Bildes* mit einem Zettel überklebt (ბიოლი 2003:52).

..sie haben etwa *die Länge einer halben Elle* (ბიოლი 2003:92).

..wie eins jener untbeschreiblichen Lichter, *die düsteren Bilder Rembrandts* erhellen (ბიოლი 2003:8).

Ein Mensch der Antike, der im Mittelalter hätte leben mussen (ჰესე 2005:19).

რადგან პირველ ორ ნომინალურ ფრაზაში არ გვაქვს პარტიტური მიმართება, ეს ნათესაობითი ბრუნვა საშუალებას იძლევა შეიცვალოს კუთვნილებითი დეტერმინანტით:

seine Firma

sein Gesicht.

მაგრამ პარტიტური მიმართების არსებობის გამო დაუშვებელია:

* seine Hälfte.

* sein Mensch.

პარტიტური რელაციის დროს კუთვნილებითი დეტერმინანტით ჩანაცვლება მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი.

schwache Stellen des Programms → (ბიოლი 2003:142).

→ seine schwachen Stellen.

თუ არ არსებობს ცხადი ფლექსიური ნიშნები კუთვნილებითი ნათესაობითი ჩანაცვლებადია von-წინდებულიანი ფრაზით.

ein Wort Hallers → (ჰესე 2005:19).

→ ein Wort von Haller.

Heimat Hallers → (ჰესე 2005:11).

→ Heimat von Haller.

მარჯვენა ველის კუთვნილებითი ნათესაობითი კომბინირებადია მარჯვენა ველის სხვა განსაზღვრებებთან და განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებასთან.

...und klemmpte es an die Tür des Hilfs-

regisseurs der Hörspielabteilung (ბიოლი 2003:221).

Das Lachen Afrikas, weißes, rotes, gelbes Lachen (ბიოლი 2003:142).

Sie sehen das rührende Profil eines römischen Jünglings,

der von der Liebe überwältigt wurde (ბიოლი 2003:197).

Ein Mensch der Antike, der im Mittelalter

hätte leben müssen (ჰესე 2005:19).

სუბიექტური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები, როგორც მისი სახელწოდებაც აღნიშნავს მიმართულია წინადადების სუბიექტზე:

Die Spannung der Zuschauer ← (ბიოლი 2003:27).

← Die Zuschauer spannen.

Das Schießen der Luxemburger ← (ბიოლი 2003:76).

← Die Luxemburger schießen.

Ohne Wissen des Chefs ← (ბიოლი 2003:137).

← Der Chef weiß es nicht.

Das unheimliche, wimmelnde Geräusch des gespannten Publikums (ბიოლი 2003:26).

← Das gespannte Publikum rauscht.

სუბიექტური ნათესაობითი ტექსტთან მიმართებით (უკვე მოხსენიებულის) კუთვნილებითი დეტერმინანტით შეცვლის საშუალებას იძლევა:

Die Spannung der Zuschauer → ihre Spannung.

Das Schießen der Luxemburger → ihr Schießen.

Ohne Wissen des Chefs - Ohne sein Wissen.

თუ არ არსებობს ცხადი ფლექსიური ნიშნები, სუბიექტური ნათესაობითი იცვლება წინდებულიანი ფრაზით:

სუბიექტური ნათესაობითი კომბინირებადია მარჯვენა ველის სხვა განსაზღვრებებთან.

Die Meinung der Menschen über gewisse Dinge (ბიოლი 2003:114).

Ich zog mir den Zorn des Bezirkschefs des

Reichsjagdgebrauchshundverbands zu (ბიოლი 2003:41).

ობიექტური ნათესაობითი მიმართულია „წინადადების „ობიექტზე“ – კერძოდ ბრალდებითი ბრუნვის დამატებაზე.

Die Gründung einer politischen Partei ← (ბიოლი 2003:129).

← Man hat die politische Partei gegründet.

Befragen aller Bevölkerungsschichten ← (ბიოლი 2003:114).

← Man hat alle Bevölkerungsschichten befragt.

eine kurze Schilderung des Milieus ← (ბიოლი 2003:116).

← Man hat das Milieu geschildert.

Die Entwicklung seines Geschäfts ← (ბიოლი 2003:126).

← Er hat sein Geschäft entwickelt.

ობიექტური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება ტექსტთან მიმართებაში (უკვე მოხსენიებულის) კუთვნილებითი დეტერმინანტით შეცვლის საშუალებას იძლევა:

Die Gründung der Partei → (ბიოლი 2003:129).

→ ihre Gründung

Die Anschaffung dieses wertvollen Möbelstückes → (ბიოლი 2003:121).

→ seine Anschaffung.

Verkennung der ökonomischen Fakten → (ბიოლი 2003:202).

→ ihre Verkennung.

გამოკვეთილი ფლექსიური ნიშნების არარსებობის შემთხვევაში ობიექტური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება შეიძლება შეიცვალოს von-წინდებულიანი ფრაზით. ობიექტური ნათესაობითი კომბინირებადია მარჯვენა ველის სხვა განსაზღვრებებთან, თუმცა სუბიექტურ ნათესაობითთან თანხვედრა გამორიცხულია.

Die Herstellung eines riesigen Postens Kerzen (ბიოლი 2003:92).

Seine Pläne schwankten zwischen ..und der Gründung einer politischen Partei,

die Europa vor dem Untergang bewahren würde (ბიოლი 2003:129).

ექსპლიკატორული (განმარტებითი) ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება გვხვდება სახელებთან, რომლებიც არამატერიალურს აღნიშნავენ. გამოჰყოფს რა მათ ძირითად შინაარსს, იგი განმარტავს არამატერიალურ სიდიდეებს.

Friseuren, Buchhaltern .. neide ich *die Einfachheit ihrer Bekenntnisse* (ბიოლი 2003:141).

Onkel Freds Ankunft weckte in uns allen *die Erwartung starker*

männlicher Hilfe (ბიოლი 2003:128).

..die Leute, wenn sie *die Angst des Untergangs* ergriffen hat, die merkwürdigsten

Dinge zu retten versuchten (ბიოლი 2003:18).

..und ich kam hin und wieder *in den Verdacht der Unehrlichkeit* (ბიოლი 2003:122).

ექსპლიკატორული ნათესაობითი ბრუნვის განსაზღრების შეცვლა კუთვნილებითი დეტერმინანტით იშვიათადაა შესაძლებელი, მაგრამ როგორც წესი, შესაძლებელია დეტერმინანტებით dieser ან ein solcher.

diese Einfachheit

eine solche Einfachheit

diese Erwartung

eine solche Erwartung.

ექსპლიკატორული ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები კომბინირებადია მარჯვენა ველის სხვა განსაზღვრებებთან, მაგრამ არაკომბინირებადია ნათესაობითი ბრუნვის სხვა განსაზღვრებებთან.

მარჯვენა ველის სატელიტს წარმოადგენენ წინდებულიანი განსაზღვრებები.

წინდებულიანი განსაზღვრებები აქტანტებს წარმოადგენენ და არამონაცვლეობითი ფორმით გვხვდება მხოლოდ არსებით სახელებთან, რომლებიც არამატერიალურ სიდიდეებს აღნიშნავენ, კერძოდ მოქმედებას ან მდგომარეობას.

„მნიშვნელოვან არსებით სახელებს ფაკულტატური წინდებულიანი აქტანტებით წარმოადგენს:

Ähnlichkeit mit	Meinung über/zu
Angebot an	Misstrauen gegenüber
Angriff gegen	Preis für
Angst vor	Rat an, für
Auswahl unter/zwischen	Schande für
Bedarf an	Schauder vor
Bitte um	Spaß an
Dank an, für	Stellungnahme zu
Drohung mit	Stolz auf
Forderung nach	Streben nach
Furcht vor	Treu zu
Lust auf	Trost für
Gruß an	Übergabe an
Interesse an für	Verdacht auf/gegen
Liebe zu	Urteil gegen/über/zu
Lob für, wegen	Wunsch nach
Mahnung an, wegen	Zerwürfnis mit
Meldung an	Zustimmung zu
	Zutrauen zu და მრავალი სხვა[1]“ (ენგელი 2004:297).

Ahnlichkeit mit jenem Foto eines hübschen liebevollen Mädchens (ბიოლი 2003:10).

Franz also war es, der sich von *der Teilnahme an gewissen Feiern* ausschloß (ბიოლი 2003:146).

Wenn auch in unserer Familie im allgemeinen kein *Mangel an Barmitteln* herrscht (ბიოლი 2003:169).

..und auf *der Suche nach der Hausnummer* blieb ich vor einem

[1] ორ წინდებულს შორის მძიმე ნიშნავს, რომ შესაძლებელია ორი განსაზღვრება მოცემული წინდებულებით. წინდებულებს შორის ხაზი მიუთითებს, შესაძლებელია მხოლოდ ერთი განსაზღვრება თითოეული მოცემული წინდებულით.

Kolonialwarenladen stehen (ბიოლი 2003:116).

..ungewöhnliche tägliche *Erregung auf die kindlichen Gemüter* (ბიოლი 2003:182).

Ein *scharfer Appetit auf sauere Gurken* befiel mich ganz plötzlich (ბიოლი 2003:183).

Der *Verbrauch an Kerzen*, Spekulatius, Marzipan (ბიოლი 2003:170).

Denn ist natürlich *der Verschleiß an Zwergen*, Ambossen und

Hämmern enorm (ბიოლი 2003:169).

..und nicht einmal *der Vorrat an Bürsten* und Stopfwolle

war mehr verheblich (ბიოლი 2003:202).

...eine Jahreszeit, in der meinen Verwandten die *Teilnahme an diesem Spiel*

am schwersten fällt (ბიოლი 2003:176).

Nie hat ein Mensch ein tieferes *Bedürfnis nach Unabhängigkeit* gehabt,

als er (ჰესე 2005:32).

Die Meinung der *Menschen über* gewisse *Dinge* zu erforschen (ბიოლი 2003:114).

..aber letzten Endes siegte *Angst vor den Schulaufgaben* (ბიოლი 2003:191).

..alte Käuferinnen…, die ihren *Bedarf an Band* und *Litzen*

in Ellen verlangen (ჰესე 2000:77).

Die *Sehnsucht nach einem* frisch duftenden *Kaffee*,

nach *Taback, Brot* (ბიოლი 2003:200).

Mit ihm wuchs *meine Glaube an die Genesung* meines Kameraden (ჰესე 2004:77).

Ich hatte *Angst vor der Schrägerei* (ბიოლი 2003:254).

Die *Ähnlichkeit* der anwesenden Mimen *mit den Verwandten* (ბიოლი 2003:181).

Onkel Franz, der als *ein Muster an Vitalität* galt (ბიოლი 2003:147).

Der Bedarf an Kerzen ist heute gering (ბიოლი 2003:92).

ყველა წინდებულიან განსაზღვრებაში ნომინალური ბირთვით გამოხატული ფორმების გვერდით შესაძლებელია ფორმები ნაცვალსახელური ბირთვით და წინდებულიანი ნაცვალსახელებით:

Die Meinung über gewisse Dinge (ბიოლი 2003:114) – Die Meinung darüber.

Die Ähnlichkeit mit den Verwandten (ბიოლი 2003:181) – die Ähnlichkeit mit ihnen.

მრავალი წინდებულიანი განსაზღვრება მონაცვლეობს დამოკიდებულ წინადადებასთან ან ინფინიტიურ კონსტრუქციასთან:

Mit ihm wuchs meine Glaube an die Genesung meines Kameraden → (ჰესე 2004:77).

→ Mit ihm wuchs meine Glaube, daß mein Kamerad geniest.

Ich hatte Angst vor der Schlägerei → (ბიოლი 2003:254).

→ Ich hatte Angst zu schlagen.

წინდებულიანი განსაზღვრებები პრინციპულად კომბინირებადია არსებითი სახელის ყველა სხვა განსაზღვრებასთან.

ისინი მარჯვენა ველში თავსდება ხშირად ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებიდან მარჯვნივ.

Die Meinung der Menschen über gewisse Dinge (ბიოლი 2003:114).

ბევრი მათგანი შესაძლოა მოსცილდეს ნომინალურ ბირთვს და წინადადებაში წინაველში მოთავსდეს.

Der Bedarf an Kerzen ist heute gering (ბიოლი 2003:92).

→ An Kerzen ist heute der Bedarf gering.

Jeder wird begreifen, daß ich wenig Neigung zum Lachen verspüre (ბიოლი 2003:143).

→ Jeder wird begreifen, daß ich zum Lachen wenig Neigung verspüre.

ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის გავრცელებულ სატელიტს წარმოადგენს არსებითი სახელი ინვარიანსი. იგი აქტანტია და თავის მოსახელე პრენომინალურ განსაზღვრებასთან მხოლოდ ერთი საერთო აქვს. იგი სახელადი ბირთვის ბრუნების დროს უცვლელი რჩება. სხვა მხრივ მას, მარცხენა ველის სახელ ინვარიანსთან შედარებით, სხვა შინაარსი აქვს.

არსებითი სახელი ინვარიანსი გამოხატავს შემდეგ შინაარსებს:

ადამიანთა სახელები და მეტსახელები

გეოგრაფიული სახელები

დროითი ერთეულების სახელები

მასალა – ტიპის აღნიშვნები“ (ენგელი 2004:198).

ნომინალური ბირთვი კი აღნიშნავს ტიტულს, ფუნქციას, ნათესაობით კავშირებს, მიმართვა არსებით სახელებს, სივრცის და დროის ცნებებს, გვარს, სახეობებს, სიდიდეს, ზომას. ყველა ეს ნომინალური ბირთვი პრენომინალური არსებითი სახელისაგან განსხვავებით არტიკლთან ერთად ფუნქციონირებს.

Mein Onkel Franz (ბიოლი 2003:166) – Meines Onkels Franz.

Der Name Meixner (ბიოლი 2003:119) – des Namens Meixner.

Die Firma Soderdum (ბიოლი 2003:166) – Der Firma Soderdum.

Sein Schwager Karl (ბიოლი 2003:172) – Seines Schwagers Karl.

Das Stück Seife (ბიოლი 2003:273) – Des Stückes Seife.

Ein Glas Gurken (ბიოლი 2003:172) – Eines Glases Gurken.

Ein Stück Seife (ბიოლი 2003:268) – Eines Stückes Seife.

Eine Menge Orden (ბიოლი 2003:189) – Einer Menge Orden.

Ein Stück Brot (ბიოლი 2003:253) – Eines Stückes Brot.

Die Dosis Luminal (ბიოლი 2003:155) – Der Dosis Luminal.

Ein hables Pfund Margarine (ბიოლი 2003:196) – Eines hablen Pfundes Margarine.

Einige Zentner Seife (ბიოლი 2003:201) – Einiger Zentner Seife.

Eine Tasse Tee (ბიოლი 2003:240) – Einer Tasse Tee.

Eine Menge Wasser (ბიოლი 2003:56) – Einer Menge Wasser.

Ein Glas Wein (ბიოლი 2003:104) –. Eines Glases Wein.

Die Frau Hösslin (კაშნიცი 2004:32) – Der Frau Hösslin.

Meine Tante Milla (ბიოლი 2003:153) – Meiner Tante Milla.

Mein Vetter Johanes (ბიოლი 2003:161) – Meines Vetters Johanes.

Der Herr Frohwein (კაშნიცი 2004:32) – Des Herrn Frohwein.

Ein Kürbel Wasser (ბიოლი 2003:108) – Eines Kürbels Wasser.

Eine Menge Leute (კაშნიცი 2004:102) – Einer Menge Leute.

Ein ganzes Faß Wein (ბიოლი 2003:130) – Eines ganzen Faßes Wein.

Ein Stück Blech (ბიოლი 2003:246) – Eines Stückes Blech.

Der Ministerpräsident Pelzer (ბიოლი 2003:187) – Des Ministerpräsidenten Pelzer.

Eine Becher Elsässer (ჰესე 2005:26) – Eines Bechers Elsässer.

Diese Frau Kaschnitz (კაშნიცი 2004:29) – Dieser Frau Kaschnitz.

Der Staatsphilosoph Dr. Bleigoeth (ბიოლი 2003:87) – Des Staatsphilosophen Bleigoeth.

Der Herr Rektor (ბიოლი 2003:78) – Des Herrn Rektor.

Die Schule „Friedrich der Große“ (ბიოლი 2003:57) – Der Schule „Friedrich der Große“.

მიმართებები მარჯვენა და მარცხენა ველში გვიჩვენებენ, რომ ორივე ველში უცვლელი ელემენტი არსებითი სახელი ინვარიანსია, ცვლადი ელემენტი ფრაზის ბირთვი: მხოლოდ პოზიციაა განსხვავებული. მარცხენა ველში ბირთვი დგას მეორე ადგილზე, მარჯვენა ველში პირველ ადგილზე (ენგელი 2004:298).

არსებითი სახელი ვარიანსი მარჯვენა ველში აქტანტს წარმოადგენს და იცვლება ნომინალურ ბირთვთან ერთად. არსებითი სახელი ვარიანსი წარმოადგენს მმართველი პირების დანამატებს, რაოდენობისა და ზომის აღმნიშვნელ სახელებში კი მასალაზე მინიშნებებს გამოხატავენ.

- und ich hatte nur fünf Wörte .. entgegengesetzt *Wilhelm der Zweite* (იწერება ხშირად Wilhelm II.) (ბიოლი 2003:251).

und Anna von Cleve, eine der Frauen *Heinrichs des Achten* (ბიოლი 2003:247).

Ein Becher Elsässer und *ein Stück gutes Brot*, das ist die beste

aller Mahlzeiten (ჰესე 2005:26).

ფლექსიურობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც არსებით სახელ ვარიანსს თავის მხრივ განსაზღვრება ახლავს თან:

Ich versuchte sie zu *einer Flasche guten Wein* einzuladen (ჰესე 2005:70).

ნომინალურ ბირთვსა და არსებით სახელ ვარიანსს შორის, რომელიც მმართველ პირთა სახელებთან გამოიყენება, ბრუნვის შეთანხმებები განსაკუთ-რებით მკაცრად დაცულია. რაოდენობის და ზომის აღმნიშვნელი სახელების შემდეგ განსაზღვრება შესაძლებელია უცვლელი დარჩეს.

zu *einer Flasche guter Wein* einzuladen.

ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის სატელიტს წარმოადგენს დირექ-ტიული განსაზღვრებები. ისინი აქტანტებს წარმოადგენენ და ფუნქციონირებენ არსებით სახელებთან, რომლებიც გზას, გადაადგილების საშუალებებს, მიზანმიმართულ მოქმედებას აღნიშნავენ.

Die Straßen waren leer, *der Weg zum Revier* nicht weit (ბიოლი 2003:84).

„*Personenzug nach Köln* fünfundneunzig Minuten Verspätung“ (ბიოლი 2003:12).

- es war .. eine breite viergleisige *Brücke über den Rhein* (ბიოლი 2003:37).

Morgens ging ich .. zum Bahnhof und fuhr mit dem *Achtuhrzug*

nach Gründerheim (ბიოლი 2003:37).

Ich stieg in *den Zug nach Düsseldorf* (ბიოლი 2003:113).

„დირექტიული განსაზღვრებები ასახელებენ მიზანს, წარმომავლობას ან მიმართულებას“ (ენგელი 2004:299).

უმეტეს შემთხვევაში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, მათ აქვთ წინდებუ-ლიანი ფრაზის სახე. შეძლებისდაგვარად გვხვდება ზმნიზედებიც ან წინდებუ-ლიანი ანაფორა.

- *ein Stück weit* ließen wir uns vom Strom der Menge mittragen (ბიოლი 2003:21).

Als es mir endlich gelungen war, eine Weile in „*Sophiens Reise von Memel*

nach Sachsen“ zu lesen (ჰესე 2005:49).

დირექტიული განსაზღვრებები ნაწილობრივ ენაცვლება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებს:

Personenzug nach Köln – Personenzug, der nach Köln fährt.

Eine Brücke über den Rhein – Eine Brücke, die über den Rhein führt.

მარჯვენა ველის სატელიტია ექსპანსიური განსაზღვრებებიც. ისინი აქტანტებს წარმოადგენენ და ფუნქციონირებენ მხოლოდ იმ არსებით სახელებთან, რომლებიც გავრცობას, მოძრაობას ან კვანტიტატურ ცვლილებებს აღნიშნავენ. ექსპანსიური განსაზღვრებები, გამონაკლისის გარეშე, რაოდენობის აღმნიშვნელები არიან და როგორც წესი, იწარმოებიან von ან um წინდებულებით:

..alles war ein absoluter *Trümmerhaufen von Zirka* acht *Meter Höhe* (ბიოლი 2003:124).

Die Tür, zu der *eine Freitreppe von drei Stufen* emporführte (ბიოლი 2003:38).

მარჯვენა ველის სატელიტს წარმოადგენს ნომინალური განსაზღვრებები. ისინი ფუნქციონირებენ ისეთ არსებით სახელებთან, რომლებიც მოქმედებას ან საქმიანობას გამოხატავენ და იწარმოებიან als-თან მიმართებაში. ნომინალური განსაზღვრებები განმარტავენ არსებით სახელებს რეალიზებული აგენსის ან სუბკატეგორიის საშუალებით:

Franz also war es, ..*das Ganze als Getue und Unfug* bezeichnete (ბიოლი 2003:146).

Philosophie als ein Zeichen beginnender Liberalisierung (ბიოლი 2003:87).

ნომინალური ფრაზის მარჯვენა ველში თავსდება ვერბატული განსაზღვრებები, რომლებიც აქტანტებს წარმოადგენენ და ფუნქციონირებენ ზოგიერთ დეევერბატულ სახელთან. ვერბატული განსაზღვრებები არსებობენ მხოლოდ წინადადების ფორმით – ძირითადად როგორც დამოკიდებული წინადადებები ან ინფინიტიური კონსტრუქციები. ისინი მარჯვენა ველში სრულიად მარჯვნივ თავსდება:

Ich hatte auch damals *Angst, über die Brücke zu fahren* (ბიოლი 2003:38).

.. ich hatte *Angst und doch die volle Gewißheit, nicht zu stürzen* (ბიოლი 2003:28).

კვალიტატური განსაზღვრებები თავისუფალ წევრებს წარმოადგენს და მარჯვენა ველში თავსდება ძირითადად წინდებულების: mit, aus, in, von თანხლებით:

Draußen stand *ein Mann mit einer Glatze* (ბიოლი 2003:24).

Wanderburn war ein großer *Dichter mit dunklem Haar*, einem sympathischen Gesicht (ბიოლი 2003:235) →

Ein kleines *Haus aus* roten *Backsteinen* (ბიოლი 2003:112).

Wanderburn war ein großer *Dichter mit dunklem Haar*, einem sympathischen Gesicht (ბიოლი 2003:235) →

Ein kleines *Haus aus* roten *Backsteinen* (ბიოლი 2003:112).

Straßenseite war nur mit einer hohen *Mauer aus Quadern* bebaut (ბიოლი 2003:105).

Ein kleines *Mädchen im Nachthemd* stürzte sich auf die Fensterbank (ბიოლი 2003:119).

Hinter ihm sah ich *ein* hutloses *Mädchen in einem bräunlichen Mantel* (ბიოლი 2003:100).

Und jedesmal saß auf dieser Freitreppe ein kleines *Mädchen von neun*

oder *zehn Jahren* (ბიოლი 2003:38).

Der Steppenwölf war *ein Mann von* annährend *fünfzig Jahren* (ჰესე 2005:4).

Ich bin eine alte Frau, *ein Mütterchen von siebenundziebzig Jahren* (ბიოლი 2003:228).

კვალიტატური განსაზღვრებები ნათესაობით ბრუნვაში იშვიათად გვხვდება და ძველი გამოყენების ნიმუშს წარმოადგენს.

..wir sanken erschöpft in ein Schlafwagenabteil zweiter Klasse (ბიოლი 2003:190).

...habe ich mich im Eifer des fünfundvierziger Jahres hinreißen lassen (ბიოლი 2003:233).

ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის სატელიტია სიტუაციური განსაზ-ღვრებები, რომლებიც თავისუფალ წევრს წარმოადგენს და გვხვდება ზმნიზედის ან წინდებულიანი ფრაზის ფორმით:

Immer noch kniete das junge *Mädchen da* mit bedecktem Gesicht (ბიოლი 2003:107).

..*und der Mann oben* ging mit dem Terborch wieder zurück (ბიოლი 2003:264).

Die große schwarze *Tafel dort* verriet lediglich die Abfahrt eines Zuges (ბიოლი 2003:96).

Selbst *diese* billigen *Drucke an den Wänden*, diese süßlichen Bilder,

waren wie ausgehängte Anklagen (ბიოლი 2003:9).

...ich erkannte sofort *das* kleine *Mädchen von damals* (ბიოლი 2003:45).

Im Licht ...versuchte ich zu lesen, sein rotes

Plakat an der Stange (ჰესე 2005:29).

კომიტატური განსაზღვრებები ფუნქციონირებენ მარჯვენა ველში, როგორც თავისუფალი წევრები უმეტესად წინდებულიანი ფრაზების ფორმით: გამოიყენება წინდებულები mit ან ohne.

Der Arzt mit einem studentischen *Kragen* (ბიოლი 2003:65).

Das Kriegerdenkmal mit dem großen, goldenen *Eisernen Kreuz* (ბიოლი 2003:51).

..und *der Mann mit der* roten *Mütze* schrie (ბიოლი 2003:12).

Menschen ohne Persönlichkeit, ohne starke Prägung, ohne Schicksal (ჰესე 2005:33).

Tage ohne besondere Schmerzen, ohne besondere Sorgen,

ohne eigentlichen Kummer, ohne Verzweiflung (ჰესე 2005:20).

მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები წინადადების ფორმის განსაზღვრებებია და ფუნქციონირებენ ნებისმიერ არსებით სახელთან. როდესაც რამდენიმე განსაზღვრება იყრის თავს, ისინი მარჯვენა ველში უკიდურესად მარჯვნივ მდებარეობენ.

Das dreizehnte große Messer stak wie ein tödlicher Pfeil dort,

wo das Herz des Mannes hätte sein müssen (ბიოლი 2003:19).

Anblick der schwebenden Vögel, die vergebens aufschossen

und niederstürzten (ბიოლი 2003:81).

Ein grauverhangener Horizont über

öden Äckern, die niemand bestellt (ბიოლი 2003:5).

დამოკიდებული წინადადებების ეს სახეობა უმეტეს შემთხვევაში „მიმართებითი ნაცვალსახელით“ იწყება, რომელსაც ორმაგი ფუნქცია გააჩნია: „დამოკიდებული წინადადება არის სუბიუნქტი მთავარი წინადადების არსებით სახელთან და ამავე დროს დამოკიდებულ წინადადებაში გააჩნია განსაზღვრული სინტაქსური ფუნქცია“ (ენგელი 2004:156). ტენიერმა კი, რათა აეხსნა მიმართებითი ნაცვალსახელების ორმაგი ბუნება, გაჰყო ისინი „ტრანსფერმად“ (რომლის ფუნქცია სუბიუნქტია) და „ანაფორულად“ (რომელიც ფუნქციონირებს დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც სინტაქსური წევრი. ტრანსფერმი ზედაპირზე არ ჩანს, მაშინ როდესაც ანაფორა ნაცვალსახელია, კერძოდ ჩვენებითი ნაცვალსახელი. როგორც უ. ენგელი აღნიშნავს, დამოკიდებული წინადადებები წარმოიშვა თავდაპირველი დამოუკიდებელი მთავარი წინადადებებისაგან და გვთავაზობს მათი წარმოშობის საინტერესო სქემას.

გამონათქვამი

Der Mann, der diese Stube bewohnte (ჰესე 2005:11).

უპირველეს ყოვლისა შედგება ნომინალური ფრაზისაგან der Mann და მთავარი წინადადებისგან Er bewohnt diese Stube.

პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ეს ორივე კონსტრუქცია ტრანსფერმის საშუალებით ახალ კონსტრუქციად შეკავშირებულიყო.

Der Mann + ◯ + Er bewohnt diese Stube.

„წრე სწორედ ტრანსფერმისთვის არის განკუთვნილი. შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს er ანაფორის ტრანსფერმთან შერწყმა, რომელიც იღებს ჩვენებითი ნაცვალსახელის – der ფორმას. ეს ახალი „მიმართებითი ნაცვალსახელი“

დამოკიდებულია არსებით სახელზე – Mann და ამავე დროს როგორც სუბიუნქ-ტური ელემენტი არეგულირებს წინადადებას – Er bewohnt diese Stube, რომელიც ამის შედეგად დამოკიდებულ წინადადებად გარდაიქმნება“ (ენგელი 2004:157).

როგორც ირკვევა, დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებით ნაცვალსა-ხელში გადასული ელემენტი (მოცემულ შემთხვევაში სუბიექტი) აღარ ფუნქციო-ნირებს დამოუკიდებლად.

მიმართებითი ნაცვალსახელი განაპირობებს როგორც ყველა სუბიუნქტური ელემენტი უღლებადი ზმნის „ბოლო პოზიციას, ამგვარად წარმოიშობა საბოლოო კონსტრუქცია

Der Mann, der diese Stube bewohnte.

ზოგიერთ შემთხვევაში მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება შეიცვალოს დეტერმინანტით welch, ხანდახან ნაცვალსახელით was. ეს შეცვლა ხშირად ემსახურება, ხელისშემშლელი ერთხმოვანება იყოს თავიდან აცილებული.

Dieses Buch enthält die uns gebliebenen Aufzeichnungen jenes Mannes,

welchen wir mit einem Ausdruck den “Steppenwolf” nannten (ჰესე 2005:4).

Das Entsetzlichste, was er im Traum erleben konnte, war

die Gefangenschaft in einer Kaserne (ჰესე 2005:32).

მოცემულ წინადადებებში მიმართებითი ნაცვალსახელების ჩანაცვლების გზით მიიღწევა ერთეროვანი ჟრერადობის დარღვევა:

Aufzeichnungen jenes Mannes, *den* wir *den* “Steppenwolf” nannten.

Das Entsetzlichste, *das* er erleben konnte.

რაც მთელ წინადადებას სასიამოვნო ჟრერადობას ანიჭებს.

სემანტიკური ფუნქციის მიხედვით გამოიყოფა მიმართებითი დამოკიდებული წინადადების გამოყენების ორი შესაძლებლობა:

„1. რესტრიქტული მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც ასახელებენ ყოველთვის საჭირო აუცილებელ წინაპირობას მთლიანი წინა-დადების ნამდვილობისა და ობიექტურობისათვის.

2. არარესტრიქტული მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები, როდესაც წინადადება ნებისმიერი პირობების არსებობისას ნამდვილია. ის მთავარ წევრს უმატებს შემთხვევით, უმეტესად უმნიშვნელო ნიშანს“ (ენგელი 2004:158). ორივე გამოყენების ფორმა უფრო თვალსაჩინოდ განირჩევა განსაზღვრული კრიტე-რიუმების მიხედვით:

რესტრიქტული მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები, როგორც წესი, ობლიგატორული არიან, ძირითადი სიტყვის დეტერმინანტზე შესაძლებელია ელემენტ – „jenig“ დართვა.

Der Mann, der den Zug abfahren läßt, verschwindet unter

einem großen Schild (ბიოლი 2003:5).

Derjenige Mann, der den Zug abfahren läßt, verschwindet unter einem großen Schild.

არარესტრიქტული მიმართებითი დამოკიდებული წინადადება ყოველთვის ფაკულტატურია, მასში შეიძლება ჩაირთოს ექსისტიმატორული გამონათქვამები: übrigens, ja, wie man weiß, bekanntlich.

Der Mann, der übrigens den Zug abfahren läßt, verwchwindet unter einem großen Schild.

არარესტრიქტულ მიმართებით დამოკიდებულ წინადადებებში მთავარი სიტყვის დეტერმინანტთან გამორიცხულია ელემენტი jenig.

მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები მონაცვლეობენ ადნომინალურ ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებებთან და ზედსართავ სახელებთან.

Lohengrins Burg oben zwischen herbstlichen Bäumen (ბიოლი 2003:248).

→ Die Burg, die Lohengrin gehört, oben zwischen herbstlichen Bäumen.

Da gab ein Unbekannter mir ein kleines bedrucktes Büchlein (ჰესე 2005:67).

→ Da gab ein Unbekannter mir ein Büchlein, das klein und bedruckt war.

ელემენტების რესტრიქტული და არარესტრიქტული გამოყენება მნიშვნელოვანი სემანტიკური ნიშანია და მარტივ ელემენტებშიც უნდა იყოს მითითება მათ შორის განსხვავებაზე.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები აღიწერება იმ მარტივ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებსაც ისინი ცვლიან.

მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები, როგორც აქტანტები, ფუნქციონირებენ ძირითადად როგორც სუბიექტური ნათესაობითი.

Die Erwartung und die Stimmung des Publikums (ჰესე 2005:9)

= Die Erwartung und die Stimmung, die das Publikum äußerte.

die rätselhafte Fremdheit Hallers = (ჰესე 2005:9).

= die rätselhafte Fremdheit, die Haller verspürte.

მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები, როგორც თავისუფალი წევრები, ნებისმიერ არსებით სახელს შესაძლოა დაერთოს.

Das niedrige Dach, dessen Traufe ich mit der Hand erreichen konnte,

war mit rostigen Blechplatten geflickt (ბიოლი 2003:7).

Es war eines jener mit vielen Taschen benähten Stoffetuis, *in denen*

unsere Mütter ihr Aussteuerbesteck aufzubewahren pflegten (ბიოლი 2003:17).

Aber ich brauche oben einen Widerstand, *wo* das Ding gegenschlägt

und seinen Schwung verliert (ბიოლი 2003:14).

Links stand ein kleines, wie plattgedrücktes Haus, *wie* es sich

Arbeiter nach Feierabend bauen (ბიოლი 2003:6).

..wir bogen in die dunkle Quergasse, wo die grelle Lichtreklame

der "Sieben Mühlen" sich im glitzenden Asphalt spiegelte (ბიოლი 2003:21).

მარჯვენა ველის გავრცელებული სატელიტია დანართი. ის თავისუფალ წევრს წარმოადგენს და თავსდება მარჯვენა ველში უკიდურესად მარჯვნივ. დანართი ამ პოზიციაზე კონკურენციას უწევს მიმართებით განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებს. დანართის გამოხატვის ფორმებია: არსებითი სახელი/ნომინალური ფრაზა, ზედსართავი სახელი/ზედსართაული ფრაზები, ზმნიზედა/ზმნიზედური ფრაზები, მიმღეობა/მიმღეობითი ფრაზები.

...besaß ich nichts - bis seines Tages eine vornehme alte Dame,

Bekannte meiner Mutter, mich ausfindig gemacht hatte (ბიოლი 2003:18).

Eine bescheidene Stellung, so eine Art Aktenschlepper (ბიოლი 2003:37).

Gerade sah man, wie ein alter Mann, ein Goldschmied wahrscheinlich,

an einer Kette mit Edelsteinen arbeitete (ჰოლერი 2000:279).

Unterer Flur, grün gestrichen, Treppe rauf, gelb gestrichen (ბიოლი 2003:54).

Die Nonne rollte es auf der Brust des Jungen zusammen,

oben unter dem Kinn (ბიოლი 2003:68).

In der zugigen Wartehalle stand ein älteres Paar, frößtend

in eine Ecke gedrückt (ბიოლი 2003:11).

იმ შემთხვევაში, თუ დანართი და მიმართებითი დამოკიდებული წინადადება ერთდროულად ფუნქციონირებს, მათი თანმიმდევრობა ნებისმიერია:

Unser Chef, dieses rastlose Rindvieh, der nie Zeit hat und nichts tut (ბიოლი 2003:136).

→ Unser Chef, der nie Zeit hat und nichts tut, dieses rastlose Rindvieh.

ტრადიციული და თანამედროვე გრამატიკა აფართოებს დანართის ცნებას. ისინი პრეპოზიციურ განსაზღვრებებს შემდეგ ფრაზებში:

Karl Kraus (ბიოლი 2003:246).

der König Heinrich (ბიოლი 2003:247).

Der Steppenwolf Harry (ჰესე 2005:41).

განიხილავენ „ვიწრო“ დანართად („engere Apposition“), ხოლო განსაზღვრებებს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში „თავისუფალ დანართად“ მიიჩნევენ („weitere Apposition“).

როგორც უ. ენგელი მიიჩნევს: ეს ცნებების აღრევაა, რადგან „ვიწრო“ და „თავისუფალი“ დანართი განსხვავდება ერთმანეთისაგან ძირითად ნიშნებში (პოზიცია, ინტონაცია, პუნქტუაცია, სამეტყველო პაუზა). აქედან გამომდინარე, იგი „ვიწრო დანართს“ განიხილავს განსაზღვრებების საკუთარ კატეგორიად და უწოდებს მას სახელ ინვარიანსს ან სახელ ვარიანსს (შესაბამისად მარცხენა ველში).

ჩვენს მიერ განხილული სატელიტებიდან ვარიაბული პოზიციით (შესაძლოა მოთავსდეს მარცხენა და მარჯვენა ველში) გამოირჩევა დეტერმინანტი და ზედსართავი სახელი, რომლებიც მტკიცედ იკავებს ადგილს მარცხენა ველში, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში მარჯვენა ველშიც თავსდება.

წინდებულიანი და დირექტიული აქტანტები, რომლებიც პრინციპულად მარჯვენა ველში თავსდება, გამონაკლისის სახით, პოეტურ ტექსტებში და სალაპარაკო ენაში მარცხენა ველშიც განთავსდება. ვარიაბული პოზიცია აქვს მიმართებით განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებს, თუმცა მარცხენა ველში ისინი მხოლოდ ამაღლებულ ენაში მოიპოვება.

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები, თუ ისინი ადამიანს აღნიშნავს, ფუნქციონირებს როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ველში.

Nur einmal, .. begegnete uns ein älterer Mann, an dem ich flüchtig

die Abzeichen des Schulmeisters erkannte (ბიოლი 2003:86).

(des) Schulmeisters Abzeichen.

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებათა უმრავლესობა, რომლებსაც სხვა მნიშვნელობები გააჩნია, მხოლოდ პოეტურ ენაში განთავსდება მარცხენა ველში პირველ ადგილზე.

არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი სახელი ვარიანსიც ორივე ველში თავსდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი სემანტიკურად და სინტაქსურად იმდენად განსხვავებულნი არიან, რომ საჭირო ხდება ორ სრულიად განსხვა-

ვებულ სფეროზე საუბარი და მაშინ მიზანშეწონილიც აღარ არის ამ ორი კლასის ვარიაბულ პოზიციაზე საუბარი.

მარცხენა ველი

არსებითი სახელი ინვარიანსი:

Kurt Tucholsky (s) (ბიოლი 2003:246).

Publizist Tucholsky (s).

Satiriker Tucholsky (s)

Vetter Johannes' (ბიოლი 2003:161).

არსებითი სახელი ვარიანსი

Herr (n) Murke (s) (ბიოლი 2003:226).

Genosse (n) Murke (s).

მარჯვენა ველი.

არსებითი სახელი ინვარიანსი.

Mein Onkel Franz (ბიოლი 2003:166).

die Firma "Söderbaum" (ბიოლი 2003:166).

die Frau Hösslin (კაშნიცი 2004:32).

არსებითი სახელი ვარიანსი.

Wilhelm der Zweite (ბიოლი 2003:251).

Heinrich der Achte (ბიოლი 2003:247).

Richard der Zweite (კაშნიცი 2004:6).

ვარიაბული პოზიციით გამოირჩევა დისლოცირებადი, მაცალკევებელი ელემენტები, რომლებიც შესაძლოა მოსცილდეს ნომინალურ ბირთვს და წინადადებაში სხვა ადგილი დაიკავოს. რადგან ეს დისლოცირება ფაკულტატურია, მათ შეუძლია უშუალოდ ნომინალური ბირთვის გვერდით (მისგან მარცხნივ ან მარჯვნივ) მოთავსდეს. დისლოცირებადი არიან: კვანტორები და ზედსართავი სახელები, წინდებულიანი განსაზღვრებები, დისიუნქტები.

კვანტორებს წარმოადგენენ დეტერმინანტები all-, einig-, kein- და რიცხვითი ზედსართავი სახელები beid-, viel-, wenig-. მათ შეუძლიათ თავისი ადგილი ნომინალური ბირთვის წინ დატოვონ და წინადადებაში უფრო მარჯვნივ გადაინაცვლონ.

ამ შემთხვევაში დეტერმინანტი შესაბამის ნაცვალსახელად გარდაიქმნება, ამავე დროს ნომინალური ბირთვი მარცხნივ გადადის და თემატურად გამოიყოფა, ხოლო კვანტორი რემას ემთხვევა.

als er *alle Messer* geborgen hatte, wandte er sich zum Publikum → (ბიოლი 2003:26).

→ als er *Messer alle* geborgen hatte, wandte er sich zum Publikum.

Kein Schiff war zu sehen → (ბიოლი 2003:81).

→ *Schiff* war *keines* zu sehen.

Dazu hatte er *keine Gabe* → (ჰესე 2004:43).

→ *Gabe* hatte er dazu *keine*.

..und dann kamen *viele Schrebergärten* → (ბიოლი 2003:38).

→ und *Schrebergärten* kamen dann *viele*.

Der zweite von links zeigte den *beiden Buben* ein Kunststückchen → (ჰოლერი 2000:283).

→ *Buben* zeigte er *den beiden* ein Kunststückchen.

რამდენადაც განსაზღვრებები თავის თავში ატარებენ „ცნობადობის“ ნიშანს, პერმუტაციის შემდეგ არსებითი სახელის წინ საჭიროა ამ ნიშნის მქონე დეტერმინანტის მოთავსება.

Das Kind spürte wohl *keine Schmerzen* mehr → (ბიოლი 2003:68).

→ *Die Schmerzen* spürte das Kind wohl *keine* mehr.

..beide Tänzerinnen fröhlich und sicher dahintanzten → (ჰესე 2005:70)

→ Die Tänzerinnen tanzten beiden fröhlich und sicher dahin.

სალაპარაკო ენაში, ანალოგიური ხერხით დისლოცირებადი არიან ხარისხის მქონე ზედსართავი სახელები:

Das Haus hatte *einen rötlichen Bewurf* → (ბიოლი 2003:38).

→ *Bewurf* hatte das Haus *einen rötlichen*.

Diese Stationen bargen *wenig Interessantes* → (ბიოლი 2003:39).

→ *Interessantes* bargen diese Stationen *weniges*.

დისლოცირებადია წინდებულიანი არსებითი სახელი – აქტანტების ნაწილი. ამავე დროს, როგორც წესი, მარცხენა კონსტრუქციის ნაწილი თემატურად გამოიყოფა ან აგრეთვე რემატიზირებული ხდება.

Aber letzten Endes siegte *Angst vor den Schulaufgaben* → (ბიოლი 2003:191).

→ *Vor den Schulaufgaben* siegte aber letzten Endes *Angst*.

Angst siegte aber letzten Endes *vor den Schulaufgaben*.

მაგრამ ბევრ შემთხვევაში, რომლებიც ჯერ საკმარისად არ არის გამოკვლეული, მსგავსი დისლოცირება ბლოკირებულია.

„დისიუნქტებს (ლათ. disiunctum – ურთიერთსაპირისპირო) არ აქვთ საერთო ელემენტი. კომპლემენტური (გამავრცობელი) ცნებები ან კონტრავალენტური (კონტრავალენტობა) გამონათქვამები ხშირად დისიუნქტებად იწოდება“ (მეტცლერი 2000:161).

დისიუნქტებს (მაცალკევებელ დისლოცირებად) ელემენტებს წარმოადგენს ნაწილობრივ ზედსართავი სახელები (ასევე დასაბამიერი მიმღეობები), ნაწილობრივ als-იანი ნომინალური ფრაზები, ნაწილობრივ ზმნიზედები, როგორიცაა allein, blindlings, selbst და სხვა.

Wir zogen *fröstelnd* in uns selbst zurück → (ბიოლი 2003:21).

Fröstelnd zogen wir in uns selbst zurück.

Jupp zeigte *lachend* auf ein Foto in den Aushängenkästen (ბიოლი 2003:22).

Lachend zeigte Jupp auf ein Foto in den Aushängenkästen.

Ich sollte *als Regiments-kommandeur* das Urteil unterschreiben (ბიოლი 2003:189).

Als Regiments-kommandeur sollte ich das Urteil unterschreiben.

Ich fragte mich *selbst*, wann ich zum letzten Mal gebeichtet hatte (ბიოლი 2003:107).

Selbst fragte ich mich, wann ich zum letzten Mal gebeichtet hatte.

დისიუნქტები, გამონაკლისის გარეშე, თავისუფალ წევრებს წარმოადგენს. უმრავლეს შემთხვევაში დისიუნქტები თავისი ნომინალური ბირთვისგან მოცილებულია. იქ, სადაც ისინი მარტომდგომი არიან, რეგულირდებიან თემა-რემატული დაყოფით.

ის, რომ დისიუნქტები არსებითი სახელებისთვის განსაზღვრებებს წარმოადგენს უწინაც და დღესაც კამათის საფუძველს ქმნის. არიან გრამატიკოსები, რომლებიც დისიუნქტებს ზმნების „მოდალურ თავისუფალ წევრებად“, ან მარტივად „ზმნიზედებად“, „ვითარების გარემოებად“ მიიჩნევენ: „ამგვარი მტკიცების საფუძველს წარმოადგენს აზრი, რომ დისიუნქტები ზმნით აღნიშნულ მოქმედებას განსაზღვრავენ და არა სიდიდეებს“ (ენგელი 2004:203).

ამ მტკიცებულების თანახმად, პირველ წინადადებაში „Zurückziehen“ („უკან დაბრუნება“) ყოფილა „fröstelndes“ („გამყინავი“). ასევე წინადადებაში Ich fragte

mich selbst – „Fragen“ მოდიფიცირებულია ზმნიზედით „selbst:. სინამდვილეში კი wir fröstelten (ჩვენ გავიყინეთ და არა რომელიმე მოქმედება).

ასევე მომდევნო წინადადებაში ელემენტი „selbst“ სრულიად ნათლად ახდენს ჩემს – „ich“ იდენტიფიცირებას და არა მოქმედებისა „Fragen“. აქედან გამომდინარე, ყველა ეს ელემენტი წარმოადგენს არსებითი სახელის ან ნაცვალსახელის განმსაზღვრელს, შესაბამისად აღნიშნავს ყოველთვის სიდიდეს და ამით მოცემული სახელების განსაზღვრება ხდება.

ზმნიზედა „selbst“ შესაძლოა უშუალოდ ნომინალური ბირთვის გვერდით განთავსდეს:

Der Oberstatistiker selbst hat sich drüben

auf die andere Seite gestellt (ბიოლი 2003:32).

Dieses Ereignis selbst war so geringfügig,

daß uns das Ausmaß der Folgen nun erschreckt (ბიოლი 2003:145).

Selbst die Familienmitglieder waren nur mit äußerster Strenge

zu veranlassen, pünktlich zu erscheinen (ბიოლი 2003:163).

როგორც ენობრივი მასალის ანალიზით გაირკვა, ნომინალური ფრაზა რთულ სემანტიკურ-სინტაქსურ კონსტრუქციას წარმოადგენს. მის მარცხენა ველში ობლიგატორულად თავსდება დეტერმინანტი და ზედსართავი სახელი. იქვე ფაკულტატურად განთავსდება ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები (კუთვნილებითი, სუბიექტური, ობიექტური ნათესაობითი), არსებითი სახელი ინვარიანსი, არსებითი სახელი ვარიანსი.

დეტერმინანტი და ზედსართავი სახელი, რამდენადაც ისინი ყველა სახელთან ფუნქციონირებადია, თავისუფალ წევრებს წარმოადგენს. არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი სახელი ვარიანსი ქვეკლასებად – სპეცი-ფიკურია, ამდენად აქტანტებს წარმოადგენს. ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრე-ბების ნაწილი აქტანტია (სუბიექტური ნათესაობითი, ობიექტური ნათესაობითი), ნაწილი თავისუფალი წევრი (კუთვნილებითი ნათესაობითი).

განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ნომინალური ფრაზის მარჯვენა ველი, სადაც ობლიგატორულად თავსდება:

წინდებულიანი განსაზღვრებები

დირექტიული განსაზღვრებები

ექსპანსიური განსაზღვრებები

ნომინალური განსაზღვრებები

ვერბატული განსაზღვრებები

კვალიტატური წევრები

სიტუაციური წევრები

კომიტატური წევრები

მიმართებითი განსაზღვრებები დამოკიდებული წინადადება

დანართი.

მარჯვენა ველში ფაკულტატურად თავსდება:

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები

არსებითი სახელი ვარიანსი

არსებითი სახელი ინვარიანსი.

ჩამოთვლილთაგან პირველი ხუთი განსაზღვრება აქტანტია. მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები და ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები (კუთვნილებითი, სუბიექტური, ობიექტური, ექსპლიკატორული ნათესაობითი) – არიან აქტანტებიც და თავისუფალი წევრებიც. ექსპლიკატორული ნათესაობითი, გამონაკლისის გარეშე, მარჯვენა ველის სატელიტია და ის არასოდეს თავსდება მარცხენა ველში.

დანარჩენი განსაზღვრებები თავისუფალ წევრებს წარმოადგენს. მარჯვენა ველში გამონაკლისის სახით თავსდება ტიპურად პრეპოზიციური დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები.

განხილული განსაზღვრებებიდან ვარიაბული პოზიციით (განთავსდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ველში) გამოირჩევა:

დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები, რომლებიც გამონაკლისის სახით თავსდება მარჯვენა ველში. წინდებულიანი და დირექტიული აქტანტები, რომლებიც პრინციპულად მარჯვენა ველის სატელიტებია, გამონაკლისის სახით მარცხენა ველშიც ჩნდება. იგივე ითქმის მიმართებით განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაზე, რომლის პრეპოზიციაც ამაღლებულ ენაშია დასაშვები.

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები, თუ ისინი ადამიანს აღნიშნავენ, თავსდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ველში.

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები სხვა მნიშვნელობით მხოლოდ პოეტურ ენაში განთავსდება მარცხენა ველში პირველ ადგილზე.

არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი სახელი ვარიანსი, ასევე ორივე ველში თავსდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი სემანტიკურად და სინტაქსურად იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ მიზანშეწონილიც აღარ არის განსაზღვრებათა ამ ორი კლასის ვარიაბულ პოზიციაზე საუბარი.

ვარიაბული პოზიციით გამოირჩევა დისლოცირებული ელემენტებიც: კვანტორები და ზედსართავი სახელები, წინდებულიანი განსაზღვრებები და დისიუნქტები, რომლებსაც შეუძლიათ მოსცილდენ ნომინალურ ფრაზას და წინადადებაში სხვა ადგილი დაიკავონ. ამავე დროს მათი დისლოცირება ფაკულტატურია და შესაძლოა ისინი უშუალოდ ნომინალური ბირთვის გვერდით განთავსდეს (მისგან მარჯვნივ ან მარცხნივ).

როგორც ენობრივი მასალის კვლევამ გვიჩვენა, ზედსართავი სახელები, ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები, არსებითი სახელი ინვარიანსი, არსებითი სახელი ვარიანსი და მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც ვარიაბული პოზიციით ხასიათდება და მარცხენა და მარჯვენა ველში განთავსდება, არ წარმოადგენს სინონიმურ კონსტრუქციებს. სხვადასხვა პოზიციაში მათ სრულიად განსხვავებული სემანტიკური და სინტაქსური დამოკიდებულებები გააჩნია და აქედან გამომდინარე, არსებობენ იმისათვის, რომ გამოხატონ ობიექტური სინამდვილის სხვადასხვა კანონზომიერებანი.

საინტერესო საკითხია ნომინალური ფრაზის მნიშვნელობათა სტრუქტურა. ყველა არსებითი სახელი მართავს თავისუფალ წევრებს. არსებითი სახელების ნაწილი მართავს აქტანტებსაც. მაშასადამე, მათ აქვთ ვალენტობა: „არსებითი სახელის ყველა სატელიტს წვლილი აქვს ნომინალური ფრაზის მნიშვნელობებში: აქტანტებს, რამდენადაც ისინი რელატორის საშუალებით არსებით სახელთან მჭიდრო სემანტიკურ კომპლექსს ქმნიან და თავისუფალ წევრებს, რამდენადაც ისინი ამ მჭიდრო სემანტიკურ კომპლექსს (ან მხოლოდ არსებით სახელს) აზუსტებენ“ (ენგელი 2004:308).

არსებითი სახელი, როგორც ნომინალური ფრაზის ბირთვი, ისევე როგორც ზმნა, როგორც წინადადების ბირთვი ადგენს ორ მომენტს: კატეგორიალური მნიშვნელობით კარნახობს აქტანტებს აუცილებელ მინიმალურ სემანტიკურ ნიშნებს და რელატორების საშუალებით გამოხატავს სემანტიკურ მიმართებას სახელად ბირთვსა და აქტანტს შორის. კატეგორიალური მნიშვნელობები

ბუნებრივია ნაწილობრივ სხვაგვარად განისაზღვრება, ვიდრე ზმნების აქტანტების.

„კატეგორიალური მნიშვნელობა წარმოადგენს განზოგადოებულ აბსტრაქტულ მნიშვნელობას, რომელშიც ერთიანდება: კლასი, გვარი; იგი აღნიშნავს კლასს მიკუთვნებულს“ (დუდენი 2007:937). მეტყველების ნაწილთა კატეგორიალური მნიშვნელობებია; საგნობრიობა არსებით სახელებთან, პრეცესუალობა ზმნებთან, ნიშნის მნიშვნელობა ზედსართავ სახელებთან.

„ირკვევა, რომ შემდეგი ნიშნებით შესაძლებელია არსებითი სახელის აქტანტების უდიდესი ნაწილის გააზრება:

fam – გვარი

hum – ადამიანური სიდიდეები

mas – გრძნობითი აღქმა, არათვლადი

obj – გრძნობითი აღქმა, თვლადი

nge – გეოგრაფიული სახელები

njz – წლების რიცხვი

nos – რაოდენობრივი მონაცემი

nmt – თვის სახელწოდებები

vor – სახელები

vws – ნათესაობის აღნიშვნები

zoo – ცოცხალი არსებები, არა ადამიანები

mat – მატერიალური

imm – არამატერიალური“ (ენგელი 2004:308).

რელაციური მნიშვნელობები: წინადადების სფეროდან ცნობილი რელატორების გარდა: AGT, AFF, KLS და LOC ნომინალურ ფრაზაში ფუნქციონირებს აგრეთვე VOC („მიმართვის“) და FKT („ფუნქციის“). ამდენად წარმოიშობა შემდეგი რიგი:

„AGT აგენტივი: მიზეზი, კაუზატივი

AFF აფექტური

KLS კლასიფიკატორული, სუბსუმინირებული

LOC ლოკატიური. აქ მხოლოდ აქტანტი – დირექტივა რეალიზდება.

VOC „ვოკატიური“ (მიმართვა არსებითი სახელები).

FKT „ფუნქცია“ (არსებითი სახელი ასახელებს ფუნქციას)“ (ენგელი 2004:309).

Die Meinung der Menschen über gewisse Dinge (ბიოლი 2003:114).

მოცემულ წინადადებებში „der Menschen“ სუბიექტური ნათესაობითი რელატორით AGT (კაუზატივი), „über Dinge“ – წინდებულიანი აქტანტი რელატორით AFF (აფექტური) ბირთვს უკავშირდება, რაც ფორმულის სახით შემდეგნაირად გამოისახება:

‚Nom’ (AGT:, Gensub’, AFF: , Eprp).

სადაც

Nom – არსებითი სახელია

AGT } რელატორები
AFF }

Gensub – სუბიექტური ნათესაობითი

Eprp – წინდებულიანი აქტანტი.

ხოლო ლექსიკურად იგი შემდეგნაირად გამოისახება:

‚Meinung’ (AGT:, der Mensch’, AFF:, über gewisse Dinge).

მნიშვნელოვანია თავისუფალი წევრების წვლილი ნომინალურ ფრაზაში. ისინი განსხვავებულ დისტანციურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ბირთვთან.

ამ სპეციფიკური დისტანციის მიხედვით განასხვავებენ თავისუფალი წევრების 3 სუბკლასს:

1) დამაზუსტებელი (präzisierende) თავისუფალი წევრები. აქ შემოდის არსებითი სახელის თავისუფალი წევრების უდიდესი ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, ზედსართავი სახელები, სიტუაციური და კომიტატიური თავისუფალი წევრები, ასევე მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების უმეტესი ნაწილი. „ისინი თავის მხრივ ზღუდავენ, შემოსაზღვრავენ ნომინალური ბირთვის მნიშვნელობას, მიაწერენ რა მის მნიშვნელობას ერთ ნიშანს და ამით მოცემული სიდიდეების რაოდენობას ამცირებენ (ენგელი 2004:310).

.. und bleich blickte ihr *kluges Gesicht* aus dem Stehkragen (ჰესე 2005:88).

.. der *höfliche Mann* hinter der Schranke hielt schon die Hand nach

meiner Nummer ausgestreckt (ჰესე 2005:87).

ნომინალური ფრაზა „kluges Gesicht“ გრაფიკულად შემდეგნაირად გამოისახება.

‚NomP’, Atrpr’ (Nom’).

სადაც NomP დესკრიპტორია, ხოლო მთლიანი ფორმულა იკითხება: „სახელადი ფრაზა, რომელშიც დამაზუსტებელი განსაზღვრება Atrpr განსაზღვრავს სახელს (Nom), როგორც ბირთვს.

ამ ხერხით შესაძლებელია ნებისმიერი შესიტყვების ლოგიკური აღწერა.

ფორმულა რთულდება, როდესაც რამდენიმე დამაზუსტებელი განსაზღვრებაა ნომინალურ ფრაზაში.

Krume, schwarze, altmodische Kleiderhaken waren

in die Wände eingelassen (ბიოლი 2003:50).

..da war das schöne, große, bunte Bild (ბიოლი 2003:51).

ასეთ შემთხვევაში სახელად ბირთვთან წრფივი სიახლოვე განსაზღვრავს სახელად ბირთვთან სემანტიკურ სიახლოვესაც. სახელადი ბირთვისაგან დაშორებული (უკიდურესად მარცხნივ მდგომი) ელემენტები განსაზღვრავენ მისგან მარჯვნივ მდგომი განსაზღვრებისა და ნომინალური ბირთვის ჯგუფს. გრაფიკულად ეს შეიძლება წარმოვადგინოთ:

‚NomP’, $Atrpr_1$’ (‚$Atrpr_2$’ (‚$Atrpr_3$’ (‚Nom’))).

ხოლო ლექსიკურად

‚krume’ (schwarze’ (altmodische’ (Kleiderhaken’))).

„თუ დამაზუსტებელი განსაზღვრებები ერთდროულადაა მოცემული მარცხენა და მარჯვენა ველში, მარჯვენა ველში მოთავსებული განსაზღვრებები „ზმნისგან დაშორებულად“ (verbferner) იწოდებიან“ (ენგელი 2004:310).

..und ich sah *dicke Flasche mit Kirschgeist* (ჰესე 2005:12).

..nirgends ein Spitzbogen, nur *dunkle, stille Mauer ohne Loch* (ჰესე 2005:28).

ნომინალური ფრაზები “dicke Flasche mit Kirschgeist” და “dunkle, stille Mauer ohne Loch” შედგება ზედსართავი სახელებისა და კომიტატური თავისუფალი წევრებისაგან, რომლებიც მარჯვენა ველში განთავსდება და ზმნისაგან მოცილებულია.

2) იდენტიფიცირებადი (Identifizierende) თავისუფალი წევრები. ამ ტიპის თავისუფალ წევრებს მიეკუთვნება უპირველეს ყოვლისა დეტერმინანტი, პრეპოზიციური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება (სადაც ის თავისუფალი წევრია), არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი სახელი ვარიანსი – პოზიციით მარცხენა ველში.

იდენტიფიცირებად წევრებს აქვს დასაბამიერი ფუნქცია, „მოახდინოს სიდიდის როგორს „სინამდვილეზე პრეტენზიის მქონეს“ იდენტიფიცირება. ისინი არიან ის ელემენტები, რომლებიც არსებითი სახელის ჯგუფს სახელად ფრაზად აქცევენ“. თავისი იდენტიფიცირებადი ფუნქციის გვერდით მათ აქვთ, როგორც წესი, დამაზუსტებელი ამოცანებიც.

იდენტიფიცირებადი თავისუფალი წევრები ოპერირებენ კომპლექსებზე, რომელიც ნომინალური ბირთვისაგან, არსებითი სახელის აქტანტისა და დამაზუსტებელი წევრისაგან შედგება.

Die drei Büsten von Cäsar, Cicero, Marc Aurel (ბიოლი 2003:51).

Vieles erlebte ich in *Pablos kleinem Theater* (ჰესე 2005:97)

3) (დამატებით) ონფორმირებადი (zusätzlich informierende) თავისუფალი წევრები. ამ თავისუფალ წევრებს არ აქვთ არც დამაზუსტებელი და არც იდენტიფიცირებადი ფუნქცია, საერთოდაც, დასაბამიდან ნომინალურ ფრაზებს არ განეკუთვნება, არამედ მათ მხოლოდ განმარტებლებად თან ახლავს. ინფორმირებად თავისუფალ წევრებს მიეკუთვნება დანართები.

Dieser Burche wird uns seine eigene *Großmutter als Feature*

servieren (ბიოლი 2003:237).

..wo er sich viel *Geld als Honorar* abgeholt hatte (ბიოლი 2003:235)

..indem ich mein *Brotpapier als Unterlage* benutzte (ბიოლი 2003:17).

ინფორმირებადი თავისუფალი წევრები, ამდენად, არ ზღუდავენ სიდიდეთა მნიშვნელობას (როგორც სხვა განსაზღვრებების უმეტესობა), არამედ განავრცობენ მათ მხოლოდ.

როგორც ცნობილია გერმანულ წინადადებაში ძირითადი ფუნქციები სრულდება არსებითი სახელების და ზმნების მიერ. მათ წარმოადგენს ქვემდებარე, შემასმენელი, სხვადასხვა ტიპის დამატება, გარემოებები, რომლებიც ქმნიან ორ ცენტრს - არსებითი სახელის და ზმნის ჯგუფებს. თითოეულ ამ წევრს აქვს თავისი სემანტიკა. მათ გარდა არსებობენ მთელი რიგი დამატებები (სიტყვები), რომლებიც მათ სემანტიკას აზუსტებენ, გადმოსცემენ რა დამატებით ინფორმაციას მათ შესახებ. არსებითი სახელებისთვის ასეთ ინფორმანტებს წარმოადგენენ განსაზღვრებები. ერთის მხრივ განსაზღვრებები არიან დამოკიდებული წევრები, მეორეს მხრივ ენაში ასრულებენ ძალიან მნიშვნელოვან როლს და გადმოსცემენ ხშირად უფრო ძირითად და არსებით შინაარსს, ვიდრე გრამატიკულად მთავარი სიტყვა.

დამოკიდებულ სიტყვას ყოველთვის აქვს უფრო კონკრეტული განსაზღვრული ლექსიკური მნიშვნელობა. მთავარი სიტყვა ივსება დამოკიდებული სიტყვით, რაც განაპირობებს წარმოქმნილი შესიტყვების ინფორმაციულობას.

ზედსართავი სახელი, ენაში მისი გამოყენების სიხშირით, არსებითი სახელის და ზმნის შემდეგ რიგით მე-3 მეტყველების ნაწილია, რომელიც ხასიათდება ნიშნის კატეგორიალური მნიშვნელობით, შედარებითი ხარისხის, გვარის, ბრუნვის, რიცხვის გრამატიკული კატეგორიებით (შეთანხმების ფორმა), სინტაქსური გამოყენებით განსაზღვრების ფუნქციაში (ატრიბუტული ფუნქცია) და პრედიკატული წევრის ფუნქციაში და სიტყვათმაწარმოებელი მოდელების განვითარებული სისტემით.

ზედსართავი სახელები მთლიანი გერმანული ენის ლექსიკის მხოლოდ 15%-ს შეადგენს და ამით მნიშვნელოვნად ჩამორჩება არსებით სახელს. ადიექტიურ სიმპლიციათა რაოდენობაც მხოლოდ რამოდენიმე ასეულით განისაზღვრება და ადიექტიური სიტყვათწარმოების მოდელებიც სუბსტანციურთან შედარებით არ გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით: „ადიექტიური სიტყვათწარმოების სპეციფიკა უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, „რომ ზედსართავი სახელის ტიპური როლი დეტერმინანტის როლია“ (ფლაიშერი...1995:224).

განსაზღვრების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს არსებითი სახელის მიერ „აღნიშნული სიდიდე“ დაახასიათოს. ცალკეულ შემთხვევებში როგორ გადმოიცემა ეს განმარტებები, დამოკიდებულია განსაზღვრების ფორმაზე და მის მიმართებაზე სხვა განსაზღვრებებთან.

განსაზღვრებები ნომინალური ჯგუფის უშუალო კონსტიტუენტებს წარმოადგენს და არსებით სახელთან თანწყობილია.

პ. აიზენბერგი გამოჰყოფს განსაზღვრებების ყველაზე მნიშვნელოვან ტიპებს. „ადიექტიური განსაზღვრება, ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება, წინდებულიანი განსაზღვრება, მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება“ (აიზენბერგი 2006ბ:235). თავსა და ბირთვს შორის კი უპირველესად ადიექტიური განსაზღვრება თავსდება, რომელიც თავისი ფლექსიური ქცევით ორივესთან შეთანხმებადია. უშუალოდ ბირთვს მოჰყვება ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება. მის მონათესავე კონსტრუქციად განიხილება დანართიც, რომელიც ასევე არსებითი სახელის განმსაზღვრელია.

სახელად განსაზღვრებებს მოჰყვება წინდებულიანი განსაზღვრებები და ბოლოს მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები. როგორც

პ. აიზენბერგი აღნიშნავს, განსაზღვრებები განლაგებულნი არიან არამარკირებადი თანმიმდევრობით სიმძიმის (წონის) მიხედვით. „ბეჰაგალის“ კანონის თანახმად მძიმე ერთეულები მსუბუქს მოჰყვებიან.

შექმნილი ნომინალური ჯგუფი ასახავს ორ პრინციპულად განსხვავებულად სტრუქტურირებულ ველს.

კერძოდ, პირველ რიგში, ფრაზის საწყისი ელემენტიდან ბირთვამდე ფლექსიის საშუალებით სინტაგმატიკურად მძლავრად სტრუქტურირებულ ველს, რომლის დროსაც თავსა და ბირთვს ხშირად ჩარჩოს ფუნქციასაც მიაწერენ (ნომინალური ჩარჩო, Nominalklammer).

ბირთვის შემდეგ სფერო სინტაგმატიკურად ნაკლებად მჭიდროა. განსაზღვრებების თანმიმდევრობა და ფორმა პროტოტიპურად ერთმნიშვნელოვნად სინტაქტიზირებულია, „მაგრამ მიუხედავად ამისა, იქ არსებობს სხვადასხვა ორაზროვანი და მიმართებითი პრობლემა. პოსტნუკლეარული განსაზღვრებების თვალსაჩინო თვისებაა ისიც, რომ ისინი მთელ რიგ შემთხვევებში არ საჭიროებენ არსებით სახელს როგორც ბირთვს, არამედ ნაცვალსახელზე მიემართებიან.

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება:

keiner/mancher/welcher - dieser Herkunft

წინდებულიანი განსაზღვრება:

keine/manche/einige/viele/alle-aus Georgien

მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება:

der/einer/keiner/mancher/jeder, der das tut“ (აიზენბერგი 2006ბ:236).

მიმართების ტიპის მიხედვით განსაზღვრებები მოდიფიკატორებს წარმოადგენენ.

ნომინალური ფრაზის გრამატიკა ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა ტიპის განსაზღვრებებზე და არტიკლსა და არსებით სახელს შორის კავშირის მიხედვით.

ნომინალური ფრაზის ტოპოლოგია ლიტერატურაში არ არის ისე დაწვრილებით შესწავლილი, როგორც წინადადებების და მას ხშირად წინადადების კვალდაკვალ ან მასზე დაყრდნობით განიხილავენ. პ. აიზენბერგი ნომინალური ფრაზის კონსტიტუირებულ შემადგენელ ნაწილად, ანუ ენობრივ ელემენტებად, რომლებიც უფრო დიდი, კომპლექსური ერთეულების ნაწილს წარმოადგენს, მიიჩნევს არტიკლს, როგორც სინტაქსურ თავს (Kopf) და არსებით სახელს, როგორც სინტაქსურ ბირთვს (Kern). განსაზღვრებები კატეგორიალურად

(სიტყვის ფლექსიური სხვადასხვაგვარობით) იმართებიან. განსხვავება კომპლე-მენტებსა და ადიუნქტებს შორის პრობლემატურია. განსაზღვრებები სინტაქსური მოდიფიკატორებია. ბირთვის გარშემო დაჯგუფებული ერთეულების თანმიმდევ-რობა ხორციელდება სიმძიმის იერარქიულობის მიხედვით, მზარდი წევრების კანონის შესაბამისად.

„როგორც სიგრძის ასევე სტრუქტურის მიხედვით, არტიკლები პროტო-ტიპურად მსუბუქია, ვიდრე ადიექტიური განსაზღვრებები, ეს უკანასკნელი უფრო მსუბუქი, ვიდრე ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები და წინდებულიანი განსაზღვრებები. ყველაზე მძიმეა მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადები“ (აიზენბერგი 2006ბ:410).

სიგრძის იერარქია ფუნქციონალურად ტექნიკურად შემუშავებულია. იქიდან გამომდინარე, რომ ერთეულები დროში და სივრცეში წრფივია, მოკლე მეხსიერება თავისი შეზღუდული სიმძლავრით შესძლებს ნომინალური ფრაზის უფრო მეტი შემადგენელი ნაწილები დაიმახსოვროს, თუ მას ჯერ მოკლე ნაწილს შესთავაზებენ. გერმანულ ენაში ეს ეფექტი მიიღწევა ერთეულების ფორმალური შეთანხმებით ნომინალური ფრაზის დასაწყისში. პრენუკლეარული არტიკლები და ზედსართავი სახელები შეთანხმებისა (Kongruenz) და მართვის (Rektion) მიმართებებით სინტაგმატიკურად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან და ბირთვთან დაკავშირებული.

როგორც ჰოუკინსი აღნიშნავს, სიმძიმის იერარქია განსაკუთრებით იმ ენებშია მოქმედი, რომლებიც პრეპოზიციას და არა პოსტპოზიციას ამჟღავნებენ. ამ თვალსაზრისს არ იზიარებს აიზენბერგი და აღნიშნავს: „ძნელად მოიძებნება ენები, რომლებსაც ადიექტიურ განსაზღვრებათა პრეპოზიცია გააჩნია და ამავე დროს არ აქვს ადიექტიური განსაზღვრების პოსტპოზიცია, ან მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების პოსტპოზიცია გააჩნია და არ აქვს მათი პრეპოზიცია“ (აიზენბერგი 2006ბ:411).

როგორც ზმნისთვის ზმნური ჩარჩო, ასევე გერმანულ ენაში ნომინალური ფრაზისთვის სახელადი ჩარჩო წარმოადგენს ტოპოლოგიურ მახასიათებელს. სახელადი ჩარჩო წარმოიშობა თავსა და ბირთვს შორის, პროტოტიპურად არტიკლსა და არსებით სახელს შორის. ბრუნვასა და რიცხვთან დაკავშირებით, მათ შორის წარმოიშობა შეთანხმებითი მიმართებები. აქედან გამომდინარე უპრობლემოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ „შეთანხმების ჩარჩო“ (“Kongruenz-klammer”). მაგრამ: „გერმანულ ენაში ნომინალური ფრაზის შიგნით ასეთი ჩარჩო

არ არსებობს, რადგან შეთანხმება ვრცელდება არტიკლსა და ბირთვს შორის მდგარ ზედსართავ სახელზეც, ანუ ზედსართავი სახელი ჩარჩოში კი არ თავსდება, არამედ წარმოიშობა „შეთანხმების ხაზი“ („Kongruenzlinie“), რომელიც ყველა სამივე ერთეულს მოიცავს. უფრო მეტიც, ჩარჩო წარმოიქმნება არა არტიკლსა და არსებით სახელს, არამედ არტიკლსა და ზედსართავ სახელს შორის, როცა ზედსართავი სახელი ნომინალურ ფრაზაში მოცემულია“ (აიზენბერგი 2006ბ:411).

diese blasse Schwester

dieser blasse Mann,

dieses blasse Kind.

ჩარჩოში განთავსდება აქტანტები და გარემოებები, რომლებიც შესაძლოა ახლდნენ ზედსართავ სახელს. როცა არ არის მოცემული ზედსართავი სახელი, არტიკლი არსებითი სახელით იმართება, ხოლო როდესაც არტიკლი არ იკავებს თავის პოზიციას, ზედსართავი სახელი ცვალებადია და ამით თვითონ ის იღებს ჩარჩოს დამწყები ელემენტის ნიშნებს. საბოლოო ჯამში დგინდება, რომ ნომინალურ ფრაზაში ბირთვის წინ სფეროში ჩარჩოს სხვადასხვა ეფექტები წარმოიშობა, რომლებსაც არ აქვთ მსგავსი სტატუსი.

ზედსართავი სახელი როგორც განსაზღვრება, როგორც წესი, დგას ნომინალური ბირთვის წინ და მასთან ერთად იცვლება. ფლექსიურია ზედსართავი სახელი ეგრეთწოდებულ დისტანციურ პოზიციაზეც:

.. es sei zwar *ein dunkler Tag* gewesen, aber doch

kein besonders *unfreundlicher* (კაშნიცი 2004:46).

უფლექსიოა ზედსართავი სახელი, როგორც აღნიშნული იყო განსაზღვრების, პრედიკატივის, გარემოების ფუნქციაში. „აქედან გამომდინარე, განსაზღვრების ფუნქცია ერთადერთია, რომელშიც ზედსართავი სახელი ფლექსიით და უფლექსიოდ ფუნქციონირებს, სადაც უფლექსიო პოსტპოზიცია მისი მარკირებული ფორმაა“ (აიზენბერგი 2006ბ:237).

თუ ზედსართავი სახელი ფლექსიურია, იგი მიჰყვება ყოველთვის იმავე ფლექსიურ ტიპს (ხარისხის თვალსაზრისით). ის განსხვავებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მორფოპროსოდური ბუნებისაა, ანუ დამოკიდებულია ფუძის ბგერით შემადგენლობაზე (ein heitrer/heiterer Tag).

ატრიბუტული გამოყენებისას ფლექსიური მარკერის არჩევანი დამოკიდებულია სინტაქსურ კონტექსტზე. გადამწყვეტ როლს თამაშობს ფრაზის

დასაწყისში მდგომი არტიკლი. თუ არტიკლი ძლიერად იცვლება (პრონომინალური ფლექსია, როგორიცაა dieser) ზედსართავი სახელი სუსტ ფორმებს ირჩევს:

dieses schauerliche Wippen.

dieser schauerliche Zusammenbruch.

diese schauerliche Verbindung.

diese schauerlichen Jahre.

თუ არტიკლს არ აქვს ფლექსიური დაბოლოება, ზედსართავი სახელი იღებს ძლიერ ფორმებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია არტიკლებთან ein, mein, dein, sein, მამრობითი სქესის სახელობით და საშუალო სქესის სახელობით და ბრალდებით ბრუნვაში (kein schauerliches Wippen, kein schauerlicher Zusammenbruch). ზედსართავი სახელის სხვა ფორმები სუსტია. ზედსართავი სახელის ფლექსიის ამ სახეს შერეულს უწოდებენ.

თუ არ არსებობს არტიკლი, ზედსართავი სახელი ძლიერი ფლექსიის დაბოლოებას იღებს.

იდეა სამი ფლექსიური სახეობის ნაცვლად (ძლიერი, სუსტი, შერეული) მხოლოდ ორი გამოიყოს, არ არის ახალი. მაგალითად, დარსკი ფლექსიურ სახეობებად გამოჰყოფს: „იდეტერმინალურს“ და „დეტერმინალურს“. როგორც პ. აიზენბერგი აღნიშნავს, ამგვარი ტერმინების გამოყენებისას საჭიროა სიფრთხილე, რადგან ისინი ადვილად აღრევადია ცნებასთან „განსაზღრა“ (Determination) (აიზენბერგი 2006ბ:239).

ტოპოლოგიურად საინტერესოა ნომინალური ფრაზის გაფართოების შესაძლებლობები, პირველ რიგში ეს ეხება ბირთვის წინ მდგომ ადიექტიურ განსაზღვრებას. ზედსართავი სახელი ადიექტიურ ჯგუფში შეიძლება გაფართოვდეს აქტანტებით და გარემოებებით, რის შედეგადაც წარმოიშობა ადიექტიური ჯგუფები.

Ich sah einen winzigen Moment lang

den mir bekannten Harry (ჰესე 2005:96).

..war ich in einen schlecht erkennbaren schmalen

Eingang gezerrt (ბიოლი 2003:23).

..sah ich an einer rotbemalten dorischen

Säule eine elektrische Uhr (ბიოლი 2003:23).

კონსტრუქციის ეს ტიპი სტრუქტურულად გამჭვირვალეა, ის ზოგადად

უპრობლემოდ აიგება ზედსართავი სახელის საერთო სინტაქსური ქცევიდან. ზედსართავ სახელს პრედიკატულ გამოყენებაში აქვს ვალენტობა, რომელიც სისტემატურად ატრიბუტულ პოზიციაზე მიემართება:

Die Häuser sind ganz klein → (კაშნიცი 2004:34).

→ Die ganz kleine Häuser

Das Treppenhaus war ziemlich dunkel → (კაშნიცი 2004:47).

→ Das ziemlich dunkle Treppenhaus.

ასეთი კონსტრუქციები იმის ილუსტრირებას წარმოადგენს, რომ აქტანტები და გარემოებები არტიკლსა და ბირთვთ არსებით სახელთან მიმართებაში მხოლოდ ფორმალურად არიან მათგან დამოუკიდებელი, ამიტომ მათ ჩარჩოს გავლენა აქვთ.

მეორე გაფართოება შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე, პრინციპულად მრავალი ადიექტიური განსაზღვრებით. როგორი სტრუქტურა შეიძლება ჰქონდეს ასეთ ნომინალურ ჯგუფს, საკამათოა.

რამდენიმე ადიექტიური განსაზღვრების თავმოყრა არ არის დამოუკიდებელი იმისგან, რას წარმოადგენს პირველი:

und führte uns .. ihn *ein kleines rundes Zimmer* (ჰესე 2005:92).

Blut lief über Hermines *weiße zarte Haut* (ჰესე 2005:100).

სტრუქტურა



შესაძლებელია სტრუქტურის ბაზაზე:



რამდენიმე ზედსართავი სახელი, რომელიც ნომინალურ ჯგუფში თავსდება, შესაძლოა იყოს კოორდინირებული, ან ის განსხვავებულ სიახლოვეს ამჟღავნებდეს ფრაზის ბირთვის მიმართ. პ. აიზენბერგი განასხვავებს ამ ტიპის კონსტრუქციების ორ სახეს: „კოორდინირებულია ზედსართავი სახელები, თუ ორივე ზედსართავი სახელი ბირთვზეა მიმართული. ფორმალურად ეს ნიშნავს, რომ ზედსართავი სახელების თანმიმდევრობას გამონათქვამის გრამატიკულობისთვის, ისევე როგორც მისი სემანტიკისათვის მნიშვნელობა არ

აქვს“ (აიზენბერგი 2006ბ:414). შემდეგი კრიტერიუმი იქნებოდა ასინდესიის გვერდით კოორდინაციის – und კავშირით, არსებობის შესაძლებლობა.

Aus einer Wandnische nahm er .. *eine kleine drollige Flasche* (ჰესე 2005:92).

eine drollige kleine Flasche.

eine kleine und drollige Flasche.

eine drollige und kleine Flasche.

რამდენად გრამატიკული და სინონიმურია დანარჩენი კონსტრუქციები პირველის მიმართ, პ. აიზენბერგი ღიად ტოვებს.

არსებობს ადიექტიური რიგები, რომლებიც არ არიან კოორდინირებული.

die alltägliche bürgerliche Handlung.

die bürgerliche alltägliche Handlung.

die alltägliche und bürgerliche Handlung.

die bürgerliche und alltägliche Handlung.

მეორე შესიტყვებაში ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობა პირველ შესიტყვებასთან შედარებით მარკირებულია, არ არსებობს სინონიმია და ის არ არსებობს მომდევნო ორ წინადადებაშიც.

ფორმალურად არამარკირებაზე შეიძლება მიეთითოს აქცენტით. პირველ შესიტყვებაში აქცენტი ორივე ზედსართავ სახელზე შესაძლებელია. მეორე შესიტყვებაში პირველ ზედსართავ სახელზე აქცენტი უფრო მისაღებია.

პუნქტუაციის შესაძლებლობების მხრივაც იჩენს თავს განსხვავებები. პირველი შესიტყვება მისაღებია როგორც მძიმით, ისე მძიმის გარეშე.

die alltägliche,bürgerliche Handlung.

მეორე შესიტყვება უფრო მისაღებია მძიმით, ვიდრე მის გარეშე.

die bürgerliche, alltägliche Handlung.

ამავე დროს განსხვავებულობის სიგნალიზაცია შესაძლებელია მეორე ზედსართავი სახელის ძლიერი და სუსტი ფლექსიის საშუალებით. მაშინ კოორდინაცია იქნება:

mit alltäglicher, bürgerlicher Handlung.

ხოლო: mit alltäglicher bürgerlichen Handlung არ იქნება კოორდინირებული (არ გვაქვს მძიმე, მეორე ზედსართავი სახელი კი სუსტია).

რაც შეეხება მოცემული ზედსართავი სახელების კატეგორიებს, დუდენის გრამატიკაში ის შემდეგნაირად არის ილუსტრირებული. თანმიმდევრობაში მარცხნიდან მარჯვნივ დუდენი მიუთითებს ზედსართავ სახელთა ოთხ ჯგუფზე:

„1. რიცხვითი ზედსართავი სახელები (dritt, nächst, weiter, ander, zahlreich).

2. ზედსართავი სახელები, რომლებიც გამოხატავენ დროით ან სივრცით მდგომარეობას (hiesig, damalig, gestrig, obengenannt).

3. კვალიტატური ზედსართავი სახელები და ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები (alt, gesund, schön, klein, sprechend, verloren).

4. ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ნივთიერებათა სახელებს, წარმომავლობას და დარგს (metallisch, eisern, französisch, wissenschaftlich)“ (დუდენი 1998ბ:828).

ზედსართავი სახელი – არსებითი სახელის ეს ფაკულტატური სატელიტი – არის მისი ახლო განმმარტავი წევრი, რადგან ყოველ არსებით სახელს შეუძლია ზედსართავი სახელის კლასის ელემენტ-ებთან კომბინირება, რამდენადაც ისინი მას განსაზღვრავენ ატრიბუტულად, აპოზიციურად და როგორც ადიუნქტი. ზედსართავ სახელებს მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ ნომინალური ფრაზების მნიშვნელობებში, განსაზღვრავენ რა მმართველ სახელს სხვადასხვა თვალსაზრისით. ისინი ახდენენ კვანტიფიცირებას, კვალიფიცირებას, სახელით დასახელებული სიდიდეების კლასიფიცირებას, რეფერირებას სხვა სიდიდეებზე და ა.შ.

ზედსართავი სახელის ფუნქციაა განსაზღვროს სხვა ერთეულები, უქვემდებარებს რა მათ სხვადასხვა თვისებებს. ზედსართავი სახელის ეს საყოველთაო ფუნქცია შეიძლება დაზუსტდეს. უ. ენგელი განასხვავებს ზედსართავ სახელთა 5 სემანტიკურ სუბკლასს:

1) კვანტიფიკაციური ზედსართავი სახელები. ისინი ასახელებენ სიდიდეების რაოდენობას ან რიცხვს, აქვე შემოდიან რაოდენობითი რიცხვითი სახელები: viel(er), einig(er), wenig(er) და ა.შ.

2) რეფერენციალური ზედსართავი სახელები, რომლებიც ასახელებენ სიდიდეთა მდებარეობას ან თანმიმდევრობას სივრცეში ან დროში: dortig, damalig, obig, linksseitig, gestrig, folgend და ა.შ. ასევე რიგობითი რიცხვითი სახელები.

3) კვალიფიკაციური ზედსართავი სახელები, რომლებიც გადმოსცემენ სიდიდეთა თვისებებს, მდგომარეობებს: alt, jung, blond, frisch, zäh. აქვე შემოდიან მიმღეობების უმრავლესობა და ნივთიერებათა აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები: hölzern, irden, seiden, steinern და ა.შ.

4) კლასიფიკაციური ზედსართავი სახელები. ისინი გადმოსცემენ არა თვისებებს, არამედ კლასობრივ კუთვნილებას განსაზღვრული თვისებების საფუძველზე: ärztlich, kommunal, parlamentarisch, päpstlich, staatlich და ა.შ.

5) წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები: norwegisch, sibirisch, Hildburghausener, Stuttgarter (ენგელი 1996:560), (ენგელი 2004:336).

ზედსართავ სახელთა მნიშვნელობათა კლასები განსაკუთრებულ როლს იძენენ, როცა მოცემულია რამდენიმე ატრიბუტული ზედსართავი სახელის თანმიმდევრობა.

მაშინ ზედსართავი სახელები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდება: კვანტიფიკაციური – სიტუაციური (რეფერენციალური) – კვალიფიკაციური – კლასიფიკაციური – წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები.

wenige damalige respektlose Frankfurter Studenten (ენგელი 1996:560).

კ-ე. ზომერფელდტი კი გადმოსცემს სემანტიკური პრინციპის მიხედვით ზედსართავ სახელთა შემდეგ კლასიფიკაციას:

იგი გამოჰყოფს 4 ჯგუფს:

1) რაოდენობრივი ზედსართავი სახელები.

2) დროსა და სივრცეში მდგომარეობის გამომხატველი ზედსართავი სახელები.

3) კვალიტატური ზედსართავი სახელები.

4) რელაციური ზედსართავი სახელები.

კ-ე. ზომერფელდტის განმარტებით მე-4 ჯგუფის ზედსართავი სახელები ისე მჭიდროდ უკავშირდება თავის ძირითად სიტყვას, რომ ხშირად ისინი მასთან ერთად ერთ მთლიან ბირთვულ ჯგუფს ქმნის.

1 3 4

viele gute literarische Veranstaltungen.

1 2 3

manche damalige eherwürdige Pferdekutsche.

(ციფრები აღნიშნავენ ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების ნომრებს) (ზომერფელდტი... 1992:196).

თანმიმდევრობის განხილვისას ხშირად „ბეჰაგელის კანონს“ იშველიებენ, რომლის თანახმად „აზრობრივად მჭიდროდ ერთმანეთთან დაკავშირებული პოზიციურადაც მჭიდროდ, ერთმანეთის გვერდით განთავსდება“.

„არსებითი სახელის ცნებასთან ნაკლებად დაკავშირებული ზედსართავი

სახელი მისგან შორს მარცხნივ თავსდება, ხოლო არსებითი სახელის ცნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ზედსართავი სახელი უშუალოდ მის სიახლოვეს. რამდენად შეწყობადია ამა თუ იმ სუბკლასის ზედსართავი სახელი არსებით სახელთან, დამოკიდებულია ორივე მათგანის მნიშვნელობაზე და ეს შეწყობადობა მოქმედებს სწორედ ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობაზე“ (აიზენბერგი 2006ბ:416).

ამრიგად, თანმიმდევრობათა რეგულატორები დამოკიდებულნი არიან არა-მხოლოდ ზედსართავ სახელთა კლასებზე, არამედ აგრეთვე არსებით სახელზეც. დასაშვებია, რომ ზედსართავ სახელთა განსაზღვრული თანმიმდევრობა განსაზღვრულ არსებით სახელებთან არამარკირებული იყოს, სხვა არსებით სახელებთან მარკირებული (როგორც ეს ჩვენს მიერ განხილულ მაგალითებშია გადმოცემული).

პ. აიზენბერგი შეეცადა არსებითი სახელის ეს გავლენა ზედსართავი სახელის ქვეკლასებში ზედსართავ სახელთა კლასიფიკაციებით შეეზღუდა, ანუ ზედსართავ სახელთა ქვეკლასებს თავისი ტოპოლოგიური ზეგავლენა ბირთვ-არსებითი სახელისგან დამოუკიდებლად განეხორციელებინათ.

როგორც პ. აიზენბერგი მიიჩნევს: „თუკი დადგინდა, რომ სემანტიკურ-კატეგორიალურად რეგულირებად ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობა არსებობს, რომელიც ბირთვ-არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად უნივერსალურად ითვლება, მაშინ საჭირო გახდება თანმიმდევრობათა რეგულატორების შემუშავება ზედსართავ სახელთა სინტაქსური კლასიფიკაციის საფუძველზეც“ (აიზენბერგი, 2006ბ:417).

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავ სახელებს როგორც განსაზღვრებებს აქვთ ორი პოზიცია: ისინი თავსდებიან პრეპოზიციაში, ან განკერძოვდებიან ნომინალურ სინტაგმაში.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ნომინალურ სინტაგმაში განსაზღვრების პოზიცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სადისკუსიო საკითხს. უახლეს ნაშრომებში, რომლებიც სინტაგმაში მსაზღვრელის პოზიციას ეხება გამოთქმულია აზრი, რომ არ არსებობენ ზედსართავი სახელები მტკიცე, ფიქსირებული პოზიციით, რომ ყველაფერი დამოკიდებულია იმ ფუნქციასა და მნიშვნელობაზე, რომელსაც გადმოსცემს ზედსართავი სახელი მოცემულ კონ-ტექსტში. აღინიშნება ფორმალური კრიტერიუმებიც, რომელთა საშუალებითაც ზედსართავი სახელები გადაიყვანება პრეპოზიციაში ან პოსტპოზიციაში.

რ. ვაგნერი და ჟ. პენშონი ლაპარაკობენ პრეპოზიციური ზედსართავი სახელების “ინტენსიურ” და “აფექტურ” გამოყენებაზე. ჟ. დემურატის და ე. პიშონის თვალსაზრისით პრეპოზიციური და პოსტპოზიციური განსაზღვრებები (ზედსართავი სახელები) ხასიათდებიან საზღვრულ სიტყვასთან სხვადასხვა-გვარი კავშირით. ზედსართავი სახელის ადგილი არის საშუალება მისი მნიშვნელობის პოლარიზაციისა და აღნიშნავენ, რომ ზედსართავი სახელის პოზიციას ნომინალურ სინტაგმაში აქვს არა მარტო სტილისტური არამედ გრამატიკული ფუნქციაც.

განხილული პრობლემის საინტერესო გადაწყვეტას გვთავაზობს მ. გლატინი, რომლის თანახმად, მსაზღვრელის პოზიციის არჩევას გვკარნახობს მასში ჩადებული ინფორმაციის მოცულობა. ავტორი პრაქტიკაში შემდეგნაირად წარმოადგენს წამოყენებულ ჰიპოთეზას: მოცემული ზედსართავი სახელის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მოცულობა განისაზღვრება ამ უკანასკნელის გამოყენების სიხშირით.

უ. ენგელის და რ. ტერტელის განსაზღვრებით, მახვილის გვერდით, რომელსაც ნებისმიერი წევრის გამოყოფა შეუძლია, სიტყვათაწყობას აქვს განსაკუთრებული ფუნქცია გამონათქვამის ცალკეული ნაწილები გამოჰყოს.

წინადადების ჩარჩო ჰყოფს წინადადებას წინაველის, ბოლოველის და შუაველის სეგმენტებად.

ელემენტების უმრავლესობა თავსდება შუაველში. მისი თანმიმდევრობა იმის მიხედვით განისაზღვრება, საქმე აქტანტებთან გვაქვს თუ თავისუფალ წევრებთან შუაველის დასაწყისში დგანან უმახვილო პრონომინალური აქტან-ტები, კერძოდ, თანმიმდევრულად სუბიექტი, დამატება ბრალდებით ბრუნვაში, დამატება მიცემით ბრუნვაში და სხვა. შემდეგ განლაგდებიან გამონათქვამზე ორიენტირებული თავისუფალი წევრები. უცვლელი სიტყვები: doch, vielleicht, შემდეგ წინადადებაზე ორიენტირებული თავისუფალი წევრები: დროის, ადგილის, მიზეზის, მიზნის ზმნიზედები: damals, dort, deswegen, dafür (ენგელი...1993:219).

თავისუფალი წევრების გადაადგილებას შუაველში აქვს ნაწილობრივ სხვა მოქმედებები. უფრო დიდია იმ ელემენტების გამოყოფის ეფექტი, რომლებიც იშვიათად თავსდება წინაველში. შედარებით ნაკლებია სუბიექტის და გარემოებების გამოყოფის ხარისხი, რომლებიც ხშირად წინადადების თავში თავსდება. რაც შეეხება ბოლოველს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მრავალ

ელემენტს არ შეუძლია ბოლოველში მოთავსდეს. უპირველს ყოვლისა ბოლოველში თავსდება შედარების გამომხატველი ელემენტები.

პოსტნომინალური ზედსართავი სახელი შესაძლოა რეალიზირდეს წმინდა განკერძოებული განსაზღვრების, პრედიკატივის ან პრედიკატული განსაზღვრების ფორმით. თითოეულ მათგანს აქვს თავისი პოზიცია, რაც მათი ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია.

ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება შედის ქვემდებარის ჯგუფის შემადგემლობაში. მისი პოზიცია წინადადებაში ყოველთვის ფიქსირებულია. იგი უშუალოდ მოჰყვება საზღვრულ სიტყვას, მის შემდეგ იკავებს ადგილს წინადადებაში და მისგან განუყოფელია.

Eine sonore Tonbandstimme, stark und tröstlich
wie das grüne Licht (შრაიერი 1968:155).

განკერძოებული ზედსართავი სახელით გამოხატული პრედიკატივი და პრედიკატული განსაზღვრება შედის შემასმენლის ჯგუფში. მათ არ გააჩნიათ ფიქსირებული პოზიცია და გარემოების მსგავსად წინადადებაში თავისუფლად გადაადგილდებიან. შესაბამისად ისინი სტრუქტურულად ვერც ატრიბუტულ შესიტყვებას და ნომინალურ სინტაგმას ქმნიან და ძირითადად წინადადების ბოლოს თავსდებიან.

ზედსართავი სახელის განკერძოება პრედიკატივის ფორმით:

Er war sehr braungebrannt von der südlichen
Sonne, frisch und kräftig (ველსკოფ-ჰენრიხი 1967:90).

პრედიკატული განსაზღვრება:

Emil Kubinke irrte durch die Straβen,
sehnsüchtig und traurig (ჰერმანი 1963:81).

Hübsche Kleider lagen aus, hell und bunt (შუბერტი 1967:244).

შესიტყვებები წინადადების სეგმენტებს წარმოადგენს, მაგრამ თვითონ წინადადება არ არის შესიტყვებების მექანიკური კავშირი. მაგალითად, წინადადების მთავარი მიმართება სუბიექტ-პრედიკატის მიმართება წინადადების შესიტყვებებად სეგმენტაციის დროს გამოირიცხება. წინადადება შეიცავს სხვა ელემენტებსაც, რომლებიც წინადადების დაყოფისას არცერთ წარმოქმნილ შესიტყვებაში არ შედის. მოდალური სიტყვები, მოდალური ნაწილაკები, გამონათქვამის ხასიათის შესახებ მოსაუბრის შენიშვნები არ წარმოადგენს შესიტ-

ყვების კომპონენტებს. მოდალური სიტყვები, ისევე როგორც სუბიექტ–პრედიკატის მიმართება, ემსახურება მთლიანი წინადადების გაფორმებას. პრედიკატული განსაზღვრებაც წინადადების დაყოფის დროს არცერთ შესიტყვებაში არ შედის, რადგან სემანტიკურად და სინტაქსურად ერთდროულად დაკავშირებულია სუბიექტთან და პრედიკატთან, ასევე პრედიკატივიც სტრუქტურულად არ შედის ატრიბუტული შესიტყვების შემადგენლობაში და ვერც ნომინალურ სინტაგმას ქმნის. წინადადების სეგმენტაციის დროს შესიტყვების გარეთ რჩებიან აგრეთვე კავშირები და მიმართებითი ნაცვალსახელებიც, რომლებიც კომპლექსურ წინადადებებში წინადადების ნაწილების შეერთებისათვის გამოიყენება, ან მთლიანი წინადადების თავში დგას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შემოვი-ფარგლებით წმინდა განკერძოებული განსაზღვრების კვლევით, რომელიც სტრუქტურულად ატრიბუტულ შესიტყვებას და ნომინალურ სინტაგმას ქმნის.

მნიშვნელოვანია ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების გამიჯვნა დანართისაგან.

არ არსებობს საერთო აზრი იმის შესახებ, რა უნდა იყოს გაგებული დანართის ქვეშ. დანართის ტრადიციულ განსაზღვრებად მიჩნეულია: „დანართი არის არსებითი სახელის დანამატი, რომელიც ამ არსებითი სახელის ცნებით მოცულობას არ ცვლის“ (აიზენბერგი 2006ბ:255).

უ. ენგელი გამოჰყოფს დანართის 6 მახასიათებელ ნიშანს: „ყოველი დანართი

1. არის განსაზღვრება, ანუ წარმოადგენს არავერბალური ბირთვის სატე-ლიტს;

2. თავსდება ბირთვის შემდეგ;

3. გამოიყოფა თავისი გარემოსგან მძიმით და სამეტყველო პაუზებით;

4. უშვებს სამეტყველო დამატებებს (ექსისტიმატორული ელემენტები);

5. აქვს დამოუკიდებელი გამონათქვამის ხასიათი (სამეტყველო ენაში საკუ-თარი ტონის მრუდი);

6. აქვს მიდრეკილება ფრაზის ბირთვთან შეთანხმების“ (ენგელი 2004:449).

მოცემული მახასიათებლებიდან ზედსართავი სახელით გამოხატულ განკერძოებულ განსაზღვრებებთან ძირითადი შეუსაბამობაა მე-5 მახასიათებელი, რომლის თანახმად დანართს აქვს დამოუკიდებელი გამონათქვამის სახე და მას დამოუკიდებლად იმ ბირთვის გარეშეც შეუძლია წინადადებაში ფუნქციონირება,

რომლის დანართსაც წარმოადგენს, ანუ იგი უშვებს ჩანაცვლებას ბირთვით ან პირიქით, რაც ზედსართავი სახელით გამოხატულ პოსტნომინალურ განსაზღვრებებში გამორიცხულია, რადგან ზედსართავი სახელი თავის სინტაქსურ ფუნქციას – ატრიბუტის ფუნქციას მხოლოდ ნომინალურ ბირთვთან მიმართებაში ასრულებს და წინადადებაში მხოლოდ მასთან ერთად გადაადგილდება.

შევადაროთ:

Bald erschien ein junger König, ein hübscher Bub,

ein Playboy (კაშნიცი 2004:6).

Bald erschien ein junger König,

Bald erschien ein hübscher Bub.

Bald erschien ein Playboy.

Das Städtchen, abgelegen und unwichtig, war von

Fliegenangriffen lange verschont geblieben (კაშნიცი 2004:87).

პოსტნომინალურ ზედსართავიან ფრაზებში ანალოგიური ტრანსფორმაციები დაუშვებელია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ გრამატიკოსთან ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება ტერმინოლოგიურად გამიჯნულია დანართისაგან.

გ. ჰელბიგი და ი. ბუშა ზედსართავ სახელთა კლასს მიაკუთვნებენ „ყველა სიტყვას, რომლებიც ორიდან ერთ-ერთ, ან ორივე ჩარჩოში ერთად ფუნქციონირებს.

der ... Mann → der alte Mann (1).

der Mann ist ... → der Mann ist alt (2).

პირველი ჩარჩოს ვარიანტებია, ანუ საუბარია ზედსართავ სახელთა ატრიბუტულ გამოყენებაზე:

der alte kranke Mann

der alte und kranke Mann

der Mann, alt und krank“ (ჰელბიგი... 2005:280).

თანამედროვე გერმანულ ენაში, ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება გვხვდება უფლექსიო წყვილადი სახით – ორი ზედსართავი სახელით (ტყუპი ფორმით – „Zwillingsformen”, გ. ჰელბიგის ტერმინო-

ლოგიით), რომელთა შორის დგას ძირითადად „und“ კავშირი, ასევე კავშირები: oder, ob…oder, nicht…sondern.

Vor ihm die Dogge, irgendwie entsetzt und verwirrt (ფრიში 2000:24).

Einige der Häuser ähnelten aneinandergenähten Stofflecken,

eidoottergelb oder blau (ფედერშპილი 2000:209)

…der jedes kleine Geräusch, ob fern oder nah, zu

geheimnisvoller Bedeutung erhebt (მანი 1963:119).

Ein Buchenegger, nicht selig, sondern sehr aktiv (ცვაიგი 1967:354).

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრებები შესაძლოა ასინდეტურად დაკავშირდნენ.

Und der hohe Herr entnahm…groβe Banknoten,

blaβblau grüngrau, rosa (ცვაიგი 1967:283).

Viele Bücher standen in der Vitrine, mit bunten

Umschlägen, dicke, dünne (კაუერი 2000:290).

Während der alte Herr seinen Kaffee, schwarz,

stark gesüβt, ausnippte (ცვაიგი 1967:243).

ნომინალურ სინტაგმაში შესაძლოა რეალიზირდეს მხოლოდ ერთი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი:

…der eine Aufnahme machen läβt, ein schlechtes Foto,

aber deutlich (ფრიში 2000:53).

Die Fresken …viel bittere Geschichten, aber schön (ფრიში 2000:55).

- waagerechte Striche, hellgrün, (შრაიერი 1968:30).

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზედსართავი სახელის სერიული ფორმით, სამი და მეტი ზედსართავი სახელით, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება ძირითადად „und“ კავშირით, ან ასინდეტურად:

Dort liegen Nebenstraβen, lang, einsam.

unheimlich und finster (ჰერმანი 1963:6).

Ein Mann von fünfunddreißig Jahren,

klein, dick, blond (ნოლი 1967:141).

ამ ფლექსიური ზედსართავი სახელების უფლექსიო გამოყენების გვერდით, არსებობენ უფლქსიო ზედსართავი სახელები, რომლებიც ნომინალურ სინტაგ-მაში გამოიყენება როგორც პრეპოზიციაში, ასევე პოსტპოზიციაში. ზედსართავი სახელების ამ ნაკლებად მრავალრიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება ზოგიერთი ზედსართავი სახელი, რომელიც ბოლოვდება a-ზე: extra, prima, lila, rosa.

Der Herr rieβ den lila Umschlag auf (ვაისკოპფი 1966:165).

Es war ein hocherschaftliches Haus mit farbigen

Flurfenstern, grün und rosa (ჰერმანი 1963:12).

Und der hohe Herr entnahm ... groβe Banknoten,

rosa, ... (lila) (ცვაიგი 1967:283).

ყოველი სიტყვა როგორც ენის ელემენტი, როგორც თავისი ფორმატიული სახით, ასევე თავისი მნიშვნელობით პარადიგმატურ დონეზე დაკავშირებულია სხვა ლექსიკურ ერთეულებთან. სიტყვის პარადიგმატური ფორმები, გრამატიკული შემოსაზღვრა, რაც გამოიხატება მისი კუთვნილებით რომელიმე მეტყველების ნაწილთან და ლექსიკური მნიშვნელობა ქმნიან შესაძლებლობებს სიტყვათა კავშირებში და წინადადებებში სინტაგმატიკური მიმართებებისთვის. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი სრულ ფორმაში გადმოსცემს გრამატიკულ ინფორმაციას. (გვარი, ბრუნვა, რიცხვი, ხარისხი).

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი შესაძლოა ოთხივე ბრუნვაში შეეწყოს ნომინალურ ბირთვს.

სახელობითი ბრუნვა, ხარისხი, მხოლობითი, მრავლობითი რიცხვი.

... Hiermit begannen schöne Sommerwochen für Tonny

Buddenbrook, kurzweiligere und angenehmere (მანი 1963:117).

... goldenes Licht, milderes, tropfte durch die Wipfel (ცვაიგი 1967:234).

ნათესაობითი ბრუნვა:

Er war ein Mann Mitte der Dreiβig, gesund,

voller Ehrgeiz und sittlicher Kraft (ცვაიგი 1967:337).

მიცემითი ბრუნვა, ხარისხი, მრავლობითი რიცხვი.

Karl Theodor von Krottmayer gilt als ein biβchen

aus der Art geschlagen, zu sehr eingenommen von Büchern

und Noten, von Gemälden, älteren und neuen (ცვაიგი 1967:183).

ბრალდებითი ბრუნვა, ხარისხი, მხოლობითი, მრავლობითი რიცხვი.

…und ihre groβen Augen schauten in ihm den Sohn, den jüngeren,

der seit Jahren in Frankreich gefallen war (ცვაიგი 1967:444)

Sie sah die Schläfer, alte und junge (ფალადა 1984:780).

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლით:

Sein, Wylers, Auge, das linke, war im Spiegel

kleiner als das rechte (ფედერშპილი 2000:214).

Aber ein wirklicher Freund, eigentlich der einzige,

wenn auch die Freundschaft etwas einseitig ist (ფრიში 2000:39).

…zum Glück gibt es noch eine Straβenbahn,

eine letzte (ფრიში 2000:30).

Er verwaltete eine groβe Werkstatt,

eine volkseigene (შუბერტი 1967:337).

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები ფლექსიურ ფორმაში ნაკლებად გამოიყენება.

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატულ განკერძოებულ განსაზღვრებას ახასიათებს რითმულ-მელოდიური და სემანტიკური დამოუკიდებლობა. ზედსართავი სახელი იღებს მახვილს, მისი კავშირი არსებით სახელთან თავისუფალია. განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც წინადადებაში გამოყოფილია ინტონაციურად და სასვენი ნიშნებით, აზრობრივადაც უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე ჩვეულებრივი არაგანკერძოებული განსაზღვრება. იგი ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება ფუნქციის მხრივაც.

Dunkles Geschiebe, planlos, grenzenlos, und hell darüber

ein junger Herr im Helm, der Kaiser (მანი 1962:54).

სუბიექტს სამი განსაზღვრება ახლავს. ბოლო ორ განკერძოებულ განსაზღვრებას ახლავს დამატებითი ცნობის ელფერი და ადვილად ტრანსფორმირდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად.

Dunkles Geschiebe, das planlos grenzenlos war.

განკერძოებული განსაზღვრება ამ და მსგავს შემთხვევებში თითქოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შეკუმშული სახეა.

ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება დაკავშირებულია წინადადების გაფორმების ზოგიერთ განსაკუთრებულ სახესთან, კერძოდ ჩანართთან (Parenthese, Einschub).

ჩანართის ქვეშ იგულისხმება განკერძოებული დანართი წინადადებები, შესიტყვებები, სიტყვები, რომლებიც წინადადების შიგნით დაირთვება, წინადადების სხვა ნაწილებთან მინიმალური დაკავშირების ელემენტების გარეშე. როგორც ყველა განკერძოება, ისინიც ინტონაციურად და გრამატიკულად განცალკავდება.

ჩანართი შეიცავს ავტორის, ან სხვა მოქმედი პირის კომენტარს. მთხრობელის კომენტარები პარენტეტურად ჩაირთვება. ჩანართს წარმოადგენს პარენტეტური ხასიათის შენაერები, რომლებიც ხასიათდება საზღვრულ წევრთან შეთანხმების უქონლობით. ზედსართავი სახელისთვის და მიმღეობისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია საწყისი ფორმა.

ეს ჯგუფები ფორმალურად განკერძოვდება წინადადებაში, თუმცა შინაარსობრივი მიმართებები წინადადების სხვა წევრებთან თავისუფლად მყარდება. ამ სახის შენაერთები წარმოადგენს სიტყვათა თავისუფალ რიგებს, რომლებიც თავიანთ ერთობლიობაში გარკვეულ სურათს ქმნიან. დაქვემდებარების ფორმალური ნიშნები ხშირად არ არის გამოხატული.

მნიშვნელოვანია დანართი განვასხვავოთ ჩანართისაგან. ორივე სტრუქტურა ნაწილობრივ იგივეს გამოხატავს, მაგრამ „ჩანართები ქმნიან ჩანართს წრფივ სტრუქტურაში, რომელშიც ფუნქციონალურად არ არიან ინტეგრირებული. ჩანართები ძირითადად წარმოადგენს დამოუკიდებელ წინადადებებს ან ისინი აორმაგებენ წინადადების წევრის პოზიციას“ (აიზენბერგი 2006ბ:255).

„დანართი ამის საპირისპიროდ სხვა ერთეულებთან ერთად წარმოქმნის კონსტიტუენტს, ენობრივ ერთეულს, რომელიც დიდი კომპლექსური ერთეულის ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც მთლიანობაში წინადადების წევრის ფუნქცია გააჩნია“ (აიზენბერგი 2006ბ:255):

Ja, er erwachte, Emil Kubinke, mürrisch und unfroh, in grauer Dämmerung,
trübselig, ohne zu wissen, weshalb, dumm in der Erinnerungen
an peinliche Träume, die versunken waren, von denen er nichts
mehr wußte, und die ihn noch quälten (ჰერმანი 1963:108).
Da hockte Adrienne.., im kürzen Hängekleidchen, eine Lockenpuppe
unterm Arm, dürrbeinig, sommersprossig, mit zusammengepresten
Lippen und mißmutig gesunkter Stirn (ვაისკოპფი 1966:488).

თანამედროვე გერმანულ ენაში ზედსართავი სახელები პირველ რიგში არიან წინაველის ელემენტები. განსაზღვრულ პირობებში ისინი თავსდებიან ბოლოველში.

ნომინალურ სინტაგმაში სახელადი ჩარჩოდან წევრის გატანა ხორციელდება სტილისტური და რითმული საფუძვლებიდან გამომდინარე. ატრიბუტული ზედსართავი სახელი წინაველიდან გადადის ბოლოველში, რაც შემდეგი მიზნით ხორციელდება:

1) ამ წევრის უფრო გამოყოფის მიზნით:

Sieht es allerdings als klinischen Fall, retselhaft auch so,

aber für die Außenwelt ohne jede Folge (ფრიში 2000:22).

2) გამონათქვამის ცალკეული ნაწილების რითმული განაწილების მიზნით ზოგი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება წინაველში, ზოგი ბოლოველში.

Er hatte nach schwierigen Verhandlungen... eine Tonne Bier erfeilscht,

dunkelbraunes, süßes Bier, schaumig, sahnig (ცვაიგი 1966:225).

ხშირად ზედსართავი სახელები გამოხატავენ ანტონიმურ ნიშნებს:

Jenseits des Hügelchens liegt die Beute aus: nuen blankschwarze

Kolkraben, alte und junge (ცვაიგი 1967:373).

რეზიუმეს სახით ე. შენდელსი გამოჰყოფს განკერძოების შემდეგ სტილისტურ ზემოქმედებებს მის ყველა სახესხვაობაში:

1. განკერძოება ანიჭებს მეტყველებას ძალდაუტანებელ, თავისუფალ, სალა-პარაკო ენის შეფერილობას. ის არის გერმანული წინადადების „გაფხვიერების“ ერთ-ერთი გამოხატვის ფორმა (ე. რიზელი).

2. განკერძოება ემსახურება მეტყველების მოკლე, შემჭიდროვებულ, ინფორმაციულად მდიდარ შედგენას. წინადადება, რომელიც შეიცავს განკერძოებულ წევრებს, ცვლის რამოდენიმე წინადადებას.

3. განკერძოება ემსახურება განკერძოებული წევრების შეტყობინების ღირებულების ამაღლებას. წინადადების ყოველ განკერძოებულ წევრს აქვს უფრო დიდი სემანტიკური წონა, ვიდრე წინადადების არაგანკერძოებულ წევრებს.

4. განკერძოება ზოგჯერ მომქედებს როგორც სინტაქსური არქაიზმი, რომელსაც თან ახლავს ამაღლებული ან ხალხური ფონი (Röslein rot). ზოგჯერ განკერძოება არღვევს ჩვეულებრივ სინტაქსურ მიმართებებს, რის გამოც

მეტყველება გაჩეხილად, დანაწევრებულად, არათანაბრად და დაძაბულად ჟღერს. (შევად. მ. ფრიში, უ. ფედერშპილი, გ. ჰერმანი).

5. განკერძოება ჰყოფს წინადადებას მცირე სინტაგმებად, ხდის მათ უფრო თვალსაჩინოს, ცვლის წინადადების რითმულობას (შენდელსი 1982:337).

ზედსართავი სახელით გამოხატულ განკერძოებულ განსაზღვრებას განვიხილავთ წინადადების დონეზეც, ვეყრდნობით რა აქტუალური დაყოფის თეორიას, ანუ ვითვალისწინებთ გამონათქვამის გავლენას წინადადების სტრუქტურაზე.

წინადადება შედგება განსაზღვრული სიტყვათაწყობისაგან. ამის შესაბამისად შეიძლება გამოიყოს წინადადების ორი მხარე:

1) გრამატიკული მოდელი – წინადადება როგორც ფორმალურ-გრამატიკული სტრუქტურა განსაზღვრული სიტყვათაწყობით.

2) წინადადება როგორც აზრობრივი სტრუქტურა – გრამატიკული მოდელების რეალიზაცია მეტყველებაში.

წინადადების სტრუქტურის მთავარ წევრებად ითვლება ის წევრები, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან ზმნის პოტენციით და მასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. სხვა წევრები, რომლებიც უშუალოდ ზმნას არ უკავშირდება თავისუფალ წევრებს წარმოადგენს და წინადადების სტრუქტურისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

წინადადების სტრუქტურულ დაყოფას უპირისპირდება წინადადების აზრობრივი დაყოფა. (აქტუალური დაყოფა Thema-Rhema-Gliedernung). წინადადება როგორც აზრობრივი ერთეული წარმოადგენს ერთდროულად სინტაქსური და აზრობრივი დაძაბულობის წარმონაქმნს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც ზმნური, ასევე არაზმნური წევრების ადგილმდებარეობაზე წინადადებაში.

ენაში ინფორმაციის ძირითადი მტარებელი ერთეული არის წინადადება. წინადადებას, როგორც პრედიკატულ ერთეულს უნარი აქვს ასახოს სხვადასხვა მოქმედებათა სიტუაციები ან მდგომარეობები შეფასების ჩათვლით. პრედიკაცია არის წინადადების აუცილებელი და შეუცვლელი ნიშანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრედიკაცია სხვა არაფერია თუ არა კავშირი, ცნობება, შეტყობინება. პრედიკაცია შეიძლება განვიხილოთ ორი მხრივ:

1). ფორმალურ-სტრუქტურული

2). შინაარსობრივი.

პრედიკაციის ფორმალურ-სტრუქტურული ანალიზი გულისხმობს ამ ელემენტის დაზუსტებას შეტყობინებაში, რომელიც ატარებს ინფორმაციის ძირითად ტვირთს. აქედან გამომდინარეობენ ცნობილი თეორიები: წინადადების აქტუალური დაყოფა, თემისა და რემის, მოცემულის და ახალის, სუბიექტის და პრედიკატის ცნებები და ა.შ.

პრედიკაციის შინაარსობრივი ასპექტი არ შემოისაზღვრება ისეთი ელემენტების ანალიზით, როგორიცაა რემა, არამედ ხანდახან ვრცელდება მთელ შეტყობინებაზე და ჩაირთავს იმასაც, რაც აღიქმება როგორც ცნობილი.

ენის აგებულების ფუნდამენტს წარმოადგენს სიტყვა. ადამიანი საუბრობს და წერს სიტყვებით. არცერთი სხვა ერთეული არ არის მოსაუბრისათვის ისეთი მაღალი დოზით შეცნობადი, როგორც სიტყვა.

სიტყვას აქვს გამოხატულების პლანი (Formseite) და შინაარსის პლანი (მნიშვნელობა) (Inhaltsseite).

გრამატიკის ამოცანაა სიტყვების ფორმა და მნიშვნელობა აღწეროს. როგორც დუდენი მიიჩნევს: „გრამატიკის ამოცანაა შეისწავლოს, რომელ რეგუ-ლირებებს ექვემდებარება ფორმების და მნიშვნელობათა აგებულება და როგორ ურთიერთობენ ფორმა და მნიშვნელობა ერთმანეთთან (დუდენი 1998ა17).

ინფორმაციის მტარებლის როლი და მისი შეფასება ახასიათებს სიტყვასაც, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის ერთეულად, განსაკუთრებით რთული სიტყვები. მარტივი სიტყვა თავის თავში შეიცავს მრავალფეროვანი ნიშნების ერთობლიობას. ამიტომ, აუცილებელი ხდება სხვა დამატებითი ენობრივი საშუალება, რათა ეს სიტყვა აღვიქვათ, როგორც რომელიმე შეტყობინების ელემენტი. ასეთ დამატებით ენობრივ საშუალებას წარმოადგენს კონტექსტი ან ინტონაცია. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ კონტექსტი აზუსტებს ან ახდენს მრავალმნიშვნელიანი სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობის რეალიზაციას, ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ უშუალოდ შეტყობინების პროცესში ხდება გარკვეულ დაბრკოლებათა დაძლევა, ხოლო ეს დაბრკოლებები წარმოადგენენ ძალიან დიდი რაოდენობის ინფორმაციის არსებობის შედეგს, რომელსაც ფლობს სიგნალი, როგორც კოდის ელემენტს. პოტენციურად სიტყვა, განსაკუთრებით მარტივი სიტყვა ისწრაფვის გაზარდოს ენტროპია. ამას ადასტურებს მნიშვნელობების მუდმივად მზარდი რაოდენობა, რომლითაც სიტყვები იზრდებიან, ივსებიან თავიანთი გამოყენების პროცესში.

სიტყვას შეუძლია საგნის, მოვლენის ან სინამდვილის შესახებ გადმოსცეს რაღაც ახალი. მაგრამ სიტყვის ეს თვისება არსებობს მხოლოდ პოტენციაში და რეალიზდება სხვა სიტყვებთან ურთიერთმიმართებაში.

ლინგვისტური თვალსაზრისით, ინფორმაცია ანუ ცნობები, რომლებიც მთხრობელის ან დამწერის მიერ გადაეცემა მსმენელს ან მკითხველს, იმყოფება ენობრივი ურთიერთობების აქტთან უშუალო მიმართებაში. „ცნობების“ ცნება თავის მხრივ მიეკუთვნება ენათმეცნიერების შინაარსობრივ სემანტიკურ მხარეს.

დუდენის ლექსიკონში ინფორმაციის რამდენიმე განსაზღვრება მოიპოვება.

„ინფორმაცია (ლათ. informatio – განათლება, სწავლება) არის:

1. რაიმე საქმის შესახებ ინფორმირება;

2. გამონათქვამი ან მითითება, რომელთა საფუძველზეც ვინმე გარკვეული საქმის შესახებ (მნიშვნელოვანი პოლიტიკური) ინფორმირებული ხდება;

3. (კიბ.) ცნობის შინაარსი, რომელიც შედგენილია კოდის ნიშნებისაგან;

4. ცნობა“ (დუდენი 2007:879).

ი.ბ. მეტცლერის ლექსიკონში ინფორმაცია შემდეგნაირად არის განმარტებული: „ენის მცოდნეთათვის ინფორმაციის (ლათ. informatio – გადმოცემა, განმარტება) ცნება არის მათი გარემომცველი სამყაროს კომპლექსური გონითი წარმოდგენა, ხოლო ენობრივი სიგნალები განაპირობებენ ამ კომპლექსური წარმოდგენების მოწესრიგებულ ცვლილებებს. ასეთი პერსპექტივიდან გამომდინარე, გადამწყვეტია, როგორ შეესაბამება ზემოთ ხსენებულ ინფორმაციაზე „გამოთქმული“ ბუნებრივ სფეროს“ (მეტცლერი 2000:298).

ინფორმაცია რეალიზდება მხოლოდ სიტუაციურ-აქტუალიზებულ, არსებითად „დენოტატურ“ ან „რეფერენციალურ“ სემანტიკაში და ამ თვალსაზრისით იგი წარმოადგენს არა ენის ფაქტს, როგორც გამოხატვის საშუალებათა სისტემისა, არამედ სამეტყველო სინტაგმატიკის მოვლენას.

ენის საშუალებით ინფორმაცია გადაეცემა მთხრობელიდან მსმენელ პირს, ამავე დროს გადაცემული ინფორმაციის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია წინადადება-გამონათქვამში, არის ახალი, ხოლო ნაწილი მთხრობელისთვის და მკითხველისთვის არის უკვე ცნობილი. ეს არის ინფორმაციის სახე, რომელიც ქმნის გამონათქვამის პრესუპოზიციას. თემა - რემატული ორგანიზაცია, ანუ წინადადების კომუნიკაციური საფუძველი ვრცელ ადგილს იკავებს თანამედროვე სინტაქსურ თეორიაში.

წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივის მოდელი (FSP) (აგრეთვე თემა-რემატულ დაყოფად წოდებული) იკვლევს, როგორ ზემოქმედებს ერთმანეთზე ტექსტუალური კოჰეზიონალური საშუალებები და წინადადების სინტაქსური ნიშნები, როგორიცაა ინტონაცია და სიტყვათარიგი. წინადადებებსა და ტექსტებში ინფორმაციათა დაყოფის დროს წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივა, რამდენადაც წინადადების აქცენტს ითვალისწინებს, გადის წერილობითი ენის ფარგლებიდან.

წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივა ტექსტის კონტექსტთა ჩამოყალიბების დროს, როგორც ტექსტის კოჰეზიური მიმართებების სისტემაში მომყვანი მოდელი, ქმნის კავშირს ტექსტების ფორმასა და შინაარსის მხარეს შორის.

ის, რომ წინადადება იყოფა ნაწილებად, რომლებიც ცნობილ და ახალ ინფორმაციას გადმოსცემენ უკვე „სუბიექტის“ (ლათ. საფუძველში არსებული) და „შემასმენლის“ (ლათ. მის შესახებ გამოთქმული) ანტიკურ ცნებებშია მოცემული. მაგრამ დღეს ისინი წინადადების კონტექსტთა გრამატიკულ სტატუსთან არიან დაკავშირებული და ძირითადად ტერმინებით „თემა“ (ბერძნ. განლაგებული) და „რემა“ (ბერძნ. გამოთქმული) აღინიშნებიან.

„თემაში აღინიშნება წინადადების ინფორმაციული საფუძველი, ეს ნიშნავს იდენტიფიცირებას იმისა, რის შეხამებაც რაღაც გამოითქმება. ტიპურად იდენტი-ფიცირებული კონსტრუქციებია ნომინალური ფრაზები, რომლებშიც განსაზ-ღვრული არტიკლი იმაზე მიუთითებს, რომ მთქმელის ვარაუდით, საუბრის საგნები მსმენელისათვის ნაცნობია. საუბრის საგნებიც, რომლებიც წინადა-დებაში ნაცვალსახელებით და საკუთარი სახელებით გამოიხატება, თემატუ-რადაა იდენტიფიცირებული“ (დუდენი 2005:1862).

ტექსტუალურად თემატური ელემენტებისთვის ტიპურია ანაფორული და ანადეიქსის (როგორებიცაა ich, du, er, wir, da, jetzt, dann, so, რომლებიც მნიშვნე-ლობებს მხოლოდ სამეტყველო სიტუაციასთან მიმართებით მოიპოვებენ (მეტცლერი 2000:138) კოჰეზიური საშუალებები.

„რემა შეიცავს შინაარსებს, რომლებიც იდენტიფიცირებულ თემას წინადადების გამონათქვამის ჩარჩოებში მიეწერება, ანუ მის შესახებ გამონათქვამს. ის პრედიკაციას ემსახურება, რომლის ცენტრშიც ჩვეულებრივ უღლებადი ზმნა დგას. უღლებად ზმნაზე დამოკიდებული რემატული სფეროს

ნომინალური ფრაზები რემის სიახლეს აღნიშნავენ ხშირად განუსაზღვრელი არტიკლით“ (დუდენი 2005:1862).

ფუნქციური სიტყვები კატაფორის (პროფორმების მითითების და კავშირის ფუნქცია, რომლებიც ემსახურება რეციპიენტის ყურადღების მართვას და დაძაბულობის წარმოებას (მეტცლერი 2000:335) და კატადეიქსის საშუალებით რემატული სფეროს ჩარჩოებში მიუთითებს, რომ შესაბამის ცნებებს ტექსტში შემდგომი ინფორმაციები მოჰყვება, რემის განსაკუთრებულად გამოყოფილი ნაწილი ატარებს აქცენტს.

ნაცვალსახელები და საკუთარი სახელებიც შეიძლება იყოს რემატული. მათი იდენტიფიკაციური შედეგი ამ შემთხვევაში განისაზღვრება მათი მიკუთვ-ნებით პრედიკაციასთან.

უ. ენგელი თემა-რემატური მიმართებების შემდეგ დეფინიციას გადმოსცემს: „თემა ყოველთვის „მსუბუქ“ ნაწილს წარმოადგენს. ის ქმნის ინფორმაციის ჩარჩოს, ასახელებს რაიმეს, რომელზეც გამონათქვამი კეთდება. ძირითადად თემა გამონათქვამის თავში თავსდება.

რემა არის შეტყობინების (ცნობების) ბირთვი და ამით მიზეზი, რის გამოც ვსაუბრობთ. ის ძირითადად მთავარ აქცენტს ატარებს და ჩვეულებრივ მარჯვნივ თავსდება“ (ენგელი 2004:33).

უნდა აღინიშნოს, რომ რემა ყოველთვის არ შეიცავს ახალს, ისევე როგორც თემა არ გადმოსცემს აუცილებლად ცნობილს. ორივე სფეროსთვის ნიშან-დობლივია ყოველთვის „ინფორმაციის ჩარჩოს“ ნიშნები, შესაბამისად „მთავარი მაცნე“.

რემის და თემის ბირთვი შეიძლება შეიცვალოს. პრობატულ საშუალებას ამისათვის წარმოადგენს აქცენტი, რომელსაც ნებისმიერი ნაწილის გამოყოფა მისი როგორც ბირთვის აღნიშვნა შეუძლია.

შედარებით იშვიათ შემთხვევაში რემა შესაძლოა გამონათქვამის თავში მოთავსდეს. რემის მარკირების საშუალება ამ შემთხვევაში არის პირველ რიგში გამონათქვამის მთავარი აქცენტი, გამყარებული ხშირად უჩვეულო სიტყვათა წყობით:

Paß Achtung, Fabrikantle! (ჰესე 2004:39).

რემა გამონათქვამის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მაშინ როცა თემა მხოლოდ გაგების ხელშეწყობას ემსახურება. არსებობს ფორმები,

ძირითადად მოკლე გამონათქვამები, რომლებიც მხოლოდ ერთი რემისგან შედგება:

Danke! (ბიოლი 2003:55).

Bendorf! (დასახელების დროს) (ბიოლი 2003:56).

Becker! (წარდგენის დროს) (ბიოლი 2003:71).

გამონათქვამები პრინციპულად ექვემდებარება თემა-რემატულ დაყოფას. თემა-რემატულად დაყოფილი გამონათქვამების თანმიმდევრობა, შინაარსობრივი შეთანხმებები და უახლოესი გეგმები უზრუნველყოფენ ტექსტის კონექსიას.

ფუნქციონალური თვალსაზრისით ყოველ გამონათქვამში გამოიყოფა ილოკუცია და პროპოზიცია.

პროპოზიცია გადმოსცემს გამონათქვამის მნიშვნელობას ვიწრო აზრით, იმას, რაც უცვლელი რჩება, მაშინ როცა გამონათქვამის მოქმედების ტიპი იცვლება. ამდენად გამონათქვამებს:

Die Fahrt dauerte *dreiviertel Stunden* (ბიოლი 2003:37).

Dauerte die Fahrt *dreiviertel Stunden*?

Die Fahrt soll *dreiviertel Stunden* dauern!

ერთნაირი შინაარსი აქვს, რომ მგზავრობა განსაზღვრულ დრომდე (სამი მეოთხედი საათი) გრძელდება, მაშინ როდესაც მოქმედების ტიპი იცვლება.

ილოკუცია გამოხატავს გამონათქვამის მოქმედების ტიპს („მეტყველების აქტის ტიპიზაცია“), ანუ რა არის გადმოცემული: თხრობა, შეკითხვა, ბრძანება, მუქარა, წინააღმდეგობა. კომუნიკაციაში მისი გამოყენება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პროპოზიციის.

ილოკუციის გამოხატვის საშუალებებია:

1. უმეტესად ინტონაცია (ტონის მრუდი თხრობის ბოლოს დაბლდება, შეკითხვის ბოლოს მაღლდება).

2. ბგერის სიძლიერე (ბრძანებები ხმამაღლა წარმოითქმის, ვიდრე თხრობითი ხასიათის შეტყობინებები).

3. სხვა პარალინგვისტური საშუალებები – მიმიკა და ჟესტიკულაცია“.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ამ საშუალებების ისეთი ზუსტი აღწერა, როგორც წინადადებების წევრების და ფლექსიის ფორმების, მთლიანობაში ისინი კარგად ფუნქციონირებს. საზოგადოდ თანამოსაუბრე პირი უპრობლემოდ შეიცნობს შესაბამის ილოკუციას.

კომენტატორული ზმნიზედები: wahrscheinlich, vermutlich, vielleicht, მოდალური ნაწილაკები – aber, also, auch, bitte, bloß, denn, doch და უარყოფა უშვებენ ცალკეული წინადადებების თემა-რემატული სფეროს განცალკევებას. ამავე დროს წინადადება გადადის ფუნქციონალურად ნეიტრალური დამოკიდებული წინადადების სიტყვათაწყობაში, ზმნის პოზიციით ბოლო ადგილზე. ხოლო შესაბამისი სიტყვა ორივე სფეროს შორის თავსდება.

..und er kann nicht länger als eine Minute, wahrscheinlich weniger,

im Besitz des Geldes gewesen sein (ბიოლი 2003:131).

თემატური სფერო				რემატული სფერო
und er nicht	{	wahrscheinlich	{	kann im Besitz
länger		wohl		des Geldes gewesen sein.
als eine Minute		nicht		

ანალოგიურ მიმართებებთან დაკავშირებით, უ. ენგელი პროპოზიციისა და ილოკუციის გვერდით ასახელებს კიდევ ერთ ელემენტს – პემას, რომელიც პირველად ცემბმა შემოიტანა. პემა უმეტესად დამატებით ინფორმაციებს აწარმოებს.

„პემა წარმოადგენს ნაწილთა კომპლექსს, რომელიც არ აწარმოებს ძირითად ინფორმაციებს, არამედ მათ აფასებს, რომელიც ასევე არ ემსახურება ილოკუციის გამოხატვას, არამედ მასაც მხოლოდ აფასებს“ (ენგელი 2004:35).

პემას ჩვეულებრივ მიეკუთვნება ზმნის უღლებადი მორფემა და ექსისტიმატორული გამონათქვამების დიდი ნაწილი.

პემა შეიძლება თემა-რემატულ დაყოფას დაემატოს. ის, რასაც პემა გადმოსცემს არც თემაა და არც რემა, არც ცნობა და ფუნქციონალური კომპონენტების ნაწილი: თუმცა ის ორივე სფეროსთვის განსაზღვრულ როლს ასრულებს, აკავშირებს თემა-რემატულ სფეროს ფუნქციონალურ სფეროსთან, რაც გრაფიკულად შეიძლება შემდგენაირად გამოისახოს.



Es war vielleicht der üppigste Juni (ჰესე 2004:80).

Immerhin schien ich wirklich in Bendorf zu sein (ბიოლი 2003:55).

Sie sind ja so glücklich (ბიოლი 2003:30).

Freude herrschte sicher schon in den Herzen (ბიოლი 2003:85).

მოცემულ წინადადებებში „vielleicht“, „wirklich“, „sicher“ ვერიფიკატული თავისუფალი წევრებია და აღნიშნავენ წინადადების რეალურობის ხარისხს: უმეტესად სინამდვილე გვევლინება დადასტურებულად (დამოწმებულად), შეზღუდულად ან საეჭვოდ. მორფოლოგიური გამოხატვის ფორმებია: მოდალური ზმნიზედა, უფლექსიო ზედსართავი სახელი.

„ja“, „schon“ მოდალურ თავისუფალ წევრებს წარმოადგენს. ისინი მცირე გამონაკლისის გარდა ზემოქმედებენ გამონათქვამის ილოკუციაზე, აძლიერებენ, ასუსტებენ ან ცვლიან მას სხვადასხვა ხერხით: გამოხატავენ მთქმელის მიდგომას, ან უქმნიან პარტნიორს გარკვეულ განწყობას. მათ არ დაესმის შეკითხვა და მათთან არ დგება უარყოფა. ისინი არ თავსდება წინაველში და უმეტესობა მათგანი უმახვილოა. მორფოლოგიური გამოსახვის ფორმაა: გამონაკლისის გარეშე – ნაწილაკები.

გამონათქვამის ორი კომუნიკაციური ნაწილის აღნიშვნისათვის ლინგვისტიკაში გამოიყენება სხვა ტერმინებიც: ლოგიკური სუბიექტი, ლოგიკური პრედიკატი, ფსიქოლოგიური სუბიექტი, ფსიქოლოგიური პრედიკატი, აზრობრივი სუბიქტი, აზრობრივი პრედიკატი, ძირი და პრედიციული ნაწილი, მოცემული და ახალი. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თემა ყოველთვის არ ემთხვევა „მოცემულს“, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ხოლო „რემა“ ყოველთვის არ ემთხვევა „ახალს“. თემა-რემატული მიმართების ურთიერთზემოქმედებას აქვს ერთი მიზანი – გააფართოვოს წინადადების, ნებისმიერი ტიპის გამონათქვამის შეტყობინება.

ყველა ავტორთან ერთმნიშვნელოვნად არ განიხილება თემა-რემატული მიმართება. მაგრამ ყველა ავტორის კონცეფციებში საერთო არის ის, რომ თემა-რემატული ჯგუფი განიხილება როგორც წინადადების – გამონათქვამის აზრობრივი დაყოფა, როგორც აღვნიშნეთ, თემა გადმოსცემს ნაცნობ, განსაზღვრულ, მოცემულ, საწყისს, ანუ ძველ ინფორმაციას. რემა გადმოსცემს უცნობ,

განუსაზღვრელ ანუ ახალ ინფორმაციას. რემის საშუალებით გადმოცემული ინფორმაცია არის უფრო არსებითი, მნიშვნელოვანი, ამიტომ რემა წარმოადგენს გამონათქვამის ინფორმაციულ ცენტრს.

რამდენადაც იგივეობრიობა არის „მუდმივის“ და „სტატიკურის“ არსებობაზე დამყარებული, თემა წინადადებაში - გამონათქვამში პირველ რიგში ფუნქციონირებს სახელების ან მათი ექვივალენტების და – სახელადი კონსტ-რუქციების სახით. ხოლო განსხვავებულობა, რომელიც დაკავშირებულია „ცვალებადთან“, „დინამიურთან“ თავის გამოხატულებას პოულობს რემაში, ანუ პირველ რიგში პრედიკატში და პრედიკატულ კონსტრუქციებში.

აქტუალური სინტაქსი შედის პირველ რიგში მსმენელის გრამატიკაში, ვიდრე მთხრობელის გრამატიკაში. ასეთი წარმოდგენა ნაწილობრივ განპირო-ბებულია ტერმინებით, რომლებიც ხსნიან თემისა და რემის არსს. მაგალითად, „მოცემული“ და „ახალი“ განისაზღვრება მსმენელის პოზიციიდან, ხოლო - ინფორმაციულად უფრო – და ნაკლებმნიშვნელოვანი განისაზღვრება მთხრობე-ლის პოზიციიდან. თემა და რემა განიხილება როგორც ფუნქციონალურ–სემანტიკური კატეგორიები, რომელთა როლს წინადადების შემადგენლობაში ადგენს მთხრობელი, მაგრამ ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ლექსიკური და გრამატიკული ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მოცემულ ენაში და ასევე კონტექსტი და სიტუაციური ფონი, რომლებიც უზრუნველყოფენ შეტყობინების ინფორმაციულობას.

თემად და რემად დაყოფას ეწოდება აქტუალური დაყოფა, რამდენადაც იგი მოცემულ კონტექსტში ან მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში მოსაუბრისა და დამწერისთვის აქტუალური და არსებითია. ამ ტერმინის გვერდით ლინგვისტი-კაში გამოიყენება სხვა ტერმინებიც: კომუნიკაციური დაყოფა“, „კონტექსტუა-ლური დაყოფა“, „თემად და რემად დაყოფა“, „წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივა“, „წინადადების კომუნიკაციური პერსპექტივა“.

წინადადების ერთნაირი სინტაქსური შემადგენლობისას მისი აქტუალური დაყოფა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. წინადადების სხვადასხვა ვარიანტში თემის და რემის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს ამ წინადადების სხვადასხვა სინტაქსური კომპონენტები.

გერმანულ ენაში სიტყვათარიგი ასრულებს რამდენიმე ფუნქციას:

1) სტრუქტურის მაწარმოებელი ან გრამატიკული ფუნქცია წინადადების სახეების ფორმირების პროცესში.

„წინადადების სახეების ფორმირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთავარი წევრების ადგილს. ის მიეკუთვნება წინადადების მოდელების ნიშნებს. ამიტომ მთავარი წევრების ადგილი მკაცრად რეგულირებული და მტკიცეა. შესიტყვებების ფორმირებისას ადგილი აქვს დიდ თავისუფლებას ზმნური და ზმნიზედური შესიტყვებების მოდელებში. სუბსტანციურ შესიტყვებებში, სადაც ერთი არსებითი სახელი განსაზღვრავს მეორეს, სიტყვათარიგის ვარიაციის ნაკლები შესაძლებლობებია“ (შენდელსი 1982:315).

2. კომუნიკაციური ფუნქცია. თემა-რემატული-დაყოფის გადმოცემა.

გარდა არტიკლისა (განსაზღვრულობა დაკავშირებული თემასთან, განუსაზღვრელობა – რემასთან), თემის და რემის განსხვავებას ემსახურება სიტყვათარიგი და ინტონაცია. ჩვეულებრივ რემა თავსდება თემის შემდეგ, მნიშვნელოვანი ბოლოს შემოინახება, რადგან ამით დიდი დაძაბულობა მიიღწევა. წინადადებაში შეიძლება გამოიყოს 1 და 2 ხარისხის თემა, 1 და 2 ხარისხის რემა. 1 ხარისხის რემას აქვს უფრო მეტი ინფორმაციული ღირებულება, ვიდრე მე-2 ხარისხის რემას.

„წინადადება შეიძლება განვიხილოთ როგორც დაძაბულობის ველი (Spannungsfeld), რომელიც სამ ნაწილად იყოფა: წინაველი, შუაველი და ბოლოველი (ე. დრახი).

ე. დრახი თავისი ნიმუშის მიხედვით, ტოპოლოგიურ პოზიციებს ელემენ-ტარულ წინადადებაში განიხილავს როგორც ველებს (Felder), მაგრამ მნიშვნე-ლოვანი მოდიფიცირებებით. ეს პოზიციები წინადადების ჩარჩოსთან მიმართე-ბაში, რომელიც ელემენტარული წინადადების ტოპოლოგიურ საფუძველს ქმნის, შემდეგნაირად აღინიშნება. პოზიცია ზმნის უღლებადი ნაწილის წინ წარმო-ადგენს წინაველს, მის მომდევნოდ ბოლოველს, ხოლო წინადადების ცენტრს – შუაველს ქმნის ზმნური პრედიკატული მოქმედება, რომელიც ზმნის პირიანი ფორმით გამოიხატება.

ჩვეულებრივ ყოველი წინადადება იწვევს განსაზღვრულ დაძაბულობას. რელაციური განტვირთვა წარმოიქმნება წინადადების ბოლოს. თუ ნათქვამი შედგება რამდენიმე წინადადებისგან, მაშინ უკანასკნელ წინადადებას მოაქვს საბოლოო განტვირთვა. წინაველში ჩვეულებრივ თავსდება თემა, შუა და მომდევნო ველში რემა.

ემოციურ საუბარში გამონათქვამი შესაძლოა რემით დაიწყოს:

Sofort verschwinden muß ich jetzt, sonst

verpasse ich meinen Zug“ (შენდელსი 1982:316).

Neulich haben sie mich kontroliert (ბიოლი 2003:32).

შუაველი (Mittelfeld-ი) წარმოადგენს უფრო რთულ გამოსახულებას, ვიდრე წინა და მომდევნო ველი. წინაველი შესაძლოა ზოგიერთი სახის ელემენტარულ წინადადებაში საერთოდ არ არსებობდეს: მაგალითად, ზმნურ ბრძანებით წინადადებაში, კითხვით წინადადებაში. რადგან შუაველი შეიცავს საკუთარ, ზოგჯერ ძალიან მრავალ კომპონენტს, იქ შესაძლებელი ხდება ადგილის სხვადასხვა კომბინაციები. განსაკუთრებით ბოლო წლებში ტარდება ცდები, განისაზღვროს წესები, რომლებიც დამახასიათებელნი არიან შუაველში სიტყვათაწყობისათვის. ძალიან ნათლად იკვეთება ტენდენცია, რომ თუ შუაველი შეიცავს რამოდენიმე წევრს, მაშინ მათი პოზიცია შემდეგი პრინციპით განისაზღვრება, რაც უფრო მჭიდროდ უკავშირედებიან წევრები ზმნას და რაც უფრო ძირითადი არიან ისინი წინადადების ჩაკეტვისათვის და მისი საერთო აზრის გამოხატვისათვის, მით უფრო სცილდებიან ისინი ზმნის უღლებად ნაწილს.

”Er will ... fahren. „fahren” ქმნის ყველაზე მჭიდრო ერთეულს მოდალურ ზმნასთან და იგი ძალიან სცილდება მას. მაგრამ ხშირად არ არის ნათელი, სინტაქსურად რომელი წევრები დგანან ზმნასთან ახლოს. წარმოიშობა სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენს სიტყვის ადგილზე.

მოსაუბრის კომუნიკაციურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ზმნის ჯგუფ-ში ხშირად ძირითადად გვევლინება, არა ის, რაც სტრუქტურულად უფრო ახლოს დგას ზმნასთან, მაგალითად პირდაპირი დამატება, არამედ ირიბი დამატება და შესაბამისად სიტყვათაწყობა Ich gebe dem Knaben den Brief, იცვლება სიტყვათაწყობით - Ich gebe den Brief dem Knaben” (ადმონი 1986:303).

მაშასადამე, კომუნიკაციურად მნიშვნელოვანს აქვს ტენდენცია მოთავსდეს წინადადების ბოლოს, თუ იგი არ იკავებს პირველ ადგილს. ამავე დროს გავლენას ახდენს რითმული საფუძვლები. რითმულად მძიმე წინადადების წევ-რები, რომლებსაც ეს სიმძიმე უკვე გარკვეულ მნიშვნელოვნებას ანიჭებს, იჩენენ მიდრეკილებას შეძლებისდაგვარად წინადადების ბოლოს მოთავსდნენ. (Behagels Gesetz der wachsenden Glieder).

აქტუალური დაყოფის ვარიანტები ძირითადად განსხვავდება სიტყვა-თარიგით. სიტყვათარიგის ცვლილებით იცვლება აქტუალური დაყოფა. სიტყვათა სხვადასხვა წყობის დროს წინადადების აზრი, მისი კომუნიკაციური დანიშნულება სხვადასხვაა.

Dieses Haus / stand auf der Erde (ბიოლი 2003:38).

(„/“ - არის თემად და რემად დაყოფის ნიშანი).მოცემულ წინადადებაში Dieses Haus - არის თემა, stand auf der Erde - არის რემა. წინადადება პასუხობს კითხვაზე: სად დგას სახლი? - იგი დგას მიწაზე.

სიტყვათაწყობის ცვლილების დროს იცვლება აქტუალური დაყოფა და წინადადების კომუნიკაციური დანიშნულება.

Auf der Erde stand / dieses Haus.

Auf der Erde - არის თემა, dieses Haus - არის რემა.

წინადადება პასუხობს კითხვაზე: რა დგას მიწაზე? - სახლი.

ამრიგად, სიტყვათაწყობის შეცვლით შეიცვალა წინადადების აქტუალური დაყოფა და აქედან გამომდინარე მისი კომუნიკაციური დანიშნულება. სიტყვათაწყობა ემსახურება აქტუალური დაყოფის გამოხატვას. სიტყვათაწყობა წარმოადგენს აქტუალური დაყოფის ძირითად საშუალებას.

აქტუალური დაყოფის დონეზე ნომინალურ სინტაგმაშიც სიტყვათარიგს აქვს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია, იგი განასხვავებს თემას და რემას.

არსებითი სახელის ჯგუფში ჩარჩო წარმოიქმნება ძირითადი სიტყვის მიმართ დამხმარე კომპონენტების - არტიკლის, წინდებულის, პრონომინალური წევრების დისტანციით, ისე, რომ ჯგუფის ყველა შეთანხმებადი წევრი თავისი ახლო განმმარტავი სიტყვებითურთ ამ ჩარჩოთი შემოისაზღვრება. ქვემდებარის ჯგუფში არაგანკერძოებული განსაზღვრებები მით უფრო მჭიდროდ უკავშირ-დებიან არსებით სახელს, რამდენადაც მასზე დამოკიდებული არიან.

ზედსართავი სახელი წარმოადგენს სიტყვა-ინფორმანტს. ნომინალურ სინტაგმაში ატრიბუტული ზედსართავი სახელის პრეპოზიცია დაკავშირებულია თემის გამოხატვასთან, პოსტპოზიცია რემის გამოხატვასთან. ინფორმაციის ძირითად დატვირთვას პრეპოზიციაში ატარებს არსებითი სახელი, ხოლო პოსტპოზიციაში ინფორმაციულ ცენტრს ქმნის ზედსართავი სახელი.

პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი თემა, რომელიც გად-მოსცემს ძველ, მოცემულ, ნაცნობ ინფორმაციას, ნომინალურ სინტაგმაში თავს-

დება რემის – არსებითი სახელის წინ. ასეთ სიტყვათაწყობას, როდესაც ზედსართავი სახელი თემა წინ უსწრებს არსებით სახელს – რემას ეწოდება „სუბიექტური“ სიტყვათაწყობა. (ვ. მათეზიუსი). ნომინალურ სინტაგმაში სტატიკურია პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი (თემა), დინამიურია არსებითი სახელი (რემა).

... ich erkannte sofort das kleine Mädchen von damals;

dieses spinnenartige, mürische Gesicht (ბიოლი 2003:45).

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი - რემა, გადმოსცემს ინფორმაციის ძირითად დატვირთვას, ახალ უცნობ, განუსაზღვრელ ინფორმაციას და თავსდება არსებითი სახელის, თემის შემდეგ. ასეთ სიტყვათაწყობას, როდესაც ზედსართავი სახელი - რემა მოჰყვება არსებით სახელს - თემას, ეწოდება „ობიექტური“ სიტყვათაწყობა. ნომინალურ სინტაგმაში სტატიკურია არსებითი სახელი (თემა), დინამიურია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი (რემა).

.. in dem Lichtschein stand die Gestalt,

schlank und dunkel (ველსკოფ-ჰენრიხი 1967:47).

ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ვთვლით, რომ ნომინალურ სინტაგმაში თემა – რემატული მიმართებები დაკავშირებულია არამარტო სტილისტურად ნეიტრალური სალიტერატურო ენის სწორ ლოგიკურ აღნაგობასთან, რომელიც მოითხოვს, რომ თემა როგორც გამონათქვამის ამოსავალი, საწყისი პუნქტი მოთავსდეს თავში, ხოლო რემა – ახალი, მკითხველისთვის უცნობი, განუსაზღვრელი მოთავსდეს ბოლოს, თემის შემდეგ, არამედ იგი პირველ რიგში დაკავშირებულია ატრიბუტული ზედსართავი სახელის ინფორმაციულ ხასიათთან, მის ფუნქციასა და მნიშვნელობასთან ნომინალურ სინტაგმაში. პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემურ იერარქიაში არსებითი სახელი – რემა განსაზღვრავს ლოგიკურ – სემანტიკურ დონეზე ზედსართავი სახელის – თემის შინაარსს. არსებითი სახელი გადმოსცემს ზედსართავ სახელზე ახალ ინფორმაციას, ხოლო ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი – რემა ნებისმიერ კონტექსტში გადმოსცემს ახალ უცნობ, არსებითი სახელის დამახასიათებელ ერთ კონკრეტულ თვისებას. ზედსართავი სახელი გადმოსცემს არსებით სახელზე ახალ ინფორმაციას.

წინადადებაში პრეპოზიციური ან პოსტპოზიციური ზედსართავი სახელით წარმოდგენილი ნომინალური სინტაგმა შეიძლება შევიდეს თემის შემადგენლობაში და მოთავსდეს წინაველში ზმნის წინ, ან შეიძლება ის შევიდეს რემის შემადგენლობაში და მოთავსდეს ბოლოველში, ზმნის შემდეგ.

წინაველი.

..krumme, schwarze, altmodische Kleiderhacken/

waren in die Wände eingelassen (ბიოლი 2003:50).

Dieser Wurf, sicher und herrisch, / erinnerte mich an jene

düsteren Stunden der Vergangenheit (ბიოლი 2003:13).

ბოლოველი.

Jupp / goß in dem braunen Blechtopf auf (ბიოლი 2003:16).

Holt / sah ein Tal, unwegsam und felsig (ნოლი 1967:23).

ანალოგიურ მიმართებებს ადგილი აქვს ნომინალური სინტაგმის შიგნითაც, სადაც ასევე წარმოიქმნება წინაველი და ბოლოველი. არსებითი სახელი თავისი თანმხლები სიტყვებითურთ წარმოადგენს ნომინალურ შესიტყვებას, რომლის კომპონენტები განლაგებული არიან განსაზღვრული წესების შესაბამისად. აქედან გამომდინარე პოზიციური ველის ცნება შეიძლება გამოყენებული იყოს აგრეთვე ნომინალურ ჯგუფთან მიმართებაში. ძირითად სიტყვას (არსებით სახელს) განვიხილავთ როგორც ველის შუაგულს (შუაველს), მაშინ მის წინ მდგომი ყველა განმმარტავი ქმნის წინაველს, ხოლო ყველა მომდევნო განმმარტავი - ბოლოველს. წინაველის წევრები განლაგებული არიან სახელადი ჩარჩოს პრინციპის მიხედვით. ჩარჩო იქმნება ერთის მხრივ არტიკლის ან ადიექტიური ნაცვალსახელის და მეორეს მხრივ ძირითადი სიტყვისაგან. ამ პოლუსებს შორის თავსდება ყველა ადიექტიური განსაზღვრება, რომლებიც განლაგდებიან სემანტიკური პრინციპის მიხედვით.

აქტუალური დაყოფის მეორე მნიშვნელოვანი საშუალებაა ინტონაცია. წინადადების ინტონაციური ცენტრი - ფრაზული მახვილი ეცემა რემაზე, როგორც გამონათქვამის მთავარ კომუნიკაციურ ნაწილზე. თემა გამოიყოფა ტონის აწევით. ტონის გაწყვეტა ქმნის პაუზის შთაბეჭდილებას თემის შემდეგ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია რეალური პაუზაც.

სიტყვათაწყობა და ინტონაცია, როგორც აქტუალური დაყოფის გამოხატვის ორი ფორმალური საშუალება იმყოფება ერთმანეთთან რთულ და მჭიდრო ურთიერთკავშირში.

აქტუალური დაყოფის დონეზე სიტყვა და სიტყვათა მთელი კომპლექსები წინადადებაში განლაგდება იმის მიხედვით, აქტუალური დაყოფის რომელ კომპონენტში შედიან ისინი - თემაში თუ რემაში.

სტილისტურად ნეიტრალური სალიტერატურო ენის სწორი ლოგიკური აღნაგობა მოითხოვს, რომ თემა როგორც გამონათქვამის ამოსავალი, საწყისი პუნქტი, მსმენელისთვის ან მკითხველისთვის ხშირად ნაცნობი, მოთავსდეს წინადადების თავში, ხოლო რემა ახალი, მკითხველისთვის უცნობი, მოთავსდეს წინადადების ბოლოს, თემის შემდეგ. ამ წესის დარღვევას ენაში მივყავართ მონათხრობის ლოგიკური თანმიმდევრობის დარღვევამდე ან ექსპრესიული შეფერილობის წარმოშობამდე.

ენაში სიტყვათარიგის კანონზომიერების შესწავლის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვათაწყობა ერთდროულად ფუნქციონირებს წინადადების სტრუქტურის ორ დონეზე- - სინტაქსური სტრუქტურის დონეზე და მისი აქტუალური დაყოფის დონეზე.

წინადადების სინტაქსური სტრუქტურის დონეზე საქმე ეხება წინადადების სინტაქსური კომპონენტების განლაგების წესებს. ამ წესების შესწავლისას არსებითად გვევლინება სინტაქსური დაყოფის იერარქიის ცნება, ანუ წინადადების თანმიმდევრული დანაწევრება სინტაქსურ ჯგუფებად, ხოლო ჯგუფის შიგნით - მის შემადგენელ კომპონენტებად, რომლებიც ამ ჯგუფს შეადგენენ. ქვემდებარის და შემასმენელის ურთიერთგანლაგება განისაზღვრება აქტუალური დაყოფით. ჯგუფის შიგნით შესიტყვების კომპონენტების ურთიერთგანლაგება (თუ ქვემდებარის ან შემასმენელის ჯგუფი არ იყოფა აქტუალური დაყოფით) ექვემდებარება წესებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან შესიტყვების ტიპთან და ამ კომპონენტებს შორის სინტაქსური მიმართების ხასიათთან.

აქტუალური დაყოფის დონეზე სიტყვათაწყობას აქვს განსაზღვრული ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია წინადადების აზრთან – ის განასხვავებს თემას და რემას. თუ ქვემდებარის ჯგუფი (ან ქვემდებარე გაუვრცობელ წინადადებაში) ემთხვევა თემას, ხოლო შემასმენელის ჯგუფი (ან შემასმენელი გაუვრცობელ წინადადებაში) ემთხვევა რემას, შეიძლება ვილაპარაკოთ აქტუალური დაყოფის შესაბამისობაზე სინტაქსურ დაყოფასთან.

Felsbrocken, so groβ wie ein Haus, / lagen hier umher (კაინი 1962:95).

მოცემულ წინადადებაში ქვემდებარის ჯგუფი ემთხვევა თემას, შემასმენლის ჯგუფი ემთხვევა რემას, ანუ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ აქტუალური დაყოფის შესაბამისობაზე სინტაქსურ დაყოფასთან.

შესაძლებელია სხვა მიზანდასახულობაც, როცა თემა არ ემთხვევა ქვემდებარის ჯგუფს, ხოლო რემა შემასმენლის ჯგუფს. ამ შემთხვევაში აქტუალური დაყოფა არ ემთხვევა სინტაქსურ დაყოფას. ამიტომ, თავის ძალას კარგავენ წესები, რომლებიც აუცილებელნი არიან წინადადების სინტაქსური სტრუქტურის დონეზე და ძალაში შედიან წესები, რომლებიც არსებობენ აქტუალური დაყოფის დონეზე: თემა უნდა მოთავსდეს რემის წინ.

In einem Garten hingen / Hemden,

steif wie Schloßgespenster (ფედერშპილი 2000:209).

ამ შემთხვევაში თემა არ შეესაბამება ქვემდებარის ჯგუფს, ხოლო რემა არ ემთხვევა შემასმენლის ჯგუფს, ანუ აქტუალური დაყოფა არ ემთხვევა სინტაქსურ დაყოფას. წინადადების იმ ნაწილების სიტყვათაწყობა, რომლებსაც არ ეხება აქტუალური დაყოფა, ექვემდებარება შესიტყვების ფარგლებში მოქმედ წესებს.

მოცემულ წინადადებაში აქტუალურ დაყოფასთან დაკავშირებით შეიცვალა ქვემდებარის და შემასმენელის ჯგუფის განლაგება, მაგრამ სიტყვათაწყობა შესიტყვებაში უცვლელი დარჩა.

სიტყვათაწყობა სინტაქსური სტრუქტურის დონეზე არ წარმოადგენს აზრის განმასხვავებელ საშუალებას, ე.ი. ის არ ემსახურება გრამატიკული კატეგორიების განსახვავებას, ხოლო აქტუალური დაყოფის დონეზე იგი ასეთ საშუალებას წარმოადგენს.

ამრიგად, სიტყვათაწყობა არარელევანტურია, არ გააჩნია აზრის განმასხვავებელი ფუნქცია წინადადების სინტაქსური სტრუქტურის დონეზე და რელევანტურია – აქვს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია მისი აქტუალური დაყოფის დონეზე. სიტყვათაწყობის აზრის განმასხვავებელი ფუნქცია ხორციელდება ფრაზის სტილისტურად ნეიტრალური, რითმულ-მელოდიური, ინტონაციური სტრუქტურის და ფრაზის ბოლოს ფრაზული მახვილის ფონზე.

3) სიტყვათარიგის შემდეგი ფუნქციაა სტილისტური ფუნქცია. „სიტყვათარიგის სტილისტური ფუნქცია მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნიკაციურ ფუნქციასთან. სტილისტური მოქმედებებისას სიტყვათარიგი ემსახურება წინადა-

დების ცალკეული ნაწილების ექსპრესიულ გამოყოფას და განსაზრვრული სტილისტური ეფექტების გამოწვევას. სტილისტურად არის განპირობებული სრული და შემოკლებული ჩარჩოს ვარიაციები, პირდაპირი და ინვერსიული სიტყვათაწყობა, თავისუფლად მოძრავი წინადადების წევრებისათვის (ობიექტები, გარემოებები, პრედიკატული განსაზღვრებები) პოზიციის არჩევანი“ (შენდელსი 1982:316). ყოველ ფუნქციონალურ სტილში სიტყვათარიგის თვალსაზრისით არის განსაკუთრებულობანი. რაც ერთ ფუნქციონალურ სტილში დაუშვებელია, ნორმაა სხვა ფუნქციონალურ სტილში. რეკლამა და განცხადებები გამოირჩევიან განსაკუთრებული სიტყვათარიგით – განკერძოებული ადიექტური განსაზღვრებებით.

ენობრივი მასალის ანალიზი გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

1. ნომინალური ფრაზის წრფივი სტრუქტურა ორდინალური და მყარია. არსებითი სახელის შესაძლო სატელიტების გათვალისწინებით თვალსაჩინო ხდება ნომინალური ფრაზის მდიდარი სტრუქტურა. ნომინალურ ელემენტებს მიეკუთვნება არსებითი სახელის და ნაცვალსახელების ყველა სატელიტი, უპირველეს ყოვლისა დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები.

მარცხენა ველში ობლიგატორულად თავსდება დეტერმინანტი, რომელიც სახელიდან ნომინალურ ფრაზაში გადასვლის მარკირებას ახდენს და ზედსართავი სახელი. აქვე ფაკულტატურად განლაგდება ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები (კუთვნილებითი, სუბიექტური, ობიექტური დამოკიდებულებით), არსებითი სახელი ინვარიანსი, არსებითი სახელი ვარიანსი და ოკაზიონალურად დისიუნქტები, რომლებიც შესაძლოა მოსცილდნენ სახელად ბირთვს.

2. დეტერმინანტი და ზედსართავი სახელი, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა არსებითი სახელის თანმხლები ელემენტებია, თავისუფალ წევრებს წარმოადგენენ. არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი სახელი ვარიანსი სუბსპეციფიკური ელემენტებია, ამდენად არსებითი სახელის აქტანტებს წარმოადგენენ. ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები არიან ნაწილობრივ აქტანტები, ნაწილობრივ თავისუფალი წევრები. დისიუნქტები გამონაკლისის გარეშე თავისუფალი წევრებია.

3. ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის სატელიტები გაცილებით მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე მარცხენა ველის სატელიტები. მარჯვენა ველში ობლიგატორულად თავსდება:

ტიპურად პრეპოზიციური დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები
წინდებულიანი განსაზღვრებები
დირექტიული განსაზღვრებები
ექსპანსიური განსაზღვრებები
ნომინალური განსაზღვრებები
ვერბატული განსაზღვრებები
კვალიტატური წევრები
სიტუაციური წევრები
კომიტატური წევრები
მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები
დანართი
აქვე ფაკულტატურად თავსდება:
ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები
არსებითი სახელი ვარიანსი
არსებითი სახელი ინვარიანსი

ჩამონათვალში პირველი ხუთი განსაზღვრება აქტანტია. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები და ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები (კუთვნილებითი, სუბიექტური, ობიექტური, ექსპლიკატორული ნათესაობითი) ფუნქციონირებენ როგორც აქტანტები და თავისუფალი წევრები. ექსპლი-კატორული ნათესაობითი გამონაკლისის გარეშე მარჯვენა ველის სატელიტია და ის არასოდეს თავსდება მარცხენა ველში. დანარჩენი განსაზღვრებები თავისუფალ წევრებს წარმოადგენენ.

4. განხილული განსაზღვრებებიდან ვარიაბული პოზიციით (განთავსდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ველში) ხასიათდება: დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები, რომლებიც გამონაკლისის სახით თავსდება მარჯვენა ველში. წინდებულიანი და დირექტიული აქტანტები, რომლებიც პრინციპულად მარჯვენა ველის სატელიტებია, გამონაკლისის სახით მარცხენა ველშიც ჩნდება. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, რომელთა პრეპოზიციაც ამაღლებულ ენაშია დასაშვები. ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები, თუ ისინი ადამიანს აღნიშნავენ, თავსდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ველში. ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები სხვა მნიშვნელობებით მხოლოდ პოეტურ ენაში განთავსდება მარცხენა ველში პირველ ადგილზე.

არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი სახელი ვარიანსი ორივე ველში თავსდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი სემანტიკურად და სინტაქსურად იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ მიზანშეწონილიც აღარ არის განსაზღვრებათა ამ ორი კლასის ვარიაბულ პოზიციაზე საუბარი. ვარიაბული პოზიციით გამოირჩევა დისლოცირებადი ელემენტებიც: კვანტორები – დეტერ-მინანტები: all-, einig-, kein-, რიცხვითი ზედსართავი სახელები: beid-, viel-, wenig- და ზედსართავი სახელები, წინდებულიანი განსაზღვრებები და დისიუნქტები (დასაბამიერი მიმღეობები, als-იანი ნომინალური ფრაზები, ზმნიზედები: allein, blindings, selbst), რომლებსაც შეუძლიათ მოსცილდნენ ნომინალურ ფრაზას და წინადადებაში სხვა ადგილი დაიკავონ. ამავე დროს მათი დისლოცირება ფაკულტატურია და შესაძლოა ისინი უშუალოდ ნომინალური ბირთვის გვერდით განთავსდეს (მისგან მარჯვნივ ან მარცხნივ).

ენობრივი ელემენტები, რომლებიც ვარიაბული პოზიციით გამოირჩევა, არ წარმოადგენს სინონიმურ კონსტრუქციებს. სხვადასხვა პოზიციაში მათ სრულიად განსხვავებული სემანტიკური და სინტაქსური დამოკიდებულებები გააჩნია და აქედან გამომდინარე არსებობენ იმისთვის, რომ გამოხატონ ობიექტური სინამდვილის სხვადასხვა კანონზომიერებანი.

5. არსებითი სახელი, როგორც სახელადი ფრაზის ბირთვი, ადგენს ორ მომენტს. კატეგორიალური მნიშვნელობით კარნახობს აქტანტებს აუცილებელ მინიმალურ სემანტიკურ ნიშნებს და რელატორების საშუალებით გამოხატავს სემანტიკურ მიმართებას სახელად ბირთვსა და აქტანტს შორის.

ცალკეული თავისუფალი წევრები განსხვავებულად ახლო დამოკიდებუ-ლებაში იმყოფებიან ბირთვთან. ამ სპეციფიკური დისტანციის მიხედვით გამოიყოფა 3 სუბკლასი:

1) დამაზუსტებელი თავისუფალი წევრები, სადაც შემოდის ზედსართავი სახელები, სიტუაციური და კომიტატური თავისუფალი წევრები და განსაზ-ღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

2) იდენტიფიცირებადი თავისუფალი წევრები, მათ მიეკუთვნება უპირველეს ყოვლისა დეტერმინანტები, პრეპოზიტური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვ-რებები, არსებითი სახელი ინვარიანსი, არსებითი სახელი ვარიანსი მარცხენა ველში. მათი ფუნქციაა მოახდინოს სიდიდის, როგორც „სინამდვილეზე პრეტენზიის მქონეს“ იდენტიფიცირება, ისინი არსებით სახელს სახელად ფრაზად აქცევენ.

3) ინფორმირებადი თავისუფალი წევრები, რომლებსაც არც დამაზუსტებელი და არც იდენტიფიციტებადი ფუნქცია არ გააჩნიათ და საერთოდაც თავიდანვე ნომინალურ ფრაზებს არ განეკუთვნება, არამედ მათ მხოლოდ განმარტებლებად თან ახლავან. ამ თავისუფალ წევრებს მიეკუთვნება დანართები.

6. დეტერმინანტი ნომინალურ ბირთვთან ერთად იცვლება სქესის, ბრუნვის და რიცხვის მიხედვით. დეტერმინანტი ემსახურება ნომინალური ფრაზით აღნიშნულ სიდიდეთა იდენტიფიკაციას. დეტერმინანტის სუბკლასები მართავენ ზედსართავი სახელის ფლექსიას (das schöne Mädchen, ein schönes Mädchen, die schönen Mädchen, schöne Mädchen). აქედან გამომდინარე, ზედსართავი სახელი დეტერმინანტის დეპენდენსია.

7. გერმანულ ენაში ნომინალური ფრაზისთვის სახელადი ჩარჩო წარმოადგენს ტოპოლოგიურ მახასიათებელს. სახელადი ჩარჩო წარმოიშობა თავსა და ბირთვს შორის, პროტოტიპურად არტიკლსა და არსებით სახელს შორის. გერმანულ ენაში ნომინალური ფრაზის შიგნით ამგვარი ჩარჩო არ არსებობს, რადგან შეთანხმება ვრცელდება არტიკლსა და ბირთვს შორის მდგარ ზედსართავ სახელზეც. ზედსართავი სახელი ჩარჩოში არ თავსდება, არამედ წარმოიშობა „შეთანხმების ხაზი“, რომელიც ყველა სამივე ერთეულს მოიცავს, უფრო მეტიც, ჩარჩო წარმოიქმნება არა არტიკლსა და არსებით სახელს, არამედ არტიკლსა და ზედსართავ სახელს შორის, როცა ზედსართავი სახელი ნომინალურ ფრაზაში მოცემულია.

როგორც განსაზღვრება ზედსართავი სახელი, როგორც წესი, დგას არსებითი სახელის წინ და მასთან ერთად იცვლება. ფლექსიურია ზედსართავი სახელი ეგრეთწოდებულ დისტანციურ პოზიციაზეც.

8. ტექსტში გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით ყველა ზედსართავი სახელი გამოყენებადია განსაზღვრების ფუნქციაში (ამას მოითხოვს მათი დეფინიცია).

ზედსართავი სახელები შესაძლოა ფუნქციონირებდნენ წინადადების როგორც ობლიგატორული აქტანტები ან წინადადების თავისუფალი წევრები.

ყველა ზედსართავ სახელს არ შეუძლია ყველა სინტაქსური ფუნქციის რეალიზება:

1) არიან ზედსართავი სახელები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამივე – განსაზღვრების, პრედიკატივის, გარემოების ფუნქციაში.

2) მხოლოდ განსაზღვრების ფუნქციაში გამოიყენება ზედსართავ სახელთა მცირე ჯგუფი, რომლებიც ადგილის ან დროის მონაცემს გამოხატავენ: bischöflich, dortig, heutig, andere, ober, mittler.

3) მხოლოდ პრედიკატულად გამოიყენება: quitt, leid, schade, angst, schuld (mir ist bang, er ist schuld, wir sind quitt), თუმცა ისინი არა ზედსართავ სახელებს, არამედ უფრო „კოპულატურ ნაწილაკებს“ მიეკუთვნება, რადგან ითვლება, რომ არ არსებობს მხოლოდ პრედიკატივის ფუნქციაში გამოყენებადი ზედსართავი სახელები.

4) მხოლოდ ატრიბუტულად და გარემოების ფუნქციაში გამოიყენება: wöchentlich, täglich.

9. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატულ განკერძოებულ განსაზღვრებას ახასიათებს რითმულ-მელოდიური და სემანტიკური დამოუკიდებლობა. ზედსართავი სახელი იღებს მახვილს, მისი კავშირი არსებით სახელთან თავისუფალია. განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც წინადადებაში გამოყოფილია ინტონაციურად და სასვენი ნიშნებით, აზრობრივადაც უფრო დამოუკიდებელია, იგი განსხვავდება ჩვეულებრივი განსაზღვრებისაგან ფუნქციის მიხედვითაც. განკერძოებულ განსაზღვრებას ახლავს დამატებითი ცნობის ელფერი და ადვილად ტრანსფორმირდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად. იგი თითქოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შეკუმშული სახეა.

10. თანამედროვე გერმანულ ენაში ზედსართავი სახელები პირველ რიგში არიან წინაველის ელემენტები. განსაზღვრულ პირობებში ისინი თავსდება ბოლოველში.

სახელადი ჩარჩოდან წევრის გატანა ხორციელდება სტილისტური და რითმული საფუძვლებიდან გამომდინარე. ატრიბუტული ზედსართავი სახელი წინაველიდან გადადის ბოლოველში, რაც შემდეგი მიზნით ხორციელდება:

1) ამ წევრის უფრო გამოყოფის მიზნით:

2) გამონათქვამის ცალკეული ნაწილების რითმული განაწილების მიზნით ზოგიერთი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება წინაველში, ზოგი ბოლოველში.

ხშირად პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები გამოხატავენ ანტონიმურ ნიშნებს.

11. თანამედროვე გერმანულ ენაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება გვხვდება უფლექსიო წყვილადი ფორმით – ორი

ზედსართავი სახელით (ტყუპი ფორმა – Zwillingsformen), რომელთა შორის დგას ძირითადად „und“ კავშირი, ასევე შესაძლებელია კავშირები: oder, ob..., oder, nicht... sondern.

ნომინალური სინტაგმა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელით.

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრებები შესაძლოა ასინდეტურად დაკავშირდნენ.

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზედსართავი სახელის სერიული ფორმით, სამი და მეტი ზედსართავი სახელით, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება ძირითადად „und“ კავშირით, ან ასინდეტურად.

ფლექსიური ზედსართავი სახელების უფლექსიო გამოყენების გვერდით არსებობს ზედსართავი სახელები, რომლებიც გამოიყენება როგორც პრეპოზიციაში, ასევე პოსტპოზიციაში. ზედსართავი სახელების ამ ნაკლებად მრავალრიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება ზოგიერთი ზედსართავი სახელი, რომელიც ბოლოვდება a-ზე: extra, prima, lila, rosa.

12. ყოველი სიტყვა როგორც ენის ელემენტი, როგორც ფორმატიული სახით, ასევე თავისი მნიშვნელობით, პარადიგმატურ დონეზე დაკავშირებულია სხვა ლექსიკურ ერთეულებთან. სიტყვის პარადიგმატური ფორმები, გრამატიკული შემოსაზღვრა, რაც გამოიხატება მისი კუთვნილებით რომელიმე მეტყველების ნაწილთან და ლექსიკური მნიშვნელობა ქმნიან შესაძლებლობებს სიტყვათა კავშირებში და წინადადებებში სინტაგმატიკური მიმართებებისათვის. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი გადმოსცემს გრამატიკულ ინფორმაციას (სქესი, ბრუნვა, რიცხვი, ხარისხი).

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი შესაძლოა ოთხივე ბრუნვაში შეეწყოს ნომინალურ ბირთვს. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლით. ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება ფლექსიურ ფორმაში ნაკლებად გამოიყენება.

13. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება დაკავშირებულია წინადადების გაფორმების ზოგიერთ განსაკუთრებულ სახესთან, კერძოდ ჩანართთან.

ჩანართს წარმოადგენს პარენტეტური ხასიათის შენაერთები, რომლებიც ხასიათდება საზღვრულ წევრთან შეთანხმების უქონლობით. ზედსართავი სახელისთვის და მიმღეობისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია საწყისი ფორმა. ეს ჯგუფები ფორმალურად განკერძოვდება წინადადებაში, თუმცა შინაარსობრივი მიმართებები წინადადების სხვა წევრებთან თავისუფლად მყარდება. ამ სახის შენაერთები წარმოადგენს სიტყვათა თავისუფალ რიგებს, რომლებიც თავიანთ ერთობლიობაში გარკვეულ სურათს ქმნიან. დაქვემდებარების ფორმალური ნიშნები ხშირად არ არის გამოხატული, ჩანართები ქმნიან ჩანართს წრფივ სტრუქტურაში, რომელშიც ფუნქციონალურად არ არის ინტეგრირებული. ჩანართები ხშირად წარმოადგენენ დამოუკიდებელ წინადადებებს, ან ისინი აორმაგებენ წინადადების წევრის პოზიციას.

14. ზედსართავი სახელით გამოხატულ განკერძოებულ განსაზღვრებას განვიხილავთ წინადადების დონეზეც, ვეყრდნობით რა აქტუალურ დაყოფას, ანუ ვითვალისწინებთ გამონათქვამის გავლენას წინადადების სტრუქტურაზე. შესაბამისად, გამოიყოფა წინადადების ორი მხარე:

1) გრამატიკული მოდელი – წინადადება როგორც ფორმალურ-გრამატიკული სტრუქტურა განსაზღვრული სიტყვათაწყობით.

2) წინადადება როგორც აზრობრივი სტრუქტურა – გრამატიკული მოდელების რეალიზაცია მეტყველებაში.

წინადადება როგორც აზრობრივი ერთეული, წარმოადგენს ერთდროულად სინტაქსური და აზრობრივი დაძაბულობის წარმოქმნას, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც ზმნური, ასევე არაზმნური წევრების ადგილმდებარეობაზე.

15. წინადადებაში სიტყვათარიგი ასრულებს რამდენიმე ფუნქციას:

1) სტრუქტურის მაწარმოებელი ან გრამატიკული ფუნქცია წინადადების სახეების ფორმირების პროცესში. წინადადების ფორმირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთავარი წევრების ადგილს. ის მიეკუთვნება წინადადების მოდელების ნიშნებს.

2) კომუნიკაციური ფუნქცია. თემა-რემატული დაყოფის გადმოცემა. აქტუალური დაყოფის ვარიანტები ძირითადად განსხვავდება სიტყვათარიგით. სიტყვათარიგის ცვლილებით იცვლება აქტუალური დაყოფა. სიტყვათა სხვადასხვა წყობის დროს წინადადების აზრი, მისი კომუნიკაციური დანიშნულება სხვადასხვაა. აქტუალური დაყოფის დონეზე სიტყვათა რიგს აქვს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია, იგი განასხვავებს თემას და რემას. სიტყვათაწყობა სინტაქსური სტრუქტურის დონეზე არ წარმოადგენს აზრის განმასხვავებელ საშუალებას. ე.ი. ის არ ემსახურება გრამატიკული მოდელების განსხვავებას.

სიტყვათაწყობა არარელევანტურია, არ გააჩნია აზრის განმასხვავებელი ფუნქცია წინადადების სინტაქსური სტრუქტურის დონეზე და რელევანტურია – აქვს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია მისი აქტუალური დაყოფის დონეზე.

3) სტილისტური ფუნქცია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნიკაციურ ფუნქციასთან. სტილისტური მოქმედებებისას სიტყვათარიგი ემსახურება წინადადების ცალკეული ნაწილების ექსპრესიულ გამოყოფას და განსაზღვრული სტილისტური ეფექტების გამოწვევას.

16. ყოველ გამონათქვამში გამოიყოფა პროპოზიცია და ილოკუცია. პროპოზიცია გადმოსცემს გამონათქვამის მნიშვნელობას ვიწრო აზრით, იმას, რაც უცვლელი რჩება, მაშინ როცა გამონათქვამის მოქმედების ტიპი იცვლება.

ილოკუცია გამოხატავს გამონათქვამის მოქმედების ტიპს („მეტყველების აქტის ტიპიზაცია“) ანუ რა არის გადმოცემული: თხრობა, შეკითხვა, ბრძანება, მუქარა, წინააღმდეგობა. კომუნიკაციაში მისი გამოყენება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პროპოზიციის.

ილოკუციის გამოხატვის საშუალებებია:

1) უმეტესად ინტონაცია (ტონის მრუდი თხრობის ბოლოს დაბლდება, შეკითხვის ბოლოს მაღლდება).

2) ბგერის სიძლიერე (ბრძანებები ხმამაღლა წარმოითქმის, ვიდრე თხრობითი ხასიათის შეტყობინებები).

3) სხვა პარალინგვისტური საშუალებები – მიმიკა და ჟესტიკულაცია.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ამ საშუალებების ისეთი ზუსტი აღწერა, როგორც წინადადების წევრების და ფლექსიის ფორმების, მთლიანობაში ისინი კარგად ფუნქციონირებს. საზოგადოდ, თანამოსაუბრე პირი უპრობლემოდ შეიცნობს შესაბამის ილოკუციას.

17. პროპოზიციის და ილოკუციის გვერდით არსებობს მესამე ელემენტი პემა, რომელიც დამატებით ინფორმაციებს აწარმოებს. პემა წარმოადგენს ნაწილთა კომპლექსს, რომელიც არ აწარმოებს ძირითად ინფორმაციებს, არამედ მათ მხოლოდ აფასებს. იგი ასევე არ ემსახურება ილოკუციის გამოხატვას, არამედ მასაც მხოლოდ აფასებს. პემა შეიძლება თემა-რემატულ დაყოფას დაემატოს. ის, რასაც პემა გადმოსცემს არც თემაა და არც რემა, არც ცნობა და ფუნქციონალური კომპონენტების ნაწილი, თუმცა ის ორივე სფეროსთვის განსაზღვრულ როლს თამაშობს, აკავშირებს თემა-რემატულ სფეროს ფუნქციონალურ სფეროსთან. პემას ჩვეულებრივ მიეკუთვნება ზმნის უღლებადი მორფემა და ექსისტიმატორული გამონათქვამების დიდი ნაწილი. კომუტატორული ზმნიზედები: wahrscheinlich, vermutlich, vielleicht, მოდალური ნაწილაკები: aber, also, auch, bitte, bloß, denn, doch და უარყოფა, რომლებიც უშვებენ ცალკეული წინადადებების თემა-რემატული სფეროს განცალკევებას. ამავე დროს წინადადება გადადის ფუნქციონალურად ნეიტრალური დამოკიდებული წინადადების სიტყვათაწყობაში ზმნის პოზიციით ბოლო ადგილზე; ხოლო შესაბამისი სიტყვა ორივე სფეროს შორის თავსდება.

18. აქტუალური დაყოფის დონეზე ნომინალურ სინტაგმაშიც სიტყვათარიგს აქვს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია. იგი განასხვავებს თემას და რემას.

ნომინალურ სინტაგმაში ატრიბუტული ზედსართავი სახელის პოსტპოზიცია დაკავშირებულია რემის გამოხატვასთან (პრეპოზიცია თემის გამოხატვასთან).

ნომინალურ სინტაგმაში თემა-რემატული მიმართებები დაკავშირებულია არამარტო ენის სწორ ლოგიკურ აღნაგობასთან, რომელიც მოითხოვს, რომ თემა მოცემული, ნაცნობი მოთავსდეს რემის – ახლის, უცნობის, განუსაზღვრელის წინ, არამედ იგი პირველ რიგში დაკავშირებულია ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკურ ასპექტებთან, მის ფუნქციასა და მნიშვნელობასთან.

ნომინალურ სინტაგმაში სტატიკურია პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი (თემა), დინამიურია არსებითი სახელი (რემა). ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი და არსებითი სახელის ასეთ განლაგებას ეწოდება „სუბიექტური სიტყვათაწყობა“.

ნომინალურ სინტაგმაში სტატიკურია არსებითი სახელი (თემა), დინამიურია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი (რემა), ნომინალურ სინტაგმაში არსებითი და ზედსართავი სახელის ასეთ განლაგებას ეწოდება „ობიექტური სიტყვათაწყობა“.

19. რამდენადაც იგივეობრიობა არის „მუდმივის“ და სტატიკურის არსებობაზე დამყარებული, თემა წინადადება-გამონათქვამში ფუნქციონირებს სახელების ან მათი ექვივალენტების და სახელადი კონსტრუქციების სახით, ხოლო განსხვავებულობა, რომელიც დაკავშირებულია „ცვალებადთან“, „დინამიურთან“ თავის გამოხატულებას პოულობს რემაში, ანუ პირველ რიგში პრედიკატში და პრედიკატულ კონსტრუქციებში.

20. ნომინალური სინტაგმა, რომელშიც ზედსართავი სახელები ფუნქციონირებენ როგორც განსაზღვრებები, წინადადებაში შეიძლება შევიდეს თემის შემადგენლობაში და მოთავსდეს ზმნის წინ წინაველში, ან შეიძლება შევიდეს რემის შემადგენლობაში და მოთავსდეს ზმნის შემდეგ ბოლოველში.

პოზიციური ველის ცნება შეიძლება გამოყენებული იყოს აგრეთვე ნომინალურ სინტაგმასთან მიმართებაში.

ძირითად სიტყვას (არსებით სახელს) ჩვენ განვიხილავთ როგორც ველის შუაგულს. მის წინ მდგომი ყველა განმმარტავი ქმნის წინაველს, ხოლო ყველა მომდევნო განმმარტავი ბოლოველს. წინაველის წევრები განლაგებულნი არიან სახელადი ჩარჩოს პრინციპის მიხედვით. ატრიბუტული ზედსართავი სახელები განლაგდებიან სემანტიკური პრინციპის მიხედვით:

1) კვანტიფიკაციური ზედსართავი სახელები: viel, einige.

2) სიტუაციური (რეფერენციალური) ზედსართავი სახელები: dortig, damalig, obig.

3) კვალიფიკაციური ზედსართავი სახელები: alt, blond, frisch, zäh. აქვე შემოდიან მიმდეობების უმრავლესობა და ნივთიერებათა სახელები: hölzern, irden.

4) კლასიფიკაციური ზედსართავი სახელები: ärztlich, kommunal, parlamentarisch.

5) წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები: norwegisch, sibirisch, Hildburghausener, Stuttgarter.

ზედსართავ სახელთა მნიშვნელობათა კლასები განსაკუთრებულ როლს იძენს, როდესაც რამდენიმე ატრიბუტული ზედსართავი სახელის თანმიმდევრობა გვაქვს. მაშინ ზედსართავი სახელები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდება:

კვანტიფიკაციური – სიტუაციური (რეფერენციალური) – კვალიფიკაციური – კლასიფიკაციური – წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები.

II თავი

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში

მოცემულ თავში განვიხილავთ ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკურ სტრუქტურას – სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის და მისი შესაბამისი ცნების ლოგიკური კატეგორიის ურთიერთმიმართების საფუძველზე. შესაბამისად გამოკვლეული იქნა შემდეგი საკითხები:

1. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის და ცნების ლოგიკური კატეგორიის ნიშან-თვისებები და სტრუქტურული თავისებურებები.

2. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობასა და მისი შესაბამისი ცნების ლოგიკურ კატეგორიას შორის ურთიერთმიმართებები.

3. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში.

4. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტის მიმართება მის შინაგან ფორმასთან, სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს.

ამ თავში მოცემულია ასევე ანალოგიურ მიმართებებში პრენომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან შეპირისპირებითი ანალიზი.

თითოეული ენობრივი ერთეულის ინფორმაციულობა არის მოცემული ერთეულის შინაარსის ზომა მის კონკრეტულ რეალიზაციაში. ენობრივი ერთეულის შინაარსი არის ნიშანთა ერთობლიობა ძირითადი და არაძირითადი, მთავარი და მეორეხარისხოვანი, მუდმივი და ცვლადი, კანონზომიერი და შემთხვევითი ნიშნებისა, რომლებიც მთლიანობაში ქმნის ცნებას.

ლინგვისტიკაში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა უპირისპირდება ცნების ლოგიკურ კატეგორიას. დიდი ხანია დგას საკითხი იმის შესახებ სიტყვის მნიშვნელობები ცნებების იდენტურია თუ არა. ეს საკითხი დღესაც მეტად აქტუალურია და მის შესახებ არ არსებობს აზრთა ერთიანობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი ლექსიკურ მნიშვნელობას და ცნებას აიგივებს ერთმანეთთან და აზროვნების ერთი რიგის კატაგორიად მიიჩნევს. მეცნიერთა მეორე ნაწილი უარყოფს ლექსიკური მნიშვნელობის და ცნების იგივეობრიობას. ამავე დროს მათი განხილვა, როგორც აზროვნების ერთი რიგის კატეგორიისა, არ დასტურდება.

ლექსიკური მნიშვნელობის და ცნების თანაფარდობა სხვადასხვა

მიმართებაში განსხვავებულია.

თანამედროვე ლინგვისტურ ლექსიკონებში „სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც სიტყვის შინაარსი, რომელიც აისახება ადამიანის ცნობიერებაში და ამკვიდრებს მასში საგნების, თვისებების, პროცესების, მოვლენების, და ა.შ. შესახებ წარმოდგენებს“ (ლინგვ. ენციკ. ლექ. 1990:261).

„ლექსიკური მნიშვნელობები წარმოადგენს საგნობრივ (დენოტატურ) და შეფასებით (კონოტაციურ) ენობრივ ცოდნას, რომელზეც დაყრდნობით ენის მომხმარებლები კომუნიცირებენ და მოქმედებენ“ (დუდენი 1998ა:585).

„სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა წარმოადგენს ენობრივ ფორმას, ნიშანს ან ჟესტს დაქვემდებარებულ შინაარსს“ (კემპკე 2000:109).

ტერმინი: „ლექსიკური (lexikalisch) გულისხმობს იზოლირებული სიტყვების კვლევას ტექსტთან მიმართების გათვალისწინების გარეშე: სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა“ (დუდენი 2007:1075).

„სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (შუა ზ. გ. “bedeutunge” – „ინტერპრეტირება“, „კომენტირება“) არის აზრი, რომელიც მოქმედებებში, მონაცემებში, საგნებში, მოვლენებში ძევს“ (დუდენი 2007:256).

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არის ადამიანის აზროვნებითი მოღვაწეობის პროდუქტი. ის დაკავშირებულია ადამიანის ცნობიერების მიერ ინფორმაციის რედუქციასთან აზრობრივი პროცესების ისეთი ხერხებით, როგორიცაა: შედარება, კლასიფიკაცია, განზოგადოება. ლექსიკურ მნიშვნელობას აქვს ზოგადი და განზოგადოებული ხასიათი.

„ცნება არის ადამიანის უნარი, საგნების შესახებ წარმოდგენები შეიქმნას“ (პაული 2002:146).

„ცნება არის: 1) აზრი, რომელიც განზოგადოებულ ფორმაში ასახავს სინამდვილის საგნებს და მოვლენებს მათი თვისებების და მიმართებების ფიქსაციის საშუალებით”. თვისებები და მიმართებები ცნებაში გამოდიან როგორც საგანთა და მოვლენათა კლასებთან დაკავშირებული ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები.

2) იგივე რაც გრამატიკული ან სემანტიკური კატეგორია. ჩვეულებრივ არაუმაღლესი დონის განზოგადოება. მაგ: ორობითი რიცხვის ცნება, არააქტუალური აწმყო დროის ცნება (ლინგვ. ენციკ. ლექ. 1990:264). ამ მნიშვნელობაში ხშირად გამოიყენება ტერმინი „კონცეფტი”.

ცნება (კონცეფტი) იმავე რიგის მოვლენაა რაც სიტყვის მნიშვნელობა, განხილული სხვა მიმართებათა სისტემაში. ლექსიკური მნიშვნელობა

განიხილება ენის სისტემაში. მას სწავლობს ენათმეცნიერება. ცნება განიხილება ლოგიკური მიმართებების და ფორმების სისტემაში, რომელსაც შეისწავლის როგორც ენათმეცნიერება, ასევე ლოგიკა.

ცნება (პირველი მნიშვნელობით) ზოგადი სახით ერთნაირად განისაზღვრება ლოგიკაში და ენათმეცნიერებაში და ყოველთვის წარმოდგენილია უკიდურეს შემთხვევაში, ერთი ზოგადი სახელით ან მისი ექვივალენტით – შესიტყვებით. მაგ: die Eisenbahn.

მოცემულ დისერტაციაში ტერმინი „ცნება" გამოყენებულია მისი პირველი მნიშვნელობით – ზოგად სახელთან მიმართებაში.

ცნება ასახავს საგნების და პროცესების ყველაზე ზოგად, შინაგან, არსებით თვისებებს.

მნიშვნელობა უფრო ფართოა, ვიდრე ცნება, რადგან ჩაირთავს შეფასებას და მრავალ სხვა კომპონენტს, რომელიც არ ახასიათებს ცნებას. მნიშვნელობა არის უკვე ცნება იმ აზრით, რომ ჩაირთავს ობიექტების მხოლოდ განსხვავებულ ნიშნებს, ხოლო ცნება მოიცავს საგნის უფრო ღრმა და არსებით თვისებებს.

ლექსიკური მნიშვნელობა ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით:

1) მნიშვნელობა არის ენობრივი კატეგორია.

2) მნიშვნელობას როგორც ენის ელემენტს აქვს ლექსემა.

3) მნიშვნელობა არის ზეინდივიდუალური მოვლენა და რეალიზდება მხოლოდ სიტყვათა გამოყენებაში.

4) მნიშვნელობა დტერმინირებულია:

ა) ასახვის პროცესის ობიექტების (დენოტატების) თვისებებით.

ბ) პიროვნების დამოკიდებულებით ობიექტური რეალობისადმი და ასახვის ობიექტების – დენოტატების მიმართ.

გ) ენაში სისტემური ურთიერთმიმართებებით. ლექსემათა ადგილით ენის მთლიან ლექსიკურ მარაგში. აქედან გამომდინარე ლექსიკური მნიშვნელობა დამოკიდებულია ასახვის ობიექტზე, შემეცნების საგანზე, შემმეცნებელ სუბიექტზე და ენის სისტემაზე.

5) სიტყვის მნიშვნელობა არის საზოგადოებრივი ინვარიანტი, რასაც ემყარება ენის ძირითადი ფუნქცია – ურთიერთგაგებინების ფუნქცია.

6) ლექსიკური მნიშვნელობა არის კომპლექსი, რომელიც შედგება უმცირესი ელემენტებისაგან, რომლებიც სხვადასხვა კომბინაციებს აწარმოებენ. სიტყვის მნიშვნელობა ლექსიკურ – სემანტიკურ ვარიანტებში (სემებში) რეალიზდება.

მნიშვნელობები არ არიან სიტყვის მექანიკური გამოსახულებები. ერთი და

იგივე საგანი შეიძლება განსხვავებულად დასახელდეს. სინონიმების მნიშვნელობებიც შეიძლება მთლიანად არ დაემთხვეს ერთმანეთს, რადგან მნიშვნელობებში შედიან შეფასებითი და ემოციური ელემენტები. მნიშვნელობა არის სინამდვილის ნაწილის ასახვა.

7) სიტყვის მნიშვნელობას აქვს ისტორიული ხასიათი. მნიშვნელობებს შეუძლიათ გაფართოვდნენ, შევიწროვდნენ, სტრუქტურულად შეიცვალონ.

ლექსიკური მნიშვნელობა და ცნება განსხვავდება ერთმანეთისგან სტრუქტურის მხრივაც. ორივე მათგანს რთული სტრუქტურა გააჩნია.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურა განისაზღვრება სიტყვის, როგორც ნიშნის ზოგადი თვისებებით – მისი სემანტიკით, პრაგმატიკით, სინტაქტიკით. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სემანტიკური ასპექტი უკავშირდება სიტყვის შინაგან ფორმას, ნიშანს, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს.

სიტყვის მნიშვნელობის პრაგმატული ასპექტი მოიცავს ექსპრესიულ-ემოციურ შეფასებას და მრავალფეროვან კონოტაციას. სიტყვის სინტაქსური ასპექტი (მიმართება ნიშნებს შორის) განისაზღვრება სინტაგმატიკურად – შესიტყვებებში და წინადადებებში სხვა ენობრივი ერთეულების მნიშვნელობებთან მისი კავშირებით და პარადიგმატურად – სინონიმური რიგის შიგნით მისი პოზიციით.

ცნების და მისი შესაბამისი ზოგადი სახელის თანაფარდობის საფუძველზე ვლინდება ცნების (მნიშვნელობის ცნებითი ნაწილის, სიტყვის აზრის) რთული სტრუქტურა.

კონცეფტუალური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ემყარება კონცეფტუალური ველის, მოცემული ცნებითი სფეროს, ურთიერთდაკავშირებულ ცნებათა მოცემული ერთობლიობის ანალიზს, ცნების სტრუქტურაში მის შემადგენელ სტრუქტურულ ნაწილებად გამოიყოფა: (ლინგვ. ენციკლ. ლექ. 1990:384).

1) სიგნიფიკატი (ლათ. significatum). სიგნიფიკატი – არის ენობრივი ნიშნის ცნებითი შინაარსი. იგი არის საგნის ან მოვლენის იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომლებიც არიან არსებითი მოცემული სიტყვით საგნების და მოვლენების სწორი დასახელებისათვის მოცემული ენის სისტემაში.

სიგნიფიკატი ცნების ყველაზე უფრო სტრუქტურირებული ნაწილია და განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა მოცემული სიტყვის ადგილით ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში, ლექსიკურ-სემანტიკურ ველში, ოპოზიციის

სისტემაში, სინონიმებში, ანტონიმებში, კონვერსიებში, პერიფრაზებში.

2) ინტენსიონალი – ცნების სწორი განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია საგნის ან მოვლენის „არსის“, „რაობის“ კატეგორიასთან.

სიგნიფიკატი და ინტენსიონალი ახლოს არიან ერთმენეთთან, მაგრამ სიგნიფიკატის ნიშანთა ერთობლიობა და ინტენსიონალი შეიძლება მთლიანად არ დაემთხვეს ერთმანეთს, რადგან ნიშნებმა, რომლებიც გამოიყენება საგანთა და მოვლენათა სწორი დასახელებისათვის შეიძლება ვერ ამოწურონ მათი რაობა. მაგალითად, სიტყვა „სოკო“ განისაზღვრება:

1. მცენარე, რომელიც არ წარმოქმნის ყვავილსა და თესლს, შედგება ღეროზე მოთავსებული ხორციანი ქუდისაგან. (სიგნიფიკატი).

2. უმდაბლესი სპორული მცენარე, ქლოროფილის გარეშე, რომელიც არ წარმოქმნის ყვავილსა და თესლს, შედგება სხვადასხვა ფორმის ხორციანი ტანისაგან. (ინტენსიონალი).

სიგნიფიკატი და ინტენსიონალი ერთმანეთის მიმართ არიან განსაზღვრულ ისტორიულ, დიაქრონიულ მიმართებაში. ნიშანი, რომელიც საფუძვლად უდევს სიგნიფიკატს, როგორც წესი წარმოადგენს დასახელების შემთხვევით შედეგს. ინტენსიონალი დასაწყისში იქმნება სიგნიფიკატის საფუძველზე, მაგრამ თანდათანობით მოცემული სინქრონული პერიოდისათვის შემთხვევითი ნიშნები სცილდება და ისინი იცვლება ახლით. ინტენსიონალში ყოველთვის ძალიან ღრმად აისახება სიტყვის „მიზეზობრივი ისტორია“.

3) ცნების შემდეგი შემადგენელი ნაწილია დენოტატი (laT. denotatum) – ყველა რეალურ, არსებულ საგანთა კლასი, რომელთა მიმართ სიტყვა სწორად არის გამოყენებული (დასახელებისათვის) მოცემული ენის სისტემაში.

სიგნიფიკატს, ინტენსიონალს და დენოტატს შორის არსებობს რთული და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი მიმართებები. როდესაც მოცემულია სიტყვის სიგნიფიკატის ნიშნები, ყოველი საგანი, რომელიც ფლობს ამ ნიშნებს, შეიძლება სწორად იყოს დასახელებული მოცემული სიტყვით. სიტყვის ინტენსიონალი უმრავლეს შემთხვევაში, თუ ყველა შემთხვევაში არა, განისაზღვრება ლოგიკური განსჯის გზით. როდესაც სიტყვის ინტენსიონალი ცნობილია, დენოტატი ამით მხოლოდ იზღუდება, მაგრამ არ ფიქსირდება. ნათელი ხდება მხოლოდ, რომელ საგნებს არ შეუძლია იყოს მოცემული სიტყვის დენოტატი. თუ საგნები არ ფლობენ რომელიმე არსებით ნიშანს, რომელიც ჩართულია ინტენსიონალში, ისინი მოცემული სიტყვის დენოტაციიდან გამოი-

რიცხება. დენოტაციაში ჩართვა ასევე დამოკიდებულია არსებულის რეალურობაზე. მეორეს მხრივ, როცა მოცემულია (ცნობილია) სიტყვის დენოტაცია, ინტენსიონალიც ამით მხოლოდ იზღუდება, მაგრამ არ ფიქსირდება. მას არ შეუძლია ჩაირთოს ნებისმიერი ნიშანი, რომელიც მხოლოდ საგანთა ნაწილს ახასიათებს, რომელიც ქმნის სიტყვის დენოტაციას, მაგრამ მას შეუძლია არ ჩაირთოს რომელიმე ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია დენოტაციის მთელი კლასისათვის.

4) კომპრეჰენსია („განფენილობა“, „მოცვა“) – არის კლასიფიკაცია და მისი შედეგები, ანუ ყველა არაწინააღმდეგობრივად წარმოსადგენი საგანთა კლასი, რომელთა მიმართ მოცემული სიტყვა შეიძლება სწორად იყოს გამოყენებული (იმის მიუხედავად არსებობენ ეს საგნები სინამდვილეში თუ არა, ცნობილია თუ უცნობია მათი არსებობა). მაგალითად სიტყვათა ისეთი კლასის სწორი კლასიფიკაცია როგორიცაა:

გერმანულში: `gehen”, `fahren~, `stehen~ – (უმოძრაოდ ყოფნა ხმელეთზე, მიწაზე);

`fliegen~, `schweben~ – (უმოძრაოდ ყოფნა, ლივლივი ჰაერში);

`schwimmen~ – ?

რუსულში: „идти“, „ехать“, „стоять“,

„летать“, - „парить“,

„плыть“ - ?

ქართულში:

„წასვლა“, „გამგზავრება“, - „დგომა“.

„ფრენა“ - „ლივლივი“,

„ცურვა“ - „ტივტივი“

(ნიშანი ? აღნიშნავს, რომ გერმანულში და რუსულში არ გვაქვს სპეციფიკური სიტყვა, რომელიც აღნიშნავს: „უმოძრაოდ ყოფნას წყალზე“), გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ენაში სტრუქტურულად უზრუნველყოფილია ადგილი (აღნიშნული ?), რომელიც არ არის შევსებული სიტყვით, თუმცა მისი წარმოდგენა არაწინააღმდეგობრივად შესაძლებელია.

მრავალი სამეცნიერო ტერმინი იქმნება ენაში როგორც აღმნიშვნელი განსაზღვრული კლასიფიკაციის ფარგლებში არაწინააღმდეგობრივად წარმოსადგენი ბუნების და საზოგადოების შესაძლო მოვლენებისა, თუმცა ასეთი მოვლენები შეიძლება არ არსებობდეს და არ იყოს ცნობილი.

ცნებას შეიძლება ახლდეს კონოტაცია – ნიშნები, რომლებიც არ შედიან ცნებაში, არამედ გარს ერტყმიან მას სხვადასხვა ასოციაციების ძალით – ემოციური, ექსპრესიული, სტილისტური. ცნების და კონოტაციის კომპლექსს ხანდახან რთავენ სიტყვის პრაგმატიკაში, ხან კი მიაკუთვნებენ "ლექსიკურ ცნებას". ცნების სტრუქტურა აქ აღწერილია ენაში მისი ყველაზე უფრო გამოვლენილი ცნების ტიპის მიხედვით - ზოგად სახელთან მიმართებაში. ცნების სხვა ტიპებს მაგ. კონცეფტს, რომელიც მიმართებაშია სიტყვის და ენობრივი წარმონაქმნების სხვა ტიპებთან (შემასმენელთან, ნაწილაკთან, შორისდებულთან) აქვს რედუცირებული სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც ზოგჯერ არ არის დაკავშირებული პირდაპირ ცნებასთან.

არსებობენ ცნების სხვა ლოგიკური სისტემები (მოდელები) მაგ. კ.ი. ლუისის ოთხწევრიანი სტრუქტურა, გ. ფრეგეს ორწევრიანი სტრუქტურა და სხვა. ამ პრობლემებს შეისწავლის ახალი მიმართულება ლოგიკაში და ენათმეცნიერებაში "ენის კონცეფტუალური ანალიზი".

სხვადასხვა საენათმეცნიერო შრომებში გვხვდება ცნების სხვადასხვა დახასიათებები. მაგალითად:

1) ტერმინებს სიგნიფიკატს და ინტენსიონალს ზოგჯერ არ ანსხვავებენ, შესაბამისად ცნების ნაწილები ერთიანდება და იწოდება ზოგადად „აზრი". უკანასკნელ ტერმინში ხშირად რთავენ აგრეთვე კონოტაციას და /ან სიტყვის პარადიგმატიკას.

2) დენოტატს და კომპრეჰენსიას არ განარჩევენ და განზოგადოებულად უწოდებენ ექსტენსიონალს.

3) ტერმინი კომპრეჰენსია და ცნების შესაბამისი ნაწილი საერთოდ არ გამოიყოფა.

4) ცნების სტრუქტურული ნაწილი სიგნიფიკატი იწოდება სხვა ტერმინებითაც: „აღსანიშნი", „მნიშვნელობა", „ღირებულება" (ფ. დესოსური), „დესიგნატი" (ჩ. უ. მორისი, სტეპანოვი), „კონოტაცია" (ჯ.ს. მილი).

5) ტერმინი „კონოტაცია" გამოიყენება ტერმინ „ინტენსიონალის" სინონიმად (ზოგიერთ ანგლოსაქსონელ ლოგიკოსებთან, მაგალითად ლუისთან).

6) ტერმინი „კომპრეჰენსია" გამოიყენება „ინტენსიონალის" მნიშვნელობით (ხშირად ფრანგ ავტორებთან).

7) ლუისის და მრავალი ინგლისელი და ამერიკელი ავტორების მიერ ნაცვლად სტატიკური რეზულტატიური ტერმინებისა გამოიყენება დინამიური,

პროცესუალური ტერმინები - „სიგნიფიკაცია“, „ინტენსია“, „დენოტაცია“.

სიგნიფიკატი და ინტენსიონალი, დენოტატი და კომპრეჰენსია ერთიანდება და ცნების სტრუქტურაში ძირითად ცნებით კომპონენტებად გამოიყოფა სიგნიფიკატი და დენოტატი.

მართალია, ლექსიკური მნიშვნელობა და ცნება აზროვნების სხვადასხვა რიგის კატეგორიას წარმოადგენს და გამიჯნულია ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის არსებობს მუდმივი ურთიერთმიმართება. ცნება არსებობს ენობრივ ფორმაში, სიტყვა არის ცნების არსებობის ფორმა. აზრი და მნიშვნელობა გადმოიცემა სიტყვაში. მნიშვნელობა აქვს არა მარტო სიტყვას, არამედ სიტყვის ნაწილებს. სიტყვა ლექსიკის მინიმალური ერთეულია. იგი ასახელებს ან აღნიშნავს საგანს, სიტყვას აქვს მნიშვნელობა, მნიშვნელობა ასახავს საგნის თვისებებს ადამიანის ცნობიერებაში. მთელი ეს კომპლექსი – სამი ელემენტი და კავშირი მათ შორის არის სწორედ სიტყვა ენაში. ზედსართავი სახელი როგორც სიტყვა ხასიათდება სემანტიკური, პრაგმატული და სინტაქსური ასპექტებით.

სემანტიკური თვალსაზრისით ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში გამოიყოფა ორი ასპექტი: 1) სიგნიფიკატური და 2) დენოტატური (ლინგ. ენციკ. ლექ. 1990:262).

ლექსიკური მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც მასალა ცნების ფორმირებისათვის. ცნება კი, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ლექსიკურ მნიშვნელობას, ხასიათდება საზღვრების „არამკაფიურობით“ და „წაშლით“. ცნებას ერთი მხრივ გააჩნია მტკიცე, მკაფიო, განსაზღვრული ცნებითი ბირთვი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა ლექსიკური მნიშვნელობის სიმტკიცე და განსაზღვრულობა და ცნებას აქვს „არამკაფიო“, „ბუნდოვანი“ პერიფერია. ცნების საზღვრების ასეთი „გადარეცხვის“ შედეგად ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება გაფართოვდეს და მან მოიცვას უფრო მეტი, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებული იყოს სიტყვა იმ საგნების აღნიშვნისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ სპეციფიკური აღნიშვნები მოცემულ კონტექსტში. ამავე დროს, ლექსიკური მნიშვნელობის არამკაფიურობასა და მოძრაობას აქვს თავისი საზღვრები, განსაზღვრული უზუალური ასოციაციებით, სიტყვის შინაგანი ფორმით, ლექსიკური პარადიგმატიკით (გრამატიკულად ერთგვაროვანი სიტყვების გაერთიანება, რომელსაც გააჩნია სემანტიკური ერთიანობა) და სხვა ფაქტორებით.

სიგნიფიკატი ყოველთვის აფიქსირებს ნიშანთა გარკვეულ კომპლექსს

მუდმივი ან დროებითი, აბსოლუტური ან შეფარდებითი: „ამიტომ ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ საკუთარ სახელებს და „ინდექსურ ნიშნებს“ (მაგ. ჩვენებით ნაცვალსახელებს) არ გააჩნიათ სიგნიფიკატი. ამავე დროს წინადადების ელემენტებს, რომლებიც არ იმყოფებიან მიმართებაში ექსტრალინგვისტური სინამდვილის ობიექტებთან: შემასმენლები, განსაზღვრებები, გარემოებები. აქვთ მხოლოდ სიგნიფიკატი, მაგრამ არ გააჩნიათ დენოტატი“ (ლინგვ. ენციკლ. ლექ. 1990:444).

ღიად რჩება საკითხი „პროპოზიციური“ ნიშნების სიგნიფიკატის შესახებ, რომლებიც მთელ სიტუაციას ასახელებენ. რიგი მკვლევარებისა, რომლებიც სიგნიფიკატს მიაკუთვნებენ არა მხოლოდ სიტყვას, არამედ წინადადებას (ან გამონათქვამს), სიტყვის სიგნიფიკატს აკავშირებენ „ცნებასთან“, ხოლო წინადადების სიგნიფიკატს – „განსჯასთან“, („აზრთან“, „პროპოზიციასთან“, „ფსიქიკურ სიტუაციასთან“, „პრედიკაციასთან“, „წინადადების სემანტიკურ მოდელთან”). სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი მოდალური და კომუნიკაციური მნიშვნელობების, აქტუალური დაყოფის და სხვათა გამონათქვამის სიგნიფიკატში ჩართვის შესახებ. ჩვენ შემოვიფარგლებით სიტყვის სიგნიფიკატით და დენოტატით, რომლებიც დაკავშირებულია „ცნებასთან“.

ხარისხობრივი ზედსართავი სახელების სისტემის შიგნით სემანტიკური მიმართებები ეფუძნება უპირველეს ყოვლისა სიგნიფიკატებს. მათთვის დამახასიათებელია ანტონიმია და არა დენოტატთა მსგავსებაზე, არამედ სიგნიფიკატთა მახლობლობაზე დამყარებული სინონიმიის განსაკუთრებული ხასიათი.

კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში წარმოებს დენოტატური ასპექტის (დენოტატის, მნიშვნელობის ცნებითი ბირთვის) აქტუალიზაცია. ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ ტერმინი დენოტატი ნაშრომში გამოყენებულია არა როგორც:

1) რომელიმე კონკრეტული სამეტყველო მონაკვეთის დენოტატი, იგივე რაც რეფერენტი. (როგორც მას განსაზღვრავენ ჩ. ოგდენი და ა. ა. რიჩარდსი).

2) რომელიმე ენობრივი (აბსტრაქტული) ერთეულის დენოტატი – სინამდვილის ობიექტების, საგნების, თვისებების, მიმართებების სიტუაციების, მდგომარეობების, პროცესების სიმრავლე, რომლებიც შეიძლება სახელდებოდნენ

მოცემული ერთეულით (მისი ენობრივი მნიშვნელობის ძალით). ჩვეულებრივ ლაპარაკია ლექსიკური ერთეულის დენოტატის შესახებ (კ.ი. ლუისი, უ.ო. ქუინი, ჯ. ლაიონზი და სხვა), იგივე რაც ტრადიციულ ლოგიკაში „ცნების მოცულობა“, ხოლო რ. კარნაპთან ექსტესნსიონალი.

3) ექსტენსიონალის ელემენტი – (ანუ ობიექტების სიმრავლე, რომლებიც შეიძლება დასახელდნენ მოცემული ენობრივი ერთეულით). ამგვარი გაგებით დენოტატად ითვლება ექსტენსიონალის ყოველი ელემენტი, იმის მიუხედავად, მათგან რომელს შეესაბამება კონკრეტული სამეტყველო მონაკვეთი, არამედ მოცემულ ნაშრომში ტერმინი დენოტატი გამოყენებულია როგორც „დენოტატური მნიშვნელობა, მნიშვნელობის ცნებითი ბირთვი, ანუ აზრის ობიექტური, ნომინაციური, არასიტუაციური, კოგნიტიური, რეპრეზენტაციურ, ფაქტიურ, დიქტალურ, საგნობრივ-რელაციური კომპონენტი, რომელიც აბსტრაჰირებულია სტილისტური, პრაგმატული, მოდალური, სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან“ (ლინგვ. ენციკ. ლექ. 1990:129).

„დენოტაცია – „ძირითადი მნიშვნელობა“, „სიტყვის მნიშვნელობა“, „ცნებითი მოცულობა“ უპირისპირდება კონოტაციას“ (ვარიგი 2002:341).

შესაბამისად სიგნიფიკატი განისაზღვრება იმის მიხედვით, უპირისპირდება იგი დენოტატს როგორც რეფერენტს, ექსტენსიონალს, ექსტენსიონალის ელემენტს თუ დენოტატურ მნიშვნელობას.

ცნებას თავისი ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე აქვს მკაფიო განსაზღვრული ცნებითი ბირთვი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა ლექსიკური მნიშვნელობის სიმტკიცე და განსაზღვრულობა (დენოტატი) და ცნებას აქვს განუსაზღვრელი „ბუნდოვანი" პერიფერია (სიგნიფიკატი). სიგნიფიკატი მნიშვნელობის ცნებითი შინაარსია. დენოტატი მნიშვნელობის ცნებითი ბირთვია.

სიგნიფიკატი – ენობრივი ნიშნის გამოხატულებაა“ (ვარიგი 2002:1156).

სიგნიფიკატი – არის ენობრივი ნიშნის გამოხატულების პლანი. ნიშანდობლივად, აღმნიშვნელად, დამახასიათებლად, ტიპურად ნათლად აღქმადი, შეცნობადი“ (დუდენი 2007:1544).

სიტყვის მოწყობილობა ენაში არის ურთიერთობათა რთული კომპლექსი. სიტყვა პირველ რიგში გამოდის როგორც აზრის ნიშანი (სიგნიფიკატი) და მეორე სიტყვა გამოდის როგორც საგნის ნიშანი (დენოტატი). დენოტატი როგორც საგნის ნიშანი ნებისმიერ კონტექსტში განსაზღვრულია. დენოტატს, როგორც საგნის ნიშანს არ შეუძლია ჩაირთოს ნებისმიერი ნიშანი.

(საპირისპიროდ სიგნიფიკატის, აზრის ნიშნის, რომელიც ინტენსიონალის მრავალ ნიშანს აერთიანებს და ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთა ლექსიკური მნიშვნელობების რეალიზაციის საფუძველია). დენოტაციაში ჩართვა დამოკიდებულია არსებულის რეალურობაზე.

ნებისმიერ კონტექსტში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები წარმოდგენილი არიან დენოტატური მნიშვნელობებით, შესაბამისად არ იწარმოება სემური იერარქიული სტრუქტურა, არ გამოიყოფა კონოტაციური მნიშვნელობები. ნებისმიერ კონტექსტში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები წარმოდგენილი არიან დენოტატური მნიშვნელობებით და შესაბამისად გამოხატავენ საგნის დამახასიათებელ ბუნებრივ, რეალურ თვისებებს, რომლებიც უფრო ხშირად საგნის გარეგნული ფიზიკური მონაცემია: ფერი, ასაკი, სიდიდე და ა.შ.

Wally trug ein malvenfarbiges Tüllkleid, golddurchwirkt,
mit einem kurzformigen Ausschnitt (ვაისკოპფი 1966:575).
Und da machten sich die Störche heran und holten zwei besonders
stamme Jungen, rosig und rund wie Ferkelchen (ჰერმანი 1963:273).
Es sind groβe Madonnenaugen, schön und unschuldig,
neugirig und lasterhaft zugleich (ზელბმანი 1968:356).
..ein sonderbares Haus, so still und dunkel (კაშნიცი 2004:10).
... was er durch Brillengläser, rund und dick wie Schiffslucken,
zu korrigieren versuchte (მანი 1963:457).
Wodrig, grauhaarig, weit über fünfundvierzig
Jahre alt, meinte (ცვაიგი 1967:113).
Onkel August, braungebrannt, kam mit Liese und Wagen
in den Hof gefahren (შუბერტი 1967:72).
Ein Pförtner, einarmig, den linken, leeren
Hemdsärmel hochgesteckt (ნოლი 1967:543).

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები აღნიშნავენ ინტეგრალურ, არასიტუაციურ, ფაქტიურ, დიქტალურ ნიშანს, რომელიც თავიდანვე ცნობილი და უცვლელია ყველა კონტექსტში.

ლექსიკური მნიშვნელობა მიისწრაფვის ცნებისკენ, როგორც თავის საზღვრისკენ.

ნომინალურ სინტაგმაში გამონათქვამის ცალკეული ნაწილების რითმული განაწილების მიზნით ზოგი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება წინაველში, ზოგი ბოლოველში. ენობრივი მასალის კვლევის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ ბოლოველში თავსდება ატრიბუტული ზედსართავი სახელები დენოტატური მნიშვნელობებით, ხოლო წინაველში განლაგდება ატრიბუტული ზედსართავი სახელები სიგნიფიკატური მნიშვნელობებით. ატრიბუტული ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის ენობრივი გამოხატულების ფორმა ნომინალურ სინტაგმაში პრეპოზიციური გამოყენებისას არის სიგნიფიკატი. (ცნებითი შინაარსი), ხოლო პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის ენობრივი გამოხატულების ფორმას ნომინალურ სინტაგმაში წარმოადგენს დენოტატი. (ცნებითი ბირთვი).

Ein schlechtes Foto, aber deutlich (ფრიში 2000:53).

,,so daβ denn der junge Mann, froh,

einen Anknüpfungspunkt zu haben dem Zugfuhrer

eine Brasil anbot (დიურენმატი 2000:67).

Die Freskon ... viel bittere Gischichten,

aber schön (ფრიში 2000:55).

..eine teure Gegend, so nahe dem Kudamm (შუბერტი 1967:161).

ein <u>schlechtes</u> Foto, aber <u>deutlich</u>

↓ ↓

სიგნიფიკატური მნიშვნელობა დენოტატური მნიშვნელობა

der <u>junge</u> Mann, <u>froh</u>.

↓ ↓

სიგნიფიკატური მნიშვნელობა დენოტატური მნიშვნელობა

<u>bittere</u> Geschichten, aber <u>schön.</u>

↓ ↓

სიგნიფიკატური მნიშვნელობა დენოტატური მნიშვნელობა

<u>teure</u> Gegend, so <u>nahe.</u>

↓ ↓

სიგნიფიკატური მნიშვნელობა დენოტატური მნიშვნელობა

ინტეგრალური (დენოტატი) და დიფერენციალური (სიგნიფიკატი) ნიშნები ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში სხვადასხვა როლს ასრუ-

ლებენ, რაც პირველ რიგში აისახა მათ სემანტიკურ სტრუქტურაში. სიტყვის ფუნქციონირებასა და განვითარებაში ხშირად სწორედ ინტეგრალური ნიშნებით გადმოიცემა ყველა თავისებურება ენის ცნების გამოხატულებისა. ამავე დროს ცნების განვითარებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს სიგნიფიკატი.

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტები დაკავშირებულია მის შინაგან ფორმასთან, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს.

ენის გამოყენებას, როგორც ურთიერთობის, აზრის გადმოცემის, გაგებინების საშუალებას, საფუძვლად უდევს სამი ფუნქცია:

1) დაასახელოს რეალური სამყაროს საგნები (ნომინაცია);
2) მოიყვანოს დასახელებული ერთმანეთთან კავშირში (პრედიკაცია);
3) ლოკალიზაცია მოახდინოს სივრცესა და დროში მთქმელის მიმართ. (ლოკაცია).

ეს სამი დასახელებული ფუნქცია შეესატყვისება სემიოტიკის სამ ასპექტს:

1) „ნომინაციას“ როგორც ენობრივი ნიშნის მიმართებას ობიექტთან შეესაბამება „სემიოტიკა“.
2) „პრედიკაციას“- ნიშნის ნიშანთან მიმართებას შეესაბამება „სინტაქტიკა“.
3) „ლოკაციას“ - მთქმელის ენობრივი ნიშნის მიმართებას თავის მესთან შეესაბამება „პრაგმატიკა“.

თითოეულ ამ ფუნქციას აქვს თავისი გამოხატულების საშუალებანი ანდა ფორმალური აპარატი.

ნომინაციის პირველადი ფორმალური აპარატი შედგება ენობრივი ნიშნებისაგან, რომლებიც შეადგენენ სახელად და ზმნის ჯგუფებს. ამჟამად ენებში სახელების შემდეგი კლასიფიკაცია არსებობს.

1) აქტიური და არააქტიური კლასები;
2) სუფიქსიალური და პრეფიქსიალური კლასები;
3) სულიერი და უსულო კლასები;
4) გრამატიკული გვარები.

ზოგიერთი ამ კლასებიდან შეიძლება არსებობდეს ერთსა და იმავე ენაში. ნომინაციის ნიშნები ყოველთვის მიუთითებს საგანთა კლასზე. ისინი ასახელებენ საგანს, ახასიათებენ მას. ნომინაციის ნიშნებს ეწოდება

„დამახასიათებელი“ ნიშნები.

სინამდვილის ფრაგმენტების სახელებით აღნიშვნის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ პირველადი და მეორადი ნომინაციის ტიპებს. პირველადი ნომინაციის პროცესები თანამედროვე ენებში ძალიან იშვიათია. ენის ნომინაციური ინვენტარი ამჟამად ივსება ძირითადად სესხების ან მეორადი ნომინაციის ხარჯზე, ნომინაციის აქტებში უკვე არსებული ერთეულის ფონეტიკური სახის გამოყენებით ახალი აღნიშვნებისთვის. პირველადი ნომინაციის შედეგები ენის მტარებლის მიერ აღიქმება როგორც თავდაპირველნი. ასეთი ნომინაციის მწარმოებლობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ ეტიმოლოგიური და ისტორიული ანალიზით. „მეორადი ნომინაციის პროცესებში გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი. მეორადი ნომინაციის ავტონომიური ტიპი და არაავტონომიური ტიპი. მეორადი ნომინაციის ავტინომიური ტიპი ხორციელდება ერთი სახელის ბაზაზე: 1) die Haut-ადამიანის კანი და 2) die Haut-ნაყოფის კანი. მოცემულ შემთხვევაში სიტყვის მეორად მნივნელობას, რომელიც დამოუკიდებლად იძენს ნომინაციურ „ფუნქციას, შეუძლია სინამდვილის მოვლენებზე ავტონომიურად მიუთითოს“ (ლინგვ. ენციკ. ლექ. 1990:336).

კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ვთვლით, რომ პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე, ნებისმიერ კონტექსტში შენარჩუნდება პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შინაგანი ფორმა ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელი სემანტიკური და სტრუქტურული ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ კონტექსტში ხორციელდება პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციების რეალიზაცია, პირველადი ნომინაციები განსაზღვრავს მის სემანტიკას, შენარჩუნდება პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური მნიშვნელობა და მატერიალური სახე.

Er führte sie in eine Gasse, so eng und düster (ზეგერსი 1979:224).

...ohne daβ er die Gabe bessen hätte, Gedanken und Gefühle,

gute und böse, mit anderen zu teilen (ზელბმანი 1970:77).

Die Zeit, die Zeit, furchtbar (შუბერტი 1967:41).

Die Mutter des Kleinen, rotbackig, mit glatten Haaren und kleinen Portierzwiebel (შუბერტი 1967:204).

Heinricy, dickfällig und trotzig, setzte sich mit Scharren und Knarren (მანი 1963:634).

მოცემული პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები წარმოადგენენ პირველადი ნომინაციის შედეგს, ისინი ნომინალურ სინტაგმაში ნებისმიერ კონტექსტში მხოლოდ პირველადი ნომინაციებით არიან წარმოდგენილი. ასეთი სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი ნაკლებად ემსახურება დახასიათებას. მისი ძირითადი ფუნქცია, გამოხატოს საგნის დახასიათება შეზღუდულია. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი მისი შინაგანი, ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე ემსახურება არსებულის დადასტურებას, ფაქტის აღნიშვნას, დაფიქსირებას და ნაკლებად დახასიათებას. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი გადმოსცემს „ობიექტურ შეფასებას“ და ახდენს საზღვრული სიტყვის თვისებების ობიექტურ აღნიშვნა-დაფიქსირებას, რომელიც თავისუფალია პრაგმატული, მოდალური, სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შინაგანი, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარეობს ნომინალურ სინტაგმაში მისი არსებით სახელთან კავშირის როგორც „ობიექტური სიტყვათაწყობის“ ფორმა. საპირისპიროდ ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სიგნიფი-კატური მნიშვნელობების, რომელთა საფუძველზეც ირღვევა ზედსართავი სახელის შინაგანი ფორმა. პირველადი ნომინაციები ვერ განსაზღვრავს ზედსართავ სახელთა სემანტიკას და ხორციელდება მეორადი ნომინაციის არაავტონომიური ტიპი. ამ ტიპის მნიშვნელობები მოკლებულნი არიან უნარს სინამდვილის ფრაგმენტებზე ავტონომიურად მიუთითონ. ნომინაციის აქტები ხორციელდება პრაგმატულ ფაქტორებთან მიმართებაში, კერძოდ, ენის სამომხმარებლო, კომბინატორული ტექნიკის გამოყენებით. ახალი ენობრივი ერთეული თავის აღნიშვნას შეესაბამება შუალობითად, არაავტონომიურად – მოცემული კომბინაციისათვის სემანტიკურად საკვანძო (საყრდენი) სახელწოდების საშუალებით (ეს შეიძლება იყოს არსებითი სახელი ნომინალურ სინტაგმაში – მიკროკონტექტში, ან მთელი წინადადება – მაკროკონტექსტი).

პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შინაგანი, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარეობს მისი არსებით სახელთან კავშირის „სუბიექტური სიტყვათაწყობის“ ფორმა. ყველა ტიპის მეორად ნომინაციას საფუძვლად უდევს ასოციაციური ხასიათი. მაგ: ნომინალურ სინტაგმაში

პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი „dünn“ ამჟღავნებს შემდეგ სემურ იერარქიულ სტრუქტურას:

1. nicht dick Jupp zog noch einmal an dem *dünnen* mit Tabak gefüllten Papierröllchen (ბიოლი 2003:19).

2. nicht dicht ..und die *dünnen* blonden Haare hingen in dem jungen und doch sehr zerfurchten Gesicht (ბიოლი 2003:72).

3. schwach Er war mir lästig; die ganze Nacht hindurch hatte er mich mit seiner dünnen Primanerstimme verrückt gemacht (ბიოლი 2003:246).

4. durchsichtig ..die Sonne schien durch die *dünnen Vorhänge* hinein (ბიოლი 2003:105).

5. mager (ზედ. სახელ. ვალ. და დისტრ. ლექსიკ. 1983:121)

Die *dünnen Froschzehen* reckten sich im Salondunst (შტრიტმატერი 1979:166).

მოცემული ზერდსართავი სახელი პოსტპოზიციურ გამოყენებაში წარმოდგენილია პირველადი ნომინაციით:

Viele Bücher standen in der Vitrine, mit bunten Umschlägen, dicke, dünne (კაუერი 2000:290).

ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალური ზედსართავი სახელით გამოხატული განსაზღვრების სიგნიფიკატური მნიშვნელობების ახლებური გააზრება მეორადი ნომინაციის პროცესებში ხორციელდება ტროპების (ხატოვანი გამოხატულება, სახელწოდების სტილისტური გადატანა (ლინგვ. ტერმ. ლექსიკ. 1969:481)) სხვადასხვა ლოგიკური ფორმების სახით:

1. მეტაფორა – სიტყვათა და გამოთქმათა გამოყენება გადატანითი მნიშვნელობებით მსგავსებათა და ანალოგიათა საფუძველზე seidene Augenwimper.

2. მეტონიმია – ტროპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი საგნის სახელწოდების ნაცვლად გადმოიცემა მეორეს სახელწოდება, რომელიც პირველის მიმართ იმყოფება ასოციაციურად მომიჯნავე მიმართებაში. dicke Tasche - viel Geld haben.

3. სინეკდოხა – (ლექსიკური), რომელიც აღარ წარმოადგენს ტროპს, რადგან სიტყვა ან გამონათქვამი მყარი მნიშვნელობის ხასიათს იღებს: Weißes Haus (ადმინისტრაციული სახლი).

4. ეპითეტი – განსაზღვრებების სახე, რომელიც ხასიათდება ექსპრესიულობით და გადატანითი მნიშვნელობებით. blaues Meer, seidene Locken.

5. ჰიპერბოლა – მეტყველების ფიგურა, რომელიც მდგომარეობს გადაჭარბებულ, გაძლიერებულ გამომსახველობაში, რომელიც გამონათქვამს ემპატიკურ

ხასიათს ანიჭებს: tiefe Augen wie das Meer.

6. ლიტოტა – ტროპი, რომელიც მდგომარეობს უარყოფასთან ერთად ანტონიმურ გამოყენებაში როგორც რიტორიკული დაკნინების, შემცირების საშუალება: nicht schlecht ნაცვლად gut, nicht schwer ნაცვლად leicht.

7. ოქსიუმორონი – მეტყველების ფიგურა, რომელიც მდგომარეობს ორი ანტონიმური ცნების, ორი აზრობრივად საწინააღმდეგო სიტყვის შეერთებაში: der pessimistische Optimist, bittere Freude, süßer Schmerz.

8. პერიფრაზა – ტროპი, რომელიც მდგომარეობს ჩვეულებრივი სიტყვის აღწერილობითი გამონათქვამით შეცვლაში: ewige Stadt ნაცვლად Rom.

9. ფუნქციონალური გადატანა – მნიშვნელობა, რომელსაც იღებს სიტყვა იმ საგნების აღნიშვნისას, რომელთათვისაც არ წარმოადგენს ჩვეულებრივ, ბუნებრივ რეფერენტს: sein Wille ist eisern.

ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, გამოვყოფთ ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შემდეგ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს:

1) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის გარეგნულ ფიზიკურ მონაცემს, მის შინაგან თვისებებს.

Metzners Gesicht sah aus wie ein Vollmond,
rund und leer (შუბერტი 1967:68).
Heinrich Ludwig, weißhäutig, rotbackig, blondhaarig,
saß auf den Knien seines Onkels Oskar (ველსკოფ-ჰენრიხი 1967:306)
Ottilie, rundlich, ... hatte nicht einen einzigen Zug mit
dem Vater gemeinsam (ვაისკოპფი 1966:22).
Vorn Heinz, groβ und etwas verdrückt (მუშგი 2000:249).
Das war alles, was ihm die Mutter,
halb widerwillig, mitgegeben hatte (კაინი 1962:95).
In einer grauen Frühe kam ein Herr, lang, schlank und
sehr freundlich, in den Laden des Herrn Ziedorn (ჰერმანი 1963:281).

2) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას: müde, alt, krank.

Ein blasser, magerer Mann, nervös, wie es den Eindruck
machte, bemerkte (დიურენმატი 2000:65).
Er trat dicht an sie hin…ein nun gar nicht mehr junger Mann,

sehr müde, mit gefurchtem Gesicht (ნოლი 1967:116).

Das sie es wieder gut machen würde, wenn jene,

die geliebter Eltern, alt und krank (ჰერმანი 1963:267).

3) ზედსართავი სახელები, რომელბიც აღნიშნავენ საგანთა გარეგნულ ფიზიკურ თვისებებს.

Über Ecke hing ein Madonnenbild, barock,

sehr gute Arbeit (ველსკოფ-ჰენრიხი 1967:485).

Die drei Büsten von Cäsar, Cicero, Marc Aurel,

ganz gelb und echt (ბიოლი 2003:51).

Der grichische Hoplit, bunt und gefährlich,

wie ein Hahn sah es aus (ბიოლი 2003:50).

In einem Garten hingen Hemden, steif

wie Schloßgespenster (ფედერშპილი 2000:209).

Ein Haus, sparsam verputzt (შუბერტი 1967:161).

Einige waren ohne jade Verputz, roh

und ziegelnackt (ვაისკოპფი 1966:165).

4) ზედსართავი სახელები, რომლებიც რეალიზდება აბსტრაქტულ არსებით სახელებთან.

Eine männliche Stimme, überforsch (ვაისკოპფი 1966:165).

Die Freundschaft mit Josef Prokop,

einfach und klar an der Oberfläche,

hatte etwas Undurchsichtiges,

Unbestimmbares in sich (ვაისკოპფი 1966:235).

Helene hatte eine dunkle Stimme, etwas brüchig und

ungeschult, aber von natürlicher Anmut ((ვაისკოპფი 1966:297).

5) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ბუნების მოვლენების და ცხოველთა სამყაროს ამა თუ იმ თვისებებს:

… rechts und links standen die Bäume, morsch,

rissig, gekröpft (ჰერმანი 1963:7).

Direkt neben der gewöhnlichen Kiefer wuchs die adlige Eiche,

königlich auch ohne Blätterschmuck (შუბერტი 1963:357).

Vorn der Fluß, breit, voller trotziger Kraft

und mütterlicher Reife (ვაისკოპფი 1966:236).

…als sei er eine Hirschkuh, eine reine, unschuldige (ულმანი 2000:324).

ნომინალურ სინტაგმაში ხშირად რეალიზდება ფერის აღმნიშვნელი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები.

Ja, es war ein hochherschaftliches Haus mit

farbigen Flurfenstern, grün und rosa (ჰერმანი 1963:12).

Sie hatten die Farben gescheckter Kuhfelle,

schwarzbraun und weiß (ვაისკოპფი 1966:112).

Ein goldenes Gemüt…goldene Armbänder an den

Armen und einen Körper, goldbraun (შუბერტი 1967:161).

ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ვთვლით, რომ ნომინალურ სინტაგმაში დიდი რაოდენობით რეალიზდება ადამიანის გარეგნული ფიზიკური მონაცემის და საგანთა გარეგნული ფიზიკური თვისებების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები. ნომინალურ სინტაგმაში შედარებით იშვიათად რეალიზდება მე-4 და მე-5 ჯგუფის ზედსართავი სახელები.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისთვის მათი სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე (დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაცია), ნიშანდობლივია არსებით სახელთან გარეგანი სინტაქსური კავშირები. ისინი გადმოსცემენ საზღვრული სიტყვის დამახასიათებელ ბუნებრივ, რეალურ თვისებებს და ასრულებენ განსაზღვრების სინტაქსურ ფუნქციას, ხოლო შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე მათ შორის არ არსებობს ისეთი მრავალფეროვანი ურთიერთმიმართებები, რომლებიც ახასიათებს ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებს, რომლებიც მათი სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე (სიგნიფიკატური მნიშვნელობების აქტუალიზაცია), არსებით სახელს უკავ-შირდება როგორც გარეგან სინტაქსურ დონეზე, ასევე ძალიან მრავალფეროვან შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე.

სემანტიკური თვალსაზრისით ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზრვრება არაგანკერძოებულისაგან განსხვავდება იმითაც, რომ იგი აღნიშნავს საგნის არა მხოლოდ აქტიურ ან პასიურ ნიშანს ატრიბუტული მნიშვნელობით არამედ ნიშანს, რომელიც მიეწერება საგანს ე.ი.

აქვს პრედიკაცია.

პრედიკაციის პირველადი ფორმალური აპარატის უმარტივესი მაგალითი შეიძლება იყოს ორი სახელის მიმართება. მაგ: არსებითი სახელისა არსებით სახელთან, არსებითი სახელისა ზედსართავ სახელთან. პრედიკაციის ნიშნები იწოდებიან „უნივერსალურად" და „სინტაქსურებად", რადგან ისინი წარმოიშობიან ყოველთვის უნივერსალურად.

„პრედიკაცია ლათ. praedicatio – გამონათქვამი) არის აზრის დამოუკიდებელ საგანთა შეერთების აქტი, რომლებიც გამოხატულნი არიან დამოუკიდებელი სიტყვებით, პრედიკატით და მისი აქტანტებით, იმ მიზნით, რომ ასახონ „საქმის მდგომარეობა", სინამდვილის ვითარება, სიტუაცია".

პროპოზიციის (სემანტიკური ინვარიანტი, საერთო წინადადების მოდალური და კომუნიკაციური პარადიგმის ყველა წევრისთვის და წინადადებისგან წარმოებული კონსტრუქციებისათვის (ნომინალიზაცია)) შექმნის აქტი" (ლინგვ. ენციკ. ლექ. 1990:393).

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელების პოსტპოზიციური გამოყენებისას პრედიკაციის არსებობა ადასტურებს მსაზღვრელი და საზღვრული სიტყვების დამოუკიდებლობას და მიუთითებს მათი კავშირის თავისუფლებაზე.

პრედიკაცია არის გამოხატვა არასრული გამონათქვამისა, ანუ მნიშვნელობა, რომელიც ახლოს დგას შემასმენელთან, მაგრამ არაიგივეობრივია მისი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განკერძოებული განსაზღვრება თავის თავში შეიცავს დამატებითი გამონათქვამის ელემენტს, მაგრამ არა იმ დონით დამოუკიდებელს, როგორც შემასმენელია, არამედ რამდენადმე შესუსტებულს შემასმენელის არსებობით.

ატრიბუტული განსაზღვრება გადმოსცემს ნიშანს, ანუ იგი არაფერს არ გვატყობინებს საგნის შესახებ, რომელსაც მოცემული ნიშანი მიეწერება. როცა ამგვარი შესიტყვებები გამოიყენებიან დასახელებულის არსებობის დასადასტურებლად, მაშინ ისინი ხდებიან გამონათქვამი წინადადებები, ხოლო მის წევრებს შორის წარმოიშობა პრედიკაცია. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ხდება ატრიბუტული სინტაგმის აქტუალიზირება მეტყველებაში.

სტრუქურაში „არსებითი სახელი-ზედსართავი სახელი" ზედსართავი სახელი გადმოსცემს არა მხოლოდ ნიშნის დასახელებას, არამედ აგრეთვე მიმართებას საგანსა და ნიშნის დასახელებას შორის დროის გარკვეულ მონაკვეთში. ეს მიმართება გამოიხატება განსაკუთრებული გრამატიკული

საშუალებებით, კერძოდ ინვერსიით.

განკერძოებული განსაზღვრება თავის თავში შეიცავს არა მარტო ნიშნის დასახელებას, რომელიც მოცემულია საგანში, არამედ აგრეთვე ელემენტს მის შესახებ გამონათქვამისა. ეს გამონათქვამი გვაძლევს წარმოდგენას ნიშანსა და საზღვრულ საგანს შორის მიმართების არსებობაზე ამა თუ იმ დროის მონაკვეთში და თავისი გამოხატვისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ, დამატებით გრამატიკულ საშუალებებს, რომლებიც მიიპყრობენ მკითხველის ან მსმენელის ყურადღებას და გამოიწვევენ ქვემდებარის ჯგუფის დანაწევრებას, მაგრამ ამავე დროს არ მოითხოვენ დამატებით ლექსიკურ საშუალებებს ან სხვა მორფოლოგიურ გამოხატვას არაგანკერძოებულ განსაზღვრებასთან ან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებასთან შედარებით.

პრედიკაცია განკეროებულ განსაზღვრებაში წარმოიშობა:

1) ამხსნელი ინტონაციით და პაუზებით წარმოქმნის დროს, რაც წერილობით აღინიშნება სასვენი ნიშნებით და რომლის საშუალებითაც მიიღწევა ქვემდებარის ჯგუფის დანაწევრება

2) დამატებითი ლოგიკური მახვილით წარმოთქმის დროს.

3) სიტყვათა ჩვეული წყობის შეცვლით ანუ ინვერსიით.

ინვერსია განკერძოების დროს გამოდის როგორც ყველაზე უფრო ძლიერი საშუალება მიაპყროს მკითხველის ან მსმენელის ყურადღება წარმოთქმული აზრისკენ, შტრიხისკენ.

განსაზღვრების დაყენება საზღვრული სიტყვის შემდეგ – ინვერსია, ზრდის განსაზღვრების კუთრ წონას, რომელიც გადაადგილების და გამოყოფის აქცენტოლოგიური საშუალებებით წინადადებაში იძენს დიდ ძალას, დიდ დამოუკიდებლობას, პრედიკაციას.

ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების პრედიკატული მნიშვნელობის არსებობა და მისი დამოუკიდებლობა დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელს შეიძლება ახლდეს დამოკიდებული წინადადებაც.

Zwei Prachtkerle, dick, stark und übermütig, die in den Gehölzen der
Umgegend regelrechte Faustduelle veranstalteten (მანი 1963:553).
Doch ein anderes Bild, so unvermittelt, daβ er sekundenlang
erstarrt neben ihr lag (ნოლი 1967:104).

ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება უფრო

შემოფარგლავს, რაღაცაზე მიუთითებს, ვიდრე ხსნის ქვემდებარის აზრს. გარდა ამისა განსაზღვრება განკერძოების დროს იძენს დროითი მნიშვნელობის ელ-ფერს, – იწვევს ნიშნის მიმართების წარმოდგენას დროის ამა თუ იმ მომენტთან და არა საერთოდ დროსთან, ე.ი. გამოხატავს არა მტკიცე ნიშანს, არამედ შემოსაზღვრულს დროში, რომელიც დაკავშირებულია დროის განსაზღვრულ მონაკვეთთან, რაც მას აახლოვებს შემასმენელთან.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები აფიქსირებენ საგნის ნიშან-თვისებებს მოცემულ მომენტში, დროის მოცემულ მონაკვეთში. ისინი ახასიათებენ, განსაზღვრავენ საგანს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით. (საპირისპიროდ პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სიგნიფიკატური მნიშვნე-ლობებისა ნომინალურ სინტაგმაში, რომლებიც გადმოსცემენ მუდმივ ნიშანს, რომელიც არ არის შემოსაზღვრული დროში).

Und so schreiten wir mit erhobenen Stirnen, voller mannhafter

Zuversicht, über die Schwelle dieses neuen Jahres (ვაისკოპფი 1966:31).

Flaschen, dickbäuchige und schlanke, werden eben

mit Kaffeetassen vertauscht (ნოლი 1967:216).

Das Hemd, am Halse öffen, entblößte den groβen

Adamsapfel unterm Popenbart (ცვაიგი 1967:392).

Auf den Tisch häuften sich Tüten und Speisereste,

Rotweinflaschen, volle und leere (ნოლი 1967:47).

... und am Fluß standen Lagerhäuser, fertige, halbfertige (ზეგერსი 1979:132).

ამრიგად, ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსარ-თავი სახელები, პრენომინალურისაგან განსხვავდებიან იმითაც, რომ:

ა) მათ აქვთ პრედიკაცია;

ბ) ისინი ხასიათდებიან დროითი მნიშვნელობის მომენტით.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ: ატრიბუტული ზედსართავი სახელის პრეპო-ზიცია ნომინალურ სინტაგმაში დაკავშირებულია სიგნიფიკატური მნიშვნელო-ბების აქტუალიზაციასთან, დიდი მოცულობის გადმოცემულ ინფორმაციასთან, სუბიექტურ შეფასებასთან, მეორადი ნომინაციის არაავტონომიური ტიპის რეალიზებასთან, მუდმივი (დროში შემოუსაზღვრელი) ნიშნის გამოხატვასთან. ამის საპირისპიროდ ატრიბუტული ზედსართავი სახელის პოსტპოზიცია დაკავ-

შირებულია დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაციასთან, მცირე მოცულობის გადმოცემულ ინფორმაციასთან, ობიექტურ შეფასებასთან, პირველადი ნომინაციების რეალიზებასთან, პრედიკაციისა და დროში შემოსაზღვრული ნიშნის გამოხატვასთან.

ენობრივი მასალის ანალიზი გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

1. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა გამოვიკვილიეთ ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის და მისი შესაბამისი ცნების ლოგიკური კატეგორიის ურთიერთმიმართების საფუძველზე.

ცნებისა და ლექსიკური მნიშვნელობის თანაფარდობა სხვადასხვა მიმართებაში განსხვავებულია. ორივე მათგანს დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და რთული სტრუქტურა გააჩნია. ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურა განისაზღვრება მისი სემანტიკით, პრაგმატიკით, სინტაქტიკით. ცნების სტრუქტურაში მის შემადგენელ სტრუქტურულ ნაწილებად გამოიყოფა: 1. სიგნიფიკატი, 2. ინტენსიონალი, 3. დენოტატი, 4. კომპრეჰენსია.

ცნების სტრუქტურული ნაწილები სიგნიფიკატი და ინტენსიონალი, დენოტატი და კომპრეჰენსია ერთიანდება და ცნების სტრუქტურაში ძირითად ცნებით კომპონენტებად გამოიყოფა: 1) სიგნიფიკატი, 2) დენოტატი.

2. ცნება და ლექსიკური მნიშვნელობა აზროვნების სხვადასხვა რიგის კატეგორიას წარმოადგენს და გამიჯნულია ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის არსებობს მუდმივი ერთიერთმიმართება. ცნება არსებობს ენობრივ ფორმაში, სიტყვა არის ცნების არსებობის ფორმა. ლექსიკური მნიშვნელობა არის მასალა ცნების ფორმირებისათვის. ხოლო ცნება, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ლექსიკურ მნიშვნელობას ხასიათდება საზღვრების არამკაფიურობით და „წაშლით“. ცნებას ერთი მხრივ გააჩნია მტკიცე, მკაფიო განსაზღვრული ცნებითი ბირთვი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა ლექსიკური მნიშვნელობის სიმტკიცე და განსაზღვრულობა, და ცნებას აქვს განუსაზღვრელი „ბუნდოვანი“ პერიფერია. ცნების საზღვრების ასეთი გადარეცხვის შედეგად ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება გაფართოვდეს და მან მოიცვას უფრო მეტი.

3. ენობრივი მასალის ანალიზის საფუზველზე ვთვლით, რომ ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ლექსიკურ

მნიშვნელობაში წარმოებს დენოტატური ასპექტის, მნიშვნელობის ცნებითი ბირთვის, აზრის ნომინაციური, ფაქტიური, დიქტალური, არასიტუაციური, რეპრეზენტაციური, საგნობრივ-რელაციური კომპონენტის აქტუალიზაცია, რომელიც აბსტრაჰირებულია პრაგმატული, მოდალური სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან.

4. სიტყვის მოწყობილობა ენაში არის ურთიერთობათა რთული კომპლექსი. სიტყვა პირველ რიგში გამოდის როგორც აზრის ნიშანი (სიგნიფიკატი) და მეორე, სიტყვა გამოდის როგორც საგნის ნიშანი (დენოტატი). დენოტატი, როგორც საგნის ნიშანი, ნებისმიერ კონტექსტში განსაზღვრულია. ის ვერ ჩაირთავს ნებისმიერ ნიშანს (საპირისპიროდ სიგნიფიკატის-აზრის ნიშნისა, რომელიც ინტენსიონალის მრავალ ნიშანს აერთიანებს და ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის მნიშვნელობათა რეალიზაციის საფუძველია). ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები ნებისმიერ კონტექსტში წარმოდგენილი არიან დენოტატური მნიშვნელობებით (არ იწარმოება სემური იერარქია, არ გამოიყოფა კონოტაციური მნიშვნელობები) და შესაბამისად გამოხატავენ საგნის დამახასიათებელ რეალურ, ბუნებრივ თვისებებს, რომლებიც ყველაზე ხშირად საგანთა გარეგნული, ფიზიკური მონაცემია: ასაკი, ფერი, სიდიდე და ა.შ.

ein Tüllkleid, golddürchwirkt. Brillengläser, rund und dick.

Onkel August, braungebrannt.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები აღნიშნავენ ინტეგრალურ, არასიტუაციურ, ფაქტიურ, დიქტალურ ნიშანს, რომელიც თავიდანვე ცნობილი და უცვლელია ყველა კონტექსტში.

5. ნომინალურ სინტაგმაში გამონათქვამის ცალკეული ნაწილების რითმული განაწილების მიზნით ზოგი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება წინაველში, ზოგი ბოლოველში. წინაველში თავსდება ატრიბუტული ზედსართავი სახელები სიგნიფიკატური მნიშვნელობებით, ხოლო ბოლოველში ადგილს იკავებს ატრიბუტული ზედსართავი სახელები დენოტატური მნიშვნელობებით.

ein schlechtes Foto, aber deutlich.

der junge Mann, froh.

bittere Geschichten, aber schön.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის ენობრივი გამოხატულების ფორმას ნომინალურ სინტაგმაში წარმო-

ადგენს დენოტატი (ცნებითი ბირთვი). (პრენომინალური ატრიბუტული ზედსარ-თავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის ენობრივი გამოხატულების ფორმას ნომინალურ სინტაგმაში წარმოადგენს სიგნიფიკატი (ცნებითი შინაარსი).

6. ინტეგრალური (დენოტატი) და დიფერენციალური (სიგნიფიკატი) ნიშნები ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში სხვადასხვა როლს ასრულებს. ეს პირველ რიგში აისახა მათ სემანტიკურ სტრუქტურაში. სიტყვის ფუნქციო-ნირებასა და განვითარებაში ხშირად სწორედ ინტეგრალური ნიშნებით გადმოიცემა ყველა თავისებურება ენის ცნების გამოხატულებისა, ამავე დროს ცნების განვითარებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს სიგნიფიკატი.

7. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტები დაკავშირებულია მის შინაგან ფორმასთან, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე, ნებისმიერ კონტექსტში შენარჩუნდება პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შინაგანი ფორმა, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელი სემანტიკური და სტრუქტურული ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ კონტექსტში ხორციელდება პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციების რეალიზაცია, პირველადი ნომინაციები განსაზღვრავს მის სემანტიკას. შენარჩუნდება პოსტნო-მინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური მნიშვნელობა და მატერიალური სახე: eine Gasse, so eng und düster. Gedanken und Gefühle, gute und böse. die Zeit, furchtbar.

8. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი არსებით სახელს უკავშირდება ორ დონეზე: გარეგან, სინტაქსურ დონეზე, ზედსართავი სახელი აღნიშნავს არსებითი სახელის თვისებას და ასრულებს განსაზღვრების სინტაქსურ ფუნქციას, ხოლო შინაგან-ლოგიკურ სემანტიკურ დონეზე (დენოტატური მნიშვნელობების, საგნის ნიშნის აქტუალიზაციის საფუძველზე), მათ შორის არ არსებობს ისეთი მჭიდრო ურთიერთმიმართებები, რომლებიც დამახასიათებელია ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისთვის, რომლებიც არსებით სახელს უკავშირდება მათი სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე

(სიგნიფიკატური მნიშვნელობების, აზრის ნიშნის მოდიფიცირების საფუძველზე), როგორც გარეგან, სინტაქსურ, ასევე ძალიან მრავალფეროვან შინაგან ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე.

9. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი მისი ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე ემსახურება არსებულის დადასტურებას, ფაქტის აღნიშვნას, დაფიქსირებას და ნაკლებად დახასიათებას. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედ-სართავი სახელი გადმოსცემს „ობიექტურ შეფასებას“ და ახდენს საზღვრული სიტყვის თვისებების ობიექტურ აღნიშვნა-დაფიქსირებას, რომელიც თავისუფალია პრაგმატული, მოდალური, სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედ-სართავი სახელის შინაგანი ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდი-ნარეობს მისი არსებით სახელთან კავშირის როგორც „ობიექტური სიტყვათაწყობის“ ფორმა.

ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, გამოვყოფთ ნომინალურ სინ-ტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შემდეგ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს:

1) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის გარეგნულ ფიზიკურ და შინაგან თვისებებს.
2) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას. müde, all, krank.
3) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ საგანთა გარეგან ფი-ზიკურ თვისებებს.
4) ზედსართავი სახელები, რომლებიც ნომინალურ სინტაგმაში აბსტრაქ-ტულ არსებით სახელებთან რეალიზდება.
5). ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ბუნების მოვლენების და ცხოველთა სამყაროს ამა თუ იმ თვისებებს.

ნომინალურ სინტაგმაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რეალიზდება I და III ჯგუფის ზედსართავი სახელები, შედარებით ნაკლებად IV და V ჯგუფის ზედსართავი სახელები.

10. სემანტიკური თვალსაზრისით ზედსართავი სახელით გამოხატული განკერ-ძოებული განსაზღვრება არაგანკერძოებულისაგან განსხვავდება იმითაც, რომ:

1) იგი აღნიშნავს არა მხოლოდ საგნის აქტიურ, ან პასიურ ნიშანს ატრიბუტული მნიშვნელობით, არამედ ნიშანს, რომელიც მიეწერება საგანს, ე.ი. აქვს პრედიკაცია.

პრედიკაცია განკერძოებულ განსაზღვრებაში წარმოიშობა:

ა) ამხსნელი ინტონაციით და პაუზებით წარმოქმნის დროს, რაც წერილობით აღინიშნება სასვენი ნიშნებით და რომლის საშუალებითაც მიიღწევა ქვემდებარის ჯგუფის დანაწევრება.

ბ) დამატებითი ლოგიკური მახვილით წარმოთქმის დროს.

გ) სიტყვათა ჩვეული წყობის შეცვლით ანუ ინვერსიით.

2) ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება იძენს დროითი მნიშვნელობის ელფერს, იწვევს ნიშნის მიმართების წარმოდგენას დროის ამა თუ იმ მომენტთან და არა საერთოდ დროსთან, ე.ი. გამოხატავს არა მტკიცე ნიშანს, არამედ შემოსაზღვრულს დროში, რომელიც დაკავშირებულია დროის განსაზღვრულ მონაკვეთთან, რაც მას აახლოებს შემასმენელთან.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი ახასიათებს, განსაზღვრავს საგანს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები ხასიათდება: 1) პრედიკაციით, 2) დროითი მნიშვნელობის მომენტით.

11. ატრიბუტული ზედსართავი სახელის პრეპოზიცია ნომინალურ სინტაგ-მაში დაკავშირებულია სიგნიფიკატური მნიშვნელობების აქტუალიზაციასთან, დიდი მოცულობის გადმოცემულ ინფორმაციასთან, სუბიექტურ შეფასებასთან, მეორადი ნომინაციის არაავტონომიური ტიპის რეალიზებასთან, მუდმივი (დროში შემოუსაზღვრელი) ნიშნის გამოხატვასთან. ამის საპირისპიროდ ატრიბუტული ზედსართავი სახელის პოსტპოზიცია დაკავშირებულია დენოტატური მნიშვნე-ლობების აქტუალიზაციასთან, მცირე მოცულობის გადმოცემულ ინფორმა-ციასთან, ობიექტურ შეფასებასთან, პირველადი ნომინაციების რეალიზებასთან, პრედიკაციისა და დროში შემოსაზღვრული ნიშნის გამოხატვასთან.

III თავი

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის მნიშვნელობა, ვალენტობა, კომუნიკაციური ღირებულება ნომინალურ სინტაგმაში

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში განვიხილავთ პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურის მიმართებას სინტაქსურ სტრუქტურასთან, ვალენტურ და დისტრიბუციულ შესაძლებლობებთან, ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ღირებულებასთან.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა განსაზღვრავს მის სინტაქსურ სტრუქტურას, შესაბამისად:

1) ვალენტურ და დისტრიბუციულ შესაძლებლობებს.

2) კომუნიკაციურ ეფექტს, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურებში განიმარტება როგორც გამონათქვამი (ტექსტი), რომლის ყოველი შემადგენელი ენის ვერბალურ პროდუქტს ქმნის, რომელიც ემსახურება კომუნიკანტების შინაარსების, იდეების, ინტერესების ინტერპრეტირებას.

როგორც სემანტიკის, ასევე ვალენტობის თეორიის კვლევაში, დიდი ხანია მძლავრი ორიენტაციაა აღებული კომუნიკაციაზე (ლათ. ვანზოგადებ, ვაკავშირებ, ვურთიერთობ).

არა მხოლოდ კ. ველკე აღნიშნავს: „თუკი ენა არის კომუნიკაციის ინსტრუმენტი, გროტესკი იქნებოდა მისი სტრუქტურის გაგება გვდომოდა კომუნიკაციურ ფუნქციასთან მიმართების გარეშე. გრამატიკული რესტრიქციები, სინტაქსური წესები, სტილისტური ტრანსფორმაციები არ არსებობენ, რადგან ისინი ორგანიზმის სემანტიკური კოდით არიან წინასწარ მოცემულნი. ისინი არსებობენ, რადგან სრულიად სპეციფიკურ კომუნიკაციურ ფუნქციებს ემსახურებიან“ (ველკე 1990:157).

ამ თვალსაზრისით განვითარდა ვალენტობის თეორიაც. საქმე ეხებოდა ეგრეთწოდებულ პრაგმატულ ვალენტობას.

გ. ჰელბიგმა რამდენიმე წლის წინ გამოიკვლია ვალენტობასა და კომუნიკაციას შორის მიმართება და სამართლიანად მიუთითა 4 ასპექტზე:

1. კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაში და მის მოცემულ კომუნიკა-

ციურ ინტენსიასთან შესაბამისად მოსაუბრეს აქვს არჩევანი ზედაპირისეულად რაიმეს რეალიზაციის ან არარეალიზაციის, რაც სემანტიკურ – სინტაქსურად ენის სისტემაში (ვალენტობის თვისებაში) არის მოცემული.

2. ენის სისტემის ვალენტობის თვისებები ერთი სახეობის ტექსტიდან მეორე სახეობის ტექსტზე განსხვავებული ხერხით გამოიყენება. ამავე დროს პირველ რიგში საქმე ეხება პრაგმატულად დაფუძნებულ მოდიფიკაციებს, უპირველეს ყოვლისა შემოკლებებს და ელიმინირებებს.

3. ვალენტობის კავშირი კომუნიკაციასთან მიიღწევა სემანტიკური ვალენ-ტობისათვის ცნებითი ინვენტარის, ეს ნიშნავს სემანტიკური კაზუსების პრაგმატული ინტერპრეტაციით.

4. ფაქტობრივად არსებობენ წევრები, რომლებიც კომუნიკაციური საფუძ-ლებიდან გამომდინარე საჭირონი არიან (ტექსტ/გრამატიკული და/ან კომუნიკაციურ/ობლიგატორული), რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში ენის გამოყენებისათვის განსაკუთრებით არსებითია, თუმცა თვითონ მათ ამით არც ისე შეეთავსებათ ვალენტობის თვისებები“ (ჰელბიგი 1985:154f).

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა დისკუსიებმა ვალენტობის არსის შესახებ. თავდაპირველი მოსაზრებები ვალენტობის არსის შესახებ გვხვდება უკვე 30-იან წლებში.

ვალენტობის თეორიის ისტორია დღესაც მეტად აქტუალურია და უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი საკითხების შესახებ ლინგვისტ – მეცნიერთა თვალსაზრისები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი სრულიად სხვადასხვა მხრივ განიხილავენ ვალენტობას.

კ. ველკე გვაძლევს ვალენტობის რამდენიმე განსაზღვრებას:

„ვალენტობა არის ვალენტობის მტარებელი სიტყვის (მაგ. ზმნების) თვისება მოახდინოს აქტანტების სუბკატეგორიზაცია, დამოუკიდებლად იმისა, ისინი ობლიგატორული არიან თუ ფაკულტატური“ (ველკე, 1995:165).

„ვალენტობა არის სინტაქსური ერთეულების თვისება სხვა სინტაქსური ერთეულების სუბკატეგორირებისათვის, ან მათი ობლიგატორული გულისხმო-ბისათვის. (ლოგიკური დისიუნქციის თვალსაზრისით)“ (ველკე 1995:165).

კ. ველკეს ვალენტობის ფორმალურ – სინტაქსური და სემანტიკურ – სინტაქსური დეფინიცია შემდეგგვარია: „ვალენტობა არის სინტაქსური ერთეულების თვისება სხვა სინტაქსური ერთეულების (აქტანტების) სემანტიკური დეტერმინაციისათვის“ (ველკე 1995:170).

ვალენტობის მტარებელი სიტყვები განსაზღვრავენ თავიანთ აქტანტებს ხარისხის მიხედვით (თვისება თუ რელაცია). ამით აღიწერება ელემენტარული სემანტიკური ინტუიცია, რომელიც საფუძვლად უდევს ვალენტობას, როგორც სინტაქსურ ფენომენს. თუ ვალენტობას განვიხილავთ არამარტო რელაციაში R (ვალენტობის მტარებელი, აქტანტი), არამედ აგრეთვე კონვერსიაში R^1 (აქტანტი, ვალენტობის მტარებელი), მაშინ მივიღებთ ვალენტობის განზოგადოებულ ცნებას.

„ვალენტობა მაშინ არის ლექსიკონის დატვირთვა სხვა სინტაქსურ ერთეულებთან სიტყვის ვალენტობით განპირობებული კომბინაციების შესახებ ფორმალურ სინატაქსური, ლოგიკურ – სინტაქსური, სემანტიკურ – სინტაქსური და პრაგმატულ – სინტაქსური თვალსაზრისით (ველკე 1995:170).

ამ განზოგადოებისაგან დამოუკიდებლად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ვალენტობა თავიდანვე არის ვირტუალური, ანუ ლექსიკონური მიმართება. გრამატიკის განხილვა ლექსიკონის პერსპექტივიდან არის ვალენტობის გრამატიკის სპეციფიკური და ორიგინალური პოზიცია. შემთხვევითი არ არის, რომ ვალენტობის გრამატიკის ძირითადი შედეგია მრავალფეროვანი ლექსიკონები ვალენტობის შესახებ.

ი. დარსკი შემდეგნაირად განსაზღვრავს ვალენტობის ცნებას: „ვალენტობა არის სემანტიკურ – სინტაქსური მოვლენა, რომელიც ლოკალიზდება წინადადების წევრთა დონეზე და არაერთაზროვან დაქვემდებარებაში ცვალებადია“ (დარსკი 1995:233).

თანამედროვე ლინგვისტურ ლექსიკონებში ვალენტობა შემდეგნაირად არის განმარტებული:

„ვალენტობა (ლათ. valentia – ძალა, უნარი) არის სიტყვების ან მორფემების თვისება, მოითხოვოს სხვა ერთეულები“ (ვარიგი 2002:1317).

„ვალენტობა (ძვ. ლათ. valentia – სიმძლავრე, ძალა) არის სიტყვის უნარი დაიკავშიროს სხვა სიტყვები სემანტიკურ-სინტაქსურად“ (დუდენი 2007:1787).

კ.ე. ზომერფელდტი თავის გამოკვლევებში ეხება კოგნიტიური ფსიქო-ლოგიის აღიარებებს.

ამ აღიარებებისათვის მოიპოვება მთელი რიგი ტერმინები, რომლებიც გამოიყენებიან ნაწილობრივ სინონიმურად, ნაწილობრივ განსხვავებულად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერთგვაროვნად.

„ისტორია – რამა – სცენარი/სცენა – შემთხვევის ტიპი. ასეთი ცნებითი –

სემანტიკური ბადეების რეალიზაცია ენობრივად ხდება. ამავე დროს ამოსავალ წერტილს წარმოადგენენ ის ენობრივი ელემენტები, რომლებიც ახდენენ სემანტიკური ბირთვის რეალიზაციას: ზმნები, ზედსართავი სახელები, არსებითი სახელები, რომლებსაც თავიანთი ვალენტობის ძალით სრულიად განსხვავებული ცნებითი რელაციების პერსპექტივება შეუძლიათ“ (ზომერფელდტი 1993:153).

დღეს ლაპარაკობენ აქამდე არსებული მოსაზრების შემობრუნებაზე: „ამოსავალი წერტილი აღარ არის წინადადება, არამედ ზმნების მიერ სცენების შექმნის პოტენცია. თუკი მივიჩნევთ, რომ წინადადების მნიშვნელობა ცენტრალური ვალენტობის მტარებელი სიტყვის ვალენტობით (და აქედან გამომდინარე სემანტიკით) განისაზღვრება და ჩვენ ასეთ ცენტრალურ ვალენტობის მტარებელ სიტყვებად მივიჩნევთ მეტყველების ნაწილებს: ზმნას, ზედსართავ სახელს არსებით სახელს, მაშინ წარმოიშობა სემანტიკური წინადადების მოდელის კლასიფიკაცია ცენტრალური ვალენტობის მტარებელი სიტყვის მეტყველების ნაწილის სახეობის მიხედვით. კ.-ე. ზომერფელდტი პირველ საფეხურზე განასხვავებს ზმნურ წინადადებებს, ზედსართავიან წინადადებებს და არსებით სახელებიან წინადადებებს“ (ზომერფელდტი 1993:26).

კ. ზომერფელდტი და ჰ. შრაიბერი განსაზღვრავენ დონეებს და განასხვავებენ ვალენტობის შემდეგ სახეებს:

1) ლოგიკური ვალენტობა (ცნებით სტრუქტურებში). ლოგიკურ ვალენტობაში ისინი გულისხმობენ ცნებით რელაციებს. ცნებითი რელაციები არაენობრივი არიან. სინამდვილის ფაქტები წარმოდგენილია როგორც შემასმენელის სტრუქტურები, პრედიკატები, რამდენიმე თავისუფალი ადგილით – არგუმენტით.

2) სემანტიკური ვალენტობა – კონკრეტული ენობრივი სტრუქტურა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის ფაქტი, რომ განსაზღვრული სიტყვები განსაზღვრულ პარტნიორებს მოითხოვენ, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ განსაზღვრული მნიშვნელობა, რათა იქონიონ კავშირები. ვალენტობა, რომელიც ემყარება მნიშვნელობას გააჩნია არა მხოლოდ ზმნას, არამედ სხვა მეტყველების ნაწილებსაც: არსებით სახელს, ზედსართავ სახელს, ზმნიზედას.

3) სინტაქსური ვალენტობა – კონკრეტული ენობრივი სტრუქტურა. აქ ავტორები გულისხმობენ იმ ფაქტს, რომ ვალენტობის მტარებელი სიტყვა, თავისი როგორც მეტყველების ნაწილის შემოსაზღვრით და არსებულ მიმართებათა საშუალებების საფუძველზე ადგენს პარტნიორთა როლს და მათ მორფოლოგიურ ფორმას.

მაგ. ზედსართავი სახელისათვის „dankbar” - საზღვრული სიტყვა შეიძლება იყოს სუბიექტი ან წინადადების სხვა წევრი მიცემით ბრუნვაში, წინდებულიანი ჯგუფი für+Akk (ზომერფელდტი...1983:17).

ეს განსხვავებული ფორმები იმის მაჩვენებელია, რომ არ არსებობს იზომორფია აზროვნების და ენობრივ სტრუქტურებს შორის. კონკრეტულ ენობრივ დონეზე წყდება ამ აქტანტებიდან რომელია აუცილებელი და რომელ აქტანტს შეუძლია ფუნქციონირება განსაზღვრული პირობების საფუძველზე ფაკულტატურად. აუცილებელ აქტანტებად ითვლება ისინიც, რომლებიც წინადადებაში აუცილებლად უნდა მოთავსდენენ თუ უნდა მოხდეს განსაზღვრული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის აქტუალიზება.

ვალენტობის შესახებ სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე თვალსაზრისს იზიარებენ ვ. ბონდციო, ვ. მულნერი, დ. რადკე.

ვ. ბონდციო ვალენტობას განიხილავს ცნებით – ლოგიკური მხრივ. მისთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს ცნებით კომპონენტებს. ვ. ბონდციო განმარტავს, რომ ტერმინ ვალენტობით უნდა აღინიშნებოდეს მნიშვნელობის თვისება იქონიოს თავისუფალი ადგილები რელაციურ-ლოგიკური თვალსაზრისით.

ვ. ბონდციო ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ ეს მოვლენა დამოკიდებულია მოცემული კონკრეტული წინადადების ორგანიზაციაზე და მიეკუთვნება ლინგვისტურ კომუნიკაციურ დონეს. მრავალი ლინგვისტის აზრით ეს პრობლემები და მათთან დაკავშირებული პირობები აუცილებლად უნდა იყოს შემდგომში შესწავლილი.

ვალენტობის და მნიშვნელობის ურთიერთმიმართების საკითხს სვამს ჰ. ნიკულაც და აღნიშნავს, რომ დღეს სადავო აღარ არის ის საკითხი, რომ ვალენტობასა და მნიშვნელობას შორის სრულიად ნათელი ურთიერთმიმართება არსებობს. ეს ეხება აქტანტების როგორც რიცხვს, ასევე მათ სახეობას. ასე მაგალითად, თუ ზმნის მნიშვნელობა აღიწერება სტანდარტულ შემთხვევაში როგორც ერთი პრედიკატ-არგუმენტ-სტრუქტურა, არგუმენტების რაოდენობა იგივე იქნება, როგორც აქტანტებისა: „თუკი ვალენტობასა და მნიშვნელობას შორის ასეთი მჭიდრო ურთიერთმიმართება არსებობს, მაშინ ყოველი ვალენ-ტობის აღწერა არის მეტ-ნაკლებად უშუალოდ ან შუალობითად მნიშვნელობის აღწერა. აქედან პირველ რიგში გამომდინარეობს ის შედეგები, რომ:

1. ერთი და იგივე ვალენტობის მტარებელი სიტყვის სხვადასხვა ვალენტური აღწერილობანი შეიძლება ემყარებოდეს ამ ვალენტობის მტარებელი სიტყვის მნიშვნელობათა შესახებ სხვადასხვა გაგებას.

2. აქტანტებისა და თავისუფალი წევრების განსხვავებისას ასევე უშუალოდ უნდა გავითვალისწინოთ ვალენტობის მტარებელი სიტყვის მნიშვნელობა“ (ნიკულა 1995:135).

ჰ. ნიკულა თავისი გამოკვლევების ცენტრში აყენებს ზმნას და აღნიშნავს, რომ თავიანთი უშუალო პრედიკატების მნიშვნელობიდან გამომდინარე არგუ-მენტებს შეიძლება შეეთავსოს შემდეგი შინაარსები: აგენსი და თემა. აგენსი იქნებოდა ყველა პრედიკატის მნიშვენლობათა ტიპის: „machen”, „verursachen” და ა.შ. პირველი არგუმენტის კაზუსის ნიშანი. შემდეგ ივარაუდება, რომ ყველა პრედიკატს ერთი თემა - არგუმენტი გააჩნია. ამავე დროს თემა იქნებოდა ყველა ერთვალენტიანი პრედიკატის ერთადერთი კაზუსის ნიშანი.

ავტორის ამოსავალი მოსაზრებაა, რომ ვალენტობის მტარებელი სიტყვის აქტანტები დაიყვანება პრედიკატ-არგუმენტ-სტრუქტურის, ანუ ე.წ. ვალენტობის მტარებელი სიტყვის „ლოგიკურ-სემანტიკური“ სტრუქტურის არგუმენტებზე. სემანტიკურ სტრუქტურაში მათი პოზიციებისაგან დამოუკიდებლად არგუმენტებს აქვთ სხვადასხვა ფუნქციები, რომელთა აღწერა შესაძლებელია სემანტიკური კაზუსის ცნების მეშვეობით“ (ნიკულა 1995:136).

გ. ჰელბიგის განმარტებით სემანტიკური კაზუსები ამავე დროს შეიძლება აღვიქვათ როგორც ინდექსები, რომელიც გვაძლევს არგუმენტების პოზიციებს ლოგიკურ-სემანტიკურ სტრუქტურაში. „პრედიკატების მნიშვნელობებიდან გამომდინარე კაზუსებს შეიძლება შემდგომი შინაარსები შეეთანხმოს. ამ პრედიკატების დახმარებით ხდება მხოლოდ მისი არგუმენტების კონსტატაცია. (აქ საქმე ეხება კონსტატაციასა და პრესუპოზიციას შორის განსხვავებას და არა მეტყველების აქტს). ეს ნიშნავს, რომ ვალენტობის მტარებელი სიტყვის მიერ ყოველთვის წარმოებს მისი აქტანტების კონსტატაცია და არა თავისუფალი წევრებისა, აგრეთვე თავისუფალი ადგილების თვალსაზრისითაც“ (ჰელბიგი 1992:19ff)

ვალენტობის მტარებელი სიტყვის მნიშვნელობის ძირითად ფუნქციად ჰ. ნიკულა მიიჩნევს სცენების განსაზღვრული სიდიდეების გამოყოფას ან პერს-პექტივებას. ამასთან დაკავშირებით იგი გვაძლევს: „ცნებების „სცენა“, „სცე-ნარი“, „კაზუსის ჩარჩო“, „სქემა“ განმარტებებს. სცენარი გადმოგვცემს მოვლე-

ნების, მოქმედებების და ა.შ. პროტოტიპული თანმიმდევრობის შესახებ ცოდნას, რომლებსაც ასევე ხშირად გააჩნიათ პროტოტიპული ენობრივი რეალიზაცია. სცენა არის ვალენტობის მტარებელი სიტყვის მიერ პერსპექტივებული სცენარი. სპეციფიკური სცენარის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ ვალენტობის მტარებელი სიტყვის მრავალი ნიშნის საშუალებით. სცენარს მიეკუთვნებიან როლებიც. კაზუსის ჩარჩო შედგება ვალენტობის მტარებელი სიტყვის სემანტკური არგუმენტებისაგან მათი სემანტიკური ფუნქციების აღნიშვნით“ (ნიკულა 1995:142). გერმანულ ენაში არ შეიძლება არსებობდეს მაგალითად „რესტორნის სცენარი“, რადგან ასეთი სცენარი აწარმოებს სხვადასხვა, ლექსიკურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი ვალენტობის მტარებელი სიტყვის აქტუალიზებას, როგორიცაა: შესვლა, მაგიდის მოძებნა, შეკვეთა, ანგარიშის გადახდა, წასვლა და ა.შ. ამ შემთხვევაში, აღნიშნავს ჰ. ჰიკულა საქმე გვაქვს სქემასთან, რომელიც გადმოგვცემს ცოდნას სცენარებს შორის მეტ-ნაკლებად მძლავრად კონვენციონალურ თანმიმდევრობათა მიმართების შესახებ. მსგავსი სქემის გააქტიურება შესაძლებელია სიტყვებით, როგორიცაა „Restaurant“, „Gaststätte“ და ა.შ. ბუნებრივია კაზუსის ჩარჩოს, სცენას, სცენარსა და სქემას შორის მიმართებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ტექსტის სტრუქტურაზე.

ვალენტობის მტარებელი სიტყვის მნიშვნელობის ცენტრალური ფუნქცია არის ვალენტობის მტარებელი სიტყვის მიერ ან სხვა საშუალებით გააქტიურებული სცენარის აქტივიზაცია და გამოხატვა სცენად გადმოცემისათვის. ზმნა „toten” უპირველეს ყოვლისა გამოიყენება განსაზღვრულ სიტუაციაში მკვლელის და მისი მსხვერპლის იდენტიფიკაციისათვის. ზმნა „kaufen” „მყიდველისა“ და „საქონლის“, ხოლო ზმნა „verkaufen” გამყიდველისა და საქონლის იდენტიფიკაციისათვის.

ჰ. ნიკულა მნიშვნელობასა და ვალენტობას შორის ურთიერთმიმართებას რეზუმეს სახით შემდეგნაირად აყალიბებს:

„ა) ვალენტობის მტარებელი სიტყვის მნიშვნელობათა ნიშნების საშუალებით ხდება მეტ-ნაკლებად ზუსტად აღნიშნული პროტოტიპული სცენარის გააქტიურება.

ბ). ვალენტობის მტარებელი სიტყვის პრედიკატ-არგუმენტ-სტრუქტურის საშუალებით ხდება გააქტიურებული სცენარის განსაზღვრული როლების კონსტატაცია და ამით შესაძლებელია ისინი აღინიშნონ როგორც აქტანტები, რომლებშიც როლები სცენის პერსპექტივით შეეთავსებიან (ნიკულა 1995:141).

აღწერის შემდგომი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ვალენტობის წესები, ზუსტად ისევე, როგორც სხვა ენობრივი წესები მნიშვნელობის ჩათვლით, გეგმიური არიან. „სწორია თუ არა აღწერა, ამის დადგენა მხოლოდ რეტროსპექტულად არის შესაძლებელი, ეს ნიშნავს იმ თვალსაზრისით, რომ იგი განსაზღვრული მოვლენის ადეკვატურ აღწერას გადმოსცემს ერთ კორპუსში. ი. ერბენი თავისი გამოკვლევების ცენტრში აყენებს ზმნის ვალენტობას, მაგრამ ტენიერისა და ბრინკმანისაგან განსხვავებით იგი ზმნის აქტანტებად მიიჩნევს არამარტო სუბიექტებს და ობიექტებს, არამედ აგრეთვე პრედიკატივებს და სტრუქტურულად აუცილებელ გარემოებებს. ტენიერისაგან განსხვავებით ი. ერ-ბენმა: „თავიდანვე ზმნის ობლიგატორულ აქტანტებად მიიჩნია გარემოებათა ნაწილი, აგრეთვე ადიექტიური და სუბსტანციური პრედიკატივები, რაც ძირითადად ემთხვევა დღევანდელ შეფასებას. ი. ერბენმა ბუნებრივია ამით კოპულატიური ზმნები შეაფასა როგორც ვალენტობის მტარებლები“ (ერბენი 1995:67).

როგორც უ. ენგელი მიიჩნევს, ექსტერნული რეგენსი მასზე დამოკიდებულ წევრებს ჰყოფს აქტანტებად და თავისუფალ წევრებად: „რეგენსს ამის განხორციელება თავისი მართვის (Rektion), ანუ სხვა ელემენტების მართვის უნარის საფუძველზე შეუძლია. მაგრამ რამდენადაც მართვა რეგენსის მთელ სიტყვათა კლასზე არ ვრცელდება, არამედ ამ კლასის მხოლოდ ნაწილზე, ტენიერიდან დაწყებული ლაპარაკია სიტყვის ვალენტობაზე. აქედან გამომდი-ნარე, „ვალენტობა განისაზღვრება როგორც სუბკლასებად-სპეციფიკური რექციონი. ყველა წევრი, რომელიც თავის ექსტერნულ აგენს სუბკლასებად სპეციფიკურად ექვემდებარება, აქტანტებია. ის, რაც ობლიგატორულია, აქტანტია. ხოლო წევრი, რომელიც ყველა ნებისმიერ ექსტერნულ რეგენსთან ფუნქციონირებს, თავისუფალ წევრს წარმოადგენს“ (ენგელი 2004:16).

ჩვენ თავდაპირველად ერთამნეთისაგან გავმიჯნავთ ცნებით დონეს და ენობრივ დონეს.

ცნებით დონეზე გამოვყოფთ ცნებით განპირობებულ წევრებს (begrifflich angelegte Partner (Aktanten), რომლებსაც ენობრივ დონეზე შეესაბამება სავალ-დებულო, აუცილებელი და ფაკულტატიური აქტანტები და ცნებით არაგან-პირობებულ წევრებს (nicht begrifflich angelegte Partner freie Angaben), რომლებსაც ენობრივ დონეზე შეესაბამება თავისუფალი წევრები.

დამოკიდებული მართული ელემენტი დეპენდენსია, მმართველი ელემენტი რეგენსი. ყოველ ელემენტს შეიძლება რამდენიმე დეპენდენსი ჰქონდეს. ხოლო ერთ ელემენტზე დამოკიდებული ყველა ელემენტი შეიძლება განვიხილოთ ერთობლიობაში. მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ ელემენტის სატელიტებზე.

ადიექტიური ფრაზები თავის უმარტივეს ფორმაში შედგება მხოლოდ ერთი ზედსართავი სახელისაგან. სატელიტების წარმოქმნის შემთხვევაში ზედსართავი სახელი ფუნქციონირებს როგორც ფრაზის ბირთვი. ზედსართავ სახელთანაც განვასხვავებთ აქტანტებს და თავისუფალ წევრებს, იმის მიხედვით ეს სატელიტები ნებისმიერ ზედსართავ სახელთან თუ მხოლოდ განსაზღრულ ადიექტიურ სუბკლასთან ფუნქციონირებს. ზედსართავი სახელის თითქმის ყველა სატელიტი ფაკულტატურია, მხოლოდ ძალიან ცოტა ობლიგატორული აქტანტი რეალიზდება.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტებს ვყოფთ: 1) გამოხატვის ფორმის მიხედვით და 2) სინტაქსური ფუნქციის მიხედვით.

ზედსართავი სახელის სატელიტები გამოხატვის ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს:

1) ნომინალური ფრაზები

… denn persönlich war Piesecke ein scharmanter Mensch,

voll liebenswerter Eigenschaften (ჰერმანი 1963:71).

”Oh” machten weibliche Stimmen, voll

erwartungsvollen Schauders (მანი 1962:214).

2) წინდებულიანი ფრაზები

Dieser junge Mann, noch von seinen Eltern abhängig,

stieg in den gewohnten Zug (დიურენმატი 2000:60).

Der erste haftete an einem frischen Hügel

gelber Erde, voll von Kränzen und Bäumen (ცვაიგი 1967:421).

Abgerissen sahen sie aus, hungrige, kleine Banditen,

gefährlich nur in Rudeln (შუბერტი 1967:18).

3) ნაწილაკიანი ფრაზები.

...die Strohpuppe, so gedrückt und gequetscht,

so widerlich ((კაშნიცი 2004:119).

Ein paar Fragen in seinem Kopf, eben noch wichtig

genug, um ihn wachzuhalten (კაშნიცი 2004:157).

4) დამოკიდებული წინადადება.

Ein ruhiger Mann, wortkarg, der nicht schimpfte (ცვაიგი 1967:464).

Also rein mit dem vorgelochten Stück Stahl, schön weiβwarm,

damit er es leichter hatte, die Axtschneide auszuziehen (შუბერტი 1967:265).

ზედსართავი სახელის სატელიტები სინტაქსური ფუნქციის მიხედვით შეიძლება იყოს: 1) აქტანტები, 2) თავისუფალი წევრები.

ადიექტიური ფრაზები (ადიექტიური ჯგუფები) არიან შესიტყვებები, რომელთა ბირთვს წარმოადგენს ზედსართავი სახელი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე სატელიტი: „ადიექტიურ ფრაზებს აქვს წინადადების და ნომინალური ფრაზის მსგავსი სემანტიკური სტრუქტურა. ბირთვი-ადიექტიურ ფრაზებში – ზედსართავი სახელი, წინადადებაში ზმნა ქმნის თავის აქტანტებთან ერთად ერთ მჭიდრო სემანტიკურ კომპლექსს, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს და დაზუსტდეს თავისუფალი წევრებით: „ამდენად მმართველი ზედსართავი სახელი თავის ვალენტობას მართავს არამარტო აქტანტების ამორჩევის თვალსაზრისით, არამედ იგი ამყარებს აგრეთვე ზედსართავ სახელსა და აქტანტებს შორის სემანტიკურ რელაციებს. მართავს რა ზედსართავი სახელი აქტანტებს, მას აქვს შესაბამისი ვალენტობა“.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელ-თან აქტანტების გამოყენებასთან დაკავშირებით განასხვავებენ: გამოხატვის ვალენტობას (Ausdrucksvalenz) და შინაარსის ვალენტობას (Inhaltsvalenz). „გამოხატვის ვალენტობა არეგულირებს სიტყვების და შესიტყვებების კომბინაციებს. შინაარსის ვალენტობა არეგულირებს სიტყვების და შესიტყვებების მნიშვნელობათა კომბინაციებს. ვალენტობა აქედან გამომდინარე არის ყოველთვის მხოლოდ ფართო ცნება გამოხატვის და შინაარსის ვალენტობისათვის“ (ენგელი 1996:357).

პოსტნომინალური აბსოლუტური ზედსართავი სახელები, რომლებიც ნომინალურ სინტაგმაში ფუნქციონირებენ როგორც განსაზღვრებები ძირითადად ერთვალენტიანი არიან. ისინი გამოხატავენ საგანთა ფერს, ფორმას, შინაგან თვისებებს და მოითხოვენ ერთ ცნებით განპირობებულ სავალდებულო პარტნიორს-არსებით სახელს, რომელიც წინადადებაში ძირითადად არის სუბიექტი, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, წინდებულიანი დამატება, განსაზღვრება ნათესაობით ბრუნვაში ან გარემოება.

Zwischen Spree und Wald blieb ein schmaler Streifen Wiese,

links sumpfig, von Eis bedeckt (ნოლი 1967:452).

Jetzt tat sie es, sah einen Zug zerlumpten Männer,

seltsam verzert, mit übergroβen Händen (ვაისკოპფი 1966:489).

Frau Seelmeyer kam .. an der Seite

eines jungeren Mannes von unverkennbarem

Bohemetypus, kurzsichtig und kümmerlich bis

auf die sorgsam kultivierte breite Denkerstirn (ვაისკოპფი 1966:382).

Von der Bühne her kamen… Hamlets erste Worte,

gesprochen mit einer leisen, doch klingenden Stimme,

so voll von lyrischer Melodik (ვაისკოპფი 1966:369).

Sie saβen in einem Berliner Zimmer, hoch und dunkel,

weil das Eckfenster zum Hof hinausging (შუბერტი 1967:204).

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, მათი სავალდებულო სემანტიკური პარტნიორის-არსებითი სახელის სემანტიკაც შეზღუდულია. იგი ნებისმიერ კონტექსტში რეალიზდება პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთა მხოლოდ დენოტატურ მნიშვნელობებთან:

Sie sah die Schläfer, alte und junge (ფალადა 1984:780).

Es hatte keinen Torweg, sondern ein Vestibül mit einer Marmorbank,

hart und kalt, wie das Herz eines Wucherers (ჰერმანი 1963:12).

Ein Denkmal früherer Gröβe, ruhmvoll (ვაისკოპფი 1966:41).

Der Mann trug einen Staubmantel, schon verdächtig (ზელბმანი 1968:275).

…günstige Lage, kühl, den ganzen Tag keine Sonne (შუბერტი 1967:38).

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები „alt“, „jung“, „hart“, „kalt“, „kühl“ და ა.შ წრმოდგენილნი არიან ნებისმიერ კონტექსტში დენოტატური მნიშვნელობებით, რის შედეგადაც არ ხდება მათი საზღვრების გაფართოება და სავალდებულო, სემანტიკური პარტნიორის-არსებითი სახელის ფართო სემანტიკით გამოყენება. ამ პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან არ გვექნება შემდეგგვარი ნომინალური სინტაგმები:

die Wohnung, alt, :

der Wein, alt,…

Der Tag, jung…

Das Jahr, jung…

Das Obst, jung…

Der Kampf, hart,…

Das Herz, hart,…

Der Mensch, kalt, და ა.შ.

არსებითი სახელი, როგორც სტრუქტურის შექმნაში მონაწილე მთავარი წევრი რეგენსია, ზედსართავი სახელი, როგორც სტრუქტურის შექმნაში მონაწილე დამოკიდებული წევრი დეპენდენსია. მაგრამ, ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელი, როგორც ვალენტობის მმართველი წევრი რეგენსია, ხოლო არსებითი სახელი დეპენდენსია.

დეპენდენსის სტრუქტურაში ის სინტაქსური ერთეულები დომინირებენ, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სტრუქტურის შექმნა. ზმნა დომინირებს არსებით სახელზე, არსებითი სახელი დომინირებს ატრიბუტულ ზედსართავ სახელზე. ვალენტობის სტრუქტურაში კი საქმე ეხება სინტაქსური ერთეულების მიმართებას თავიანთ ობლიგატორულ და სუბკატეგორიალურ წევრებთან.

ხშირ შემთხვევაში ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები მოითხოვენ შემდგომ პარტნიორს. წინადადებაში მეორე პარტნიორი არის კონსტრუქციული პირობა, რომელიც უნდა შესრულდეს, თუ საჭიროა მოცემული მნიშვნელობის აქტუალიზაცია. დიდი რაოდენობის ერთვალენტიანი ზედსართავი სახელების გვერდით არსებობენ 2 და მეტვალენტიანი ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ განსაზღვრულ მიმართებებს (რელაციებს) დამოკიდებულ სიდიდეებს შორის.

ბოლო დროს გავრცელდა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აქტანტები განსხვავებული ხარისხით უკავშირდება ვალენტობის მტარებელ სიტყვას. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ყველა აქტანტი ერთნაირად უშუალოდ არ უკავშირდება ვალენტობის მტარებელ სიტყვას. უშუალოდ ვალენტობის მტარებელ სიტყვას უკავშირდება მხოლოდ ერთი აქტანტი. ზმნის ჯგუფში ეს არის სუბიექტი.

ზედსართავი სახელი ნომინალურ სინტაგმაში, როგორც ვალენტობის მტარებელი ერთეული, უშუალოდ მხოლოდ ერთ აქტანტს უკავშირდება - მის სავალდებულო პარტნიორს არსებით სახელს და მასთან ქმნის კონექსიას. ეს კავშირი ქმნის კომპლექსს, რომელსაც უერთდება მეორე წევრი, რომელიც

ზედსართავ სახელთან კი აღარ არის დაკავშირებული, არამედ არსებით სახელთან ამ ზედსართავი სახელით მიღებულ კონექსიასთან. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს წინაველის და ბოლოველის სეგმენტები.

წინაველი:

..bis eines Tages eine alte vornehme Dame

mich ausfindig gemacht hatte (ბიოლი 2003:18).

Eine alte vornehme Dame.



ბოლოველი:

Sein Haar, feucht vom Baden, stand zu Berge (ნოლი 1967:58).

Sein Haar, feucht vom Baden.



...und sein Gesicht, rot von Sieg und Gefecht, erblaβte (ცვაიგი 1966:131).

Sein Gesicht, rot von Sieg und Gefecht.



ზედსართავი სახელები – „feucht“, „rot“ როგორც ვალენტობის მტარებელი ერთეულები უშუალოდ უკავშირდებიან ერთ წევრს – არსებით სახელს და მასთან ქმნის კონექსიას. მეორე პარტნიორი, მოცემულ შემთხვევაში ფაკულტატიური პარტნიორი – წინდებულიანი დამატება მიცემით ბრუნვაში უკავშირდება არა ვალენტობის მტარებელ ზედსართავ სახელს, არამედ ზედსართავი სახელით შექმნილ კონექსიას სავალდებულო პარტნიორთან.

ორი და მეტვალენტიანი ზედსართავი სახელები, რომლებიც განსაზღვრავენ გარკვეულ რელაციებს დამოკიდებულ სიდიდეებს შორის, განაპირობებენ ზედსართავი სახელების შესაძლო სინტაქსურ გარემოცვას – სინტაქსურ დისტრიბუციას ნომინალურ სინტაგმაში.

სხვადასხვა ავტორთან სინტაქსური დისტრიბუციის სხვადასხვა განმარტებები მოიპოვება:

„დისტრიბუცია არის: 1) ენობრივი ელემენტების განაწილება უფრო დიდი, ენობრივი ერთეულების შიგნით.

2) ყველა შესაძლო გარემოცვათა ჯამი, რომელშიც გვხვდება ენობრივი ელემენტი, იმათ საპირისპიროდ, რომლებშიც მას რეალიზება არ შეუძლია“ (დუდენი 2007:410).

„დისტრიბუცია (ლათ. distributio – განაწილება, კლასიფიკაცია) არის ფაქტის, ვითარების არსებობის შესაძლებლობა სხვა ენობრივი ერთეულების გარემოცვაში“ (ვარიგი 2002:357).

„დისტრიბუცია არის რეგულირებული გარემოცვა“ (ენგელი 2004:12).

უ. ენგელის განმარტებით, თუ კვლევებს კარგად დავაკვირდებით, დისტრიბუცია წარმოგვიდგება როგორც მეტყველების ნაწილთა განმასხვავებელი მეთოდი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ნათლად განვასხვავოთ ოთხფენოვანი გარემოცვა: „ყველაზე ვიწრო გარემოცვა (die engste Umgebung) სიტყვისა, რომელიც მხოლოდ ფლექსიურ დაბოლოებებს მოიცავს: ვიწრო გარემოცვა (die enge Umgebung), რომელიც შესიტყვების შიგნით სხვა დანარჩენ სიტყვებს აღნიშნავს; საშუალო გარემოცვა (die mittlere Umgebung), რომელიც სხვა შესიტყვებებს/წინადადების წევრებს წინადადების შიგნით აღნიშნავს: და ბოლოს ფართო დისტრიბუცია (die weite Umgebung), რომელიც გულისხმობს სხვა წინადადებებს, შესაბამისად გამოსახულებებს (ენგელი 2004:13).

დისტრიბუციული ანალიზი წარმოადგენს დამატებით მნიშვნელოვან საშუალებას ენობრივი ელემენტის მნიშვნელობა დაზუსტდეს სემანტიკასა და სინტაქსს შორის ერთიერთმიმართების საფუძველზე, რადგან სემანტიკა განსაზღვრავს სტრუქტურას და არა პირიქით.

ზედსართავი სახელის სატელიტები სინტაქსური ფუნქციის მიხედვით შეიძლება იყოს აქტანტები. ცნებით განპირობებულ წევრებში ენობრივ დონეზე გამოვყობთ აუცილებელ და ფაკულტატიურ აქტანტებს.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან ობლიგატორული აქტანტები იშვიათია. უმეტეს შემთხვევაში მათთან ფაკულტატური აქტანტები რეალიზდება. არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი იმის შესახებ, ეს წევრები რომელ მიმართებაში არიან აუცილებელნი.

ჰ. რენიკე გულისხმობს კომუნიკაციურ მინიმუმს როცა ის წერს: „სინტაქსურ მინიმუნში მე ვგულისხმობ იმ სინტაქსურ ძირითად ფენომენს, რომელსაც არ გააჩნია არც მეტი არც ნაკლები წინადადების წევრები, ვიდრე ეს აუცილებელია, რათა შეგვეძლოს პატარა, მაგრამ სრულყოფილი წინადადების შესახებ საუბარი. ამავე დროს „სრულყოფილ“ წინადადებაში მე ვგულისხმობ აზრიან ანუ სიტუაციის შესაბამის გამოსახულებას, რომელიც ნაგულისხმევ ფაქტს სრულყოფილად გადმოსცემს წინადადების წევრების მინიმალურად აუცილებელი გამოყენებით” (ზომერფელდტი...1983:19).

აუცილებელ და ფაკულტატიურ აქტანტებს შორის განსხვავებას გ. ჰელ-ბიგი, კ. ზომერფელდტი და დ. შნაიდერი შემდეგნაირად განმარტავენ:

„აუცილებელი აქტანტები მიეკუთვნება სინტაქსურ მინიმუმს. მთლიანი კონტექსტუალური პირობებიდან გამომდინარე ისინი უნდა არსებობდეს თუ უნდა შეიქმნას გრამატიკულად სწორი, სრულყოფილი წინადადება“, ხოლო ელიმი-ნირების საშუალებით დგინდება განსხვავება, ერთის მხრივ, ობლიგატორულ აქტანტებს და მეორეს მხრივ, ფაკულტატურ აქტანტებს და თავისუფალ წევრებს შორის“ (ზომერფელდტი... 1983:20).

აქტანტები (ცენტრალურ) ზმნასთან ერთად ქმნიან წინადადების (და მისი მსგავსი კონსტრუქციების) მინიმალურ სტრუქტურას. ხოლო თავისუფალი წევრების დამატებისას იქმნება წინადადების მაქსიმალური სტრუქტურა. როცა წინადადებას არ გააჩნია თავისუფალი წევრები, მინიმალური – და მაქსიმალური სტრუქტურები იდენტურია.

როგორც უ. ენგელი აღნიშნავს: „აქტანტების შესაძლო კლასიფიკაცია სემანტიკური თვისებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. იგი გამოჰყოფს 3 ჯგუფს:

1. სიდიდეთა აქტანტები ან წევრაქტანტები: აქტანტები, რომლებიც „სიდი-დეებს“ აღნიშნავენ (ცოცხალ არსებას და საგნებს, „ნივთებს“, ასევე არამატე-რიალურს).

2. გარემოებათა აქტანტები, რომლებიც გარემოებას, ვითარებას აღნიშნავენ.

3. პრედიკატული აქტანტები, რომლებიც სიდიდეთა კლასიფიკაციას ახდენენ. ისინი შეიძლება დაიყოს სახელად და ადიექტიურ აქტანტებად“ (ენგელი 2004:91).

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან აქტანტების გამოყენების შემდეგ შემთხვევებს განვიხილავთ.

1) სხვადასხვა დამატებებით გამოხატული აქტანტები.

ა) არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში – აუცილებელი აქტანტი ნომი-ნალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისა-თვის: „satt“, „gewahr“, ”wert”, რომლებიც პოსტნომინალური ატრიბუტული ზედ-სართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, დაკავშირებულია მის დენოტატურ მნიშვნელობებთან. ამ წევრის აუცილებლობა განპირობებულია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შესაძლო სემანტიკური ბრუნვის საფუძველზე.

Die Dorfjugend, des bloβen Drehens satt,

ging zu Spieltanzen über (ველსკოფ-ჰენრიხი 1967:51).

Alexander, des errungenen Vorteils gewahr,

fuhr fort, ihr Schmeicheleinen zu sagen (ვაისკოპფი 1966:327).

Dinge nicht der Mühe wert (მანი 1963:457).

დამატება ნათესაობით ბრუნვაში – ფაკულტატური აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისთვის „mude“:

Einige Empörer, des Stehens müde, aßen Butterbrot (მანი 1963:168).

ამ წევრის გამოტოვებით ნომინალურ სინტაგმაში შენარჩუნდება სტრუქტურული და კომუნიკაციური მინიმუმი. ნათესაობითი ბრუნვის ჯგუფი აკონკრეტებს პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის მნიშვნელობას. ამ წევრის გამოტოვებით იცვლება მხოლოდ ნომინალური სინტაგმის სემანტიკური შეფერილობა, სუსტდება მისი სემანტიკური კონკრეტულობა. დამატებები ნათესაობით ბრუნვაში აღნიშნავენ რომელიმე თვისების უქონლობას, ან არსებობას, ან პირის სულიერ მდგომარეობას.

დამატებები ნათესაობით ბრუნვაში არიან არქაული და ნომინალური სინტაგმის შემადგენლობაში იშვიათად გვხვდება.

ბ) არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში – აუცილებელი აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისათვის „ähnlich“. ენობრივ დონეზე აუცილებელი აქტანტი – დამატება მიცემით ბრუნვაში ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დენოტატურ მნიშვნელობასთან.

არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში აღნიშნავს პირს, რომელზეც ორიენტირებულია მოქმედება, რომელიც ხდება მისი ინტერესებით ან ამ ინტერესების საწინააღმდეგოდ.

Ich bin auf ein Amphorenfeld gestoβen,

halslose Gefäse, ähnlich der phonizischen “Type B” (შრაიერი 1968:64).

არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში, – ფაკულტატური აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისთვის „nahe“, რომელიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დენოტატურ მნიშვნელობასთან. ამ წევრის გამოტოვებით ნომინალურ სინტაგმაში შენარჩუნდება სინტაქსური და კომუნიკაციური მინიმუმი..

… eine teure Gegend, so nahe dem Kudamm (შუბერტი 1967:240).

გ) გრადუირებული აქტანტი-დამატება ბრალდებით ბრუნვაში –ფაკულტა-ტური აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისათვის, რომელიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავ-შირებულია მათ დენოტატურ მნიშვნელობებთან.

დამატებები ბრალდებით ბრუნვაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედ-სართავ სახელთან მიმართებაში გამოიყენება წონის, მოცულობის, ზომის, ასა-კის, ან საგნის რომელიმე ზუსტი მონაცემის აღსანიშნავად. ისინი გრადუირებულ აქტანტებს წარმოადგენენ და ემსახურებიან რელაციურ და აბსოლუტურ ზედსართავ სახელთა ხარისხობრივ გრადაციას. მოცემული აქტანტები მოქმედებენ რელაციურ პოზიტივთან როგორც რაოდენობის და ზომის განმსაზღვრელნი.

Ein unbesiedelter Gürtel, zwanzig Kilometer breit (ცვაიგი 1967:204).

Von ihnen öffnete sich ein grünes Tal, etwa

drei Kilometer breit (ნოლი 1967:384).

Ein kleines Plateau, zwanzig Jards lang

und sieben breit (შრაიერი 1968:66).

გრადუირებული აქტანტი-დამატება ბრალდებით ბრუნვაში, აუცილებელი აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისათვის „alt“, როდესაც საჭიროა ზუსტი ასაკობრივი მონაცემის დაფიქსირება.

Die beiden Schwestern, zweiundfünfzig und sechsundvierzig

Jahre alt,unterhielten eine Pension (ნოლი 1967:7).

So starb Barbara Pauline Osann,

vierundzwanzig Jahre alt (ცვაიგი 1967:417).

მხოლოდ სემანტიკური და არა სინტაქსური თვალსაზრისით დაუშვებელია:

Die beiden Schwestern, alt, unterhielten eine Pension.

So starb Barbara Pouline Osann, alt.

გრადუირებული აქტანტი-დამატება ბრალდებით ბრუნვაში, აუცილებელი აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისათვის „stark“, რომელიც აღნიშნავს კონკრეტულ ზომას.

Da lag das Vorwerk, fünf Häuser stark (შტრიტმატერი 1979ა:11).

Sieh mal an, eine Kupferplatte, fünf Millimeter stark,

schärzte Rebell (შუბერტი 1967:372).

ენობრივ დონეზე მოცემული ენობრივი სტრუქტურებიც-გრადუირებული აუცილებელი ან ფაკულტატური აქტანტები ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულნი არიან პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთა დენოტატურ მნიშვნელობებთან.

დ) წინდებულიანი დამატებები, ფაკულტატური აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისათვის.

წინდებულიანი დამატებები აღნიშნავს სუბიექტის და ნიშნის მიმართებებს. დამატება წინდებულის მეშვეობით უჩვენებს დამოკიდებულების სხვადასხვა ხასიათს მასა და მსაზღვრელ სიტყვას შორის. იგი გადმოსცემს თვისობრივ თანაზიარობას, კუთვნილებას. ნომინალური სინტაგმები, რომლებიც შეიცავენ წინდებულიან დამატებებს მოცულობით უფრო ფართოა და შედგება სამი ოთხი და მეტი წევრისაგან.

Hans, dankbar für die Gelegenheit, faβte nach der Hand des Mädchens (კაინი 1962:58).

Ihr blaues Kleid, naβ zum Auswringen (შუბერტი 1967:352).

Diese Mädchen, von Hause meist arm, lebten alle

bald von Gelegenheitsarbeit (ჰესე 2005:76).

Die Jacht ist ein britisches Schiff, voll von

Leuten, denen es glanzend geht (შრაიერი 1968:252).

..grünlich das Wasser, dick von schmutzigem Öl (ბიოლი 2003:81).

Er müsse ihn um seinen Beistand bitten,

sagte Diedrich, rot vor Scham (მანი 1962:45).

Nun führte die Bismarkallee, breit und von

Linden gesäumt, hinab in die kleine Stadt (ნოლი 1967:9).

მოცემული ენობრივი პარტნიორებიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულნი არიან პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთა დენოტატურ მნიშვნელობებთან, რის შედეგაც ისინი ნომინალურ სინტაგმაში შეზღუდული მრავალფეროვნებით არიან წარმოდგენილი. თუმცა წინდებულიანი დამატებების პროცენტული გამოყენება ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან ყველაზე მაღალია.

თუ გავავლებთ პარალელს ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავ სახელთა პრეპოზიციურ გამოყენებასთან, ენობრივ დონეზე იგივე ენობრივი სტრუქტურები, აუცილებელი და ფაკულტატური აქტანტები – სხვადასხვა სახის დამატებები

ნათესაობით, მიცემით ბრუნვაში, გრადუირებული აქტანტები ბრალდებით ბრუნვაში, წინდებულიანი დამატებები ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულნი არიან ზედსართავი სახელის სიგნიფიკატურ მნიშვნელობებთან (განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა წინდებულიანი დამატებები პრეპოზიციაში).

ფაკულტატური აქტანტი დამატება მიცემით ბრუნვაში ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან, რომელიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია ზედსართავი სახელის სიგნიფიკატურ მნიშვნელობასთან. მოცემული აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში ძირითადად წარმოდგენილია პირისნაცვალსახელებით და ნაკლებად არსებითი სახელებით.

… und dann vollführte sie, eine *ihr* eigentümliche

Handbewegung vom Mundwinkel zur Frisur hinauf (მანი 1963:6).

Eine mir unbekannte Vögelstimme scholl

in Pausen vom Wald herüber (შტორმი 1970:24).

ფაკულტატური აქტანტი დამატება ბრალდებით ბრუნვაში ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან, რომელიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია მის სიგნიფიკატურ მნიშვნელობასთან.

Dann stand er in einer groβen, etwa drei

Meter hohen Höhle (შტორმი 1970:24).

… eine mehrere Quadratkilometer groβe,

unwegsame und wilde Sumpflandschaft (ნოლი 1967:27).

ფაკულტატური აქტანტი-წინდებულიანი დამატება ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან, რომელიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სიგნიფიკატურ მნიშვნელობასთან. (მოცემულ შემთხვევაში კონოტაციურ მნიშვნელობასთან).

Wunder, daβ Ihre Plantasie das Schreckbild in jene

von Erinnerungen leere Zeit hinabschob (შტორმი 1970:20).

ამრიგად, ენობრივ დონეზე ერთი და იგივე ენობრივი სტრუქტურები-აუცილებელი და ფაკულტატური აქტანტები, – სხვადასხვა სახის დამატებები ნათესაობით, მიცემით ბრუნვაში, გრადუირებული აქტანტები ბრალდებით ბრუნვაში, წინდებულიანი დამატებები, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელის პოზიციის შესაბამისად დაკავშირებულია მის

სიგნიფიკატურ ან დენოტატურ მნიშვნელობებთან. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელის პრეპოზიციური გამოყენებისას ისინი დაკავშირებულია მათ სიგნიფიკატურ მნიშვნელობებთან, რის შედეგადაც მათი გამოყენება ნომინალურ სინტაგმაში მრავალფეროვანია. ხოლო ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავ სახელთა პოსტპოზიციური გამოყენებისას ისინი დაკავშირებულია ზედსართავ სახელთა დენოტატურ მნიშვნელობებთან, რის შედეგადაც მათი გამოყენება ნომინალურ სინტაგმაში საგრძნობლად შეზღუდულია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სემანტიკური ვალენტობა, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ ენობრივ სტრუქტურას და რომელშიც იგულისხმება ის ფაქტი, რომ განსაზღვრული სიტყვები განსაზღვრულ პარტნიორებს მოითხოვენ, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ სემანტიკა, რათა იქონიონ კავშირები სხვა სიტყვებთან უნდა განიხილებოდეს ლოგიკურ ვალენტობასთან მიმართებაში, რომელიც მჟღავნდება ცნებით სტრუქტურებში და მოიცავს ცნებით რელაციებს, რომლებიც არაენობრივი არიან, რის საფუძველზეც განისზღვრება მოცემული ენობრივი ერთეულის სინტაქსური სტრუქტურა, კონკრეტული ენობრივი სტრუქტურა, რომელშიც იგულისხმება ის ფაქტი, რომ ვალენტობის მტარებული სიტყვა მისი როგორც მეტყველების ნაწილის შემოსაზღვით და არსებულ ლოგიკურ-სემანტიკურ მიმართებათა საშუალებების საფუძველზე ადგენს პარტნიორთა როლს და მათ მორფოლოგიურ ფორმას.

2. ნომინალურ სინტაგმაში ფაკულტატურ აქტანტად გამოვყოფთ wie და als ნაწილაკიან შედარებას.

„შედარების ნაწილაკები არიან უცვლელი სიტყვები, რომლებიც სიდიდეთა ან თვისებათა (იშვიათად მომქმედებების) აღნიშვნებს შედარების გზით ერთმანეთთან აკავშირებს“ (ენგელი 2004:441).

თანამედროვე გერმანულ ენაში მხოლოდ wie და als შედარების ნაწილაკები მოიპოვება; მოძველებული denn მხოლოდ გამოთქმებში და ანდაზებშია შენარჩუნებული.

ნაწილაკი wie გამოხატავს მსგავსების შედარებას, ნაწილაკი als – არამსგავსების შედარებას.

როგორც გ. ჰელბიგი და ი. ბუშა მიიჩნევს: „შედარების ნაწიკალები wie, als არ მიეკუთვნება კავშირების და წინდებულების ტრადიციულ კლასებს, თუმცა ისინი კავშირის სიტყვებს წარმოადგენს, კერძოდ ადიუნქტორებს“ (ჰელბიგი...2001:424).

შედარების ნაწილაკების გამოყენება ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან მრავალმხრივია:

ა) ფაკულტატური აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დადებით ხარისხთან

ანაფორით wie + არსებითი სახელით

ანაფორით wie + ზედსართავი სახელით

ანაფორით wie + პირისნაცვალსახელით

ანაფორით wie + ზმნიზედით გამოხატული შედარება.

ფაკულტატური აქტანტი ანაფორით wie + არსებითი სახელით გამოხატული შედარება.

…und sie lieβen nur einen Mann, klein und

breit und dickköpfig wie ein Gnom (ჰერმანი 1963:15).

Auf einem Felβblock stand eine schöne Person,

stolz wie eine Tochter Kapris (ჰერმანი 1963:12).

…und sie trieben noch ein zweites Mal an den Zweigspitzen

ein paar grüne Blättchen, matt und kümmerlich wie Greisenliebe (ჰერმანი 1963:255).

wirklich für Siebenmonatskinder sogar wunderbar

üppige Knäblein, rosig und rund wie Ferkelchen (ჰერმანი 1963:213).

ფაკულტატური აქტანტი ანაფორით wie + ზედსართავი სახელით გამოხატული შედარება.

Wolchow, so gut wie unversehrt, stand vor dem Hauptmann (ნოლი 1967:213).

…und der alte Mann, so groβ wie breit, paβte nicht an das

Zeichenbrett unter dem schrägen Fenster (შუბერტი 1967:348).

ფაკულტატური აქტანტი ანაფორით wie + პირისნაცვალსახელით გამოხატული შედარება.

Er ist ein schöner Mann, nicht so schön, wie Sie (ცვაიგი 1967:199).

ფაკულტატური აქტანტი ანაფორით wie + ზმნიზედით გამოხატული შედარება.

Kutschera, barhäuptig wie immer, trat vor die Front (ნოლი 1967:216).

b) ობლიგატორული აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის უფროობით ხარისხთან ანაფორით als + არსებითი სახელით,

ანაფორით als + პირისნაცვალსახელით,

ანაფორით als + კუთვნილებითი ნაცვალსახელით,

ანაფორით als + რიცხვითი სახელით,

ანაფორით als + ზმნიზედით,

ანაფორით als + დამოკიდებული წინადადებით გამოხატული შედარება.

… neben den Schildern… hockte an einem groβen runden Tisch

ein Rudel Jungen, alle junger als Rebell und die vier vorne (შუბერტი 1967:18).

Du bist sehr jung, Albine, zehn Sommer

und Winter junger als ich (ველსკოფ-ჰენრიხი 1967:90).

Ein Sog, stärker als er selbst, hatte sich seiner bemächtigt

und drohte ihn rücklings an ein Hindernis zu werfen (შრაიერი 1968:72).

Sie fing noch einen Barsch, wieder etwas kleiner als der zweite (შუბერტი 1967:315).

…an der Hand glänzte ein Brillant, groβer und funkelnder als früher (ნოლი 1967:466).

Ein Rausch, höher und herrlicher als der, den das Bier vermittelt,

hob ihn auf die Fuβspitzen, trug ihn durch die Luft (მანი 1962:56).

3. ინფინიტიური ჯგუფი – ფაკულტატური აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური კვალიტატური ზედსართავი სახელისათვის. მოცემული ენობრივი სტრუქტურაც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე, პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, დაკავშირებულია მის დენოტატურ მნიშვნელობებთან.

…angenehme Dinge, nelt, darau zu denken,

wenn ein scharfer Tag vorüber ist (ცვაიგი 1967:55).

ინფინიტიური ჯგუფი-აუცილებელი აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში იმ პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისათვის, რომლებიც იმართება „zu“ ნაწილაკიანი ინფინიტივით: froh bereit, geneigt,

…so daβ denn der junge Mann, froh, einen

Anknüpfungspunkt zu haben, dem Zugführer

eine Brasil anbot (დიურენმატი 2000:67).

Tür jedes Thrönchen findet sich ein deutscher Fürst,

bereit, darauf zu sitzen (ცვაიგი 1967:72).

Wienfried, niemals geneigt, den Herrn zu spielen,

hatte heute nachmittag feststellen müssen,

wie tief er sich in den Zaubergärten verloren hatte (ცვაიგი 1967:183).

როგორც გ. ჰელბიგი და ი. ბუშა მიიჩნევს: „საკამათოა „ინფინიტური კონსტრუქციის ნაწილაკი“ zu, რომელიც არ განეკუთვნება კავშირების და წინდებულების არსებულ კლასებს, რომლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ გამოხატავს ელფერს, მოდალობას, გრადაციას, ხარისხს (როგორც მაგალითად, ნაწილაკების სამი დიდი კლასი), რომელსაც არ გააჩნია არც სემანტიკური ღირებულება, როგორც გრადუირებულ (nur, auch, sogar) და ხარისხის (sehr, ziemlich, recht, höchst, außerordentlich) ნაწილაკებს და არც კომუნიკაციური ღირებულება (როგორც მოდალურ aber, auch, bloß, denn, doch, eben, ja ნაწილაკებს), არამედ წარმოადგენს მხოლოდ სინტაქსურ სიგნალს (მისი მიმდევნო ინფინიტივისათვის), მაგრამ (ნაწილაკების სხვა კლასებისაგან განსახვავებით), სინტაქსურად ობლიგატორულები არიან. დამოკიდებული წინადადების დამწყები სუბიუნქტორებთან სიახლოვის გამო ისინი ინფინიტივ-სუბიუნქტორებად აღიქმებიან“ (ჰელბიგი... 2001:424).

4) დამოკიდებული წინადადებით – ფაკულტატური აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისათვის, რომელიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე ასევე დაკავშირებულია მის დენოტატურ მნიშვნელობებთან.

Er drückte seinen Mund in ihr Haar, ziemlich tief,
weil er sich dazu verpflichtet fühlte (მანი 1962:61).
Endlich kriegt so ein frecher Wissenschaftler,
huck, was ihm gehört (მანი 1962:143).
Da gab es auch genug Mechaniker, so viele,
daβ sie die meisten rausschmissen (შუბერტი 1967:242).

ამრიგად, როგორც კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზით დადგინდა, ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები წარმოდგენილი არიან დენოტატური მნიშვნელობებით, რის საფუძველზეც მათი სინტაქსური სტრუქტურა, ვალენტური, დისტრიბუციული შესაძლებლობები და შესაბამისად აუცილებელი და ფაკულტატური აქტანტების (განსაკუთრებით წინდებულიანი ჯგუფების) რეალიზაცია საგრძნობლად იზღუდება.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედასრთავი სახელის სატელიტი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით შეიძლება იყოს თავისუფალი წევრებიც. ცნებით არაგანპირობულ წევრებში ენობრივ დონეზე გამოვყოფთ თავისუფალ წევრებს.

ჯ. ო. ასკედალის განმარტებით აქტანტებად უნდა მივიჩნიოთ:

1) წევრები, რომლებიც მმართველი წევრის მეშვეობით ექვემდებარებიან მორფოსინტაქსურ დეტერმინაციას და

2) წევრები, რომლებიც ხასიათდებიან ლექსიკურად განპირობებული აუცილებლობით შესაბამისად შეუცვლელი პრეპოზიციით. ამ ორი ტიპის გარდა არსებობენ აუტოკოდირებული წევრებიც, რომლებიც ზოგადად თავისუფალ წევრებად იწოდებიან (ასკედალი 1995:34).

თავისუფალი წევრები ზედსართავი სახელის ვალენტობით წარმოქმნილი ადგილების გეგმით არ არიან განპირობებულნი, მაგრამ რადგან ისინი ნომინალურ სინტაგმაში მაინც არსებობენ, ხასიათდებიან გარკვეული სემანტიკური შეთავსებადობით.

ფაქტის ვითარების სრულყოფილად გადმოცემის მიზნით თავისუფალი წევრები ნომინალურ სინტაგმაში საჭირონი ხდებიან და შესაძლოა კომუნიკაციურ დონეზე უფრო მნიშვნელოვანნი აღმოჩნდნენ, ვიდრე აუცილებელი პარტნიორები.

Dort lag der schöne alte Feldweg, ganz einsam (ჰერმანი 1963:7).

გ. ჰელბიგი ეხება ვალენტობის გაფართოების საკითხებს და აღნიშნავს: „ბოლო წლებში სრულიად აშკარაა ვალენტობის მოდელის გაფართოება სხვადასხვა ასპექტებით:

1) ყველაზე მნიშვნელოვანია თავიდანვე ყურადღების ცენტრში მდგომი სინტაქსური ვალენტობის გაფართოება პირველ რიგში სემანტიკური მხარეების მიხედვით („სემანტიკური ვალენტობა“) და ბოლოს კომუნიკაციური და კოგნიტიური მხარეების მიხედვით („პრაგმატული ვალენტობა“).

2) ამასთან დაკავშირებით დგას ვალენტობის გაფართოების საკითხი ვალენტობასთან დაკავშირებული აქტანტებით და ვალენტობისგან დამოუკიდებელი თავისუფალი წევრებით. ამავე დროს წარმოიშობა ძველი და კვლავ განახლებული საკითხი – შესაძლებელია თუ არა აქტანტებისა და თავისუფალი წევრების დაცილება და შესაბამისად უფრო მეტიც - სასურველია თუ არა მათი დაცილება.

3) ფართო აზრით დგება „ვალენტობის გრამატიკის“ საკითხი. პირველ რიგში იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილია თუ არა მივიჩნიოთ ვალენტობა არა მარტო ლექსიკონის, არამედ აგრეთვე გრამატიკის ცენტრალურ თვისებად. შესაძლებელია თუ არა და რამდენად არის შესაძლებელი

ვალენტობის თვისებებით გრამატიკის სრული და ადეკვატური აღწერა. (აღწერის სხვა ინვენტარზე, მაგალითად წინადადების წევრებზე უარის თქმით“ (ჰელბიგი 1995:259).

გ. ჰელბიგი გადმოსცემს სემანტიკური და პრაგმატული ვალენტობის განმარტებებს:

„სემანტიკური ვალენტობა არ წარმოადგენს მნიშვნელობის თვისებას და არც მის უშუალო რეფლექსს, არც მხოლოდ სინტაქსური აქტანტების კატეგორიალურ ერთობლიობას. სემანტიკური ვალენტობა არის მნიშვნელობის ფუნქცია და ამით რეგულაცია სინტაქსსა და სემანტიკას შორის“ (ჰელბიგი 1995:260).

ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელი იქნებოდა ვალენტობის და კაზუსის თეორიის (თუმცა განსხვავებული ამოსავალი პოზიციებით) ურთიერთკავშირით.

უ. ენგელის ინტერპრეტაციით: „თავისუფალ წევრებს წარმოადგენს წინადადების ყველა შემადგენელი ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება არც ზმნურ კომპლექსს და არც აქტანტებს. ამით ის არ განეკუთვნება წინადადების მინიმალურ სტრუქტურას, არამედ სხვა შემადგენელ ნაწილებთან ერთად ქმნის მის მაქსიმალურ სტრუქტურას“ (ენგელი 2004:117).

უ. ენგელი განასხვავებს თავისუფალი წევრების ოთხ დიდ კლასს: მოდიფიკატურს, სიტუაციურს, ექსისტიმატორულს და ნეგატიურს. ეს კლასიფიკაცია თითქმის ყველა გრამატიკის საერთო მონაპოვარია. მაგრამ ზოგიერთ გრამატიკებში (მაგ., ერომსთან) უარყოფას აქვს განსაკუთრებული სტატუსი.

სიტუაციურ და ექსისტიმატორულ თავისუფალ წევრებს უ. ენგელი ჰყოფს თავის მხრივ სუბკლასებად (ქვეკლასებად). „სიტუაციური წევრები სემანტიკური თვალსაზრისით იყოფა: ტემპორალურ, ლოკალურ, მიზეზის, პირობით, დათმობით, შედეგის, მიზნის, ინსტრუმენტალურ, შეზღუდვით და კომიტატურ თავისუფალ წევრებად.

ექსისტიმატორული თავისუფალი წევრებიც თავის მხრივ იყოფა ექვს სუბკლასად: კაუტიურ, სელექციურ, ორდინატურ, იუდიკატურ, ვერიფიკატურ და მოდალურ თავისუფალ წევრებად“ (ენგელი 2004:117).

უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული თავისუფალი წევრების სუბკლასები ძირითადად წინადადების სტრუქტურაშია მოქმედი.

პრაგმატულ ვალენტობასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ: „რომ ვალენ-ტობის თვისებები დიფერენციალდება განსაზღვრული ტექსტის სახეობებში: მოხსენება, ყოველდღიური დიალოგი, ტელეგრამა და ა.შ. ამავე დროს კონკრე-ტული კომუნიკაციის პრაგმატული ასპექტებით (კომუნიკაციის მიზან-დასახულობასა და სიტუაციასთან დაკავშირებით) მოსაუბრეს აქვს არჩევანი ზედაპირულ დონეზე მოახდინოს რაიმეს რეალიზაცია ან არარეალიზაცია“ და ბოლოს „პრაგმატულ ვალენტობას ვგულისხმობთ მაშინაც, როცა თავისუფალი წევრები სპეციფიკურ კონტექსტებში წინადადების კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილები და ამით „აუცილებელნი“ ხდებიან“ (ჰელბიგი 1995:262).

აქტანტებსა და თავისუფალ წევრებს შორის დისტინქციის საკითმა, რომელიც დასაწყისშივე ვალენტობის თეორიის ცენტრალური საკითხი იყო და შესაბამისად სინტაქსური ვალენტობიდან სემანტიკურ ვალენტობაზე და შემდეგ პრაგმატული ვალენტობისაკენ განვითარების საკითხს წარმოადგენდა, მოიტანა განსხვავებული პოზიციები.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან თავისუფალ წევრებად გამოვყოფთ:

1) მოდიფიკატორულ წევრებს, ეს არის პატარა და ნაკლებად კლასიფიცი-რებული, თუმცა ხშირად გამოყენებადი თავისუფალი წევრების ჯგუფი. გამოხატვის ფორმაა უფლექსიო ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ თვისების ხარისხს და აკონკრეტებენ პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთა სემანტიკას. მოცემული ენობრივი სტრუქტურაც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახე-ლის დენოტატურ მნიშვნელობებთან.

Ich sah den Hemmel, wunderbar blau (ვაისკოპფი 1966:128).

Es ist hübsches Mädchen, verdammt hübsch (ზელბმანი 1968:316).

Von den Augen trieben Wolken, eintönig grau (ნოლი 1967:538).

Der greise General Mettelus, mächtig betrunken,

mit seinem Adjutanten in tiefer Nacht durch die Straβe wandert (ცვაიგი 1967:262).

Ihr Gesicht, merklich verändert, hat schmalere Umrisse bekommen (ცვაიგი 1967:401).

2) განუსაზღვრელ ნაცვალსახელს.

…neben den Schieldern hockte an einem groβen runden Tisch ein

Rudel Jungen, alle junger als Rebell und die vier vorne (შუბერტი 1967:18).

,,Rebell du hast ’ne richtige Boxenfigur,

keine Knollenmuskeln, nichts verhärtet (შუბერტი 1967:166).

3) სიტუაციურ თავისუფალ წევრებს: noch, hier, noch immer, eben noch, erst dann, dann wieder.

ისინი წარმოადგენენ თავისუფალი წევრების უდიდეს კლასს მრავალი სუბკლასით და ხასიათდებიან მაღალი გამოყენებით. სიტუაციური წევრები წინადადებაში ან წინადადების მსგავს კონსტრუქციებში აღწერილ მოვლენას სიტუაციურად განალაგებენ.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან გვხვდება სიტუაციური თავისუფალი წევრების შემდეგი ქვეკლასები:

1. დროის აღმნიშვნელი თავისუფალი წევრები (noch, schon, immer, eben, wieder), რომლებიც მოვლენას დროის მიხედვით არეგულირებენ. გამოხატვის ფორმაა ზმნიზედა, ნაწილაკი.

2. ადგილის აღმნიშვნელი თავისუფალი წევრები (hier, dort, oben), რომლებიც მოვლენას სივრცეში არეგულირებენ. გამოხატვის ფორმებია ზმნიზედები.

3. პირობითი თავისუფალი წევრები (მაგ: dann, erst), რომლებიც ასახელებენ პირობას, წინაპირობას, სხვა მოვლენის რეალიზაციისთვის. გამოხატვის ფორმაა ზმნიზედა, ნაწილაკი.

Aber gerade zur gleichen Zeit trat in die Portierloge von Peiseckes

eine Dame, lang und schlank und noch ein weinig füllig (ჰერმანი 1963:276).

Sein Haar, noch immer feucht vom Baden, stand zu Berge (ნოლი 1967:58).

Das Gesicht des Majors, eben noch rosigrund

und voller Genuβfreude, wurde lang und

bekam einen Ausdrück dümmlichen Argwons (ვაისკოპფი 1966:397).

Die Flut der Töne, dissonant und erregend,

dann wieder harmonisch, verwirrte Holt (ნოლი 1967:44).

Auβerdem kaufen sie auf den Bahnhofen Kirschen,

erst gelbrote, dann bordeauxfarbene, teur (ცვაიგი 1967:238).

სიტუაციურ წევრებთან მიმართებაში აღვნიშნავთ, რომ მათი შეუზღუდავი კომბინატორიკა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყოველი შესაძლო წევრი ნებისმიერ ზედსართავ სახელთან შეთავსებადია. თავისუფალი წევრების

ასპეციფიურობა ვრცელდება არამარტო ცალკეულ ელემენტებზე, არამედ აგრეთვე შესაბამის კატეგორიებზე. რათა შესრულდეს ასპეციფიურობის კრიტერიუმი, საკმარისია თუ მოცემული კლასის წევრების თუნდაც ერთი ელემენტი შეძლებს ნებისმიერ ზედსართავ სახელთან კომბინირებას.

გერმანულ ენაში არსებობს „პატარა სიტყვების“ მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც ისევე, როგორც სიტყვათა კლასები (ზმნიზედები, კავშირები, სუბიუნქტორები, წინდებულები, მოდალური სიტყვები, შორისდებულები და წინადადების სხვა ექვივალენტები) უფლექსიონი არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათთან არიან გათანაბრებული. ეს სიტყვები (bloß, doch, eben, etwas, etwa, denn, erst, ganz, ja, schon, sehr, sogar, ziemlich – განსაზღვრულ გამოყენებაში) ჩვეულებრივ ნაწილაკებია, ისინი არ არიან სხვა სიტყვებისაგან სრულად ჰომოგენური (ამიტომ საჭიროებენ სუბკლასიფიკაციას) და არც მათი მოცულობა არის ერთნაირად გაგებული სხვადასხვა გრამატიკებში. ხანდახან ეს კლასი უფრო ფართოდ განიხილება (ვიდრე საერთო ცნება უფლექსიო სიტყვების მთლიანად), მაშასადამე გულისხმობს ზმნიზედების, კავშირების, სუბიუნქტორების და წინდებულების ჩართულობასაც, ხანდახან კი მეტისმეტად ვიწროდ – გულისხმობს ნაწილაკების ქვეკლასების ანდა სულაც ემოციონალური „ძირეული სიტყვების“ შემოსაზღვრას.

ნაწილაკები, უპირველეს ყოვლისა, მოდალური ნაწილაკები, გერმანულ ენაში – სხვა ენებთან შედარებით, სხვადასხვა ტექსტებში და განსხვავებული ხერხით, განსაკუთრებით ხშირია.

ისინი ხშირად გვხვდება როგორც სალაპარაკო, ასევე წერილობით ენაში, სალაპარაკო ენის ყოველდღიურ დიალოგებში და ამაღლებულ ენაში, სპონტანურ და გეგმაზომიერ ენაში, დიალოგურ და მონოლოგურ ენაში: „მათ მაღალ სიხშირეს და კომუნიკაციურ მნიშვნელობას დიდი ხნის მანძილზე არ შეესაბამებოდა ადეკვატური ლინგვისტური ინტერესი. ნაწილაკებს ხშირად მიიჩნევდნენ ენის პერიფერიულ ელემენტებად, ან (სტილისტიკის მიერ) „მეტყველების საცობად“ ან „სარეველა სიტყვეებად“, რომლებსაც უმჯობესია თავი ავარიდოთ. ამან კი მიგვიყვანა გრამატიკებსა და ლექსიკონებში ნაწილაკთა უგულვებელყოფამდე: გრამატიკებში ისინი უბრალოდ ზმნიზედებს მიაკუთვნეს, ლექსიკონებში ეტიკეტს – „საკუთარი მნიშვნელობის გარეშე“.

ეს სიტუაცია ბოლო ათწლეულის მანძილზე რადიკალურად შეიცვალა ნაწილაკთა კვლევის სწრაფი აღმავლობით. ნაწილაკთა კვლევის ეს უეცარი „აყვავება“ იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებმა (მეტყველების აქტის თეორია, საუბრის ანალიზი, ტექსტის ლინგვისტიკა) მიიღეს ნაწილაკები განსხვავებული პასუხებით და განსხვავებული კითხვებით ნაწილაკების შესახებ (რომლებიც მხოლოდ ერთი მთლიანის განსხვავებულ ასპექტებს წარმოადგენენ, თუმცა ძალიან კომპლექსური ფენომენის). რათა ბევრ შეკითხვას პასუხი გასცემოდა, საჭირო იყო ორგვარი ნაბიჯი.

– ნაწილაკების როგორც საკუთარი კლასის შემოსაზღვრა (სხვა უფლექსიო სიტყვათა კლასებთან მიმართებაში);

– ნაწილაკთა სუბკლასიფიკაცია.

გ. ჰელბიგი და ი. ბუშა ასახელებენ თვისებათა 6 ნიშანს, რომელთა საფუძველზე ნაწილაკები განირჩევა სხვა სიტყვათა კლასებისაგან:

„1. ნაწილაკები არ წარმოადგენენ წინადადების დამოუკიდებელ წევრებს – განსხვავებით ზმნიზედებისაგან (რომლებიც წინადადების წევრები არიან) და მოდალური სიტყვებისაგან (რომლებიც უფრო მეტი არიან, ვიდრე წინადადების წევრები).

2. ამიტომ ისინი, როგორც წესი, არ იკავებენ პირველ ადგილს. ეს ნიშნავს თხრობით წინადადებაში (მთავარ წინადადებაში) მათ არ შეუძლიათ მარტო ზმნის წინ პოზიციის დაკავება – განსხვავებით ზმნიზედებისა და მოდალური სიტყვებისაგან.

Diese Kombination wurde *allmälich* zur fixen Idee → (ბიოლი 2003:40) (ზმნიზედა).

→ Allmählich wurde diese Kombination zur fixen Idee.

Diese Kombination wurde *vermutlich* zur fixen Idee → (მოდალური სიტყვა).

→ Vermutlich wurde diese Kombination zur fixen Idee.

Diese Kombination wurde *fast* zur fixen Idee → (ნაწილაკი)

→ * Fast wurde diese Kombination zur fixen Idee.

* წინადადება არაგრამატიკულია.

3. ნაწილაკები, რამდენადაც მოკლებულნი არიან წინადადების წევრობის შესაძლებლობას, არ შეუძლიათ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ პასუხს

შეკითხვებზე. ზმნიზედები ამის საპირისპიროდ პასუხობენ შეკითხვებს – კითხვითი სიტყვით. მოდალური სიტყვები – შეკითხვებს – კითხვითი სიტყვის გარეშე:

Haben Sie sich's notiert? (ბიოლი 2003:227).

Gewiß *heute *nur (მოდალური სიტყვა).

Wann haben Sie sich's notiert?

heute *gewiß *nur (ზმნიზედა).

*სიტყვები არაგრამატიკულია.

4. ნაწილაკები სემანტიკურად არ მოქმედებენ წინადადების შინაარსის შენარჩუნების პირობებზე:

Es könnte *doch* nicht wahr sein = (ბიოლი 2003:60) (მოდალური ნაწილაკი)

= Es könnte nicht wahr sein.

Zunächst bestand *wirklich* kein Grund = (ბიოლი 2003:153) (ვერიფიკატული ნაწილაკი).

= Zunächst bestand kein Grund.

5. ნაწილაკები სინტაქსურად შეიძლება ელიმინირებული იქნას ისე, რომ წინადადება ამით არ ხდება არაგრამატიკული.

6. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილაკები წინადადებების ნამდვილობის ღირებულებებს არ ცვლიან და სინტაქსურადაც ელიმინირებადი არიან, განსაზღვრული ხერხით ახდენენ გამონათქვამის მოდიფიცირებას. როგორ ახდენენ ისინი გამონათქვამის მოდიფიცირებას (სემანტიკურად თუ კომუნიკაციურად) და გამონათქვამის რომელ ნაწილებს (წინადადებები, სიტყვები) ეხება ეს მოდიფიკაცია, არის სწორედ საკითხი, რომელშიც ნაწილაკების სუბკლასები ერთმანეთისგან განსხვავდება (ჰელბიგი... 2001:420).

გ. ჰელბიგი და ი. ბუშა ნაწილაკებად მიიჩნევენ: „იმ მორფოლოგიურად უფლექსიო სიტყვებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ანალოგიური სინტაქსური ნიშნები, როგორც სხვა უფლექსიო სიტყვებს: მათ არ გააჩნიათ წინადადების ფუნქცია (განსხვავებით წინადადების ექვივალენტებისა და მოდალური სიტყვებისაგან), წინადადების წევრის ფუნქცია (განსხვავებით ზმნიზედებისაგან) და ასევე პირველადი კავშირის ფუნქცია (განსხვავებით – წინდებულების, კავშირების და სუბიუნქტორებისაგან)“ (ჰელბიგი..2001:421).

უ. ენგელის განსაზღვრებით: „ნაწილაკები უცვლელ სიტყვებს წარმოადგენენ“ (ენგელი 2004:384).

გამონაკლისს წარმოადგენს ხარისხის მქონე ზმნიზედათა მცირე ჯგუფი, რომელსაც უ. ენგელი ნაწილაკებს მიაკუთვნებს, მათთან მსგავსი ქცევის გამო.

ნაწილაკებს ენაში მეორეხარისხოვანი ფუნქცია გააჩნიათ. ძირითადი ფუნქციები ზმნისა და ნომინალური სფეროს სიტყვებით იგება. ზმნები აღნიშნავენ მომხდარს ფართო აზრით, არსებითი სახელები, დეტერმინანტები, ზედსართავი სახელები და ნაცვალსახელები აღნიშნავენ და ახასიათებენ სიდიდეებს. ნაწილაკები მათთვის ახლო განმსაზღვრელებს წარმოადგენენ, აკავშირებენ სიტყვებს ან შესიტყვებებს ან ასრულებენ სხვა ფუნქციას.

ბირთვთან დამოკიდებულების თვალსაზრისით განასხვავებენ ნაწილაკთა სამ კლასს:

„1. განმმარტავი ნაწილაკები (nähr bestimmenden Partikeln), რომლებიც მოვლენას ან სიდიდეებს განსაზღვრავენ. მათ პირველ რიგში მიეკუთვნება ზმნიზედები, რომლებიც კონკურირებენ არაბრუნებად ზედსართავ სახელთან (quitt, schade).

.. den der Hausmeister Birgeler *dorthinter* klemmte (ბიოლი 2003:62).

..das war also ich *da oben* (ბიოლი 2003:62).

Der Clow blieb einige Sekunden *dort* stehen (ბიოლი 2003:24).

Ein paar Autos standen *dort* (ბიოლი 2003:96).

Da stand er noch (ბიოლი 2003:63).

ამ ჯგუფში შემოდის ნაწილაკები, რომლებიც ილოკუციას განმარტავენ ან მოდიფიცირებენ (allerdings, übrigens, sogar).

Der Blick *sogar* schwindelte (ბიოლი 2003:43)

Sogar die Skatspieler in der Ecke waren verstummt (ბიოლი 2003:43).

Allerdings bedeutete das Sirenenzeichen

zehn Minuten vor Feierabend (ბიოლი 2003:88).

sogar წარმოადგენს სელექციურ ნაწილაკს, რომელიც გვხვდება მხოლოდ კონსტატურ და კითხვით წინადადებებში. ის ფაქტს სხვა ფაქტთან მიმართებაში აღნიშნავს, ირჩევს და გამოჰყოფს რა გამონათქვამის ნაწილს.

Allerdings წარმოადგენს ორდინატულ ნაწილაკს, რომელიც აღნიშნავს აქტუალურ გამონათქვამს სხვა გამონათქვამებთან (უმეტესად წინარე გამონათქვამთან) მიმართებაში. ამავე დროს გამოჰყოფს ხშირად გამონათქვამის ნაწილს.

2. შემაერთებელი ნაწილაკები (verbindenden Partikeln):

ა) მათ მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, წინდებულები. ისინი აკავშირებენ პირველ რიგში სიდიდეთა აღმნიშვნელ ელემენტებს:

Die Nachtschwester stand schon ***an*** der Tur (ბიოლი 2003:72).

Nun wenn er ***an*** die Kleinen dachte (ბიოლი 2003:73).

.. sagte sie heftig und setzte sich ***auf*** den Stuhl (ბიოლი 2003:103).

ბ) სუბიუნქტორები, რომლებითაც იწყება დამოკიდებული წინადადებები, შესაბამისად აკავშირებენ მოვლენათა აღწერილობებს:

Während ich die Zigarre in der Mund nahm,

hörte ich, wie der junge Mann fragte (ბიოლი 2003:102).

Ehe ich mich versehen hatte, war mein linkes Handgelenk

mit einer dünnen Kette umschlossen (ბიოლი 2003:83).

გ) კონუნქტორები, რომლებიც აერთებენ თანაბარუფლებიან ელემენტებს:

Hier unda da (ბიოლი 2003:85).

golden oder rot (ბიოლი 2003:94).

..mit goldenen oder silbernen Hallelujas (ბიოლი 2003:94).

დ) ანალოგიურად ფუნქციონირებს შედარების გამომხატველი ნაწილაკები:

Jene Handlungen hatten Kerzen genung gehortet,

außerdem bessere *als* unsere (ბიოლი 2003:92).

Es war so still hier, stiller noch *als* der Bahnhof, der

seltsamerweise abseits lag vom Geschäftszentrum (ბიოლი 2003:97).

Er war ernst *wie* ein Büffel (ბიოლი 2003:82).

Ängstlich *wie* eine Schwalbe, die das Umwetter ahnt (ბიოლი 2003:81).

3. სხვა ნაწილაკები (die sonstigen Partikeln) (როგორც წინადადების ექვივალენტები) ცვლიან გამონათქვამებს:

Hast du kein Vertrauen zu mir? (ბიოლი 2003:23).

Doch

Helfen Sie uns ein wenig, Schwester Lioba? (ბიოლი 2003:68)

Gewiß.

ამდენად: „გამონათქვამების სტრუქტურის თვალსაზრისით, ნაწილაკები მხოლოდ თანმხლები გამოვლინებებია. რაც შეეხება სემანტიკას, მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად ქმნიან გამონათქვამის ძირითად არსს. ეს კარგად ჩანს

გრადუირებული ნაწილაკის „nicht“ მაგალითზე, რომელსაც შეუძლია გამო-ნათქვამის შინაარსი მის დაპირისპირებულობაში ასახოს.

„Verflucht”, rief der Fahrer zurück: „verdunkelt ihr schon nicht mehr?“ (ბიოლი 2003:49).

4) ნომინალურ სინტაგმაში შემდეგ თავისუფალ წევრად გამოვყოფთ ნორმირებულ წევრებს. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთა დადებით ხარისხთან გრადუირებული წევრების გამოყენების განსაკუთრებულ შემთხვევასთან, რომლებიც გვიჩვენებენ ნორმის მიღწევას ან გადაჭარბებას. გამოხატვის ფორმებია: zu, genügend, genug, ausreichend.

ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან უმეტესად გამოიყენება zu ნაწილაკი, genug მხოლოდ ზმნებთან.

Professor Osann, mager und verfallen,

zu groβ in der niedringen Stube (ცვაიგი 1967:242).

ნორმირებული თავისუფალი წევრები პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედ-სართავ სახელთან მცირე რაოდენობით გვხვდება.

5) ნომინალურ სინტაგმაში შემდეგ თავისუფალ წევრად გამოვყოფთ ხარის-ხის ნაწილაკებს (აგრეთვე ინტენსივობის ნაწილაკებს, ხარისხის მოდიფი-კატორებს). მათ მიეკუთვნება ნაწილაკები: sehr, ganz, höchst, recht, fast, so, überaus, ziemlich, viel, weit, etwas, weitaus, wenig, völlig, kaum, außerordentlich.

ხარისხის ნაწილაკები არ მიემართება მთელ წინადადებაზე და არც წინადადების სხვადასხვა წევრებზე. როგორც წესი, ისინი თავსდება ზედსართავ სახელებთან, ან ადიექტიურ ზმნიზედებთან.

მათი ფუნქცია განისაზღვრება არა კომუნიკაციურ, არამედ სემანტიკურ დონეზე. ისინი ზედსართავი სახელით აღნიშნული თვისებების კლასიფიკაციას ახდენენ იმპლიციტური ხარისხის შკალასთან შესაბამისად, გადმოსცემენ რა ამ თვისებების ხარისხს. მათ არ გააჩნიათ შეზღუდვები წინადადების – და მეტყვე-ლების ტიპთან დაკავშირებით და არც განსხვავებული სემანტიკური მიმართე-ბების სფეროსთან დაკავშირებით: „თუმცა აქვთ შეზღუდვები ზედსართავი სახელის სხვადასხვა ხარისხის ფორმებთან შეთანაწყობის თვალსაზრისით. ზოგიერთი ხარისხის ნაწილაკი დგას მხოლოდ დადებითი ხარისხის წინ (მაგ, sehr, ganz, höchst, recht, so, überaus. ziemlich, sehr schön, hochst interessant, ziemlich groß), ზოგი მხოლოდ უფროობითი ხარისხის წინ (viel, weit, viel interessanter), სხვა დადე-

ბითი და უფროობითი ხარისხის წინ (etwas, etwas schöner), ზოგიც უფროობითი და აღმატებითი ხარისხის წინ (weitaus, weitaus schönste). ხარისხის ნაწილაკების ადგილი მყარია (ყოველთვის ზედსართავი სახელის წინ).

მნიშვნელობის მხრივ განასხვავებენ:

1. ინტენსიფიკატორებს, რომლებიც ემსახურება თვისების გაძლიერებას sehr, höchst, außerordentlich.

2. დე-ინტენსიფიკატორებს, რომლებიც ემსახურება თვისების შესუსტებას: ziemlich, fast, nahezu.

Oder nein, es ist eine veränderte Marussja,

sanfter und weniger bohemienhaft und mehr begehrenswert (ვაისკოპფი 1966:115).

Er heiβ Günter Ziesche und war ein gedrungener

blonder Junge, etwas dicklich, mit weiblichen Zügen (ნოლი 1967:146).

Aber Posnanski, völlig unbeleidigt, sah zum Himmel empor (ცვაიგი 1967:455).

Ein junger Mann, kaum weniger massiv,

der durch einen Totenkopfring gezogen war (ჰერმანი 1963:153).

62-er Chrysler – Kombi, sehr geräumig,

mit Sprechfunk und Telefon versehen (შრაიერი 1968:61).

Das Gesicht des Generals Clauβ, ganz bartlos und einförmig,

nahm einen Ausdruck an, den man selten bei ihm bemerkte (ცვაიგი 1967:272).

Er kaufte auch am nächsten Abend mit Pauline

beim Uhrmacher zwei Trauringe, sehr schön blank,

sehr schön breit, ganz neu und blitzend (ჰერმანი 1963:222).

Felsbrocken, so groβ wie ein Haus, lagen hier umher (კაინი 1962:80).

…eine zarte Frau, fast mädchenhaft, ging an seinem Arm (შტორმი 1970:10).

როგორც კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ზოგიერთ შემთხვევაში ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან ერთდროულად თანაარსებობს რამდენიმე ზმნიზედა და ნაწილაკი. მაშინ მათი თანმიმდევრობა განსაზღვრულ პოზიციურ კლასებში შეიძლება შემდეგგვარი იყოს:

noch immer, eben noch, erst dann, dann wieder, kaum weniger.

Sein Haar, noch immer feucht, stand zu Berge (ნოლი 1967:58).

Das Gesicht des Majors, eben noch rosigrund (ვაისკოპფი 1966:397).

Die Flut der Töne, dissonant und erregend,

dann wieder harmonisch (ნოლი 1967:44).

Ein junger Mann, kaum weniger massiv,

der durch einen Totenkopfring gezogen war” (ჰერმანი 1963:153).

ნაწილაკების არსი სხვადასხვა ასპექტების მიხედვით განისაზღვრება: გ. ჰელ-ბიგი და ი. ბუშა გამოჰყოფენ ოთხ ასპექტს:

„1. მორფოლოგიური ასპექტის თვალსაზრისით ნაწილაკები არ უბრუნვის, არ იუღვლის, არ გააჩნიათ ხარისხი.

2. სინტაქსური ასპექტის თვალსაზრისით ნაწილაკები არ წარმოადგენს წინადადების წევრებს, ამიტომ წინადადებაში არა დამოუკიდებლად, არამედ თავის ბირთვთან ერთად გადაადგილდება, არ გამოიყენება წინადადებაზე ან წინადადების წევრზე დამოუკიდებელი პასუხის ფუნქციაში. გარემოებებისაგან განსხვავებით უუნარონი არიან დამოუკიდებლად დაიკავონ პირველი ადგილი წინადადებაში. ამ თვალსაზრისით ისინი განსაზღვრებებს ემსგავსებიან, მაგრამ განსხვავდებიან მისგან იმით, რომ არ გამოიყენებიან (ენობრივ) პრედიკაციებში.

3. სემანტიკური ასპექტის თვალსაზრისით.

სემანტიკური ასპექტის დომინირების დროს ნაწილაკები სიტყვებს სინტაგმაში ან წინადადებაში უფრო ზუსტად განსაზღვრავენ, ცალ-ცალკე, სათითაოდ განმარტავენ, მათ გრადუირებას აწარმოებენ.

არსებობს ნაწილაკები, რომელთა სემანტიკური შინაარსი ძალიან მცირეა და საკუთარი დენოტატური მნიშვნელობა თითქმის არ გააჩნიათ. ისინი უფრო მთქმელის მონაწილეობის შესაბამისად სამეტყველო მოქმედების ტიპის სიგნალიზებას ახდენენ. აქედან გამომდინარე, უფრო მეტად კომუნიკაციური, ვიდრე სემანტიკური ღირებულება გააჩნიათ.

4. კომუნიკაციური ასპექტის თვალსაზრისით.

ნაწილაკები კომუნიკაციური ასპექტის დომინირების დროს ხშირად გამოხატავენ ნატიფ, დახვეწილ ნიუანსებს და წარმოადგენენ ინდიკატორებს განსაზღვრული სამეტყველო მოქმედებებისათვის, ან ემსახურებიან გამო-ნათქვამის კონვერსაციონალურ კონტექსტში დაფიქსირებას, სამეტყველო აქტის მოსაუბრის თვალთახედვის მიხედვით მოდიფიცირებას, მსმენელის ინტერპრე-ტირების პროცესის ინტერაქციულ მართვას, ზოგადად ისინი ემსახურებიან გამონათქვამის და სამეტყველო აქტის წარმართვას ინტერაქციის მონაცემების, პირობების შესაბამისად. სწორედ ამ კომუნიკაციურ ფუნქციაში არიან

ნაწილაკები ძნელად აღსაწერნი (უცხოელთათვის) და შესასწავლნი. მით უფრო, რომ გერმანული ენა ზოგიერთ სხვა ენასთან შედარებით ნაწილაკთა სიმრავლით მდიდარი ენაა. ნაწილაკთა სიმრავლე მით უფრო მაღალია, რაც უფრო უახლოვდება ტექსტი სალაპარაკო ენას. განსაკუთრებით მაღალია ნაწილაკთა სიმრავლე სამუშაო დღის დიალოგებში, რომლებშიც ისინი მრავალ ძალიან არსებით კომუნიკაციურ ნიუანსებსაც გამოხატავენ.

სემანტიკური და კომუნიკაციური ფუნქციის დომინირების მიხედვით განასხვავებენ:

„1) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს სემანტიკური ფუნქცია;

2) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია.

ნაწილაკებში: aber, also, auch, bloβ, denn, doch, eigentlich, einfach, etwa, gerade, halt, ja, mal, noch, nun, nur, schon, überhaupt, vielleicht, wohl დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია“ (ჰელბიგი 1988:477).

კომუნიკაციური ნაწილაკების უდიდეს ბირთვს ქმნის მოდალური ნაწილაკები, ნაწილაკის „gerade“ გამოკლებით, რომელიც სელექციურ ნაწილაკებს მიეკუთვნება: სელექციური თავისუფალი წევრები ერთ ფაქტს სხვა ფაქტთან მიმართებაში აღნიშნავენ, ირჩევენ და გამოჰყოფენ რა გამონათქვამის ნაწილს. გამოხატვის ფორმებია უფლექსიო ზედსართავი სახელები, ნაწილაკები, წინდებულიანი ფრაზები.

6. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან შემდეგ თავისუფალ წევრად გამოვყოფთ მოდალურ ნაწილაკებს.

მოდალური ნაწილაკები, მცირედი გამონაკლისის გარდა, ზემოქმედებენ გამონათქვამის ილოკუციაზე, აძლიერებენ ან ასუსტებენ მას, ან ახდენენ მათ მოდიფიცირებას სხვა ხერხით: ისინი გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას, ან უქვემდებარებენ პარტნიორს გარკვეულ რეგულირებებს.

საქმე ეხება ორ ათეულ ნაწილაკს, რომლებსაც არ დაესმის შეკითხვა, მათთან არ დგება უარყოფა, არ წარმოადგენენ პასუხებს შეკითხვებზე. ისინი არ თავსდება წინაველში. მოდალური ნაწილაკების უმრავლესობა უმახვილოა. გამოხატვის ფორმებია გამონაკლისის გარეშე ნაწილაკები.

მოდალურ ნაწილაკებს აქვთ სხვადასხვაგვარი ფუნქციები, რომლებიც არა სემანტიკურ, არამედ კომუნიკაციურ დონეზე რეალიზდება. მოდალური

ნაწილაკების ცენტრალური ჯგუფი (მაგ: aber, auch, bloß, denn, doch, eben, etwa, halt, ja, mal, nur, schon, vielleicht) არ თავსდება პირველ ადგილზე და გააჩნიათ ომონიმები სხვა სიტყვათა კლასებში. denn არის აგრეთვე კავშირი, eben – ზმნიზედა, ja – წინადადების ექვივალენტი, vielleicht – მოდალური სიტყვა.

ამავე დროს არსებობს ფართო აზრით მოდალური ნაწილაკების პერიფერიული ჯგუფი, რომლებიც შეიძლება პირველ ადგილზე განთავსდეს (ამავე დროს ისინი არ გადადიან სხვა სიტყვათა კლასებში) და არ გააჩნიათ ომონიმები სხვა სიტყვათა ჯგუფებში (ასეთებია ნაწილაკები: allerdings, immerhin, eigentlich, jedenfalls, überhaupt).

მოდალური ნაწილაკები ძირითადად სხვადასხვა სახის წინადადებებში (თხრობითი, ბრძანებითი, კითხვითი) ფუნქციონირებენ და მათი მეშვეობით განსაზღვრულ ინტენციებს, შესაბამისად მეტყველების ტიპებს (ბრძანება, შეკითხვა, სურვილი, მუქარა, გაფრთხილება) უკავშირდება. მოდალური ნაწილაკები ფუნქციონირებენ ნომინალურ სინტაგმაშიც პოსტნომინალურ ზედსართავ სახელებთან:

…gute Deckung, aber ungünstig für Flüchtlinge auβer Atem (შუბერტი 1967:26).

Sieht es allerdings als klinischen Fall,

rätselhaft auch so, aber für die Auβewelt ohne jede Folge (ფრიში 2000:22).

Es war eine Flut, unwiderstehlich und doch reguliert (ვაისკოპფი 1966:336).

…dachte Rebell, ein biβchen freudig überrascht,

ein biβchen enttäuscht und doch durch und durch zufrieden (შუბერტი 1967:161).

…aber ein wirklicher Freund, eigentlich der einzige,

wenn auch die Freundschaft etwas einseitig ist (ფრიში 2000:39).

Die hohe Stirn gebuckter Schädel, an den Schläfen noch blond (ცვაიგი 1966:112).

Von ihnen öffnete sich ein grünes Tal, etwa drei Kilometer breit (ნოლი 1967:384).

წარმოდგენილ მაგალითებში: მოდალური ნაწილაკი aber გამოხატავს მოულოდნელობას, გაოცებას; ნაწილაკი auch – ახასიათებს გამონათქვამს როგორც ცხად, თვალსაჩინო განმარტებას ან დამარწმუნებელ, დამაჯერებელ წინასწარ განმარტებას.

მოდალური ნაწილაკი doch – ითხოვს პარტნიორის დათანხმებას. ის ყოველთვის უმახვილოა.

ნაწილაკი eigentlich – ზემოქმედებს რელიეფურად. ჩვეულებრივ შეკითხვებში თავაზიანად ან უცერემონიოდ ჟღერს.

მოდალური ნაწილაკი noch – ახასიათებს შეკითხვებს გაკვრით, სხვათა შორის, პასუხობს ბუნებრივად გარკვევით. ნაკლებად დისლოცირებადია.

მოდალური ნაწილაკი etwa – უმეტესად შეკითხვებში გამოსახავს უარყოფას, სკეპტიკურ მოულოდნელობას, ამით იწვევს ნეგატიური პასუხის შთაგონებას.

„ნაწილაკებში: beinahe, bereits, etwas, ganz, höchst, eben, immer, ziemlich, fast, nahezu, außerordentlich, recht, sehr, so, überaus, viel, durchaus, weit, weitaus, zu დომინირებს სემანტიკური ფუნქცია“ (ჰელბიგი...1988:477).

სემანტიკური ფუნქციის მქონე ნაწილაკებს წარმოადგენენ ხარისხის ნაწილაკები, რომლებიც ყოველთვის ზედსართავ სახელებთან ფუნქციონირებენ და მათ მიერ აღნიშნული თვისებების ხარისხს გადმოსცემენ:

Eine zierliche Angestellte, sehr Schmuck in weiβen Häubschen,
nahm in der Diele Wichmans Visitenkarte entgegen (ველსკოფ-ჰენრიხი 1967:465).
Und wieder kamen andere Tage, träumerische,
blau, ganz windstille und brütend warme (მანი 1963:564).
Eisschollen, so groβ wie Fuβballplätze,
mit einer hohen Schneeschicht bedeckt (ბიოლი 1968:226).
Statt dessen erblickte er einen Mann von Mitte vierzig,
so wuchtig und ehrbar wie Commandor Scott,
anscheinend etwas fett (შრაიერი 1968:21).
Sie fing noch einen Barsch, allerdings etwas kleiner (შუბერტი 1967:315).
Und seine Hose, durchaus sauber, entstammt
einem dicklichen und kurzbeinigen Trainfahrer (ცვაიგი 1966:126).
Bitte, sagte er heiser, gab Geld hin,
empfang ein schlecht riechendes Blatt, ziemlich dick (ცვაიგი 1967:348).
…den das kleine kugelrunde Männlein,
weit über sechzig Jahre alt, war schwerhörig, fast taub (ნოლი 1967:40).

როგორც ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ხარისხის და მოდალური ნაწილაკები პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება.

როგორც ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ერთ ნომინალურ სინტაგმაში შესაძლოა ერთდროულად განთავსდეს კომუნიკაციური ფუნქციის მქონე ნაწილაკები (მაგ: aber, noch, nur) და სემანტიკური ფუნქციის მქონე ნაწილაკები (eben, immer, beinahe, etwas, ganz, ziemlich).

Hin und wieder hört man auch das Hupen
von Wagen, aber ziemlich ferne (ფრიში 2000:54).

Sein Haar, noch immer feucht vom Baden, stand zu Berge (ნოლი 1967:58).

Das Gesicht des Majors, eben noch rosigrund, wurde lang (ვაისკოპფი 1966:397).

Im ersten Augenblick will sie etwas sagen oder tun,
um das Geschehne ungeschehen zu machen,
die Ohrfeige, diese, kleine beinahe nur
symbolische, zurücknehmen (ზელბმანი 1968:287).

Ein anstelliger Bursche, nur etwas aufdringlich (ვაისკოპფი 1966:420).

Stümpfe, zum Teil noch ganz frisch,
wiesen die Arbeit der Bandsäge (ცვაიგი 1966:62).

7) ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან შემდეგ თავისუფალ წევრად გამოვყოფთ ნაწილაკს ”nicht”, რომელსაც მოცემულ შემთხვევებში მოდალურ ნაწილაკებს მივაკუთვნებთ და არა ნეგატორს.

Eine Fraunenperson mit blondierten Haaren,
zierlich, nicht mehr jung, hatte den Eimer
eben unter den Strahl gestellt und pumpte (ველსკოფ-ჰენრიხი 1967:581).

Der Knüppel rutschte von Rebells Unterarm ab und landete
doch noch auf seiner Stirn, nicht schlimmer
als ein mäβiger Kinntreffer (შუბერტი 1967:238).

Er ist ein schöner Mann, nicht so schön wie Sie (ცვაიგი 1967:199).

8) მიმღეობას.

Schon summten am Himmel die Bomberpulks
und nahe im Osten fielen Leuchtzeichen, glieβend hell (ნოლი 1967:270).

…unterstützt durch die anderen alles normale Esser,
nicht auffalend dick und nicht auffalend dünn (შმიდლი 2000:244).

Und wieder kamen andere Tage,

träumerische…und brütend warme (მანი 1963:264).

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან შეიძლება შეგვხვდეს რამდენიმე თავისუფალი წევრი, რომელთა ელიმინირება თავისუფლად ხდება.

Ihre Begleifer, meistens so jung wie ihr Sohn,

trugen abwechselnd ihren Handkoffer (ზეგერსი 1979:224).

Ihre Begleiter, jung, trugen abwechselnd ihren Handkoffer.

Eisschollen, so groβ wie Fuβallplätze,

mit einer hohen Schneeschicht bedeckt (ბიოლი 1968:226).

Eisschollen, groβ, mit einer hohen Schneeschicht bedeckt.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ განხილული თავისუფალი წევრებიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულნი არიან მათ დენოტატურ მნიშვნელობებთან, რის შედეგადაც ისინი ნომინალურ სინტაგმაში შეზღუდული მრავალფეროვნებით არიან წარმოდგენილი. (საპირისპიროდ პრენომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთა სიგნიფიკატური მნიშვნელობებისა, რომლებთანაც თავისუფალი წევრების გამოყენება მეტად მრავალფეროვანია).

თუმცა პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან თავისუფალი წევრების გამოყენების პროცენტი მაინც ყველაზე მაღალია.

საერთო ჯამში გაანალიზებულ პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან თავისუფალი წევრების – ზედსართავი სახელების და ნაწილაკების, განსაკუთრებით ხარისხის და მოდალური ნაწილაკების გამოყენება შეადგენს 74%, ხოლო პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან არსებითი სახელების გამოყენება, განსაკუთრებით წინდებულიანი ჯგუფებისა, შეადგენს 26%. ეს ნიშნავს, რომ ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან თავისუფალი წევრები უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ობლიგატორული და ფაკულტატური აქტანტები.

ნომინალურ სინტაგმაში თავისუფალი წევრების გამოყენებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს მოდიფიკაციას, ანუ საწყისი ცნების ფარგლებში სუბკატეგორიზაციას.

სიტყვათწარმოების პროდუქტი მოტივირებულ ერთეულთან შედარებით დამატებით შეიცავს ცნებით ნიშანს, რომელიც გვაძლევს სუბკატეგორიზაციის შესაძლებლობას საწყისი ცნების ფარგლებში. სიტყვათწარმოების პროდუქტი არ

მიეკუთვნება ახალ ცნებით კლასს. საწყისი ერთეულის როგორც მეტყველების ნაწილის სახე უცვლელი რჩება.

ჩვენს მიერ განხილულ ნომინალურ სინტაგმაში სიტყვათწარმოების პროდუქტი დამატებით შეიცავს ცნებით ნიშანს, რაც გვაძლევს ერთი ცნების ფარგლებში სუბკატეგორიზაციის შესაძლებლობას. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი ადვილად კომბინირებადია თავისუფალი წევრების მოცემული კლასის – განსაკუთრებით ხარისხის და მოდალური ნაწილაკების თითქმის ნებისმიერ წარმომადგენელთან.

ამრიგად, როგორც ენობრივი მასალის კვლევის საფუძველზე დადგინდა, ნომინალურ სინტაგმაში ენობრივ დონეზე მოცემული ენობრივი სტრუქტურები – სავალდებულო, აუცილებელი, ფაკულტატიური აქტანტები და თავისუფალი წევრები, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთა დენოტატურ მნიშვნელობებთან, რის შედეგადაც ისინი ნომინალურ სინტაგმაში შეზღუდული მრავალფეროვნებით არიან წარმოდგენილი.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა განსაზღვრავს მის სინტაქსურ სტრუქტურას, შესაბამისად ვალენტურ და დისტრიბუციულ შესაძლებლობებს და მის კომუნიკაციურ ეფექტს, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურებში განისაზღვრება როგორც გამონათქვამი (ტექსტი), რომლის ყოველი შემადგენელი ენის ვერბალურ პროდუქტს ქმნის, რომელიც ემსახურება კომუნიკანტების შინაარსების იდეების, ინტერესების ინტერპრეტირებას და რომლებიც პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე საგრძნობლად შეზღუდულია. ამავე დროს ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის გარეგან, სინტაქსურ, ვიზუალურ და შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე კომუნიკაციურ ეფექტს შორის მივიღეთ ოპოზიცია. გარეგან, სინტაქსურ, ვიზუალურ დონეზე პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის, როგორც განყენებული წევრის, კომუნიკაციური ეფექტი და სემანტიკური წონა არის ძალიან მაღალი. მაგრამ შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე, (დეტონატური მნიშვნელობების აქტუალიზაცია) მისი კომუნიკაციური ეფექტი, ანუ კომუნიკანტების შინაარსების, იდეების, ინტერესების ინტერპრეტირების ხარისხი არის დაბალი, ასევე კომუნიკაციის კავშირი ვალენტობასთან, რომელიც გულისხმობს სემანტიკური ვალენტობის

ცნებითი ინვენტარის ანუ სემანტიკური კაზუსების პრაგმატული გამოყენების შესაძლებლობებს, არის საგრძნობლად შეზღუდული.

ენობრივი მასალის ანალიზი გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

1. უპირველეს ყოვლისა ერთმანეთისგან გავმიჯნავთ ცნებით დონეს და ენობრივ დონეს. ცნებით დონეზე გამოვყოფთ ცნებით განპირობებულ წევრებს, რომლებსაც ენობრივ დონეზე შეესაბამება სავალდებულო, აუცილებელი და ფაკულტატური აქტანტები და ცნებით არაგანპირობებულ წევრებს, რომლებსაც ენობრივ დონეზე შეესაბამება თავისუფალი წევრები.

2. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტებს ვყოფთ: 1) გამოხატვის ფორმის მიხედვით და 2) სინტაქსური ფუნქციის მიხედვით.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტები გამოხატვის ფორმის მიხედვით არიან:

1) ნომინალური ფრაზები.
2) წინდებულიანი ფრაზები.
3) ნაწილაკიანი ფრაზები.
4) დამოკიდებული წინადადება.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტები სინტაქსური ფუნქციის მიხედვით შეიძლება იყოს: 1) აქტანტები, 2) თავისუფალი წევრები.

3. ნომინალურ სინტაგმაში, ენობრივ დონეზე, პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ობლიგატორული და ფაკულტატური აქტანტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს:

1) სხვადასხვა სახის დამატებებით:
   ა) ნათესაობით ბრუნვაში;
   ბ) მიცემით ბრუნვაში;
   გ) გრადუირებული აქტანტებით ბრალდებით ბრუნვაში;
   დ) წინდებულიანი დამატებებით.

2) wie ან als ნაწილაკიანი შედარებით:
   ა) ფაკულტატური აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დადებით ხარისხთან
   ანაფორით wie + არსებითი სახელით

ანაფორით wie + ზედსართავი სახელით

ანაფორით wie + პირის ნაცვალსახელით

ანაფორით wie + ზმნიზედით გამოხატული შედარება.

ბ) ოიბლიგატორული აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის უფროობით ხარისხთან

ანაფორით als + არსებითი სახელით

ანაფორით als + პირის ნაცვალსახელით

ანაფორით als + კუთვნილებითი ნაცვალსახელით

ანაფორით als + რიცხვითი სახელით

ანაფორით als + ზმნიზედით

ანაფორით als + დამოკიდებული წინადადებით გამოხატული შედარება.

ნაწილაკი wie – გამოხატავს მსგავსების შედარებას, ნაწილაკი als – არამსგავსების შედარებას.

შედარების ნაწილაკები wie და als არ მიეკუთვნება კავშირების და წინდებულების ტრადიციულ კლასებს, თუმცა ისინი კავშირის სიტყვებს წარმოადგენს, კერძოდ ადიუნქტორებს.

3) ინფინიტიური ჯგუფით – ფაკულტატური აქტანტი პოსტნომინალური კვალიტატური ზედსართავი სახელებისთვის და აუცილებელი აქტანტი იმ ზედსართავი სახელებისათვის, რომლებიც იმართებიან „zu“ ნაწილაკიანი ინფინიტივით (bereit, geneigt, froh).

ამ შემთხვევაში „zu“ ნაწილაკის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ გამოხატავს ელფერს, მოდალობას, გრადაციას, ხარისხს. მას არ გააჩნია სემანტიკური და კომუნიკაციური ღირებულება, არამედ წარმოადგენს მხოლოდ სინტაქსურ სიგნალს მისი მომდევნო ინფინიტივისათვის, მაგრამ ნაწილაკების სხვა კლასებისგან განსხვავებით სინტაქსურად ობლიგატორულები არიან.

4) დამოკიდებული წინადადებით – ფაკულტატური აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან.

4. სინტაქსური ფუნქციის მიხედვით პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტები არიან თავისუფალი წევრებიც. ნომინალურ სინტაგმაში თავისუფალ წევრებად გამოვყოფთ:

1) მოდიფიკატორულ წევრებს – მათ წარმოადგენს უფლექსიო ზედსართავი სახელები, რომლებიც ქმნიან პატარა და ნაკლებად კლასიფიცირებულ, თუმცა ხშირად გამოყენებადი თავისუფალი წევრების ჯგუფს.

2) განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს.

3) სიტუაციურ თავისუფალ წევრებს: noch, hier, noch immer, eben noch, erst, dann, dann wieder, რომელთა ქვეკლასებია: დროის (noch, schon, immer, eben, wieder), ზმნიზედები და ნაწილაკები, ადგილის (hier, dort, oben) ზმნიზედები, პირობითი (dann, erst) ზმნიზედები და ნაწილაკები.

4) ნორმირებულ თავისუფალ წევრებს, რომლებიც გვიჩვენებენ ნორმის მიღწევას ან გადაჭარბებას. გამოხატვის ფორმებია: zu genugend, genug, ausreichend.

ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან უმეტესად გამოიყენება zu ნაწილაკი, genug მხოლოდ ზმნებთან.

5) ხარისხის ნაწილაკებს (ინტენსიურ ნაწილაკებს, ხარისხის მოდიფიკატორებს): sehr, ganz, höchst, recht, fast, so, überaus, ziemlich, viel, weit, weitaus, außerordentlich. ისინი არ მიემართება მთელ წინადადებაზე და წინადადების სხვადასხვა წევრებზე, არამედ, როგორც წესი, თავსდება ზედსართავ სახელებთან ან ადიექტიურ ზმნიზედებთან. ხარისხის ნაწილაკების ფუნქციები რეალიზდება სემანტიკურ დონეზე.

6) მოდალურ ნაწილაკებს: aber, auch, bloß, denn, doch, eben, etwa, halt, ja, mal, nur, schon, vielleicht.

მოდალური ნაწილაკები, მცირე გამონაკლისის გარდა, ზემოქმედებენ გამონათქვამის ილოკუციაზე, აძლიერებენ ან ასუსტებენ მას, ან ახდენენ მათ მოდიფიცირებას სხვა ხერხით.

ისინი გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას ან უქვემდებარებენ პარტნიორს გარკვეულ რეგულირებებს. მოდალურ ნაწილაკებს არ დაესმის შეკითხვა, არ თავსდება პირველ ადგილზე, მათთან არ დგება უარყოფა, არ წარმოადგენენ პასუხებს შეკითხვაზე. მათი უმრავლესობა უმახვილოა. მოდალურ ნაწილაკებს აქვთ სხვადასხვა ფუნქციები, რომლებიც არა სემანტიკურ, არამედ კომუნიკაციურ დონეზე რეალიზდება. მათ გააჩნიათ

ჰომონიმები სხვა სიტყვათა კლასებში: denn არის აგრეთვე კავშირი, eben –ზმნიზედა, ja –წინადადების ექვივალენტი, vielleicht – მოდალური სიტყვა.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან მოდალური და ხარისხის ნაწილაკები ყველაზე ხშირად გვხვდება.

7) ნაწილაკს nicht, რომელიც მოცემულ შემთხვევებში მოდალურ ნაწილაკს მიეკუთვნება და არა ნეგატორს.

8) მიმღეობას.

5. რიგ შემთხვევაში ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან ერთდროულად შეიძლება განთავსდეს რამდენიმე ზმნიზედა და ნაწილაკი. ამ შემთხვევაში მათი თანმიმდევრობა (განლაგება) განსაზღვრულ პოზიციურ კლასებში შეიძლება შემდეგგვარი იყოს:

noch immer, eben noch, erst dann, dann wieder, kaum weniger, beinahe nur.

6. ნომინალურ სინტაგმაში სემანტიკური და კომუნიკაციური ფუნქციის დომინირების მიხედვით განვასხვავებთ:

1) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს სემანტიკური ფუნქცია: beinahe, bereits, ganz, höchst, eben, immer, ziemlich, recht, so überaus, viel, durchaus weit, weitaus, zu.

სემანტიკური ნაწილაკების ძირითად ბირთვს ქმნის ხარისხის ნაწილაკები.

2) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია: aber, also, auch, bloβ, denn, doch, eigentlich, einfach, etwa, gerade, halt, ja, mal, noch, nun, nur, schon, überhaupt, vielleicht, wohl.

კომუნიკაციური ნაწილაკების ძირითად ბირთვს ქმნის მოდალური ნაწილაკები.

რიგ შემთხვევებში, როგორც ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან შესაძლოა ერთდროულად განთავსდეს კომუნიკაციური ფუნქციის მქონე (მაგ: aber, noch, nur) და სემანტიკური ფუნქციის მქონე (მაგ: eben, immer, ganz, etwas, beinahe, ziemlich) ნაწილაკები.

7. ნომინალურ სინტაგმაში ენობრივ დონეზე პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სავალდებულო სატელიტი – არსებითი სახელი,

აუცილებელი და ფაკულტატური აქტანტები და თავისუფალი წევრები ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დენოტატურ მნიშვნელობებთან, რის შედეგადაც ისინი შეზღუდული მრავალფეროვნებით არიან წარმოდგენილი (განსაკუთრებით წინდებულიანი ჯგუფები და ნაწილაკები), (საპირისპიროდ ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისა, რომლებშიც სიგნიფიკატური მნიშვნელობების აქტუალიზაციის საფუძველზე, აქტანტების (განსაკუთრებით წინდებულიანი ჯგუფების) და თავისუფალი წევრების რეალიზაცია განსაკუთრებით მრავალფეროვანია.

თუმცა პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან თავისუფალი წევრების – განსაკუთრებით ხარისხის და მოდალური ნაწილაკების გამოყენების პროცენტი მაინც ყველაზე მაღალია (74%). პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან არსებითი სახელების გამოყენება – განსაკუთრებით წინდებულიანი ჯგუფებისა შეადგენს 26%. ეს ნიშნავს, რომ ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან თავისუფალი წევრები უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე აუცილებელი ან ფაკულტატური აქტანტები.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან ობლიგატორული აქტანტები იშვიათია, უმეტესად მასთან ფაკულტატური აქტანტები გამოიყენება.

8. სემანტიკური ვალენტობა, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ ენობრივ სტრუქტურას და იგულისხმება ის ფაქტი, რომ განსაზღვრული სიტყვები განსაზღვრულ პარტნიორებს მოითხოვენ, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ სემანტიკა, რათა იქონიონ კავშირები სხვა სიტყვებთან უნდა განიხილებოდეს ლოგიკურ ვალენტობასთან მიმართებაში, რომელიც მჟღავნდება ცნებით სტრუქტურებში და მოიცავს ცნებით რელაციებს, რომლებიც არაენობრივი არიან, რის საფუძველზეც განისაზღვრება მოცემული ენობრივი ერთეულის სინტაქსური სტრუქტურა – კონკრეტული ენობრივი სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს, რომ ვალენტობის მტარებელი სიტყვა მისი როგორც მეტყველების ნაწილის შემოფარგვლით და არსებულ ლოგიკურ – სემანტიკურ მიმართებათა საშუალებების საფუძველზე ადგენს პარტნიორთა როლსა და მათ მორფოლოგიურ ფორმას.

9. ნომინალურ სინტაგმაში თავისუფალი წევრების გამოყენებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს მოდიფიკაციას, ანუ საწყისი ცნების ფარგლებში სუბკატეგორიზაციას. სიტყვათწარმოების პროდუქტი მოტივირებულ ერთეულთან შედარებით დამატებით შეიცავს ცნებით ნიშანს, რომელიც გვაძლევს სუბკატეგორიზაციის შესაძლებლობას საწყისი ცნების ფარგლებში.

სიტყვათწარმოების პროდუქტი არ მიეკუთვნება ახალ ცნებით კლასს. საწყისი ერთეულის როგორც მეტყველების ნაწილის სახე უცვლელი რჩება. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი ადვილად კომბინირებადია თავისუფალი წევრების მოცემული კლასის (განსაკუთრებით ხარისხის და მოდალური ნაწილაკების) თითქმის ნებისმიერ წარმომადგენელთან.

10. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა განსაზღვრავს მის სინტაქსურ სტრუქტურას, ვალენტურ და დისტრიბუციულ შესაძლებლობებს, მის კომუნიკაციურ ეფექტს, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურებში განისაზღვრება როგორც გამონათქვამი (ტექსტი), რომლის ყოველი შემადგენელი ენის ვერბალურ პროდუქტს ქმნის, რომელიც ემსახურება კომუნიკანტების შინაარსების, იდეების, ინტერესების ინტერპრეტირებას და რომლებიც პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე საგრძნობლად შეზღუდულია.

11. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის გარეგან, სინტაქსურ, და შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე, კომუნიკაციურ ეფექტს შორის მივიღეთ ოპოზიცია. გარეგან, სინტაქსურ, ვიზუალურ დონეზე, პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის, როგორც განყენებული წევრის, სემანტიკური წონა და კომუნიკაციური ეფექტი არის ძალიან მაღალი. მაგრამ შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე, (დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაცია), პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის კომუნიკაციური ეფექტი, ანუ კომუნიკანტების შინაარსების, იდეების, ინტერესების ინტერპრეტირების ხარისხი არის დაბალი, ასევე კომუნიკაციის კავშირი ვალენტობასთან, რომელიც გულისხმობს სემანტიკური ვალენტობის ცნებითი ინვენტარის, ანუ სემანტიკური კაზუსების პრაგმატული გამოყენების შესაძლებლობებს, არის საგრძნობლად შეზღუდული.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. ნომინალური ფრაზის წრფივი სტრუქტურა ორდინალური და მყარია. არსებითი სახელის შესაძლო სატელიტების გათვალისწინებით თვალსაჩინო ხდება ნომინალური ფრაზის მდიდარი სტრუქტურა. ნომინალურ ელემენტებს მიეკუთვნება არსებითი სახელის და ნაცვალსახელების ყველა სატელიტი, უპირველეს ყოვლისა დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები.

მარცხენა ველში ობლიგატორულად თავსდება დეტერმინანტი, რომელიც სახელიდან ნომინალურ ფრაზაში გადასვლის მარკირებას ახდენს და ზედსართავი სახელი. აქვე ფაკულტატურად განლაგდება ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები (კუთვნილებითი, სუბიექტური, ობიექტური დამოკიდებულებით), არსებითი სახელი ინვარიანსი, არსებითი სახელი ვარიანსი და ოკაზიონალურად დისიუნქტები, რომლებიც შესაძლოა მოსცილდნენ სახელად ბირთვს.

2. დეტერმინანტი და ზედსართავი სახელი, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა არსებითი სახელის თანმხლები ელემენტებია, თავისუფალ წევრებს წარმოადგენენ. არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი სახელი ვარიანსი სუბსპეციფიკური ელემენტებია, ამდენად არსებითი სახელის აქტანტებს წარმოადგენენ. ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები არიან ნაწილობრივ აქტანტები, ნაწილობრივ თავისუფალი წევრები. დისიუნქტები გამონაკლისის გარეშე თავისუფალი წევრებია.

3. ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის სატელიტები გაცილებით მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე მარცხენა ველის სატელიტები. მარჯვენა ველში ობლიგატორულად თავსდება:

ტიპურად პრეპოზიციური დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები

წინდებულიანი განსაზღვრებები

დირექტიული განსაზღვრებები

ექსპანსიური განსაზღვრებები

ნომინალური განსაზღვრებები

ვერბატული განსაზღვრებები

კვალიტატური წევრები

სიტუაციური წევრები

კომიტატური წევრები

მიმართებითი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები

დანართი

აქვე ფაკულტატურად თავსდება:

ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები

არსებითი სახელი ვარიანსი

არსებითი სახელი ინვარიანსი

ჩამონათვალში პირველი ხუთი განსაზღვრება აქტანტია. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები და ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები (კუთვნილებითი, სუბიექტური, ობიექტური, ექსპლიკატორული ნათესაობითი) ფუნქციონირებენ როგორც აქტანტები და თავისუფალი წევრები. ექსპლი-კატორული ნათესაობითი გამონაკლისის გარეშე მარჯვენა ველის სატელიტია და ის არასოდეს თავსდება მარცხენა ველში. დანარჩენი განსაზღვრებები თავისუფალ წევრებს წარმოადგენენ.

4. განხილული განსაზღვრებებიდან ვარიაბული პოზიციით (განთავსდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ველში) ხასიათდება: დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები, რომლებიც გამონაკლისის სახით თავსდება მარჯვენა ველში. წინდებულიანი და დირექტიული აქტანტები, რომლებიც პრინციპულად მარჯვენა ველის სატელიტებია, გამონაკლისის სახით მარცხენა ველშიც ჩნდება. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, რომელთა პრეპოზიციაც ამაღლებულ ენაშია დასაშვები. ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები, თუ ისინი ადამიანს აღნიშნავენ, თავსდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ველში. ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები სხვა მნიშვნელობებით მხოლოდ პოეტურ ენაში განთავსდება მარცხენა ველში პირველ ადგილზე.

არსებითი სახელი ინვარიანსი და არსებითი სახელი ვარიანსი ორივე ველში თავსდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი სემანტიკურად და სინტაქსურად იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ მიზანშეწონილიც აღარ არის განსაზღვრებათა ამ ორი კლასის ვარიაბულ პოზიციაზე საუბარი. ვარიაბული პოზიციით გამოირჩევა დისლოცირებადი ელემენტებიც: კვანტორები – დეტერ-მინანტები: all-, einig-, kein-, რიცხვითი ზედსართავი სახელები: beid-, viel-, wenig- და ზედსართავი სახელები, წინდებულიანი განსაზღვრებები და დისიუნქტები (დასაბამიერი მიმღეობები, als-იანი ნომინალური ფრაზები, ზმნიზედები: allein, blindings, selbst), რომლებსაც შეუძლიათ მოსცილდნენ ნომინალურ ფრაზას და წინადადებაში სხვა ადგილი დაიკავონ. ამავე დროს მათი დისლოცირება ფაკულტატურია და შესაძლოა ისინი უშუალოდ ნომინალური ბირთვის გვერდით განთავსდეს (მისგან მარჯვნივ ან მარცხნივ).

ენობრივი ელემენტები, რომლებიც ვარიაბული პოზიციით გამოირჩევა, არ წარმოადგენს სინონიმურ კონსტრუქციებს. სხვადასხვა პოზიციაში მათ სრულიად განსხვავებული სემანტიკური და სინტაქსური დამოკიდებულებები გააჩნია და აქედან გამომდინარე არსებობენ იმისთვის, რომ გამოხატონ ობიექტური სინამდვილის სხვადასხვა კანონზომიერებანი.

5. არსებითი სახელი, როგორც სახელადი ფრაზის ბირთვი, ადგენს ორ მომენტს. კატეგორიალური მნიშვნელობით კარნახობს აქტანტებს აუცილებელ მინიმალურ სემანტიკურ ნიშნებს და რელატორების საშუალებით გამოხატავს სემანტიკურ მიმართებას სახელად ბირთვსა და აქტანტს შორის.

ცალკეული თავისუფალი წევრები განსხვავებულად ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებიან ბირთვთან. ამ სპეციფიკური დისტანციის მიხედვით გამოიყოფა 3 სუბკლასი:

1) დამაზუსტებელი თავისუფალი წევრები, სადაც შემოდის ზედსართავი სახელები, სიტუაციური და კომიტატური თავისუფალი წევრები და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

2) იდენტიფიცირებადი თავისუფალი წევრები, მათ მიეკუთვნება უპირველეს ყოვლისა დეტერმინანტები, პრეპოზიტური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები, არსებითი სახელი ინვარიანსი, არსებითი სახელი ვარიანსი მარცხენა ველში. მათი ფუნქციაა მოახდინოს სიდიდის, როგორც „სინამდვილეზე პრეტენზიის მქონეს“ იდენტიფიცირება, ისინი არსებით სახელს სახელად ფრაზად აქცევენ.

3) ინფორმირებადი თავისუფალი წევრები, რომლებსაც არც დამაზუსტებელი და არც იდენტიფიციტებადი ფუნქცია არ გააჩნიათ და საერთოდაც თავიდანვე ნომინალურ ფრაზებს არ განეკუთვნება, არამედ მათ მხოლოდ განმარტებლებად თან ახლავან. ამ თავისუფალ წევრებს მიეკუთვნება დანართები.

6. დეტერმინანტი ნომინალურ ბირთვთან ერთად იცვლება სქესის, ბრუნვის და რიცხვის მიხედვით. დეტერმინანტი ემსახურება ნომინალური ფრაზით აღნიშნულ სიდიდეთა იდენტიფიკაციას. დეტერმინანტის სუბკლასები მართავენ ზედსართავი სახელის ფლექსიას (das schöne Mädchen, ein schönes Mädchen, die schönen Mädchen, schöne Mädchen). აქედან გამომდინარე, ზედსართავი სახელი დეტერმინანტის დეპენდენსია.

7. გერმანულ ენაში ნომინალური ფრაზისთვის სახელადი ჩარჩო წარმოადგენს ტოპოლოგიურ მახასიათებელს. სახელადი ჩარჩო წარმოიშობა თავსა და

ბირთვს შორის, პროტოტიპურად არტიკლსა და არსებით სახელს შორის. გერმანულ ენაში ნომინალური ფრაზის შიგნით ამგვარი ჩარჩო არ არსებობს, რადგან შეთანხმება ვრცელდება არტიკლსა და ბირთვს შორის მდგარ ზედსართავ სახელზეც. ზედსართავი სახელი ჩარჩოში არ თავსდება, არამედ წარმოიშობა „შეთანხმების ხაზი“, რომელიც ყველა სამივე ერთეულს მოიცავს, უფრო მეტიც, ჩარჩო წარმოიქმნება არა არტიკლსა და არსებით სახელს, არამედ არტიკლსა და ზედსართავ სახელს შორის, როცა ზედსართავი სახელი ნომინალურ ფრაზაში მოცემულია.

როგორც განსაზღვრება ზედსართავი სახელი, როგორც წესი, დგას არსებითი სახელის წინ და მასთან ერთად იცვლება. ფლექსიურია ზედსართავი სახელი ეგრეთწოდებულ დისტანციურ პოზიციაზეც.

8. ტექსტში გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით ყველა ზედსართავი სახელი გამოყენებადია განსაზღვრების ფუნქციაში (ამას მოითხოვს მათი დეფინიცია).

ზედსართავი სახელები შესაძლოა ფუნქციონირებდნენ წინადადების როგორც ობლიგატორული აქტანტები ან წინადადების თავისუფალი წევრები.

ყველა ზედსართავ სახელს არ შეუძლია ყველა სინტაქსური ფუნქციის რეალიზება:

1) არიან ზედსართავი სახელები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამივე – განსაზღვრების, პრედიკატივის, გარემოების ფუნქციაში.

2) მხოლოდ განსაზღვრების ფუნქციაში გამოიყენება ზედსართავ სახელთა მცირე ჯგუფი, რომლებიც ადგილის ან დროის მონაცემს გამოხატავენ: bischöflich, dortig, heutig, andere, ober, mittler.

3) მხოლოდ პრედიკატულად გამოიყენება: quitt, leid, schade, angst, schuld (mir ist bang, er ist schuld, wir sind quitt), თუმცა ისინი არა ზედსართავ სახელებს, არამედ უფრო „კოპულატურ ნაწილაკებს“ მიეკუთვნება, რადგან ითვლება, რომ არ არსებობს მხოლოდ პრედიკატივის ფუნქციაში გამოყენებადი ზედსართავი სახელები.

4) მხოლოდ ატრიბუტულად და გარემოების ფუნქციაში გამოიყენება: wöchentlich, täglich.

9. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატულ განკერძოებულ განსაზღვრებას ახასიათებს რითმულ-მელოდიური და სემანტიკური დამოუკიდებლობა. ზედსართავი სახელი იღებს მახვილს, მისი კავშირი არსებით

სახელთან თავისუფალია. განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც წინადადებაში გამოყოფილია ინტონაციურად და სასვენი ნიშნებით, აზრობრივადაც უფრო დამოუკიდებელია, იგი განსხვავდება ჩვეულებრივი განსაზღვრებისაგან ფუნქციის მიხედვითაც. განკერძოებულ განსაზღვრებას ახლავს დამატებითი ცნობის ელფერი და ადვილად ტრანსფორმირდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად. იგი თითქოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შეკუმშული სახეა.

10. თანამედროვე გერმანულ ენაში ზედსართავი სახელები პირველ რიგში არიან წინაველის ელემენტები. განსაზღვრულ პირობებში ისინი თავსდება ბოლოველში.

სახელადი ჩარჩოდან წევრის გატანა ხორციელდება სტილისტური და რითმული საფუძვლებიდან გამომდინარე. ატრიბუტული ზედსართავი სახელი წინაველიდან გადადის ბოლოველში, რაც შემდეგი მიზნით ხორციელდება:

1) ამ წევრის უფრო გამოყოფის მიზნით:

2) გამონათქვამის ცალკეული ნაწილების რითმული განაწილების მიზნით ზოგიერთი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება წინაველში, ზოგი ბოლოველში.

ხშირად პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები გამოხატავენ ანტონიმურ ნიშნებს.

11. თანამედროვე გერმანულ ენაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება გვხვდება უფლექსიო წყვილადი ფორმით – ორი ზედსართავი სახელით (ტყუპი ფორმა – Zwillingsformen), რომელთა შორის დგას ძირითადად „und“ კავშირი, ასევე შესაძლებელია კავშირები: oder, ob..., oder, nicht... sondern.

ნომინალური სინტაგმა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელით.

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრებები შესაძლოა ასინდეტურად დაკავშირდნენ.

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზედსართავი სახელის სერიული ფორმით, სამი და მეტი ზედსართავი სახელით, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება ძირითადად „und“ კავშირით, ან ასინდეტურად.

ფლექსიური ზედსართავი სახელების უფლექსიო გამოყენების გვერდით არსებობს ზედსართავი სახელები, რომლებიც გამოიყენება როგორც პრეპოზი-

ციაში, ასევე პოსტპოზიციაში. ზედსართავი სახელების ამ ნაკლებად მრავალ-რიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება ზოგიერთი ზედსართავი სახელი, რომელიც ბოლოვდება a-ზე: extra, prima, lila, rosa.

12. ყოველი სიტყვა როგორც ენის ელემენტი, როგორც ფორმატიული სახით, ასევე თავისი მნიშვნელობით, პარადიგმატურ დონეზე დაკავშირებულია სხვა ლექსიკურ ერთეულებთან. სიტყვის პარადიგმატური ფორმები, გრამატიკული შემოსაზღვრა, რაც გამოიხატება მისი კუთვნილებით რომელიმე მეტყველების ნაწილთან და ლექსიკური მნიშვნელობა ქმნიან შესაძლებლობებს სიტყვათა კავშირებში და წინადადებებში სინტაგმატიკური მიმართებებისათვის. ნომინა-ლურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი გადმოსცემს გრამატიკულ ინფორმაციას (სქესი, ბრუნვა, რიცხვი, ხარისხი).

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი შესაძლოა ოთხივე ბრუნვაში შეეწყოს ნომინალურ ბირთვს. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლით. ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება ფლექსიურ ფორმაში ნაკლებად გამოიყენება.

13. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოე-ბული განსაზღვრება დაკავშირებულია წინადადების გაფორმების ზოგიერთ განსაკუთრებულ სახესთან, კერძოდ ჩანართთან.

ჩანართს წარმოადგენს პარენტეტური ხასიათის შენაერთები, რომლებიც ხასიათდება საზღვრულ წევრთან შეთანხმების უქონლობით. ზედსართავი სახელისთვის და მიმღეობისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია საწყისი ფორმა. ეს ჯგუფები ფორმალურად განკერძოვდება წინადადებაში, თუმცა შინაარსობრივი მიმართებები წინადადების სხვა წევრებთან თავისუფლად მყარდება. ამ სახის შენაერთები წარმოადგენს სიტყვათა თავისუფალ რიგებს, რომლებიც თავიანთ ერთობლიობაში გარკვეულ სურათს ქმნიან. დაქვემ-დებარების ფორმალური ნიშნები ხშირად არ არის გამოხატული, ჩანართები ქმნიან ჩანართს წრფივ სტრუქტურაში, რომელშიც ფუნქციონალურად არ არის ინტეგრირებული. ჩანართები ხშირად წარმოადგენენ დამოუკიდებელ წინადა-დებებს, ან ისინი აორმაგებენ წინადადების წევრის პოზიციას.

14. ზედსართავი სახელით გამოხატულ განკერძოებულ განსაზღვრებას განვიხილავთ წინადადების დონეზეც, ვეყრდნობით რა აქტუალურ დაყოფას, ანუ

ვითვალისწინებთ გამონათქვამის გავლენას წინადადების სტრუქტურაზე. შესაბამისად, გამოიყოფა წინადადების ორი მხარე:

1) გრამატიკული მოდელი – წინადადება როგორც ფორმალურ-გრამატიკული სტრუქტურა განსაზღვრული სიტყვათაწყობით.

2) წინადადება როგორც აზრობრივი სტრუქტურა – გრამატიკული მოდელების რეალიზაცია მეტყველებაში.

წინადადება როგორც აზრობრივი ერთეული, წარმოადგენს ერთდროულად სინტაქსური და აზრობრივი დაძაბულობის წარმოქმნას, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც ზმნური, ასევე არაზმნური წევრების ადგილმდებარეობაზე.

15. წინადადებაში სიტყვათარიგი ასრულებს რამდენიმე ფუნქციას:

1) სტრუქტურის მაწარმოებელი ან გრამატიკული ფუნქცია წინადადების სახეების ფორმირების პროცესში. წინადადების ფორმირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთავარი წევრების ადგილს. ის მიეკუთვნება წინადადების მოდელების ნიშნებს.

2) კომუნიკაციური ფუნქცია. თემა-რემატული დაყოფის გადმოცემა. აქტუალური დაყოფის ვარიანტები ძირითადად განსხვავდება სიტყვათარიგით. სიტყვათარიგის ცვლილებით იცვლება აქტუალური დაყოფა. სიტყვათა სხვადასხვა წყობის დროს წინადადების აზრი, მისი კომუნიკაციური დანიშნულება სხვადასხვაა. აქტუალური დაყოფის დონეზე სიტყვათა რიგს აქვს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია, იგი განასხვავებს თემას და რემას. სიტყვათაწყობა სინტაქსური სტრუქტურის დონეზე არ წარმოადგენს აზრის განმასხვავებელ საშუალებას. ე.ი. ის არ ემსახურება გრამატიკული მოდელების განსხვავებას.

სიტყვათაწყობა არარელევანტურია, არ გააჩნია აზრის განმასხვავებელი ფუნქცია წინადადების სინტაქსური სტრუქტურის დონეზე და რელევანტურია – აქვს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია მისი აქტუალური დაყოფის დონეზე.

3) სტილისტური ფუნქცია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნიკაციურ ფუნქციასთან. სტილისტური მოქმედებებისას სიტყვათარიგი ემსახურება წინადადების ცალკეული ნაწილების ექსპრესიულ გამოყოფას და განსაზღვრული სტილისტური ეფექტების გამოწვევას.

16. ყოველ გამონათქვამში გამოიყოფა პროპოზიცია და ილოკუცია. პროპოზიცია გადმოსცემს გამონათქვამის მნიშვნელობას ვიწრო აზრით, იმას, რაც უცვლელი რჩება, მაშინ როცა გამონათქვამის მოქმედების ტიპი იცვლება.

ილოკუცია გამოხატავს გამონათქვამის მოქმედების ტიპს („მეტყველების აქტის ტიპიზაცია“) ანუ რა არის გადმოცემული: თხრობა, შეკითხვა, ბრძანება, მუქარა, წინააღმდეგობა. კომუნიკაციაში მისი გამოყენება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პროპოზიციის.

ილოკუციის გამოხატვის საშუალებებია:

1) უმეტესად ინტონაცია (ტონის მრუდი თხრობის ბოლოს დაბლდება, შეკითხვის ბოლოს მაღლდება).

2) ბგერის სიძლიერე (ბრძანებები ხმამაღლა წარმოითქმის, ვიდრე თხრობითი ხასიათის შეტყობინებები).

3) სხვა პარალინგვისტური საშუალებები – მიმიკა და ჟესტიკულაცია.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ამ საშუალებების ისეთი ზუსტი აღწერა, როგორც წინადადების წევრების და ფლექსიის ფორმების, მთლიანობაში ისინი კარგად ფუნქციონირებს. საზოგადოდ, თანამოსაუბრე პირი უპრობლემოდ შეიცნობს შესაბამის ილოკუციას.

17. პროპოზიციის და ილოკუციის გვერდით არსებობს მესამე ელემენტი პემა, რომელიც დამატებით ინფორმაციებს აწარმოებს. პემა წარმოადგენს ნაწილთა კომპლექსს, რომელიც არ აწარმოებს ძირითად ინფორმაციებს, არამედ მათ მხოლოდ აფასებს. იგი ასევე არ ემსახურება ილოკუციის გამოხატვას, არამედ მასაც მხოლოდ აფასებს. პემა შეიძლება თემა-რემატულ დაყოფას დაემატოს. ის, რასაც პემა გადმოსცემს არც თემაა და არც რემა, არც ცნობა და ფუნქციონალური კომპონენტების ნაწილი, თუმცა ის ორივე სფეროსთვის განსაზღვრულ როლს თამაშობს, აკავშირებს თემა-რემატულ სფეროს ფუნქციონალურ სფეროსთან. პემას ჩვეულებრივ მიეკუთვნება ზმნის უღლებადი მორფემა და ექსისტიმატორული გამონათქვამების დიდი ნაწილი. კომუტატორული ზმნიზედები: wahrscheinlich, vermutlich, vielleicht, მოდალური ნაწილაკები: aber, also, auch, bitte, bloß, denn, doch და უარყოფა, რომლებიც უშვებენ ცალკეული წინადადებების თემა-რემატული სფეროს განცალკევებას. ამავე დროს წინადადება გადადის ფუნქციონალურად ნეიტრალური დამოკიდებული წინადადების სიტყვათაწყობაში ზმნის პოზიციით ბოლო ადგილზე; ხოლო შესაბამისი სიტყვა ორივე სფეროს შორის თავსდება.

18. აქტუალური დაყოფის დონეზე ნომინალურ სინტაგმაშიც სიტყვათარიგს აქვს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია. იგი განასხვავებს თემას და რემას.

ნომინალურ სინტაგმაში ატრიბუტული ზედსართავი სახელის პოსტპოზიცია დაკავშირებულია რემის გამოხატვასთან (პრეპოზიცია თემის გამოხატვასთან).

ნომინალურ სინტაგმაში თემა-რემატული მიმართებები დაკავშირებულია არამარტო ენის სწორ ლოგიკურ აღნაგობასთან, რომელიც მოითხოვს, რომ თემა მოცემული, ნაცნობი მოთავსდეს რემის – ახლის, უცნობის, განუსაზღვრელის წინ, არამედ იგი პირველ რიგში დაკავშირებულია ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკურ ასპექტებთან, მის ფუნქციასა და მნიშვნელობასთან.

ნომინალურ სინტაგმაში სტატიკურია პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი (თემა), დინამიურია არსებითი სახელი (რემა). ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი და არსებითი სახელის ასეთ განლაგებას ეწოდება „სუბიექტური სიტყვათაწყობა“.

ნომინალურ სინტაგმაში სტატიკურია არსებითი სახელი (თემა), დინამიურია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი (რემა), ნომინალურ სინტაგმაში არსებითი და ზედსართავი სახელის ასეთ განლაგებას ეწოდება „ობიექტური სიტყვათაწყობა“.

19. ნომინალური სინტაგმა, რომელშიც ზედსართავი სახელები ფუნქციონირებენ როგორც განსაზღვრებები, წინადადებაში შეიძლება შევიდეს თემის შემადგენლობაში და მოთავსდეს ზმნის წინ წინაველში, ან შეიძლება შევიდეს რემის შემადგენლობაში და მოთავსდეს ზმნის შემდეგ ბოლოველში.

პოზიციური ველის ცნება შეიძლება გამოყენებული იყოს აგრეთვე ნომინალურ სინტაგმასთან მიმართებაში.

ძირითად სიტყვას (არსებით სახელს) განვიხილავთ როგორც ველის შუაგულს. მის წინ მდგომი ყველა განმმარტავი ქმნის წინაველს, ხოლო ყველა მომდევნო განმმარტავი ბოლოველს. წინაველის წევრები განლაგებულნი არიან სახელადი ჩარჩოს პრინციპის მიხედვით. ატრიბუტული ზედსართავი სახელები განლაგდებიან სემანტიკური პრინციპის მიხედვით:

1) კვანტიფიკაციური ზედსართავი სახელები: viel, einige.

2) სიტუაციური (რეფერენციალური) ზედსართავი სახელები: dortig, damalig, obig.

3) კვალიფიკაციური ზედსართავი სახელები: alt, blond, frisch, zäh. აქვე შემოდიან მიმღეობების უმრავლესობა და ნივთიერებათა სახელები: hölzern, irden.

4) კლასიფიკაციური ზედსართავი სახელები: ärztlich, kommunal, parlamentarisch.

5) წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები: norwegisch, sibirisch, Hildburghausener, Stuttgarter.

ზედსართავ სახელთა მნიშვნელობათა კლასები განსაკუთრებულ როლს იძენს, როდესაც რამდენიმე ატრიბუტული ზედსართავი სახელის თანმიმდევრობა გვაქვს. მაშინ ზედსართავი სახელები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდება:

კვანტიფიკაციური – სიტუაციური (რეფერენციალური) – კვალიფიკაციური – კლასიფიკაციური – წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები.

20. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა გამოვიკვილიეთ ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის და მისი შესაბამისი ცნების ლოგიკური კატეგორიის ურთიერთმიმართების საფუძველზე.

ცნებისა და ლექსიკური მნიშვნელობის თანაფარდობა სხვადასხვა მიმართებაში განსხვავებულია. ორივე მათგანს დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და რთული სტრუქტურა გააჩნია. ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურა განისაზღვრება მისი სემანტიკით, პრაგმატიკით, სინტაქტიკით. ცნების სტრუქტურაში მის შემადგენელ სტრუქტურულ ნაწილებად გამოიყოფა: 1. სიგნიფიკატი, 2. ინტენსიონალი, 3. დენოტატი, 4. კომპრეჰენსია.

ცნების სტრუქტურული ნაწილები სიგნიფიკატი და ინტენსიონალი, დენოტატი და კომპრეჰენსია ერთიანდება და ცნების სტრუქტურაში ძირითად ცნებით კომპონენტებად გამოიყოფა: 1) სიგნიფიკატი, 2) დენოტატი.

21. ცნება და ლექსიკური მნიშვნელობა აზროვნების სხვადასხვა რიგის კატეგორიას წარმოადგენს და გამიჯნულია ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის არსებობს მუდმივი ერთიერთმიმართება. ცნება არსებობს ენობრივ ფორმაში, სიტყვა არის ცნების არსებობის ფორმა. ლექსიკური მნიშვნელობა არის მასალა ცნების ფორმირებისათვის. ხოლო ცნება, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ლექსიკურ მნიშვნელობას ხასიათდება საზღვრების არამკაფიურობით და „წაშლით“. ცნებას ერთი მხრივ გააჩნია მტკიცე, მკაფიო განსაზღვრული ცნებითი ბირთვი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა ლექსიკური მნიშვნელობის სიმტკიცე და განსაზღვრულობა, და ცნებას აქვს განუსაზღვრელი „ბუნდოვანი“ პერიფერია. ცნების საზღვრების ასეთი გადარეცხვის შედეგად ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება გაფართოვდეს და მან მოიცვას უფრო მეტი.

22. ენობრივი მასალის ანალიზის საფუზველზე ვთვლით, რომ ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში წარმოებს დენოტატური ასპექტის, მნიშვნელობის ცნებითი

ბირთვის, აზრის ნომინაციური, ფაქტიური, დიქტალური, არასიტუაციური, რეპრეზენტაციური, საგნობრივ-რელაციური კომპონენტის აქტუალიზაცია, რომელიც აბსტრაჰირებულია პრაგმატული, მოდალური სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან.

23. სიტყვის მოწყობილობა ენაში არის ურთიერთობათა რთული კომპლექსი. სიტყვა პირველ რიგში გამოდის როგორც აზრის ნიშანი (სიგნიფიკატი) და მეორე, სიტყვა გამოდის როგორც საგნის ნიშანი (დენოტატი). დენოტატი, როგორც საგნის ნიშანი, ნებისმიერ კონტექსტში განსაზღვრულია. ის ვერ ჩაირთავს ნებისმიერ ნიშანს (საპირისპიროდ სიგნიფიკატის-აზრის ნიშნისა, რომელიც ინტენსიონალის მრავალ ნიშანს აერთიანებს და ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის მნიშვნელობათა რეალიზაციის საფუძველია). ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები ნებისმიერ კონტექსტში წარმოდგენილი არიან დენოტატური მნიშვნელობებით (არ იწარმოება სემური იერარქია, არ გამოიყოფა კონოტაციური მნიშვნელობები) და შესაბამისად გამოხატავენ საგნის დამახასიათებელ რეალურ, ბუნებრივ თვისებებს, რომლებიც ყველაზე ხშირად საგანთა გარეგნული, ფიზიკური მონაცემია: ასაკი, ფერი, სიდიდე და ა.შ.

ein Tüllkleid, golddürchwirkt. Brillengläser, rund und dick.

Onkel August, braungebrannt.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები აღნიშნავენ ინტეგრალურ, არასიტუაციურ, ფაქტიურ, დიქტალურ ნიშანს, რომელიც თავიდანვე ცნობილი და უცვლელია ყველა კონტექსტში.

24. ნომინალურ სინტაგმაში გამონათქვამის ცალკეული ნაწილების რითმული განაწილების მიზნით ზოგი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება წინაველში, ზოგი ბოლოველში. წინაველში თავსდება ატრიბუტული ზედსართავი სახელები სიგნიფიკატური მნიშვნელობებით, ხოლო ბოლოველში ადგილს იკავებს ატრიბუტული ზედსართავი სახელები დენოტატური მნიშვნელობებით.

ein schlechtes Foto, aber deutlich.

der junge Mann, froh.

bittere Geschichten, aber schön.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის ენობრივი გამოხატულების ფორმას ნომინალურ სინტაგმაში წარმოადგენს დენოტატი (ცნებითი ბირთვი). (პრენომინალური ატრიბუტული ზედსარ-

თავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის ენობრივი გამოხატულების ფორმას ნომინალურ სინტაგმაში წარმოადგენს სიგნიფიკატი (ცნებითი შინაარსი).

25. ინტეგრალური (დენოტატი) და დიფერენციალური (სიგნიფიკატი) ნიშნები ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში სხვადასხვა როლს ასრულებს. ეს პირველ რიგში აისახა მათ სემანტიკურ სტრუქტურაში. სიტყვის ფუნქციონირებასა და განვითარებაში ხშირად სწორედ ინტეგრალური ნიშნებით გადმოიცემა ყველა თავისებურება ენის ცნების გამოხატულებისა, ამავე დროს ცნების განვითარებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს სიგნიფიკატი.

26. ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტები დაკავშირებულია მის შინაგან ფორმასთან, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე, ნებისმიერ კონტექსტში შენარჩუნდება პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შინაგანი ფორმა, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელი სემანტიკური და სტრუქტურული ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ კონტექსტში ხორციელდება პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციების რეალიზაცია, პირველადი ნომინაციები განსაზღვრავს მის სემანტიკას. შენარჩუნდება პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური მნიშვნელობა და მატერიალური სახე: eine Gasse, so eng und düster. Gedanken und Gefühle, gute und böse. die Zeit, furchtbar.

27. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი არსებით სახელს უკავშირდება ორ დონეზე: გარეგან, სინტაქსურ დონეზე, ზედსართავი სახელი აღნიშნავს არსებითი სახელის თვისებას და ასრულებს განსაზღვრების სინტაქსურ ფუნქციას, ხოლო შინაგან-ლოგიკურ სემანტიკურ დონეზე (დენოტატური მნიშვნელობების, საგნის ნიშნის აქტუალიზაციის საფუძველზე), მათ შორის არ არსებობს ისეთი მჭიდრო ურთიერთმიმართებები, რომლებიც დამახასიათებელია ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისთვის, რომლებიც არსებით სახელს უკავშირდება მათი სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე (სიგნიფიკატური მნიშვნელობების, აზრის ნიშნის მოდიფიცირების საფუძველზე),

როგორც გარეგან, სინტაქსურ, ასევე ძალიან მრავალფეროვან შინაგან ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე.

28. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი მისი ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე ემსახურება არსებულის დადასტურებას, ფაქტის აღნიშვნას, დაფიქსირებას და ნაკლებად დახასიათებას. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედ-სართავი სახელი გადმოსცემს „ობიექტურ შეფასებას“ და ახდენს საზღვრული სიტყვის თვისებების ობიექტურ აღნიშვნა-დაფიქსირებას, რომელიც თავისუფალია პრაგმატული, მოდალური, სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედ-სართავი სახელის შინაგანი ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდი-ნარეობს მისი არსებით სახელთან კავშირის როგორც „ობიექტური სიტყვათაწყობის“ ფორმა.

ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, გამოვყოფთ ნომინალურ სინ-ტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის შემდეგ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს:

1) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის გარეგნულ ფიზიკურ და შინაგან თვისებებს.
2) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას. müde, all, krank.
3) ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ საგანთა გარეგან ფი-ზიკურ თვისებებს.
4) ზედსართავი სახელები, რომლებიც ნომინალურ სინტაგმაში აბსტრაქ-ტულ არსებით სახელებთან რეალიზდება.
5). ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ბუნების მოვლენების და ცხოველთა სამყაროს ამა თუ იმ თვისებებს.

ნომინალურ სინტაგმაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რეალიზდება I და III ჯგუფის ზედსართავი სახელები, შედარებით ნაკლებად IV და V ჯგუფის ზედსართავი სახელები.

29. სემანტიკური თვალსაზრისით ზედსართავი სახელით გამოხატული განკერ-ძოებული განსაზღვრება არაგანკერძოებულისაგან განსხვავდება იმითაც, რომ:

1) იგი აღნიშნავს არა მხოლოდ საგნის აქტიურ, ან პასიურ ნიშანს ატრიბუტული მნიშვნელობით, არამედ ნიშანს, რომელიც მიეწერება საგანს, ე.ი. აქვს პრედიკაცია.

პრედიკაცია განკერძოებულ განსაზღვრებაში წარმოიშობა:

ა) ამხსნელი ინტონაციით და პაუზებით წარმოქმნის დროს, რაც წერილობით აღინიშნება სასვენი ნიშნებით და რომლის საშუალებითაც მიიღწევა ქვემდებარის ჯგუფის დანაწევრება.

ბ) დამატებითი ლოგიკური მახვილით წარმოთქმის დროს.

გ) სიტყვათა ჩვეული წყობის შეცვლით ანუ ინვერსიით.

2) ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება იძენს დროითი მნიშვნელობის ელფერს, იწვევს ნიშნის მიმართების წარმოდგენას დროის ამა თუ იმ მომენტთან და არა საერთოდ დროსთან, ე.ი. გამოხატავს არა მტკიცე ნიშანს, არამედ შემოსაზღვრულს დროში, რომელიც დაკავშირებულია დროის განსაზღვრულ მონაკვეთთან, რაც მას აახლოებს შემასმენელთან.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი ახასიათებს, განსაზღვრავს საგანს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები ხასიათდება: 1) პრედიკაციით, 2) დროითი მნიშვნელობის მომენტით.

30. ატრიბუტული ზედსართავი სახელის პრეპოზიცია ნომინალურ სინტაგ-მაში დაკავშირებულია სიგნიფიკატური მნიშვნელობების აქტუალიზაციასთან, დიდი მოცულობის გადმოცემულ ინფორმაციასთან, სუბიექტურ შეფასებასთან, მეორადი ნომინაციის არაავტონომიური ტიპის რეალიზებასთან, მუდმივი (დროში შემოუსაზღვრელი) ნიშნის გამოხატვასთან. ამის საპირისპიროდ ატრიბუტული ზედსართავი სახელის პოსტპოზიცია დაკავშირებულია დენოტატური მნიშვნე-ლობების აქტუალიზაციასთან, მცირე მოცულობის გადმოცემულ ინფორმა-ციასთან, ობიექტურ შეფასებასთან, პირველადი ნომინაციების რეალიზებასთან, პრედიკაციისა და დროში შემოსაზღვრული ნიშნის გამოხატვასთან.

31. უპირველეს ყოვლისა ერთმანეთისგან გავმიჯნავთ ცნებით დონეს და ენობრივ დონეს. ცნებით დონეზე გამოვყოფთ ცნებით განპირობებულ წევრებს, რომლებსაც ენობრივ დონეზე შეესაბამება სავალდებულო, აუცილებელი და

ფაკულტატური აქტანტები და ცნებით არაგანპირობებულ წევრებს, რომლებსაც ენობრივ დონეზე შეესაბამება თავისუფალი წევრები.

32. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტებს ვყოფთ: 1) გამოხატვის ფორმის მიხედვით და 2) სინტაქსური ფუნქციის მიხედვით.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტები გამოხატვის ფორმის მიხედვით არიან:

1) ნომინალური ფრაზები.
2) წინდებულიანი ფრაზები.
3) ნაწილაკიანი ფრაზები.
4) დამოკიდებული წინადადება.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტები სინტაქსური ფუნქციის მიხედვით შეიძლება იყოს: 1) აქტანტები, 2) თავისუფალი წევრები.

33. ნომინალურ სინტაგმაში, ენობრივ დონეზე, პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის ობლიგატორული და ფაკულტატური აქტანტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს:

1) სხვადასხვა სახის დამატებებით:
   ა) ნათესაობით ბრუნვაში;
   ბ) მიცემით ბრუნვაში;
   გ) გრადუირებული აქტანტებით ბრალდებით ბრუნვაში;
   დ) წინდებულიანი დამატებებით.
2) wie ან als ნაწილაკიანი შედარებით:
   ა) ფაკულტატური აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დადებით ხარისხთან
   ანაფორით wie + არსებითი სახელით
   ანაფორით wie + ზედსართავი სახელით
   ანაფორით wie + პირის ნაცვალსახელით
   ანაფორით wie + ზმნიზედით გამოხატული შედარება.
   ბ) ოიბლიგატორული აქტანტი პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის უფროობით ხარისხთან
   ანაფორით als + არსებითი სახელით
   ანაფორით als + პირის ნაცვალსახელით

ანაფორით als + კუთვნილებითი ნაცვალსახელით

ანაფორით als + რიცხვითი სახელით

ანაფორით als + ზმნიზედით

ანაფორით als + დამოკიდებული წინადადებით გამოხატული შედარება.

ნაწილაკი wie – გამოხატავს მსგავსების შედარებას, ნაწილაკი als – არამსგავსების შედარებას.

შედარების ნაწილაკები wie და als არ მიეკუთვნება კავშირების და წინდებულების ტრადიციულ კლასებს, თუმცა ისინი კავშირის სიტყვებს წარმოადგენს, კერძოდ ადიუნქტორებს.

3) ინფინიტიური ჯგუფით – ფაკულტატური აქტანტი პოსტნომინალური კვალიტატური ზედსართავი სახელებისთვის და აუცილებელი აქტანტი იმ ზედსართავი სახელებისათვის, რომლებიც იმართებიან „zu“ ნაწილაკიანი ინფინიტივით (bereit, geneigt, froh).

ამ შემთხვევაში „zu“ ნაწილაკის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ გამოხატავს ელფერს, მოდალობას, გრადაციას, ხარისხს. მას არ გააჩნია სემანტიკური და კომუნიკაციური ღირებულება, არამედ წარმოადგენს მხოლოდ სინტაქსურ სიგნალს მისი მომდევნო ინფინიტივისათვის, მაგრამ ნაწილაკების სხვა კლასებისგან განსხვავებით სინტაქსურად ობლიგატორულები არიან.

4) დამოკიდებული წინადადებით – ფაკულტატური აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან.

34. სინტაქსური ფუნქციის მიხედვით პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტები არიან თავისუფალი წევრებიც. ნომინალურ სინტაგმაში თავისუფალ წევრებად გამოვყოფთ:

1) მოდიფიკატორულ წევრებს – მათ წარმოადგენს უფლექსიო ზედსართავი სახელები, რომლებიც ქმნიან პატარა და ნაკლებად კლასიფიცირებულ, თუმცა ხშირად გამოყენებადი თავისუფალი წევრების ჯგუფს.

2) განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს.

3) სიტუაციურ თავისუფალ წევრებს: noch, hier, noch immer, eben noch, erst, dann, dann wieder, რომელთა ქვეკლასებია: დროის (noch, schon, immer, eben,

wieder), ზმნიზედები და ნაწილაკები, ადგილის (hier, dort, oben) ზმნიზედები, პირობითი (dann, erst) ზმნიზედები და ნაწილაკები.

4) ნორმირებულ თავისუფალ წევრებს, რომლებიც გვიჩვენებენ ნორმის მიღწევას ან გადაჭარბებას. გამოხატვის ფორმებია: zu genugend, genug, ausreichend.

ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან უმეტესად გამოიყენება zu ნაწილაკი, genug მხოლოდ ზმნებთან.

5) ხარისხის ნაწილაკებს (ინტენსიურ ნაწილაკებს, ხარისხის მოდიფიკატორებს): sehr, ganz, höchst, recht, fast, so, überaus, ziemlich, viel, weit, weitaus, außerordentlich. ისინი არ მიემართება მთელ წინადადებაზე და წინადადების სხვადასხვა წევრებზე, არამედ, როგორც წესი, თავსდება ზედსართავ სახელებთან ან ადიექტიურ ზმნიზედებთან. ხარისხის ნაწილაკების ფუნქციები რეალიზდება სემანტიკურ დონეზე.

6) მოდალურ ნაწილაკებს: aber, auch, bloß, denn, doch, eben, etwa, halt, ja, mal, nur, schon, vielleicht.

მოდალური ნაწილაკები, მცირე გამონაკლისის გარდა, ზემოქმედებენ გამონათქვამის ილოკუციაზე, აძლიერებენ ან ასუსტებენ მას, ან ახდენენ მათ მოდიფიცირებას სხვა ხერხით.

ისინი გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას ან უქვემდებარებენ პარტნიორს გარკვეულ რეგულირებებს. მოდალურ ნაწილაკებს არ დაესმის შეკითხვა, არ თავსდება პირველ ადგილზე, მათთან არ დგება უარყოფა, არ წარმოადგენენ პასუხებს შეკითხვაზე. მათი უმრავლესობა უმახვილოა. მოდალურ ნაწილაკებს აქვთ სხვადასხვა ფუნქციები, რომლებიც არა სემანტიკურ, არამედ კომუნიკაციურ დონეზე რეალიზდება. მათ გააჩნიათ ჰომონიმები სხვა სიტყვათა კლასებში: denn არის აგრეთვე კავშირი, eben –ზმნიზედა, ja –წინადადების ექვივალენტი, vielleicht – მოდალური სიტყვა.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან მოდალური და ხარისხის ნაწილაკები ყველაზე ხშირად გვხვდება.

7) ნაწილაკს nicht, რომელიც მოდალურ ნაწილაკს მიეკუთვნება და არა ნეგატორს.

8) მიმღეობას.

35. რიგ შემთხვევაში ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან ერთდროულად შეიძლება განთავსდეს რამდენიმე ზმნიზედა და ნაწილაკი. ამ შემთხვევაში მათი თანმიმდევრობა (განლაგება) განსაზღვრულ პოზიციურ კლასებში შეიძლება შემდეგგვარი იყოს:

noch immer, eben noch, erst dann, dann wieder, kaum weniger, beinahe nur.

36. ნომინალურ სინტაგმაში სემანტიკური და კომუნიკაციური ფუნქციის დომინირების მიხედვით განვასხვავებთ:

1) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს სემანტიკური ფუნქცია: beinahe, bereits, ganz, höchst, eben, immer, ziemlich, recht, so überaus, viel, durchaus weit, weitaus, zu.

სემანტიკური ნაწილაკების ძირითად ბირთვს ქმნის ხარისხის ნაწილაკები.

2) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია: aber, also, auch, bloβ, denn, doch, eigentlich, einfach, etwa, gerade, halt, ja, mal, noch, nun, nur, schon, überhaupt, vielleicht, wohl.

კომუნიკაციური ნაწილაკების ძირითად ბირთვს ქმნის მოდალური ნაწილაკები.

რიგ შემთხვევებში, როგორც ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან შესაძლოა ერთდროულად განთავსდეს კომუნიკაციური ფუნქციის მქონე (მაგ: aber, noch, nur) და სემანტიკური ფუნქციის მქონე (მაგ: eben, immer, ganz, etwas, beinahe, ziemlich) ნაწილაკები.

37. ნომინალურ სინტაგმაში ენობრივ დონეზე პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სავალდებულო სატელიტი – არსებითი სახელი, აუცილებელი და ფაკულტატური აქტანტები და თავისუფალი წევრები ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებულია პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დენოტატურ მნიშვნელობებთან, რის შედეგადაც ისინი შეზღუდული მრავალფეროვნებით არიან წარმოდგენილი (განსაკუთრებით წინდებულიანი ჯგუფები და ნაწილაკები), (საპირისპიროდ ნომინალურ სინტაგმაში პრენომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისა, რომლებშიც სიგნიფიკატური მნიშვნელობების აქტუალიზაციის საფუძველზე, აქტანტების (განსაკუთრებით წინდებულიანი ჯგუფების) და თავისუფალი წევრების რეალიზაცია განსაკუთრებით მრავალფეროვანია.

თუმცა პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან თავისუფალი წევრების – განსაკუთრებით ხარისხის და მოდალური ნაწილაკების გამოყენების პროცენტი მაინც ყველაზე მაღალია (74%). პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან არსებითი სახელების გამოყენება – განსაკუთრებით წინდებულიანი ჯგუფებისა შეადგენს 26%. ეს ნიშნავს, რომ ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან თავისუფალი წევრები უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე აუცილებელი ან ფაკულტატური აქტანტები.

ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელთან ობლიგატორული აქტანტები იშვიათია, უმეტესად მასთან ფაკულტატური აქტანტები გამოიყენება.

38. სემანტიკური ვალენტობა, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ ენობრივ სტრუქტურას და იგულისხმება ის ფაქტი, რომ განსაზღვრული სიტყვები განსაზღვრულ პარტნიორებს მოითხოვენ, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ სემანტიკა, რათა იქონიონ კავშირები სხვა სიტყვებთან უნდა განიხილებოდეს ლოგიკურ ვალენტობასთან მიმართებაში, რომელიც მჟღავნდება ცნებით სტრუქტურებში და მოიცავს ცნებით რელაციებს, რომლებიც არაენობრივი არიან, რის საფუძველზეც განისაზღვრება მოცემული ენობრივი ერთეულის სინტაქსური სტრუქტურა – კონკრეტული ენობრივი სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს, რომ ვალენტობის მტარებელი სიტყვა მისი როგორც მეტყველების ნაწილის შემოფარგვლით და არსებულ ლოგიკურ – სემანტიკურ მიმართებათა საშუალებების საფუძველზე ადგენს პარტნიორთა როლსა და მათ მორფოლოგიურ ფორმას.

39. ნომინალურ სინტაგმაში თავისუფალი წევრების გამოყენებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს მოდიფიკაციას, ანუ საწყისი ცნების ფარგლებში სუბკატეგორიზაციას. სიტყვათწარმოების პროდუქტი მოტივირებულ ერთეულთან შედარებით დამატებით შეიცავს ცნებით ნიშანს, რომელიც გვაძლევს სუბკატეგორიზაციის შესაძლებლობას საწყისი ცნების ფარგლებში.

სიტყვათწარმოების პროდუქტი არ მიეკუთვნება ახალ ცნებით კლასს. საწყისი ერთეულის როგორც მეტყველების ნაწილის სახე უცვლელი რჩება. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელი ადვილად კომბინირებადია თავისუფალი წევრების მოცემული კლასის (განსაკუთრებით ხარისხის და მოდალური ნაწილაკების) თითქმის ნებისმიერ წარმომადგენელთან.

40. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა განსაზღვრავს მის სინტაქსურ სტრუქტურას, ვალენტურ და დისტრიბუციულ შესაძლებლობებს, მის კომუნიკაციურ ეფექტს, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურებში განისაზღვრება როგორც გამონათქვამი (ტექსტი), რომლის ყოველი შემადგენელი ენის ვერბალურ პროდუქტს ქმნის, რომელიც ემსახურება კომუნიკანტების შინაარსების, იდეების, ინტერესების ინტერპრეტირებას და რომლებიც პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე საგრძნობლად შეზღუდულია.

41. ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის გარეგან, სინტაქსურ, და შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე, კომუნიკაციურ ეფექტს შორის მივიღეთ ოპოზიცია. გარეგან, სინტაქსურ, ვიზუალურ დონეზე, პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის, როგორც განყენებული წევრის, სემანტიკური წონა და კომუნიკაციური ეფექტი არის ძალიან მაღალი. მაგრამ შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე, (დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაცია), პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის კომუნიკაციური ეფექტი, ანუ კომუნიკანტების შინაარსების, იდეების, ინტერესების ინტერპრეტირების ხარისხი არის დაბალი, ასევე კომუნიკაციის კავშირი ვალენტობასთან, რომელიც გულისხმობს სემანტიკური ვალენტობის ცნებითი ინვენტარის, ანუ სემანტიკური კაზუსების პრაგმატული გამოყენების შესაძლებლობებს, არის საგრძნობლად შეზღუდული.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ასათიანი 1982: ასათიანი რ. მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982.
2. აფროდონიძე 1986: აფრიდონიძე შ. სიტყვათა განლაგება ახალ ქართულში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.
3. ბარნოვი 1999: ბარნოვი ნ. დისტრიბუციული ანალიზის მნიშვნელობა ლინგვისტური კვლევისათვის. ბ. ჯორბენაძის საზოგადოების V სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 1999 წლის 21-22 იანვარი. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“, 1999.
4. გოგოლაშვილი გ. 1997: გოგოლაშვილი გ. (რედაქტორი) ბ. ჯორბენაძის საზოგადოების IV სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 1997 წლის 22-26 დეკემბერი. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“, 1997.
5. გოგლიჩიძე 1992: გოგლიჩიძე ო. ქართული ენა. თბილისი: გამომცემლობა „თსუ“, 1992.
6. კვაჭაძე 1996: კვაჭაძე ლ. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი“, 1996.
7. მიქელაძე 1993: მიქელაძე გ. სიტყვათა რიგის საკითხისათვის ქართულში. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია III. 17-19.VI.1993. მოხსენებათა თეზისები. თბილისი: 1993.
8. ნემსაძე 1993: ნემსაძე ნ. სტილისტური ეფექტის მოვლენის ფსიქო-ლინგვისტური მექანიზმი. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია III. 17-19.VI.1993. მოხსენებათა თეზისები. თბილისი: 1993.
9. სუხიშვილი 1988: სუხიშვილი მ. ქართველური ლექსიკიდან ეტიმოლოგიური ძიებანი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.
10. ღლონტი 1996: ღლონტი ა. ქართული წინადადება. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1996.
11. შანიძე..1992: შანიძე ა., ქართული ენა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1992.
12. ძიძიგური 1989: ძიძიგური შ. ქართული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.

13. ჯორბენაძე 1985: ჯორბენაძე ბ. ქართული ენის ფაკულტატური გრამატიკის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „თსუ“, 1985.
14. ადმონი 1986: Admoni, W.G. Der deutsche Sprachbau. Moskau: „Proswesheniе“, 1986.
15. აგრიკოლა 1988: Agricola, E. Wörter und Wendungen. Wörterbuch zum deutschen Sprachgebrauch. Leipzig: „VEB Bibliographisches Institut“, 1988.
16. ასკედალი 1995: Askedal, J.O. Valenz und Grammatikalisierung. In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.
17. ბელმანი 1988: Belmann, G. Motivation und Kommunikation. In: Deutscher Wortschatz. Berlin, New Jork: 1988.
18. ბიკესი 1984: Bickes, G. Das Adjektiv im Deutschen. Untersuchungen zur Syntax und Semantik einer Wortart (=Europäische Hochschulschriften 1,774), Bern: 1984.
19. დარსკისი 1995: Darskis, J. Der Begriff Valenz und sein Beitrag zur exakten Definition mancher Wortarten. In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.
20. დუდენი 2007: Duden. Deutsches Universalwörterbuch. Mannheim: “Dudenverlag”, 2007.
21. დუდენი 2005: Duden. Die Grammatik. Band 4. Mannheim: “Dudenverlag”, 2005.
22. დუდენი 1998ა: Duden. Grammatik. Band 4. Mannheim: “Dudenverlag”, 1998a.
23. დუდენი 1998ბ: Duden. Grammatik der deutschen Gegenwartsprache. Mannheim: „Dudenverlag“, 1998b.
24. დუდენი 2001ა: Duden: Das Herkunftswörterbuch. Band 7. Mannheim: „Dudenverlag“, 2001a.
25. დუდენი 2000: Duden. Das größe Fremdwörterbuch. Mannheim: „Dudenverlag“, 2000.
26. დუდენი 2001ბ: Duden. Rechtschreibung und Wortkunde. Mannheim: „Dudenverlag“, 2001b.
27. დროპი 1980: Droop, H. Das präpositionale Attribut. Gramatische Darstellung und Korpusanalyse. Forschungsberichte 34. Tübigen: 1980.
28. დიურშაიდი 2002: Dürscheid, C. “Polemik satt und Wahlkampf pur” – Das postnominale Adjektiv im Deutschen. ZS, 21, 2002.
29. ეიზენბერგი 2006ა: Eisenberg, P. Das Wort. Grundriss der deutschen Grammatik. Band 1. Stuttgart. Weimar: „Verlag J.B. Metzler“, 2006a.
30. ეიზენბერგი 2006ბ: Eisenberg, P. Der Satz. Grundriss der deutschen Grammatik. Band 2. Stuttgart. Weimar: „Verlag J.B. Metzler“, 2006b.

31. ენგელი 1996: Engel, U. Deutsche Grammatik. Heidelberg: „Julius Gross Verlag“, 1996.

32. ენგელი 2004: Engel, U. Deutsche Grammatik. München: „Judicium Verlag Gmbh“, 2004.

33. ენგელი..1993: Engel, U., Tertel, R. Kommunikative Grammatik: Deutsch als Fremdsprache. München: „Judicium“, 1993.

34. ერბენი 1983: Erben, J. Einführung in die deutsche Wortbildungslehre (=Grundlagen der Germanistik, 17) Berlin: 1983.

35. ერბენი 1995: Erben, J. Zur begriffsgeschichte von Wertigkeit und Valenz. In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.

36. ფლაიშერი 1995: Fleischer, W. Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Tübingen: „Max Niemeyer Verlag“, 1995.

37. ჰეინემანი...1991: Heinemann, W., Textlinguistik. Eine Einführung (Reihe. Germanistische Linguistik 115). Tübingen: „Niemeyer“, 1991.

38. ჰელბიგი...1988: Helbig, G., Buscha, J. Deutsche Grammatik. Ein Handbuch für den Ausländerunterricht. Leipzig: „VEB Verlag Enzyklopädie“, 1988.

39. ჰელბიგი...2001: Helbig G., Buscha, J. Deutsche Grammatik. Ein Handbuch für den Ausländerunterricht. Berlin und München: „Langenscheidt KG“, 2001.

40. ჰელბიგი...1996: Helbig, G., Deutsche Grammatik. Ein Handbuch für den Ausländer-unterricht. Berlin, München: „Langenscheidt Verlag Enzyklopädie“, 1996.

41. ჰელბიგი 1995: Erweiterung des Valenzmodells: In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.

42. ჰელბიგი 1992: Helbig, G. Probleme der Valenz – und Kasustheorie (Konzepte der Sprach – und Literaturwissenschaft 51). Tübingen: „Niemeyer“, 1992.

43. ჰელბიგი 1990: Helbig, G. Semantische Kasus und Perspektive. In: Deutsch als Fremd-sprache, 27/2 1990.

44. ჰელბიგი 1988: Helbig, G. Valenz, semantische Kasus und/oder “Szenen” (=linguistische Studien Reihe A. Arbeitsberichte 180). Berlin: „Akademie Zentralinstitut für Sprachwissenschaft“, 1988.

45. ჰელბიგი 1985: Helbig, G. Valenz und Kommunikation. Ein Wort zur Disskusion. In: Deutsch als Fremdsprache, 22. 1985.

46. ჰელბიგი 1982: Helbig, G. Valenz – Satzglieder – semantische Kasus – Satzmodelle. Leip-zig: „Bibliographisches Institut“, 1982.

47. ჰელბიგი 1990: Helbig, G. Zu semantischen und pragmatischen Aspekten der Valenz und der Kasus. In: Zeitschrift für Germanistik. 11/1, 1990.

48. ჰერინგერი 1996: Heringer, H.J. Deutsche Syntax Dependentiell. Tübingen: „Stauffenburg Verlag“, 1996.

49. ჰერინგერი 1984ა: Heringer, H.J. Kasus und Valenz. Eine Mesalliance. In: Zeitschrift für Germanistische Linguistik, 12, 1984a.

50. ჰერინგერი 1984ბ: Heringer, H.J. Neues von der Verbszene. In: Pragmatik in der Grammatik Sprache der Gegenwart 60. Düsseldorf: „Schwann“, 1984b.

51. კემპკი 2000: Kempck, Günter. Wörterbuch Deutsch als Fremdsprache. Berlin, New Jork: „Walter de Gruyter Verlag“, 2000.

52. კორჰონენი 1995: Korhonen, I. Zum Wesen der Polyvalenz in der deutschen Sprachgeschichte. In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.

53. მაინჰარდი 1990: Meinhard, H-J. Prototypische Bedeutungs und Valenzmerknal von Verben. In: Zeitschrift für Grammatik, 1990.

54. მეტცლერი 2000: Metzler J.B. Metzler Lexicon Sprache. Stuttgart. Weimar: „Verlag J.B. Metzler“, 2000.

55. მოჩი 1983: Motsch, W. Richtungen der modernen Semantikforschlung. Berlin: „Akademie Verlag“, 1983.

56. ნოიბერტი 1982: Neubert, A. Text als linguistische Gegenstand. In: LAB 36. Leipzig: 1982.

57. ნიკულა 1995: Nikula, H. Bedeutung und Valenz. In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.

58. ნიკულა 1986ა: Nikula, H. Dependensgrammatik. Malmö: „Liber“, 1986a.

59. ნიკულა 1986ბ: Nikula, H. Valenz und Text. In: Deutsch als Fremdsprache. 23, 1986b.

60. პაული 2002: Paul, Herman. Deutsches Wörterbuch. Bedeutungsgeschichte und Aufbau unseres Wortschatzes. Tübingen: „Max Niemeyer Verlag“, 2002.

61. პაფენი 1980ა: Paffen, K-A. Deutsch-russisches Satz-lexikon. Band 1. Leipzig: „VEB Verlag Enzyklopädie“, 1980.

62. პაფენი 1980ბ: Paffen, K-A. Deutsch-russisches Satz-lexikon. Band 2. Leipzig: „VEB Verlag Enzyklopädie“, 1980b.

63. პოლენცი 1985: Polenz. Deutsche Grammatik. Grundbegriffe des Zwischen-den-Zeilen-Lesens. Berlin. New Jork: „de Gruyter“, 1985.

64. პონსი 1999: Pons. Basiswörterbuch, Deutsch als Fremdsprache. Stuttgart: „Ernst Kett Verlag“, 1999.

65. შენდელსი 1982: Schendels, E. Deutsche Grammatik. Morphologie, Syntax, Text. Moskau: „Vyshaja Skola“, 1982.

66. შიპანი 1983: Schippan, Th. Entwiklungstendenzen im deutschen Wortschatz der Gegenwart. In: ZYSW. A111, Berlin, 1983.

67. შრაიბერი...1991: Schreiber, H., Wortfelder für den Sprachunterricht. Deutsche Adjektive. Berlin, München, New Jork: 1991.

68. ზომერფელდტი...1992: Sommerfeldt, K-E., Einführung in die Grammatik der deutschen Gegenwartssprache, Tübingen: 1992.

69. ზომერფელდტი...1991: Sommerfeldt, K-E., Grammatisch-semantische Felder. Berlin, München: 1991.

70. ზომერფელდტი 1993: Sommerfeldt, K-E. Operationale Grammatik des Deutschen. Eine Skizze. München: „Judicium Verlag“, 1993.

71. ზომერფელდტი 1995: Sommerfeldt, K-E. Valenz-semantisches Satzmodell-Textsorte. In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.

72. ზომერფელდტი 1991: Sommerfeldt, K-E. Valenz und Textkohärenz. In: Beiträge zur Erforschung der deutschen Sprache, 10. Tübingen: 1991.

73. ზომერფელდტი...1983: Sommerfeldt, K-E., Schreiber, H. Wörterbuch zur Valenz und Distribution deutscher Adjektive. Leipzig: „VEB Bibliographisches Institut“, 1983.

74. ფატერი 1985: Vater, H. Einführung in die nominalphrasensyntax des Deutschen. Kölner Linguistische Arbeiten. 10, 1985.

75. ფატერი 1986: Vater, H. Zur Syntax der Determination. Studien zur deutschen Grammatik. 31. Tübingen: 1986.

76. ვარიგი 2000: Wahrig, Gerhard. Deutsche Grammatik. München: „Wissen Media Verlag GmbH“, 2000.

77. ვარიგი 2002: Wahrig, Gerhard. Deutsches Wörterbuch. Gütersloh München: „Wissen Media Verlag GmbH“, 2002.

78. ვეგნერი 1990: Wegner, H. Komplemente in der Dependenzgrammatik und in der Rektions- und Bindungstheorie. Die Verwendung der Kasus im Deutschen. In: Zeitschrift für Germanistische Linguistik 18. 1990.

79. ველკე 1995: Welke, K. Dependenz, Valenz, Konstituenz. In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.

80. ველკე 1988: Welke, K. Einführung in die Valenz und Kasustheorie. Leipzig: „Bibliographisches Institut“, 1988.

81. ველკე 1992: Welke, K. Funktionale Satzperspektive. Ansätze und Probleme der funktionalen Grammatik. Münster: „Nodus“, 1992.

82. ველკე 1989: Welke, K. Pragmatische Valenz: Verben des Besitzwechsels. In: Zeitschrift für Germanistik, 10. 1989.

83. ველკე 1990: Welke, K. Kontroverses in der Valenztheorie. In: Deutsch als Fremdsprache 27, 1990.

84. ველკე 1994: Welke, K. Thematische Relationen. In: Deutsche Sprache, 22. 1994.

85. ვუნდერლიხი 1993: Wunderlich, D. Grammatisches Grundwissen. Berlin: „Cornelsen“ 1993.

86. ციფონუნი 1995: Zifonun, G. Wieviel Valenzrelationen braucht eine Grammatik. In: Dependenz und Valenz, Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“, 1995.

87. ადმონი 1988: Адмони, В.Г. Грамматический строй как система построения и общая теория грамматики. Ленинград: «Наука», 1988.

88. არუთინოვა 1991: Арутюнова, М.Д. Логический анализ языка: Культ, концепты. Москва: «Наука», 1991.

89. არუთინოვა 1989: Арутюнова, М.Д. Логический анализ языка. Проблемы интенсиональных и прагматических контекстов (Сб. ст.). Москва: «Наука», 1989.

90. არუთინოვა 1990: Арутюнова, М.Д. Теория метафоры. Москва: «Прогресс», 1990.

91. არუთინოვა 1988: Арутюнова, М.Д. Типы языковых значений. Оценка, События, Факт. Москва: «Наука», 1988.

92. არუთინოვა 1990: Арутюнова, М.Д. Тождество и подобие. Сравнение и идентификация. Москва: «Наука», 1990.

93. არუთინოვა 1980: Арутюнова, М.Д. Аспекты семантических исследований. Москва: «Наука», 1980.

94. ახმანოვა 1969: Ахманова, О.С. Словарь лингвистических терминов. Москва: «Энциклопедия», 1969.

95. ბეკბალაევი 1991: Бекбалаев, А.А. Вопросы истории и теории синтаксической номинации. Бишкек: «Ин-т языкознания», 1991.

96. ბეკბალაევი 1990: Бекбалаев, А.А. Синтаксическая номинация в современном немецком языке. Фрунзе: «Ин-т языкознания», 1990.

97. ბლოხი 1986: Блох М.Я. Функциональная семантика синтаксических конструкций. Москва: «МГПИ», 1986.

98. ბონდარენკო 1989: Бондаренко, А.В. Теория грамматического значения и аспектологического исследования. Ленинград: «Наука», 1989.

99. ბონდარენკო 1980: Бондаренко, А.В. Функциональный анализ грамматических единиц. Ленинград. «Наука», 1980.

100. ბონდარენკო 1984: Бондаренко, А.В. Функциональная грамматика, Ленинград: «Наука», 1984.

101. ბურდინა 1986: Бурдина, З.Г. Грамматические единицы в акте коммуникации (на материале современного немецкого и английского языков). Сб. науч. тр. Москва: «МГПИИЯ», 1986.

102. ბურდინა 1987: Бурдина, З.Г. Грамматика и речевая коммуникация. Сб. науч. тр. 289. Москва: «МГПИИЯ», 1987.

103. ბურდინა 1985: Бурдина, З.Г. Коммуникативная функция граматических единиц немецкого языка. Сб. науч. тр. 249. Москва: «МГПИИЯ», 1985.

104. ბურდინა 1987: Бурдина, З.Г. Неразложимые языковые структуры и речевая коммуникация. Москва: “Высшая школа”, 1987.

105. ბურდინა 1988: Бурдина, З.Г. (редактор). Синтаксическая структура в акте коммуникации. Сб. науч. тр. 313. Москва: «МГПИИЯ», 1988.

106. ვასილიევი 1983: Васильев, Л.М. Значение как предмет современной лингвистической семантики. Исследование по семантике. Общие вопросы семантики. Уфа. «Башк. ун-т», 1983.

107. ვედენკოვა 1988: Веденькова, М.С. (Редактор). Функциональная характеристика языковых единиц и категорий. Сб. науч. тр. Днепропетровск: «ДГИ», 1988.

108. ვოლფი 1985: Вольф, Е.М. Функциональная семантика, оценка. Москва: «Наука», 1985.

109. გაკი 1988: Гак, В.Г. Метафора в языке и тексте. Москва: «Наука», 1988.

110. გალპერინი 1981: Гальперин, И.Р. Текст как объект лингвистического исследования. Москва: «Наука», 1981.

111. დეშერიევა 1985: Дешериева, Т.И. Субъектно-объектные отношения в разноструктурных языках. Москва: «Наука», 1985.

112. ზვეგინცევი 1983: Звегинцев, В.А. Новое в зарубежной лингвистике. Вып. 12. Москва: 1983.

113. კაცნელსონი 1986: Кацнельсон, С.Д. Общие и типологические языкознания. Ленинград: «Наука», 1986.

114. კოვტუნოვა 1976: Ковтунова., Порядок слов и актуальное членение предложения. Москва: «Просвещение», 1976.

115. კოვტუნოვა 1986: Ковтунова., Поэтический синтаксис. Москва: «Наука», 1986.

116. კოლშანსკი 1985: Кольшанский, Г.В. Коммуникативные единицы языка. Сб. науч. тр. Москва: «МГПИИЯ», 1985.

117. კოლშანსკი 1980: Кольшанский, Г.В. Контекстная семантика. Москва: «Наука», 1980.

118. კოლშანსკი 1984: Кольшанский, Г.В. Коммуникативная функция и структура языка. Москва: «Наука», 1984.

119. კოსტროვა 1992: Кострова, О.А. Продолженная синтаксическая форма в контактной коммуникации. На материале современного немецкого языка. Самара: «СГУ», 1992.

120. კუბრიაკოვა 1986: Кубрякова, Е.С. Номинативный аспект речевой деятельности. Москва: «Наука», 1986.

121. კუბრიაკოვა 1981: Кубрякова, Е.С. Типы языковых значений: Семантика производного слова. Москва: «Наука», 1981.

122. კუბრიაკოვა 1991: Кубрякова, Е.С. Человеческий фактор в языке. Языки и порождения речи. Москва: «Наука», 1991.

123. კუბრიაკოვა 1983: Кубрякова, Е.С. Проблемы паралингвистики. Вып. 213. Москва: 1983.

124. ლიაპონი 1986: Ляпон, М.В. Смысловая структура сложного предложения и текст: К типологии внутритекстовых отношений. Москва: «Наука», 1986.

125. მალინოვიჩი 1989: Малинович, Ю.М. Экспрессия и смысл предложения. Проблемы эмоционального-экспрессивного синтаксиса. Иркутск: «ИГУ», 1989.

126. მარგარიანი 1988: Маргарян, А.А. Коммуникативная функция и структура высказывания (на материале современного немецкого языка). Ташкент: «ГПИ», 1988.

127. მარტინოვი 1982: Мартынов, В.В. Категория языка: семиологический аспект. Москва: «Наука», 1982.

128. მილოსერდოვა 1991: Милосердова, Е.В. Семантика и прагматика модальности (На материале простого предложения современного немецкого языка). Воронеж: «ВГУ», 1991.

129. მოსკალსკაია 1981ა: Москальская, О.И. Грамматика текста. Москва: «Высшая школа», 1981а.

130. მოსკალსკაია 1981ბ: Москальская, О.И. Проблемы системного описания синтаксиса. Москва: «Высшая школа», 1981б.

131. მუხინი 1988: Мухин, А.М. Языковые единицы и методы их исследования. Лингвистические исследования. Ленинград: «ИЯ», 1988.

132. მუხინი 1980: Мухин, А.М. Синтаксический анализ и проблема уровней языка. Ленинград: «Наука», 1980.

133. მუხინი 1987: Мухин, А.М. Функционально-семантические аспекты грамматики. Лингвистические исследования: Москва: «ИЯ», 1987.

134. ნიკიტინი 1983: Никитин, М.В. Лексические значения слова. Структура и комбинаторика. Москва: «Высшая школа», 1983.

135. საფუძვლები...1991: Основы функционального-семантического анализа категории таксиса (На материале немецкого языка). Новосибирск: 1991.

136. პავლოვი 1985: Павлов, В.М. Понятие лексемы и проблема взаимоотношения синтаксиса и словообразования. Ленинград: «Наука», 1985.

137. პროკოპჩუკი 1990: Прокопчук, А.А. Сложноподчиненное предложение и текст. Харьков: «Основа», 1990.

138. რეფეროვსკაია 1983: Реферовская Е.А. Коммуникативная структура текста в лексико-грамматическом аспекте. Ленинград: «Наука», 1983.

139. რეფეროვსკაია 1983: Реферовская, Е.А. Лингвистическое исследование структуры текста. Ленинград: «Наука», 1983.

140. სკეპსკაია 1979: Скепская, Г.И. Введение в синтагматику. Москва, 1979.

141. სლუსარევა 1986: Слюсарева, Н.А. Категориальная основа тема-рематической организации высказывания предложения. Вопросы языкознания. 4, 1986.

142. სტრუქტურა...1990: Структура синтаксиса словосочетания и предложения в германских языках. Сб. науч. тр. Пятигорск: «ПГПИИЯ», 1990.

143. სტრუქტურული...1986: Структурно-семантическая организация высказывания и текста. Ташкент: «ТГПИ», 1986.

144. ტურაევა 1986: Тураева, З.Я. Лингвистика текста. Текст: Структура и семантика. Москва: «Просвещение», 1986.

145. უფიმცევა 1986: Уфимцева, А.А. Лексическое значение. Принцип семиотического описания лексики. Москва: 1986.

146. ფილმორი 1983: Филлмор Ч. Основные проблемы лексической семантики. Новое в зарубежной лингвистике. Вып. XII, 1983.

147. ჩუდინოვი...1992: Чудинов, А.П. (Редактор). Функциональная семантика слова. Сб. науч. тр. Свердловск: «СПГИ», 1992.

148. შლეივისი...1990: Шлейвис, П.И. (Редактор). Структура синтаксиса словосочетания и предложения в германских языках. Сб. науч. тр. Пятигорск: «ПГПИИЯ», 1990.

149. იარცევა 1990: Ярцева, В.Н. (Редактор). Лингвистический энциклопедический словарь. Москва. «Энциклопедия», 1990.

მხატვრული ლიტერატურა

1. ბიოლი 2003: Böll, H. Mein trauriges Gesicht. Erzählungen. Moskau: „Radugaverlag“, 2003.
2. ბიოლი 1968: Böll, H. Mein trauriges Gesicht. Erzählungen. Moskau. Verlag „Progress“, 1968.
3. დიურენმატი 2000: Dürrenmatt, F. Der Tunnel. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.
4. ფალადა 1984: Fallada, H. Der eiserne Gustav. Berlin: „Aufbau-Verlag“, 1984.
5. ფედერშპილი 2000: Federspiel, J. Das gelobte Dorf. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.
6. ფრიში 2000: Frisch, M. Skizze (Schinz). Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.
7. ჰერმანი 1963: Hermann, G., Kubinke. Das Neue Berlin: 1963.
8. ჰესე 2005: Hesse, H. Der Steppenwolf. Moskau: „Aris Press“, 2005.
9. ჰესე 2000: Hesse, H. Die Verlobung. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.
10. ჰესე 2004: Hesse, H. In der alten Sonne. Erzählungen. Moskau: „Ikar“ Verlag, 2004.
11. ჰოლერი 2000: Hohler, F. Der Dreizehnte Kanal. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.
12. კაინი 1962: Kain, F. Der Föhn bricht ein. Berlin: „Aufbau-Verlag“, 1962.
13. კაშნიცი 2004: Kaschnitz, M.L. Erzählungen, Moskau: “Aris Press”, 2004.
14. კაუერი 2000: Kauer, W. Der Mann mit dem Lexicon. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.
15. ლაუბერი 2000: Lauber, C. Martina. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.
16. მანი 1962: Mann, H. Der Untertan. Berlin: “Aufbau-Verlag”, 1962.
17. მანი 1963: Mann, Th. Buddenbrooks. Moskau: “Verlag für fremdsprachige Literatur”, 1963.
18. მუშგი 2000: Muschg, A. Besuch in der Schweiz. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.
19. ნოლი 1967: Noll, D. Die Abenteuer des Werner Holt (Roman einer Jugend). Berlin und Weimar: „Aufbau-Verlag“, 1967.

20. შმიდლი 2000: Schmidli, W. Margots Leiden. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.

21. შრაიერი 1968: Schreyer, W. Fremder im Paradis. Halle (Saale): „Mitteldeutscher Verlag“, 1968.

22. შუბერტი 1967: Schubert, D. Acht Unzen Träume. Berlin: Verlag „Neues Leben“, 1967.

23. ზეგერსი 1979: Seghers, A. Agathe Schweigert. Sagen von Artemis. Ausgewälte Werke. Moskau. Verlag „Progress“, 1979.

24. ზელბმანი 1968: Selbmann, F. Die Söhne der Wölfe. Halle (Saale): „Mitteldeutscher Verlag“, 1968.

25. შტორმი 1970: Storm, Th. Ein Doppelgänger. Weimar: “Greifenverlag zu Rudolstadt”, 1970.

26. შტრიტმატერი 1979ა: Strittmatter, E. Der Wundertäter. Band I. Berlin und Weimar: „Aufbau-Verlag“, 1979a.

27. შტრიტმატერი 1979ბ: Strittmatter, E. Der Wundertäter. Band II. Berlin und Weimar: „Aufbau-Verlag“, 1979b.

28. ტომა 2003: Thoma, L. Die Blaumacherin. Madrid: „Max Hueber“ Verlag, 2003.

29. ულმანი 2000: Ullmann R. Von einem alten Wirtshausschild. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Moskau: Verlag „Menedsher“, 2000.

30. ვაისკოპფი 1966: Weiskopf, F.C. Abschied vom Frieden. Berlin und Weimar: „Aufbau-Verlag“, 1966.

31. ველსკოფ-ჰენრიხი 1967: Welskopf-Henrich, L. Zwei Freunde. Halle (Saale): „Mitteldeutscher Verlag“, 1967.

32. ცვაიგი 1966: Zweig, A. Der Streit um den Sergeanten Grischa. Berlin und Weimar: Aufbau-Verlag, 1966.

33. ცვაიგი 1967: Zweig, A. Einsetzung eines Königs. Berlin und Weimar: „Aufbau-Verlag“, 1967.